

**ქუთაისის ილია ჭავჭავაძის  
სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა  
KUTAISI ILIA CHAVCHAVADZE PUBLIC LIBRARY**

# **ნელინდეული**

**XI**

ეძღვნება  
ქართველ საზოგადო მოღვაწეს, მწერალსა და მთარგმნელს  
**ივანე მაჩაბელს**

Dedicated to Georgian Public figure, writer and translator

**Ivane Machabeli**

**ქუთაისი**

**2019**

**Kutaisi**

001(479.22)(058)

ქ. 84

„წელიწდეულში“ იბეჭდება ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის XI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, ასევე რეცენზირებული ქართველოლოგიური (ენათმეცნიერული, ლიტერატურათმცოდნეობითი, ფოლკლორული, ისტორიოგრაფიული, კულტუროლოგიური, ეთნოლოგიური...) გამოკვლევები.

### **სარედაქციო საბჭო:**

**იოსებ ასათიანი, ნოზა ბარათია, მერაბ ბერიძე, მერაბ გვაზავა, თეიმურაზ გვანცელაძე, ეპა დადიანი (რედაქტორი), ლუკა დვალისვილი, ზურაბ თოდუა, როლანდ თოფჩიშვილი, რუსუდან კაშია, მერაბ კეზევაძე, მანია მიქაუბაძე, ალექსანდრე მღებრიშვილი, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ოთარ ნიკოლეიშვილი, საად აბდ ალ-რაჰიმი, რუსუდან სალინაძე, ნათია სვინტრაძე, გიორგი სოსიაშვილი, ნინო უგულავა (ინგლისური ტექსტის რედაქტორი), ლალი ურდულაშვილი, ტარიელ ფუტყაძე (მთავარი რედაქტორი), ლილა ქველიძე, გრიგოლ ჟობალიანი, მურმან ჟუთელია, დავით შავიანიძე, რეზან შაროზია, რიტა წაჭაძე (პასუხისმგებელი მდივანი), მამდა ჭიჭაბერიძე, ლუიზა ხაჭაპურიძე, სტივენ ჯონსი.**

პროექტის დირექტორი:

**გრიგოლ ქობალიანი**

ISSN: 1987 - 9288

რედაქციის მისამართი: 4600, ქ. ქუთაისი, ლ. ნუცუბიძის ქ. N1

ელ-ფოსტა: [k.library1873@gmail.com](mailto:k.library1873@gmail.com)

ჟურნალის ელ-ვერსია იხ.: <https://openjournals.ge/index.php/kly>

<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/164105>

**Annual** publishes the papers of the Kutaisi Ilia Chavchavadze public library XI International Scientific Conference and other reviewed research papers in Kartvelology (linguistics, literary studies, folklore, historiography, culture studies, ethnology, etc.).

### **EDITORIAL BOARD:**

**Ioseb Asatiani, Nomadi Bartaia, Merab Beridze, Magda Chikaberidze, Merab Gvazava, Teimuraz Gvantseladze, Eka Dadiani (editor), Luka Dvalishvili, Zurab Todua, Roland Topchishvili, Rusudan Kashia, Merab Kezevadze, Maia Mikautadze, Aleksandre Mgebrishvili, Avtandil Nikoleishvili, Otar Nikoleishvili, Saad Abd Al-Rahim, Rusudan Saginadze, Natia Svintradze, Giorgi Sosiashvili, Nino Ugulava (editor of the English texts), Lali Urdulashvili, Tariel Putkaradze (Editor - in chief), Leila Kvelidze, Grigol Kobaliani, Murman Kutelia, Davit Shavianidze, Revaz Sherozia, Rita Tsakadze (Secretary responsible), Magda Chikaberidze, Luiza Khachapuridze, Stephen Jones.**

Project Director:

**GRIGOL KOBALIANI**

Address of the Editorial Office; 1, L. Nutsubidze str., Kutaisi  
e-mail: k.library1873@gmail.com

© Publishing Centre “Kutaisi”, 2019

## შინაარსი – Contents

<b>ნანა აბულაძე</b> – მზითვეი ქართლში და პოეტური ფოლკლორი <b>Nana Abuladze</b> - Dowry in Kartli and Folk Poetry .....	7
<b>ნომადი ბართაია</b> – ირანში დაკრძალული ორი ქართველი მეფე - როსტომი და ვახტანგ V შაჰნავაზი <b>Nomadi Bartaia</b> – Two Georgian Kings buried in Iran Rostom and Vakhtang V Shahnawaz .....	14
<b>დალი ბეთხოშვილი</b> – ზიარების სათნოება „წმიდა შუშანიკის წამების“ მიხედვით <b>Dali Betkoshvili</b> – Eucharist Virtue based on „Martyrdom of St. Shushanik “ .....	20
<b>თამილა გოგოლაძე</b> – XIX საუკუნის II ნახევრის ქართველი ქალი სოფრომ მგალობლიშვილის ნოველაში „დიდ ზალაში“ <b>Tamila Gogoladze</b> – A Georgian woman of the II half of the XIX Century in the novel „In the Large Hall“ by Soprom Mgaloblishvili .....	27
<b>ეკა დადიანი</b> – საერთო დიალექტური ლექსიკისათვის ქართლურსა და მეგრულში <b>Eka Dadiani</b> – For common dialectal vocabulary in Kartli and Megrelian .....	33
<b>მაყვალა დავითაძე</b> – ეპიტაფიური პოეზიის კულტურა ქართლში <b>Makvala Davitadze</b> – Culture of epitaph poetry in Kartli .....	44
<b>როლანდ თოფჩიშვილი</b> – ქართლი - საქართველოს ცენტრი, ქართველთა შემკრები და გამაერთიანებელი <b>Roland Topchishvili</b> – Kartli –the center of Georgia, gathering and uniting the Georgians .....	53
<b>რუსუდან კაშია</b> – საქალაქო ცხოვრების განვითარება გვიან შუა საუკუნეების ქალაქ გორში <b>Rusudan Kashia</b> – Development of city life in Gori late middle ages .....	68
<b>გიორგი კილაძე</b> – სამოქალაქო ბიუჯეტი და ბიბლიოთეკები (გორის მუნიციპალიტეტის მაგალითზე) <b>Giorgi Kiladze</b> – Participatory budget and libraries on the example of Gori municipality.....	77
<b>მარიამ კობერიძე</b> – მავრცობი ხმოვნები ქართლურში <b>Mariam Koberidze</b> – Extending vowels in the Kartli dialect .....	84
<b>მარიამ მარაბანიშვილი</b> – ივანე მაჩაბლის სახე თანამედროვეთა მოგონებებში	

<b>Mariam Marjanishvili – Ivane Machabeli’s Image in the Memories of His Contemporaries</b> .....	101
<b>ალექსანდრე მღებრიშვილი</b> – რელიგიური ვითარება მეოცე საუკუნის დამდეგის ცხინვალის მხარეში <b>Aleksandre Mgheshvili</b> – The religious situation at the beginning of the XX century in Tskhinvali region .....	107
<b>ნორა ნიკოლაძე-ლომსიანიძე</b> – ქართლში შეკრებილი ფოლკლორული მასალები (იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ მიხედვით) <b>Nora Nikoladze-Lomsianidze</b> – Folk Materials Assembled in Kartli According to the „Mother Language“ of Iakob Gogebashvili .....	125
<b>ავთანდილ ნიკოლეიშვილი</b> – პაპუნა ორბელიანი, როგორც პოეტი - ისტორიული პოემა „შეჭირვებანი ქართლისანი“ <b>Avtandil Nikoleishvili</b> – Papuna Orbeliani as a poet - Historical poem „Troubles of Kartli“ .....	133
<b>ოთარ ნიკოლეიშვილი</b> – აუგუსტ ჰენრი მოუნსის მოგზაურობა საქართველოში <b>Otar Nikoleishvili</b> – Augustus Henry Mounsey’s Visit in Kartli .....	142
<b>მადინა უგლავა – ჯინჯიხაძე</b> – გორის ქართული სტამბა <b>Madina Uglava - Jinjikhadze</b> – Gori Georgian printing house .....	148
<b>ლალი ურდულაშვილი</b> – თამარ გაბროშვილის პროზის ფილოსოფიურ-ესთეტიკური თავისებურებანი („ქრიზთას ქრიზოლითები“) <b>Lali UrdulaSvili</b> – Philosophical-esthetic peculiarities of Tamar Gabroshvili’s prose „Chrysanthemum Chrysolites“ .....	154
<b>ტარიელ ფუტყარაძე</b> – ქრონიკების: „ყოველი ქართლისა“ და „კოლხას“ მიმართებისათვის <b>Tariel Putkaradze</b> – For the relation of the chronicles: „Every Kartli“ and „Kolkha“ .....	160
<b>მაია ქუჩიშვილი</b> – ხიზაბავრელთა მიგრაციები ქართლში (ახალხიზა - ბეთლემი) <b>Maia Kukchishvili</b> – Migrations of Khizabavres in Kartli (Akhalkhiza - Bethlehem) .....	173
<b>დავით შავიანიძე</b> – ბოლნისის მუნიციპალიტეტის ქართული მოსახლეობა (2019 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიში) <b>Davit Shavianidze</b> – Ethnographic expedition in Bolnisi community (Report - 2019) .....	180

<b>ლელა შათირიშვილი</b> – ქართული წერილობითი კულტურის მომაგენი <b>Lela Shatirishvili</b> – Guardians of Georgian written culture .....	190
<b>მაია ცერცვაძე</b> – ახალი მასალა ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილების ფიგურანტების შესასწავლად <b>Maia Tsertsvadze</b> – New Material for Studies of Figurants of Personal Letters by Nikoloz Baratashvili .....	201
<b>მაგდა ჭიჭაბერიძე, ეკატერინე შაკიაშვილი</b> – ქართული სოფელი სოფრომ მგალობლიშვილის მოთხრობების მიხედვით <b>Magda Chikaberidze, Ekaterine Shakiashvili</b> – Village of Kartli according to the memoirs of Soprom Mgaloblishvili .....	207
<b>ლუიზა ხაჭაპურიძე</b> – დიალექტური ლექსიკისათვის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფლების მონაცემთა მიხედვით <b>Luiza Khachapuridze</b> – For some lexical items According to the data of the villages of Bolnisi Municipality .....	214
<b>მზია ხოსიტაშვილი</b> – კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის აუცილებლობა შიდა ქართლის ოკუპირებული ტერიტორიებისთვის <b>Mzia Khositashvili</b> – The need for corporate social responsibility for the occupied territories of Shida Kartli .....	219
<b>ავტორთა მონაცემები</b> .....	233
<b>CONTRIBUTORS</b> .....	238

## Dowry in Kartli and poetic folklore

**ნანა აბულაძე**

ზუგდიდის დადიანების სასახლეთა  
ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმი  
საქართველო, ზუგდიდი

**Nana Abuladze**  
Dadiani Palaces History  
and Architectural Museum  
Georgia, Zugdidi

### ABSTRACT

'Dowry' is one of the links in the whole chain of wedding customs, the preparation of which was the duty of the woman's parents. The institution of marriage and its associated customs have come a long way in its development.

Marriage, a historically conditioned relationship between a man and a woman, has changed and evolved in the footsteps of society. Folk art is factual material expressing the originality of the national worldview, which is a phenomenon representing the nation, culture, and ancestry.

There was a time in the history of human development when the personal dignity and surname of couples were a necessary precondition for starting a family. The property of history has become a time when for the bride the 'dowry list' was the first cornerstone for future happiness. Lists of dowries gradually changed over time and in rank, both in material value and in appearance. Deteriorating living conditions have brought the issue of dowry to the foreground. The parents of both the woman and the son were interested in this. Feelings moved to the background. Men used to choose women due to the improvement of economic conditions, thus giving up personal happiness. This situation was especially troubling for the poor people, who were advised by a beautiful daughter to be unmarried due to infertility.

The question of the origin of the Sunshine Institute has shown us that its origins date back to the distant past. Over time, Mzitev is found in different ways. It varied in parallel with the socio-economic and cultural level, as evidenced by folk poetic texts and materials proven in ethnographic life. There is no doubt that the function of the dowry changes over time and space.

საკვანძო სიტყვები: ქორწინების ინსტიტუტი, მზითვის ინსტიტუტი,

მზითვი ქართლში, მზითევი, მზითვი სია, ხალხური პოეტური ტექსტები, გაუთხოვრობა

Keywords: Marriage Institute, Mzitvi Institute, Mzitvi in Kartli, Mzitevi, Mzitvi List, Folk Poetic Texts, Unmarriedness.

„მზითევი“ საქორწილო წეს-ჩვეულების მთლიანი ჯაჭვის ერთი რგოლთაგანია, რომლის მომზადება ქალის მშობლების მოვალეობას შეადგენდა.

ქორწინების ინსტიტუტმა და მასთან დაკავშირებულმა წეს-ჩვეულებებმა განვითარების საკმაოდ გრძელი გზა განვლო.

ქორწინება, რომელიც ქალსა და მამაკაცს შორის საზოგადოებრივი ყოფიერებით ისტორიულად შეპირობებულ ურთიერთობას წარმოადგენდა, საზოგადოების კვალდაკვალ იცვლებოდა და ვითარდებოდა.

წეს-ჩვეულება ისტორიულ კატეგორიას განეკუთვნება. იგი საზოგადოებრივი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე იჩენს თავს და ამწიარადვე გარკვეულ საფეხურზე ქრება. ამ ბედს იზიარებს თვითონ წეს-ჩვეულების ამსახველი ზეპირსიტყვიერების დიდი ნაწილი, მაგრამ არა მთლიანად (ქართული ხალხური პოეზია 1976: 9).

ხალხური შემოქმედება ერის კულტურის, მისი ძირმეველობის წარმომჩენი ფენომენია. მასში თავმოყრილია ეროვნული მსოფლგანცდის თავისთავადობის გამომხატველი ფაქტობრივი მასალა.

არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და წერილობითი მასალების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ქალის მზითევი მეოთხე ათასწლეულის ბოლოსა და მესამე ათასწლეულის დასაწყისში (ენეოლითის ხანაში) დასტურდება. ამრიგად, „ენეოლითის ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე, ჩანს, უკვე თანდათანობით ეცვლება საფუძვლები მატრიარქალურ ურთიერთობას. გვარის შიგნით თავს იყრის ისეთი ნიშნები, რომლებიც არსებულ მდგომარეობას ვეღარ ეგუება და ხელს უწყობს გვარის განვითარების კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას“ (აფაქიძე... 1959: 86). ამ პერიოდში ნიადაგი ეცვლება ადრინდელ მატრიარქალურ ტრადიციებს და ქალი ქმრის ოჯახში გადადის საცხოვრებლად. ამიტომ ბუნებრივი იყო, თავისი პირადი სახმარი ნივთები მზითვად წაეღო ახალ ოჯახში. ამავე დროს, ქმარს ხელი არ მიუწვდებოდა ქალის მოტანილ ნივთებზე. ეს სწორედ ის დროა, როცა თავს იჩენს კერძო საკუთრება და ქალის პირადი მოხმარების საგნებთან ერთად მზითევი გვხვდება ფული, პირუტყვი და ბოლოს მამულიც: „მამული ჩვეულებრივი სიტყვაა და მამისაგან მემკვიდრეობით მიღებულ უძრავ ქონებას ნიშნავს“ (ჯავახიშვილი 1929: 388).

მზითვის ინსტიტუტის წარმოშობის საკითხმა დაგვანახა, რომ მისი საფუძვლები შორეული წარსულიდან იღებს სათავეს. დროთა ვითარებაში მზითევი სხვადასხვა სახით გვხვდება. იგი იცვლებოდა საზოგადოებრივ-



ეკონომიკური და კულტურული დონის განვითარების პარალელურად.

ქალის მზითევი ძირითადად შედგებოდა ორი ნაწილისაგან: ქალის პირადი და საოჯახო სარგებლის ნივთებისა (ტანსაცმელი, სამკაულები, შრომის იარაღები და დგამ-ჭურჭელი) და მომგებიანი ქონებისაგან (პირუტყვი, ფული, მამული, ფუტკარი და სხვა) (მაჩაბელი 1978: 59). ყოფაში „ქრთამის“ და „სათავანოს“ სახელით არის ცნობილი (მაჩაბელი 1976: 139).

სამცხე-ჯავახეთში მოსახლეობა მზითევი ფულს არ ატანდა. სამაგიეროდ მიღებული იყო მამულის (ზადის, მიწის, ფუტკრის, პირუტყვის და სხვ.) გასაჩუქრება, რაც ქართლ-კახეთსა და დასავლეთ საქართველოში იშვიათი შემთხვევა იყო (იქვე: 44).

ქართლ-კახეთში ქალს ხშირად გოჭებიან დედა ღორსაც ატანდნენ (იქვე: 53). მამულის და ფუტკრის, პირუტყვის გატანება განსაკუთრებით იცოდნენ ფშავ-ხევსურეთში (ხიზანიშვილი (ურბნელი) 1940: 42). სამცხე-ჯავახეთში ქალის მზითევი ნაჩუქარ მამულს დედულეთი ეწოდება (ხოსიტაშვილი 1983: 58).

ქართლში სამზითეო ლოგინის, ტანსაცმლის მომზადება ქალის ოჯახში ხდებოდა.

თეიმურაზ მეორე თავის „სარკე თქმულთაში“ აღნიშნავს:  
დაუძახებდნენ მოყვრებსა ქორწილის წინა დღითა და  
შემოიტანდნენ ფარჩებსა ფერად-ფერადსა თვლითა და  
შაქრის იარაღს დაუდგმენ სტუმრებსა ხონჩებითა და  
დასჭრიან ჯვრის საწერსა თეთრკაბებს მაყრულითა და  
სამჯერ იტყვიან მაყრულსა, სანამ დასჭრიდნენ კაბებსა,  
მკერვალს ჩააცმენ ხალათსა მას დღესვე, არ უქადებსა  
(თეიმურაზ მეორე 1939: 58).

ოჯახს შეეძლო არსებულ ნორმაზე მეტი ან ნაკლები მზითევი მიეცა ქალისათვის, რაც დამოკიდებული იყო როგორც ოჯახის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ასევე მშობლების სურვილზე: „მზითვის მიცემის საზღვარი არასოდეს დაიდების, ამოდ რომელი დამოკიდებულ არს შეძლებასა ზედა ქალის პატრონისასა“ (სამართალი ბატონიშვილის დავითისა 1964: 56).

ზემოთქმულს უდავოდ ეხმიანება მზითვის სია: ერთი უბრალო შეღებილი კიდობანი, ერთი ხელი ლოგინი, ერთი ხელი ტანისამოსი, ერთი ქეჩა, ერთი ჭილობი, ერთი ფარდაგი, მდიდარი ხალიჩას გაატანს ხოლმე (ივერია 1894/23).

ცხადია, რომ ისტორიის საკუთრება გახდა ის დრო, როდესაც პატარძლისთვის „მზითვის სია“ პირველი ქვაკუთხედი იყო მომავალი ბედნიერებისათვის. მზითვის სიები დროსა და წოდების მიხედვით თანდათან იცვლებოდა როგორც მატერიალური ღირებულებით, ისე გარეგნული სტილით (გრიშაშვილი 1985: 185).

მზითვის საჯარო გამოცხადება მიღებული ყოფილა, რომელსაც



როდესაც ოჯახის შექმნისთვის აუცილებელ წინაპირობას შეადგენდა წყვილთა პირადი ღირსებები, გვარჩამომავლობა, ავკარგიანობა.

ცხოვრების პირობების გაუარესებამ წინა პლანზე წამოწია მზითვის საკითხი. ამ მხრივ დაინტერესებული იყვნენ როგორც ქალის, ისე ვაჟის მშობლები. გრძნობებმა უკანა პლანზე გადაიწია. ვაჟი ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების გამო ირთავდა ქალს. ამით კი პირად ბედნიერებაზე ამბობდა უარს. ეს მდგომარეობა განსაკუთრებით აწუხებდა ღარიბ ხალხს, რომელსაც მშვენიერი ასული გაუთხოვარი ურჩებოდათ უმზითვობის გამო. ამასვე სწუხდნენ გასათხოვარი ქალიშვილებიც და გულდაწყვეტით წარმოსთქვამდნენ (ჩოხელი 1990: 39).

ვაი დედა, თითი მტკივა,  
მე ვერ გავძლებ უთითოდ,  
ამ დასაწყვეტს ბიჭებსა  
არ მივყავარ უმზითვოდ

(ფოლკლორის არქივი 2850).

ანალოგიური აზრია გადმოცემული მეგრულ შაირშიც:

ძღაბი ჯგირი ვორექ, მარა  
ბზითი მუთა მაპალუუ

„გოგო კარგი ვარ, მაგრამ  
მზითვეი არ გამაჩნია“

(ყიფშიძე 1994: 318).

ეს ეპიდემია დაბალ ფენას უფრო მოედო. ჩვენებური პატარძალი გრძნობდა, რომ უმზითვოდ ქმრის ოჯახში დაიჩაგრებოდა და ამიტომ „გალესილ ხმალივით“ ეკვეთებოდა მშობლებს:

ეხლანდელი ქალები,  
გალესილი ხმლები,  
დედებს ემდურებიან:  
მოგვიზადეთ ქრთამები.

თუ ეს „ეხლანდელი ქალები“ ასე მსჯელობდნენ, არც „ეხლანდელი ვაჟები“ აკლებდნენ:

წყალში თევზი დაცურავს,  
ბოლოს იქნევს, თავს-არა,  
ეხლანდელი ვაჟები  
ქრთამს ეძებენ, ქალს-არა!“

(გრიშაშვილი 1985:183).

საინტერესოა საცოლე ვაჟის პოზიცია:

ეხლა, ამ ჩვენს დროში,  
თუ ქალსა აქვს გროში,  
თუნდაც ჰგავდეს კუნძსა,  
იდგეს საყასბოში,  
ოღონდ ჰქონდეს ფული,

არა, ჩემმა მზემა!  
ოღონდ ჰქონდეს ფული,  
ვითხოვ, ღმერთი, რჯული!..  
ჰქონდეს მწარე ენა,  
მომიწამლოს ლხენა,

ვითხოვ, ღმერთი, რჯული!..	ფულის გულისათვის
გინდ იცოდეს ცემა,	უნდა მქონდეს თმენა.
მომცეს ტანჯვა, გვემა,	ოღონდ ჰქონდეს ფული,
ვითომ დავიწუნო?	ვითხოვ, ღმერთი, რჯული!..

(ივერია 1914/167).

მეგრულ ფოლკლორში გვხვდება ისეთი პოეტური ტექსტი, სადაც ვაჟი ერთგვარ პირობას ართმევს გასათხოვარ ქალს, თუ კარგად მომეცევი („გემრიელი მექნები“), მზითვს არ მოგთხოვო:

...გემუანქ ქუმაყი და,	.....თუ გემრიელი მექმენ,
ზითის ვამგოღალაფუა...	მზითევს არ მოგთხოვ (მოგატანინებ)“

(ქართული ხალხური სიტყვიერება 1975: 191).

მეგრული ტექსტუალური მასალა გვამღევეს იმის თქმის უფლებას, ვაჟმა ქალს მზითვი არ უნდა მოსთხოვოს, რადგანაც ეს ვაჟისთვის ვაჟკაცობის შეურაცხყოფად იქნება გაგებული და აღქმული:

...დუც ლაფი გინოწუმუდას	.....თავს ლაფი გადასხმოდე
სკანდე ზითიშ მათხუალს,	შენგან მზითვის მთხოვნელს,
მა ზოშალა მიღუნი,	მე ვაჟკაცობა (ბიჭობა) მაქესო,
იქ უკული ვათქუას...	მან მერე აღარ თქვას...“

(პირადი არქივიდან, მთქმელი სონია ხარბედია, 1982 წ., სენაკი).

ზემოთ მოხმობილი მასალა საუცხოო ნიმუშია იმისა, თუ როგორ კნინდება მზითვის როლი, რომელსაც შორეულ წარსულში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ გასათხოვარ ქალს სხვა ნივთებთან ერთად სამზვითვოდ წიგნებსაც უგროვებდნენ. პირველი ადგილი „ვეფხისტყაოსანს“ ეჭირა. „ვეფხისტყაოსნის“ მირთმევა ქართველი ქალის ინტელექტის ერთგვარი აღიარება იყო (სიხარულიძე 1960: 261). მ. ჩიქოვანის შენიშვნა, რომ ეს ფაქტი არა მხოლოდ შოთა რუსთაველის გენიალური ქმნილების პოპულარობის თვალსაზრისითაა საგულისხმო, არამედ იგი აგრეთვე ქართველი ხალხის ღრმა ჰუმანიზმის მაჩვენებელიცაა (ჩიქოვანი 1937: 238). „ვეფხისტყაოსნის“ მზითვად გატანება საზოგადოების დაბალ ფენაშიაც დასტურდება. ერთ-ერთ ხალხურ ლექსში ვკითხულობთ:

ქალი მყავდა მშვენიერი,  
თავმორთული კაოსანი,  
გავათხოვე, გავატანე  
ჩემი „ვეფხისტყაოსანი“.

ეს ლექსი ასახავს იმ ჩვეულებას, რომლის მიხედვითაც რუსთაველის პოემა პატარძალს მზითვად ეძლეოდა (ჩიქოვანი 1937: 238).

ამრიგად, ფოლკლორული პოეტური ტექსტები და ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული მასალები გვამღევეს უფლებას, რომ დავასკვნათ: მზითვის ფუნქცია დროსა და სივრცეში იცვლება.

დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები

- აფაქიძე... 1959:** აფაქიძე ა., ჯაფარიძე ო., ხოშტარია ნ., ბერძენიშვილი ნ., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ., საქართველოს არქეოლოგია. თბილისი, 1959.
- გრიშაშვილი 1985:** გრიშაშვილი ი., ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა. ტ. 3, თბილისი, 1985.
- თეიმურაზ მეორე 1939:** თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრებული. თბილისი, 1939.
- მაჩაბელი 1976:** მაჩაბელი ნ., ქართველი ხალხის საოჯახო ყოფის ისტორიიდან. თბილისი, 1976.
- მაჩაბელი 1978:** მაჩაბელი ნ., ქორწინების ინსტიტუტი ქართლში. თბილისი, 1878.
- მეგრული ტექსტები 1975:** მეგრული ტექსტები, პოეზია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო ტ. გუდავამ. თბილისი, 1975.
- სამართალი ბატონიშვილის დავითისა 1964:** სამართალი ბატონიშვილის დავითისა. დ. ფურცელაძის გამოცემა, თბილისი, 1964.
- სიხარულიძე 1960:** სიხარულიძე ქს., საქორწილო პოეზია // ქართი; ხალხური პოეტური შემოქმედება. თბილისი, 1960.
- ფოლკლორი და ეთნოგრაფია:** Фольклор и этнография, Ленинград, 1970.
- ქართული ხალხური პოეზია 1976:** ქართული ხალხური პოეზია, საწესჩვეულებო ლექსები. ტ. V, თბილისი, 1976.
- ქართული ხალხური სიტყვიერება 1975:** ქართული ხალხური სიტყვიერება. ტ. I, თბილისი, 1975.
- ყიფშიძე 1994:** ყიფშიძე ი., რჩეული თხზულებანი. თბილისი, 1994.
- ჩიქოვანი 1937:** ჩიქოვანი მ., ხალხური „ვეფხისტყაოსანი“. თბილისი, 1937.
- ჩოხელი 1990:** ჩოხელი ს., ქართული საქორწილო წეს-ჩვეულებები და პოეტური ფოლკლორი. თბილისი, 1990.
- ხიზანიშვილი 1990:** ხიზანიშვილი (ურბნელი) ნ., ეთნოგრაფიული წერილები, ფშავ-ხევსურეთი. თბილისი, 1940.
- ხოსიტაშვილი 1983:** ხოსიტაშვილი ს., ქორწინებისა და მიცვალებულის დაკრძალვის წესი სამცხე-ჯავახეთში. თბილისი, 1983.
- ჯავახიშვილი 1929:** ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წ. 2. თბილისი, 1929.
- ივერია 1894/23:** გაზეთი „ივერია“, 1894, №23 (ვ. კობტონაშვილი, ზოგიერთი ქორწინებისა და ნიშნობის ჩვეულებანი ახალციხის მაზრის ქართველთა შესახებ).
- ივერია 1914/167:** გაზეთი „ივერია“, 1914, №167 (ლექსი ეკუთვნის ანტონ განჯისკარელს).
- პირადი არქივიდან:** მთქმელი სონია ხარბედია, 1982 წ., სენაკი, სოფ. მენჯი, სახარბედიოს უბანი.
- ფოლკლორის არქივი 2850:** თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორის არქივი, №2850.

**ირანში დაკრძალული ორი ქართველი მეფე –  
როსტომი და ვახტანგ V შაჰნავაზი**

**Two Georgian Kings buried in Iran  
Rostom and Vakhtang V Shahnawaz**

**ნომადი ბართაია**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ქუთაისი

**Nomadi Bartaia**

Akaki Tsereteli State University  
Georgia, Kutaisi

**ABSTRACT**

In no epoch has there been as close and varied relations between Iran and Georgia as it was during the Safavid period (1501-1722), especially after Shah Abbas I established the Caucasian, mostly Georgian, element as a stronghold.

If we look at it from a political point of view, how much does it say that the founder and commander-in-chief of Shah Abbas I's guard, who was called the Shah's deputy, was the Muslim Georgian Alaverdi-Khan Undiladze, whose one son Imam Kuli-Khan ruled Fars province and the other Daud - Khani - Ganja-Karabakh.

Before Shah Abbas I (1587-1629), rulers of Isfahan were usually appointed for two years only by the Turkmen tribe. This rule was broken by Shah Abbas I and appointed by Khosrow Mirza, a Muslim Georgian, the commander-in-chief of the Safavid capital city of Daruga, who had shown himself to be the ruler of the capital for not two but forty years.

And Shah Safi (1629-1642) in 1632, already called King Rostom, sent him as his deputy to Georgia, who reigned for 26 years (1632 - 1658) first in Kartli and then in Kartli-Kakheti. King Rostom had no heir and therefore he adopted Vakhtang V from the Bagrationi family, who was called Shahnawaz after the Muslims and who reigned for seventeen years in Kartli-Kakheti (1658 - 1675).

The main difference between these two kings is that Khosrow Mirza was born and raised among Muslims in Iran and was a Muslim from the beginning, and Vakhtang V was born in Georgia among Christians and converted to Islam before becoming king, which left a mark on both of their political careers.

During the reign of King Rostom, peace was restored and the reconstruction process went on, but the country was going through a process of conversion to Islam and moral decline.

During the reign of Vakhtang V, peace was also established in the country and reconstruction processes were underway, which was supplemented by the country's conversion to Christianity and morality.

And the fact that both Georgian kings are buried in the holy city of Qom, Iran, in the courtyard of the mausoleum of Imam Reza, the sister of Imam Reza, where burial is a great honor for all Shiite Muslims, clearly indicates what a great role they played in Iranian history.

საკვანძო სიტყვები: ხოსრო მირზა, როსტომი, ვახტანგ V, შაჰნავაზი, მასუმე  
Keywords: Khosrow Mirza, Rostom, Vakhtang V, Shahnavaz, Masume.

სტატია ეხება ორ გამაჰმადიანებულ ქართველ მეფეს - როსტომსა და ვახტანგ V შაჰნავაზს, რომლებიც დიდი პატივით არიან დაკრძალულნი ირანის ქალაქ ყუმში, იმამ რეზას დის - წმინდა მასუმეს (IX) მავზოლეუმის ეზოში.

როსტომ მეფე (1632-1658) ოცდაექვსი წელი მეფობდა ჯერ ქართლსა და მერე ქართლ-კახეთში (1658-1675).

სეფიანებამდე ირანს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში სამანიდების ეროვნული დინასტიის საუკუნოვან არსებობას (X ს.), ორჯერ ჰქონდა სახელმწიფოებრიობა სრული სახით - აქემენიდებისა (ძვ.წ. VI-IV სს.) და სასანიდების (III-VII სს.) დროს.

თურქმანული წარმოშობის სეფიანები (1501-1736) იყვნენ ისინი, რომლებმაც შიიზმის დროით ირანს აღუდგინეს არაბობიდან მოყოლებული ცხრა საუკუნე დაკარგული სახელმწიფოებრიობა და ირანმაც დაიწყო თავისი ახალი საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარება, რომელიც კავკასიის ქვეყნებს, მათ შორის საქართველოსაც, შეეხო და არცთუ ისე უმტკივნეულოდ.

არც ერთ ეპოქაში არ ყოფილა ისეთი მჭიდრო და მრავალფეროვანი ურთიერთობანი ირან-საქართველოს შორის, როგორც ეს იყო სეფიანთა ხანაში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შაჰ-აბას I-მა დასაყრდენ ძალად კავკასიური, ყველაზე მეტად ქართული, ელემენტი გაიხადა.

პოლიტიკური კუთხით თუ შევხედავთ, რამდენს მეტყველებს თუნდაც ის, რომ შაჰ-აბას I-ის გვარდიის შემქმნელი და მთავარსარდალი, რომელსაც შაჰის მოადგილეს უწოდებდნენ, გამაჰმადიანებული ქართველი ალავერდი-ხან უნდილაძე იყო, რომლის ერთი შვილი იმამ ყული-ხანი განაგებდა ფარსის პროვინციას, ხოლო მეორე - დაუდ-ხანი - განჯა-ყარაბაღს.

შაჰ-აბას I-მდე (1587-1629), როგორც წესი, ისპაჰანის მმართველებად, ორი წლით, თურქმანული ტომიდან ინიშნებოდნენ მხოლოდ. ეს წესი შაჰ-აბასმა I-მა დაარღვია და სეფიანთა სატახტო ქალაქის დარულად ირანის მთავარსარდალი, გამაჰმადიანებული ქართველი ხოსრო მირზა (როსტომ-მეფე) დანიშნა, რომელმაც ისე გამოიჩინა თავი ამ საქმეში, რომ არა ორი, არამედ ორმოცი წელი გასწია დედაქალაქის თავკაცობა.

რაც შეეხება ლიტერატურის სფეროს, არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ჟანრი დიდი სპარსული მწერლობისა, რომლის საუკეთესო ნიმუშები თარგმანისა თუ მიბადვა-გადაკეთების გზით ქართულ ლიტერატურაში არ შემოსულიყო, რამაც კეთილი კვალი დატოვა ჩვენს მწერლობაში.

შაჰ-აბას I-მა მთელი თავისი სამხედრო ძალა საქართველოს დასამორჩილებლად მიმართა, მაგრამ ვერც საქართველოს არაერთგზის დალაშქრა-აოხრებამ, ვერც მშობლიური მიწიდან ქართველი ხალხის აყრამ და ირანში გადასახლებამ, ვერც ჩვენს მიწაზე თურქმანული ტომების ჩამოსახლებამ და ვერც გაუგონარმა რელიგიურმა ზეწოლამ მისთვის სასურველი შედეგი ვერ გამოიღო.

სეფიანთა ირანმა ამის მერე საქართველოს მიმართ თავისი პოლიტიკა შეცვალა, რასაც შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში სამეფოთა მმართველებად გამაჰმადიანებული ქართველების დანიშვნა მოჰყვა.

სწორედ ასეთი იყო ზემოხსენებული ხოსრო მირზა, შაჰ-სეფის (1629-1642) მიერ საქართველოში გამოგზავნილი ბაგრატიონთა გვარის უკანასკნელი წარმომადგენელი, დავით XI-ის (დაუდ-ხანის) შვილი ხოსრო მირზა.

ხოსრო მირზა (1565-1658), რომელიც საქართველოში როსტომ მეფედ იყო ცნობილი, ქართლში მეფობდა 1633-1658 წლებში, ხოლო ქართლ-კახეთში - 1648-1656 წლებში.

როსტომ მეფეს, როგორც ირანში დაბადებულსა და გაზრდილს, ბუნებრივია, ქართველ ხალხში დიდი ნდობა არ ექნებოდა, ამიტომ მან ჯართან ერთად შუამავლად თან წამოიყვანა გამაჰმადიანებულ ქართველთა ამაღლა. თუმცა მან მალე მოიგო ადგილობრივ დიდკაცთა გული, დაამყარა შემწყნარებლური დამოკიდებულება ქრისტიანებსა და მაჰმადიანებს შორის და შეუდგა ქვეყნის აღმშენებლობას. ამ გზაზე მას დაპირისპირება მოუვიდა სპარსეთის სპასალარ როსტომ-ხან-სააკაძესთან, რომლის თავიდან მოშორებამ „დააწყნარა ხალხი“ (ჯავახიშვილი 1987: 371).

აღსანიშნავია, რომ მან უარყო იძულებით გამაჰმადიანების პოლიტიკა.

როსტომ მეფე მეზობლებშიც ეძებდა დასაყრდენ ძალას. იგი დაქორწინდა ლევან II დადიანის დაზე - მარიამზე, რომელიც დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა. შემორჩენილი გვაქვს მისი დაკვეთით გადაწერილი „ქართლის ცხოვრება“, რომელიც მარიამისეული რედაქციის სახელით არის ცნობილი და ჩვენს ეროვნულ განძს წარმოადგენს. როსტომის მეფობაზე ნათლად მეტყველებს ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტი ბატონიშვილის შემდეგი სიტყვები.

ბერი ეგნატაშვილი:

„როსტომ მეფე იყო კაცი ხერხიანი და ილათიანი და მცდელი საქმისა და მას ჟამსა ვინცავინ ქართველნი იყვნენ ყიზილბაშში დატყუებულნი და გათათრებულნი, ყოველნივე წარმოიყვანა ქართლში და სწადოდათ გათათრება ქართლისა. დაი იყო წესსა ზედა ყიზილბაშისასა და გაარიგა რიგი სახლისა ოჯახისა ყიზილბაშურად და განაწესა მოხელენი და



გამრიგენი თათარნი, და არცა მოშალა ქართველი მოხელე, და იქცეოდა დიდებულად“ (ეგნატაშვილი 1959: 418).

„ამან (როსტომი - ნ. ბ.) აღაშენა სახლი ყიზილბაშური, კეკლუცად და ტურფად ნაგები, [შემოიღო] მოფენილობა, სმა-ჰამა, გამოჩვენება და კეკლაობა. და მიიქცნენ სრულიად წესსა ზედა ყიზილბაშისასა და განმრავლდა სახლსა შინა მისსა სიძვა და არაწმინდაება, ცოდვა იგი სოდომ-გომორული და მეძაობა და დედათა თანა აღრევა“ (ეგნატაშვილი 1959: 424).

ვახუშტი ბატონიშვილი:

„ამან განაგნა წესსა ზედა ყიზილბაშთასა კარის გამგენი თუსნი, და არცა მოშალნა ქართულნი და დაადგინა ორნივე და მიანიჭებდა ქართველთა ბოდსა მცირეთა და იერთულებდა მით, რამეთუ მას ჟამსა იყვნენ ქართველნი მხნენი, რჯულმტკიცენი, წრფელნი, ვეცხლის უყვარულნი.

ამან როსტომ მოიყვანნა ყოველნი ტყუენი საქართველოსანი სპარსეთიდან გამაჰმადიანებულნი და ამათით შეერიათ ქართველთა განცხრომა, სმა-ჰამა ყიზილბაშური, სიძვა, მრუშება, ტყუვილი, ხორცთ-განსუენება, აბანო, კეკლუცობა უგვანი, მეჩანგე, მგოსანი, რამეთუ ამათ საქმეთა მოქმედთაგან კიდე არავის სცმდნენ პატივსა და მიდრკენ, ვიდრე მღუდელმთავარნიცა და ჰყოფდნენ უჯეროთა“ (ბატონიშვილი 1973: 439).

ამ ამონარიდებიდან კარგად ჩანს, რომ როსტომის მეფობისას კი დამყარებულა საქართველოში მშვიდობა და ყოფილა აღმშენებლობა, მაგრამ ქვეყანა მიდიოდა გამაჰმადიანებისა და ზნეობრივად გადაგვარების გზით.

როსტომს შვილი არ ჰყავდა. მან მემკვიდრედ დაასახელა ბაგრატიონების შტოს მუხრანბატონთა წარმომადგენელი ვახტანგ V (1658-1675), რომელსაც 1654 წელს მაჰმადიანობა მიაღებინეს და „შაჰნავაზი“ უწოდეს.

ვახტანგმა, რომელმაც 18 წელი იმეფა, შეძლო გაერთიანება ქართლ-კახეთისა. მან იმერეთში თავისი უფროსი ვაჟი არჩილი აიყვანა ტახტზე (1661), სამეგრელოს, გურიისა და აფხაზთა მთავრებთანაც მეგობრული ურთიერთობა დაამყარა და თითქმის მთელი საქართველო მოიქცია თავისი ზედამხედველობის ქვეშ. მაგრამ მალე ოსმალთა მოთხოვნით იძულებული გახდა იმერეთიდან გაეყვანა თავისი ჯარი.

საგულისხმოა, რომ ფეშანგიმ საისტორიო პოემა „შაჰნავაზიანი“ უძღვნა ვახტანგ V-ს, სადაც ქების ობიექტი გმირად არის წარმოჩენილი და შემკობილი. მოგვაქვს შინაარსი კორნელი კეკელიძისეული გადმოცემით:

„შეიკრიბნენ დიდებულნი ქართლისანი, კათოლიკოსი, აზნაურნი, მთიულთა წარმომადგენელნიც და გადაწყვიტეს, რომ იმათ პატრონად ვახტანგი არის ღვთისგან წარმოგზავნილი, მივიდნენ მასთან და სთხოვეს ეპატრონა მათთვის. ვახტანგი დაითანხმეს და, როდესაც დადგა დრო და ჟამი, მცხეთას აკურთხეს მეფედ დიდი ზეიმითა და მეჯლიშით. ვახტანგის

ჭაბუკობისა და შეუდარებელი სილამაზე-მოხდენილობის ამბავი მოესმა სპარსეთის შარიერს, ყეენს, რომელმაც ვეზირების რჩევით, ისპაანიდან ტფილისს გამოგზავნა უცხო მხატვარი, რომ თუ პირდაპირ ვერა, სურათით მაინც გაეცნო ეს ჭაბუკი. მხატვარი დიდი ამბით მიიღეს, მაგრამ ის იმდენად დააბრმავა ვახტანგის ჰაეროვნებამ და სხივებმა, რომ სურათის გადაღება ვერ მოახერხა და ხელცარიელი წავიდა უკან. შარიერს ეწყინა ეს და გადაწყვიტა ვახტანგი პირადად ენახა, ამისთვის თვითონ დაიბარა ის. ვახტანგმა ქვეყანას უჩინა ჯეროვანი მცველები, თვითონ წაიღო ყველაფერი, რაც გზაში საჭირო იყო, გაიყოლა ორასამდე გულოვანი მხედარი და გაუდგა გზას. გზაზე ხანები დიდი ამბით ეგებებოდნენ მას. ქალაქში შესვლისას თვით შარიერი შემოეგება, როგორც ძმას, და მეგობრულად მიიღო. ყეენი მას არ იცილებდა, მუდამ თავისთან ჰყავდა, ერთად ქეიფობდნენ და შეექცეოდნენ. პატივი სცა მას ისპაანშაჰრის ამილბარობით, მიუბოძა გილანი და ხოინი საყმოდ და გამოუცვალა სახელი, „უხმო შაჰნავაზ მეფობით.“ რამდენიმე ხნის შემდეგ, ვახტანგის სურვილის თანახმად, ის მან გამოისტუმრა საქართველოში. მეფის დაბრუნების გამო თბილისში დიდი ზეიმი და მხიარულება გაიმართა“... (კეკელიძე 1981: 498).

როგორც როსტომის, ასევე ვახტანგ V-ის მეფობაზე ნათლად მეტყველებს ისევ ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტი ბატონიშვილის შემდეგი სიტყვები:

ბერი ეგნატაშვილი:

„და გაბატონდა შაჰნავაზ. თვით ესე შაჰნავაზ მეფე იყო კაცი საკვირველი, ძლიერი საქმითა და გამარჯუებული. და ამას სჭირდა ოთხნი ესე საქმენი: ბრძენ იყო უპოველი, ბედნიერ იყო საკვირველი, სარდალი და მამაცი უამხანაგო, პირად შეუბედავი და გულით მოწყალე უცხოოდ“ (ეგნატაშვილი 1959: 435).

ვახუშტი ბატონიშვილი:

„ხოლო ესრე ვახტანგ მეფე იყო მხნე, ახოვანი, ჰაეროვანი, გამოცდილი ბრძოლათა შინა და შემმართველი, მისარ-მოასპარეზე რჩეული, ღრმად გამგონე, ღრმად მოუბარ-განმზრახი, უხვ, ქურივ-ობოლთა შემწყალე, მრისხანე ჯეროვანი და მოწყალოე, სვიანი და ღუთის მოყუარე. ამან მოიწყო ქართლი და კახეთი, იმერნი ჟამად ეპყრნეს, ჟამად მსახურებდნენ და უსმენდნენ, მესხნი მორჩილებდნენ. ამან აღაშენა და განავსო ქართლი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი, რომელსა შინა კაცნი არა იყვნენ; ჰმატა რჯულსა ქრისტიანობისასა და ეკლესიათა, რამეთუ მცდელობდა, რათა როსტომის განრყუნილნი მოეგო კუალად კუალსავეთვისსა, ვინაითგან ჟამსა მისსა ზიარება სისხლისა და ხორცისა უფლისა სირცხვილად უჩნდათ, ამან კათალიკოზით დომენტი კუალად შემოიყვანა ალსარებად და ზიარებად“ (ბატონიშვილი 1973: 453).

ამ ორი ამონარიდიდან ნათლად ჩანს, რომ ვახტანგმა ქვეყანაში აღმშენებლობით პროცესთან ერთად როგორ „ჰმატა რჯულსა ქრისტიანობისასა“ და როგორ ებრძოდა იგი უზნეობას.

რატომ დავაწყვილეთ გამაჰმადიანებული ქართველი მეფეებიდან მაინცდამაინც როსტომ მეფე და ვახტანგ V შაჰნავაზი? იმიტომ, რომ მხოლოდ მათ ერგოთ ირანში წმინდანის სასუფევლის ეზოში დაკრძალვა, რაც მათ მიერ ირანისადმი დიდი სამსახურის გაწევის ნიშანია.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ირანში მრავალი წმინდა საფლავია, რომელთა შორის გამორჩეულია ორი შიიტი წმინდანის - მაშჰადში იმამ რეზასი და ყუმში მისი დის - მასუმესი.

ამგვარად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას:

როსტომ მეფის დროს დაისადგურა მშვიდობამ და წავიდა აღმშენებლობითი პროცესები, მაგრამ ქვეყანა მიდიოდა გამაჰმადიანებისა და ზნეობრივად დაცემის გზით.

ვახტანგ V შაჰნავაზის მეფობის პერიოდშიც ასევე იყო დასადგურებული ქვეყანაში მშვიდობა და მიმდინარეობდა აღმშენებლობითი პროცესები, რომელსაც დაემატა ქვეყნის ქრისტიანობისა და ზნეობრიობისკენ შემობრუნება.

ამ ორ მეფეს ძირითადად ერთმანეთისგან განასხვავებს ის, რომ ხოსრო მირზა დაიბადა და აღიზარდა ირანში მაჰმადიანთა შორის, ხოლო ვახტანგ V - საქართველოში, ქრისტიანთა შორის. როსტომი იყო მაჰმადიანი, ხოლო ვახტანგი - ქრისტიანი, რომელმაც მაჰმადიანობა მიიღო გამეფების წინ და მუსლიმი გარეგნულად ჩანს მხოლოდ. ალბათ ამიტომაც გახდა ღირსი იგი პოემისა „შაჰნავაზიანი“, სადაც განდიდებულია მისი სახელი.

### დამოწმებული ლიტერატურა

**ბატონიშვილი 1973:** ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოისა საქართველოსა: ქართლის ცხოვრება, ტ. II. თბილისი, 1973.

**ეგნატაშვილი 1959:** ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება: ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბილისი, 1959.

**კეკელიძე 1959:** კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია. თბილისი, 1959.

**ჯავახიშვილი 1987:** ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. IV. თბილისი, 1987.

**ზიარების სათნობა  
„წმიდა შუშანიკის წამების“ მიხედვით<sup>1</sup>**

**Eucharist virtue based on „Martyrdom of st. Shushanik“**

**დალი ბეთხოშვილი**

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ახალციხე

**Dali Betkoshvili**

Samtskhe-Javakheti State University  
Georgia, Akhaltsikhe

**ABSTRACT**

In the hagiographic literature, Eucharist is a crucial issue in the life of Saints. It is a significant step for spiritual immortality. Eucharist is the principal way to eternal life, in achieving perfection of a mortal being, formation of the way towards other life. Eucharist is significant for transferring to eternal life by a person (who is on the borderline of death and life), which is the only way for the better end of the person and joining Christ together with the prayer.

According to the Christian viewpoint, the human race is sinful, and it urges to make its soul easier for its entire life. The existence of a human being should rely on the commandments of God, which means the embodiment of the Divine Word, united spirit and flesh, and starving to spiritual divinity.

Eucharist of the Saint is expressed in many forms, like passion, torture, apparel, feast, getting secret-saint Eucharist, «The Bride of Christ» with marriage to the God, prayer, so on.

The first Georgian hagiographic monument «Martyrdom of St. Shushanik» describes the way of Shushanik to God. The artistic image of the hero is presented as a person with high spiritual merits. The mentioned «Bride of Christ» in the text demonstrates her otherworldly presence and readiness for joining and sharing with Christ. „The Bride of Christ“ indicates that she avoided herself from Varsken even during her mortal life and did not share his so-called insidious intentions. To separate from the «mortal spouse» she selected shackled from this world, the worms on her body, the sackcloth, a prayer...

Separation from the deeds of the «Mortal Spouse» brings her closer to God for sharing divinity, it is demonstrated in the «dining scene» which shows a break

---

<sup>1</sup> იბეჭდება გადამუშავებული, მაგრამ შემოკლებული სახით.

off between her and mortal life, and that's the reason to start preparation for sanctitude life. She waved wine offered by the wife of Jojik, demonstrating the asset from this world. The scene means the formation of a deep gap between St. Shushanik and Varsken. The Queen finally informed him about the separation and told him that since then she had joined only God. St. Shushanik shared God when the blessed confessor of God participated in Eucharist. Offering the bread with the wine by the Jacob Khutsesi to the Shushanik equals the sharing with God.

The blood on the body of St. Shushanik after torture expresses holy Eucharist. On the request of the confessor to wash the blood, the Saint answers: «Do not say it, as the blood is purified from my sins». When she was severely beaten by Varsken «When he saw lots of blood dripping from her body, he ordered her to bend her by the chain»... By blooding and chain, Varsken supports the approximation of Shushanik to God, sharing by blood and spiritual linkage. The blood poured purifies from sins for salvation from the human sins for Shushanik.

Sharing with God means dwelling in heaven. By the teaching of God, who does not share the secret will not be born for the second time, will not be able to dwell in heaven. All the deeds of St. Shushanik are focused on sharing with God. Her behavior is full of feast, regret, prayer, solitude, covered with blacks, handcuffs, and chains that express joining and sharing of God.

St. Shushanik appears with a tired, filthy body, with worms that are needy for sharing with the divine. Jacob Khutsesi says, «I took the body decayed and eaten by worms. I washed the decayed parts and covered by the Cloth. The word «Washed» by Jacob Khutsesi indicates purification, baptizing once again, sharing with God that means significant change. It takes Shushanik to another dimension and restores her into divine integrity.

St. Shushanik's way to another world is empty from earthly life and human passions. «Share my tortures, and I, my beloved, will go preliminarily prepared to the eternal way. Let Christ grant me joy for my tortures, torment, and abuse – and I will adore the glory and respect under heaven permanently».

St. Shushanik limits herself from his mortal spouse with her way of life and spiritual needs to be far from his will, and in this way, she will multiply the grace that is very important in the sinned person with reduced kindness. That's why every step of saint existence means a return to God, Eucharist, and return to the divine.

საკვანძო სიტყვები: წმიდა შუშანიკი, იაკობ ცურტაველი, ღმერთი, ზიარება, ჰაგიოგრაფია, სახარება, ღვაწლი.

Keywords: St. Shushanik, Iakob Tsurtaveli, God, Communion, Hagiography, Gospel, Merit.

ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ზიარება, რომელიც წმიდანთა ცხოვრების, სულიერი უკვდავების უმთავრეს საფეხურს წარმოადგენს. ზიარება მთავარი გზაა მარადიული სიცოცხლისაკენ მიმავალი გზის წარმართვაში, მოკვდავი ადამიანის სრულყოფის მიღწევაში. „საიქიო ცხოვრებისაკენ გზის წარმართვაში, ადამიანის (სიკვდილისა და სიცოცხლის ზღვარზე მყოფი ადამიანის) მარადიულ ცხოვრებაში გადასვლისათვის აუცილებელია სინანული და ზიარება, რომელიც ადამიანის კეთილი აღსასრულისა და ქრისტე მაცხოვართან შეერთების ერთ-ერთი გზაა, რაც ლოცვასთან ერთად შერწყმულად ხდება“ (ბეთხოშვილი 2012: 85). სახარებაში ვკითხულობთ: „...და ლოცვამან სარწმუნოებისამან აცხოვნოს სნეული იგი და აღადგინოს იგი უფალმან. დაღაცათუ ცოდვამ რამე ექმნეს მოვეეტეოს მას“ (იაკ. 5, 14-15).

ქრისტიანული მსოფლმხედველობით, ადამის მოდგმა, კაცობრიობა ცოდვითმოსილია, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე შემსუბუქებას და სხვა სამოსით შემოსვას ითხოვს. ადამიანის არსებობა ღვთის მცნებაზე უნდა დაფუძნებულიყო, რაზეც მიანიშნებს ღვთის სიტყვის განსხეულება, სულისა და ხორცის ერთიანობაში დასახვა და სწრაფვა სულიერი განღმრთობისაკენ.

ამ განღმრთობის გზაზე ასახულია ადამიანის ცხოვრების გზა, ტანჯვით სავსე, მაგრამ მის არსში სულიერი ღირებულებებისაკენ სწრაფვა იკითხება... „წმინდანებს, რა თქმა უნდა, ესმით ხორცის და, საერთოდ, ამქვეყნიური ცხოვრების სარგებლობაც, მაგრამ ისინი მას ცდუნებების, მთელი რიგი ვნებებისა და მანკიერებანის საწყისად მიიჩნევენ, ამიტომ ისინი ისწრაფვიან იმისაკენ, რომ როგორმე დათრგუნონ და „თავიდან მოიშორონ“ ე. წ. „მყრალი ჭურჭელი“ და მისგან გათავისუფლებულნი, მხოლოდ წმიდა სულით ზეცას, მარადისობას შეერწყნან, მაგრამ მათ ისიც აქვთ გაცნობიერებული, რომ ეს მიიღწევა მუდმივი მღვიმარებით, სულის წვრთნით, როგორცაა: ლოცვა, მარხვა, ზიარება, ქრისტიანული სარწმუნოებისადმი თავდადება, კეთილი საქმეების კეთება და ა. შ.“ (ბეთხოშვილი 2012: 86).

ზიარება თავდაპირველადვე ღმერთის სიყვარულს გამოხატავს, საღვთო სიყვარული კი ადამიანის სრულყოფილების, სულიერი ამაღლების საფუძველია. პავლე მოციქულის ეპისტოლეში ნათქვამია: „და ამას ყოველსა ზედა სიყვარული, რომელი იგი არს სიმტკიცე სრულებისა“ (I კოლ. 3, 14).

უნდა შევნიშნოთ, რომ წმიდანის უფალთან ზიარება მრავალი გზით არის გამოხატული: ვნებით, ტანჯვით, შესამოსლით, მარხვით, საიდუმლოს მიღებით - წმინდა ზიარება, „სძალი ქრისტესი“ - უფალთან ქორწინებით, ლოცვით და სხვ.

ზემოაღნიშნული დასტურდება პირველ ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში „წმიდა შუშანიკის წამება“, რომელთა მეშვეობით შუშანიკის მხატვრული სახე წმინდანად იქცევა, ღმერთის გზაზე მდგარად გვევლინება და სულიერი ამაღლებულობის მატარებელ წმინდანად წარმოისახება.

დამოწმებული „სძალი ქრისტესი“ წმიდა შუშანიკის არაამქვეყნიურობის გამომხატველია და დამადასტურებელია იმისა, რომ ქრისტესთან შეერთებისათვის, ზიარებისთვისაა განმზადებული. „სძალი ქრისტესი“ შეგვაძეცნებინებს ღვთაებასთან წვდომას, მოგვააზრებინებს განმზადებული ზესთაარსის არსებობასა და სიდიადეს. ყოველივე ეს კი მინიშნებაა მის წმიდანობაზე, ამაღლებულობაზე, განახლებაზე, რომლითაც ეზიარება უსაზღვროებას და მარადიულობას, სასუფეველს“ (ზეთხოშვილი 2012: 87). სახარებაში ვკითხულობთ: „მაშინ ემსგავსოს სასუფეველი ცათა ათთა ქალწულთა, რომელთა აღიხუნეს სანთელი თვსნი და განვიდეს მიგებებად სიძისა და სძლისა“ (მათ. 2, 51).

წმიდა შუშანიკის სულიერი ღვაწლი მიმართულია ქრისტესთან შერწყმისაკენ: „ჰრქუა მათ იესუ: კელ-მეეწიფებისა ძეთა სიძისათა გლოვად, ვიდრემდე მათ თანა არს სიძე იგი, და მაშინ იმარხვიდენ“ (მათ. 9, 15), ან „რომელსა აქუს სძალი, იგი სიძე არს; ხოლო მეგობარი სიძისაა რომელი დგას და ესმის მისი, სიხარულით უხარის მითა სიძისათა. ესე სიხარული ჩემი აღსრულებულ არს“ (იოან. 3, 29); „რამეთუ გაშურებ თქვენ ღმრთისა შურსა, რამეთუ მიგათხოვენ თქვენ ერთსა მამაკაცსა ქალწულად წმიდად წარდგინებად ქრისტესა“ (II კორ. 11, 2).

იაკობ ცურტაველი წმიდანის სახის დახატვისას სახარებას ეფუძნება. ავტორის ფრაზა: „ვითარცა სძალი შემკული საკრველთა მათგან“ (ქრესტომათია 1946: 40) გამოძახილს ჰპოვებს იოვანეს გამოცხადებაში: „და ქალაქი იგი წმიდად იერუსალემი ახალი ვიხილე, გარდმომავალი ზეცით ღმრთისაგან; განმზადებული ვითარცა სძალი შემკული ქმრისა მიმართ თვსისა“ (გამოცხ. 21, 2). ნაწარმოებში აგრეთვე ვკითხულობთ: „სძალი და მკვევალი ქრისტესი“ (ქრესტომათია 1946: 42). სახარებისეული სიბრძნე განთავსებულია იაკობ ცურტაველთან და იმავე შინაარსის მატარებელია: ღვთაებისაკენ სწრაფვა, ღმერთთან ზიარება, საღვთო სიბრძნესთან შერწყმა.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია პარალელი მოვიტანოთ სხვა ჟანრის ნაწარმოებებიდან; „სძალი ქრისტესი“ დასტურდება ჰაგიოგრაფიული მწერლობის „ცხოვრებათა“ ჟანრშიც და ძველ საერო მწერლობაშიც. ამჯერად დავიმოწმებთ მხოლოდ ერთ-ორ მაგალითს. გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „ვითარცა სძალი ქრისტესი და ბერნი ვითარცა მექორწილენი“ (ქრესტომათია 1946: 101). მე-17 საუკუნის წმიდანი ქეთევან წამებული მისადმი მიძღვნილ საგალობელში ასე იხსენიება: „სძალო დავითისად“ (ქავთარია 1977: 152). კიდევ: „სამკაულნი (ჯაჭვები, შამფურები, ბარები... - დ. ბ.) თუ არიან სასძლო-სამკნი... /ჰკაზმენ ქეთევანს შესაბამ სიძე-სძლობის“ (ზაგრატიონი 1980: 14).

განმარტებათა ლექსიკონების მიხედვით: „სიძე (მათ. 25, 6) სულის სიხარული ქრისტე“ (ორბელიანი 1993: 100), „სძალი“ (დაბ. 38, 24). „... სძლად ქრისტესა ითქმის უბიწონი სულნი ქალწულთანი“ (მათ. 25, 1). სძლად იწოდების „სუფევა“ (3 მეფ. 6, 1) - მაღალი მეფობა (ორბელიანი 1993: 118).

„წმიდა შუშანიკის წამებაში“ დადასტურებული „სძალი ქრისტესი“ იმთავითვე მიანიშნებს, რომ საწუთროს ფარგლებშივე განერიდება წმიდა შუშანიკი ვარსქენს და არ ეზიარება მის ე. წ. მზაკვრულ განზრახვებს. „საწუთრო მეუღლისაგან“ განსაშორებლად წმიდა შუშანიკს თანაშეეწევა ამქვეყნიური ბორკილები, დაწყლულებულ სხეულზე მატლთა დასევა, ძაძის შესამოსელი...<sup>2</sup> წმიდა შუშანიკი ვარსქენს ეუბნება: „...და ვითარცა შენ შემოქმედი შენი შეურაცხ-ყავ, ეგრეცა მე შენ შეურაცხ-გყოფ და თუ მრავალი ტანჯვამ მოაწიო ჩემ ზედა, მე არა ვეზიარო საქმეთა შენთა“ (ძეგლები 2008: 172).

„საწუთრო მეუღლის“ საქმეებისაგან განრიდება უფალთან მიაახლოვებს სიწმინდის საზიარებლად, რისი მკვეთრი გამოხატულებაცაა „პურობის სცენა“, სადაც გამოიკვეთა იმ მაერთებელი ძაფის გაწყვეტა, რაც აკავშირებდა საწუთროსთან და მყარი საფუძველი შეუქმნა წმიდანობისათვის მზადებას. ჯოჯიკის ცოლის მიერ შეთავაზებულ ღვინოს, როგორც წუთისოფლის ხელისაგან, წარმავლობისაგან მიწოდებულს, ხელი აუკრა და რისხვით უთხრა: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?!“ (ძეგლები 2008: 176). მოტანილი ფრაზა, ჩვენი აზრით, მრავალმხრივ სამსჯელო საკითხია, მაგრამ ამჯერად დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ: აღნიშნული სცენა ღრმა, მკვეთრი უფსკრული შეიქმნა წმიდა შუშანიკსა და საწუთრო მოთხოვნებით გაჯერებულ ვარსქენს შორის, დედოფალმა მას საბოლოო განშორება ამცნო და უთხრა, რომ ამიერიდან მხოლოდ ღმერთის თანაზიარი გახდებოდა.

წმიდა შუშანიკი ღმერთის თანაზიარი გახდებოდა მაშინ, როდესაც მის ზიარებაში უფლის ხელდასხმული სულიერი მოძღვარი მიიღებდა მონაწილეობას. შუშანიკისათვის იაკობ ხუცესის მიერ ღვინოში დამზალი პურის შეთავაზება იქნება ღმერთთან თანაზიარობის ტოლფარდი. მ.გიგინეიშვილის აღნიშვნით, „ღვინოში ჩამზალმა პურმა ხუცესს საშუალება მისცა ეჩვენებინა, რომ შუშანიკს „ყბანი და ზოგნი კბილნი შთამუსრვილ ჰქონდა. ამასთანავე, ეს დეტალი ქრისტეს სისხლისა და ხორცის ზიარებაზე დაიყვანება (I კორინთ. 10, 16) და მიგვანიშნებს მოწამის სულიერი განვითარების გზაზე“ (გიგინეიშვილი 1978: 225).

იაკობ ხუცესის მიერ წმიდა შუშანიკისათვის ღვინის შეთავაზება ეხმიანება ახალ აღთქმას: „ვერ ჰელ-გეწიფების სასუმელი უფლისაჲ სუმად და სასუმელი ეშმაკთაჲ; ვერ ჰელ-გეწიფების ტაბლასა უფლისასა ზიარებაჲ და ტაბლასა ეშმაკთასა“ (I კორინთ. 10, 21).

წმიდა ზიარების გამომხატველია წამების შემდეგ წმიდა შუშანიკის სხეულზე სისხლის ჩამოდინება. მოძღვრის თხოვნაზე, შუშანიკს სისხლი ჩამოზანოს, წმიდანს პასუხობს: „ხუცეს, მაგას ნუ იტყვ, რამეთუ სისხლი ესე განმწმედელი არს ცოდვათა ჩემთაჲ“ (ძეგლები 2008: 178). უფრო მეტად სასტიკი გვემის შემდეგ ვარსქენმა „ვითარცა იხილა დიდძალი

<sup>2</sup> აღნიშნულ საკითხზე იხ.: დ. ბეთხოშვილი, სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა ძველ ქართულ მწერლობაში (იაკობ ხუცესის „წმიდა შუშანიკის წამება“, თეიმურაზ პირველის „წამება ქეთევან დედოფლისა“), წიგნი, I, თბ., 2010, გვ. 125-141.



იგი სისხლი, რომელ ჩამოსდიოდა ჩჩვლთა მათ ჯორცთა მისთა, მაშინ უბრძანა დადებად ჯაჭვ ქედსა მისსა“ (იქვე: 182). „სისხლის დაღვრით და ქედზე ჯაჭვის დადებით ვარსქენი წმიდა შუშანიკს ხელს უწყობს მეტად დაახლოვოს უფალთან, დათხეული სისხლით აზიაროს და სულიერი ჯაჭვით შეაკავშიროს მასთან. ცოდვებისგან განმწმენდი სისხლი შუშანიკისა უფლის მიერ ადამიანთა ცოდვების დასახსნელად დაღვრილ სისხლთან თანაზიარებას გულისხმობს“ (ბეთხოშვილი 2012: 90).

უფალთან თანაზიარება სასუფეველის მკვიდრობას გამოხატავს. სახარება გემოდვრავს: „უკუეთუ ვინმე არა იშვეს მეორედ და არა მიიღოს წმიდა საიდუმლო, ვერ შევიდეს სასუფეველსა ცათასა“ (იოან. 3, 3-5). უფლის დამოდვრით, ვინც საიდუმლოს არ ეზიარება და, შესაბამისად, მეორედ შობას არ მოიპოვებს, ვერ დაიმკვიდრებს ცათა სასუფეველს.

წმიდა შუშანიკის მთელი სულიერი ღვაწლი უფალთან ზიარებისკენ არის მიმართული, წმიდანობის გზა აღვსებული მარხვით, სინანულით, ლოცვით, ტაძრისაგან განმარტოვებით არსებობა, ძაძით შემოსვა, ბორკილები და ჯაჭვები... მთლიანობაში მისი ღმერთთან შეერთების, თანაზიარობის გამომხატველია. „ფერფლადქცეული წმიდანი „ხოლო დიდთა მათ მარხვათა აღვსებისათა, ერგასისთა მათ დღეთა, ექუსთა წელთა შინა არცა დღისი, არცა ღამე არა დაჯდის ქუე, არცა დაიძინის, არცა საჭმელი რა მიიღის, გარნა დღესა, ხოლო კვრიაკესა ეზიარის ჯორცსა და სისხლსა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისასა; და მცირედ ოდენ წუენაკი მხლისა შექმნილი - იგიცა მცირედ-მიიღის, ხოლო პურისა გემო არა იხილის ვიდრე აღვსებადმდე“ (მეგლები 2008: 192).

სახარებაში აღნიშნულია: „წყლოლებითა მისითა განვიკურნებით“ (I პეტრე, 2, 24). წმიდანისათვის წუთისოფლის წყლოლებისაგან განკურნება ღმერთთან თანაზიარებას გამოხატავს.

წმიდა შუშანიკისათვის დაუძღვრებულ სხეულზე წყლოლების გაჩენა, ჩირქის გამრავლება, მატლის დასხმა სიხარულის მომგვრელია; ასეთი მძიმე საწუთრო ცხოვრება ნათლით შეიმოსება. მატლის, როგორც წარმავალის, დასხმა ღმერთთან საზიარებლად სჭირდება. იაკობ ხუცესი წერს: „და ეგრეთ სხუათა მათ აღვიდეთ გუამი იგი ფრიად დამაშურალი და დაჭმული მატლთა, და განვბანეთ იგი მატლისა მისგან მიწოვანისა და თხრამლისაგან და შევმოსეთ „მჩურითა მით“ (მეგლები 2008: 202).

„იაკობის სიტყვა „განვბანეთ“ მიაწინებს სიწმინდეზე, განსპეტაკებაზე, ხელახლა „ნათლობაზე“, ღმერთთან ზიარებაზე, რაღაც მნიშვნელოვან ცვალებზე მეტყველებს და ეს შეცვლებაა შუშანიკის გადანაცვლება მეორე განზომილებაში და ღვთაებრივ ერთიანობაში აღდგენა“ (ბეთხოშვილი 2012: 92).

სასუფეველის გზისაკენ მიმავალი წმიდა შუშანიკი, რომელიც სრულიად განმარცვულია წუთისოფლის სამოსისაგან, ყოველგვარი ტანჯვის წილ, ამქვეყნიურთ მიმართავს: „...ეზიარენით ვნებათა ამათ ჩემთა და ჭირთა და ტანჯვათა. ხოლო მე, საყუარელნო, აჰა ესერა წინაგანმზადებულსა მას

გზასა წარვალ საუკუნესა. ჭირისა ამის წილ ჩემისა ქრისტემან მომმადლოს მე სიხარული, სატანჯველთა ამათ წილ განსუენებად, გუემათა ამათ ჩემთა და თრევათა და შეურაცხებათა - მივემთხვო მე დიდებასა და პატივსა ცათა შინა დაუსრულებელსა“ (ძეგლები 2008: 200).

წმიდა შუშანიკი სათნო ცხოვრებით, სულიერი ღვაწლით თავს შემოიზღუდავს საწუთრო მეუღლისაგან, რათა მისი ნებისაგან შორს იმყოფებოდეს და ამ გზით, არჩევანით საკუთარ არსებაში მადლს გაამრავლებს, რომელიც მთავარია ცოდვითმოსილ, სიკეთედაკლებულ ადამიანში; ამიტომაც წმიდანის არსებობის ყოველი ნაბიჯი ღმერთისაკენ მიბრუნებას, მასთან ზიარებას, ღმერთის წიაღში დაბრუნებას მოასწავებს.

### დამოწმებული ლიტერატურა

**ახალი აღთქუმა 1963:** ახალი აღთქუმა. საკათალიკოსო საბჭოს გამოცემა, ტფილისი, 1963.

**ბაგრატიონი 1980:** ბაგრატიონი ა., წყობილსიტყვაობა. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა. თბილისი, 1980.

**ბეთხოშვილი 2012:** ბეთხოშვილი დ., სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა ძველ ქართულ მწერლობაში (იაკობ ხუცესის „წმიდა შუშანიკის წამება“, თეიმურაზ პირველის „წამება ქეთევან დედოფლისა“), წიგნი II, თბილისი, 2012.

**გიგინეიშვილი 1978:** გიგინეიშვილი მ., იაკობ ხუცესის „წამება წმიდისა შუშანიკისი“. ჟურნალი „საუნჯე“, თბილისი, 1978, №6.

**ორბელიანი 1993:** ორბელიანი ს.ს., ლექსიკონი ქართული, ტ. II. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტება დაურთო ილია აბულაძემ. თბილისი, 1993.

**ქავთარია 1977:** ქავთარია მ., ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან (XVII-XVIII სს.). თბილისი, 1977.

**ქრესტომათია 1949:** ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, რედ. კ. კეკელიძე, თბილისი, 1946.

**ძეგლები 2008:** ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, ორიგინალური ტექსტები და ახალი ქართული თარგმანები, ტ. I. რედაქტორი ლ. აბაშიძე. თბილისი, 2008.

**XIX საუკუნის II ნახევრის ქართველი ქალი  
სოფრომ მგალობლიშვილის ნოველაში  
„დიდ ზალაში“**

**A Georgian Woman of the Second Half of the 19th Century  
in Soprom Mgaloblishvili's Short Story  
„In the Great Hall“**

**თამარ გოგოლაძე**

გორის სასწავლო სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ქუთაისი

**Tamar Gogoladze**  
Gori State Teaching University  
Georgia, Gori

**ABSTRACT**

The second half of the 19th century is a different era in the characterization of the Georgian society in fiction. What was the profile of a Georgian woman in the new century? This is still thought by a romantic poet (Nikoloz Baratashvili), who represents the era of Georgia before the loss of independence and at the same time idealizes the „old mothers“ and fear that in the new time they may be threatened by moral change, which contributed (especially to the upper class) strengthening the practice on the background of habits of the attractive side of a beneficial marriage or a different life. This process can be seen in part in the later controversy with the realist poet and playwright Giorgi Eristavi („Mad,“ „The Controversy“), Lavrenti Ardaziani, and popular writers from the 1970s and 1980s. From this point of view, the work of the popular writer Soprom Mgaloblishvili (1851-1925) is noteworthy, in which the moral face or interests of different layers of the Georgian society were visibly reflected.

This issue with Mgaloblishvili is presented next to the reflection of the peasants' life with a kind of nihilism by the testimony of the representatives of the high circle of his modern era, especially women, which is completely different from the model of Nikoloz Barashvili („Fate of Kartli“ - Sofia) mothers. The article focuses on Soprom Mgaloblishvili's short novel „The Great Hall“ (1885). The novel is not included in existing editions. It was partially published (first chapter) in the newspaper „Droeba“ in issue 20 of 1885 and continues in the newspaper „Iveria“ in issue 10 of 1865. The short story was published separately together with the short story „On Tsvrevi“ by Grigol Kipshidze in 1886 in „Tbilisi“. The Georgian writer sharply

criticizes women in a high society whose interests are far from the patriotic problems of the world. While foreigners in love with Georgia decided to study the Georgian language.

These works are presented in a more novel genre, which is being developed in one episode, on the background of the fancy ball of a high society meeting in a large hall.

Mgaloblishvili's above-mentioned novel is an ideological continuation of the issue presented to Giorgi Eristavi about the superficial change of modern women. And despite its low artistry, it does not lose its dignity to this day.

**საკვანძო სიტყვები:** ფოლკლორი, ქართული ხალხური ლიტერატურა, სოფრომ მგალობლიშვილი, რომანი, ახალი დრო, ქართველი ქალი, სატირა.  
**Keywords:** Folklore, Georgian Folk Literature, Sophrom Mgaloblishvili, Novel, New Time, Georgian Woman, Satire.

XIX საუკუნის II ნახევარი ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში უამრავი ახალი მოვლენით აღინიშნა. ბატონყმობის გაუქმების შემდგომ რუსეთიდან წამოსული ახალი ტალღა ხალხოსნობის სახით იჭრება საქართველოშიც. ქართული ხალხოსნობა მხატვრული ლიტერატურითაც გვერდში უდგება 60-იანელ რეალისტებს. იგივე თემები, თუმცა უფრო სოციალური პრობლემატიკითა და მისწრაფებებით, ცხოვრების, განსაკუთრებით ქართული სოფლის მცხოვრებთა ყოფის, მისი სიღუბნის ჩვენებით, მაგრამ ნაკლებმხატვრულობით, უფრო ყოველდღიურ საჭიროებებზე პუბლიცისტური ტონით წერის მანერით. მაგრამ ეს არაა დაშორება ქართული ლიტერატურის ტრადიციებთან, არა უარყოფა ან გვერდის ავლა დამოუკიდებლობადაკარგული ქვეყნის ძირითადი სატკივრისა, არამედ ერთგვარი მინიშნებაც ზნეობრივი სრულყოფისაკენ. ამით გამოირჩევა ქართული ხალხოსნური ლიტერატურა, რომლის ბირთვი მაინც ქართლშია და ქართლელი მწერლების იდეურ მიზანსწრაფვასთან არის დაკავშირებული. ამ კუთხით ქართველი პროზაიკოსი სოფრომ მგალობლიშვილი (1851-1925), აგრძელებს რა ქართული ლიტერატურის ტრადიციებს, მხატვრული პროზითა თუ პუბლიცისტიკით ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს სამშობლო ქვეყნის ტკივილიანი პრობლემების წარმოჩენაშიც. როგორც მკვლევარი ლ. მინაშვილი და ი. ევგენიძე შენიშნავენ, „სოფრომ მგალობლიშვილთანაც სხვა ქართველი ხალხოსნების დარად ხალხოსნური ტენდენციები ძირითადად მასალის შერჩევასა და შემოქმედებითი თემატიკისადმი მიდგომის თავისებურებებში გამოიხატა“ (მინაშვილი... 2013: 358).

სტეფანე ჭრელაშვილი, ხალხოსანთა ჟურნალ „იმედის“ რედაქტორი, თავის ერთ-ერთ წერილში („მამულის შვილი“) გამოკვეთდა ფაქტს,

რომ „ერთი და იგივე მამულის შვილნი განირჩევიან ერთმანეთისაგან არა მამულის სიყვარულით, არამედ იმით, თუ რომელი მათგანი მომეტებულ სამსახურს გაუწევს თავის სამშობლოს. მაშასადამე, ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა გამოვიკვლიოთ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა, მისი ისტორიული მიდრეკილებანი, ტრადიციები, მისი ჩვეულებანი, მატერიალური გარემოებანი, მისი ავი და კარგი, მოკეთე და მტერი, ერთი სიტყვით, მთელი მისი ავან-ჩავანი, რომ ამით წარმოდგენილი ჰქონდეს მისი ფიზიონომია, და შეძლების და გვარად, მივცეთ მას ხელი, ვაჩვენოთ მისი გაუმჯობესების საღსარი და შევუდგეთ იმ გზას, რომელიც დააყენებს წარმატებისაკენ“ (ჭრელაშვილი 1881: 17).

მამულის სიყვარული სიტყვით და საქმით – ჯერ კიდევ 40-იან წლებში რომანტიკოსი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემაში „ბედი ქართლისა“ წარმოჩინდა ერთგვარი შედარებით უწინდელ, „ნეტარხსენებულ დედათა“ ღირსებით, რომ მისი მთავარი მოვალეობა მამულიშვილის აღზრდა იყო, განსხვავებით დროებისაგან სახეცვლილი დედებისა:

„ქარმან ჩრდილოსმან ყველაზე პირველ  
გარდაუცვალა მათ გული ცხოველ!  
ჯანი გავარდეს აწ შვილსაც, მამულს,  
ოღონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარ გულს,  
რის ქართველობა, რა ქართველობა,  
მითომ რას გვავენებს უცხო ტომობა!“

(ბარათაშვილი 1979: 95).

60-იან წლებში ილია ჭავჭავაძის „ქართველის დედა“ უკვე წარსულთან შენივთებულ ახალ ამოცანას აყენებს ქართველი დედის წინაშე:

„აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,  
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,  
შთაგონებულ კაცსა სიყვარულს, მმობას, ერთობას, თავისუფლებას“  
(ჭავჭავაძე 1975: 12).

80-იან წლებში მდგომარეობა უფრო გართულდა, ახალი დროის ქალები უკვე ახდილად უარყოფენ ქართველობას და დასცინიან მათ, ვინც საქვეყნო საქმისათვის ფულს გაიდებს საქველმოქმედოდ.

ასეთი ქალები მოჩანან სოფრომ მგალობლიშვილის პატარა ნაწარმოების („დიდ ზალაში“) ფონზე, რომელიც სრული სახით დაიბეჭდა ჟურნალ „ივერიის“ 1885 წლის №10-ში.

პირველი პუბლიკაცია ამ ნაწარმოების პირველი თავისა მოხდა 1881 წელს გაზეთ „დროების“ №2-ში. „ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ იგი ცალკე წიგნად გამოვიდა 1886 წელს მოთხრობასთან „ცვრევაზე“ ერთად.

ნაწარმოები შემდგომ, საბჭოთა პერიოდში გამოცემულ ს. მგალობლიშვილის თხზულებათა კრებულებში (1926, 1951 და 1963) არ შესულა. ამიტომ, ვფიქრობთ, იგი „ივერიის“ საჟურნალო ვარიანტისა და 1886 წლის გამოცემების სახით არსებობს და, ამდენად, ნაკლებადაა შესწავლილი

ლიტერატურათმცოდნეთა მიერ. ამას კიდევ ემატება ის გარემოებაც, რომ საბჭოურ ლიტერატურათმცოდნეობით ნააზრევში ყურადღება ძირითადად მახვილდებოდა ს. მგალობლიშვილის შემოქმედებაში სოციალურ პრობლემატიკაზე და მხოლოდ ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში („სოფრომ მგალობლიშვილის მხატვრული პროზა“, 1983) არის განხილული ცალკე თავში „ეროვნული საკითხი ს. მგალობლიშვილის პროზაში“, ისიც მიმოხილვითი, ზოგადი ფორმით.

„დიდ ზალაში“ ჟანრობრივად არაა გამოკვეთილი, რამდენადაც მოქმედება მხოლოდ ერთ ადგილას, კერძოდ, მდიდარი ქალაქელი კაცის სამეჯლისო დარბაზში ვითარდება, ნაწარმოების სხვადასხვა ნაწილებში 3 წყვილის დიალოგებით. ვფიქრობთ, იგი უნდა მერყეობდეს „ნოველის“ ჟანრსა და „ესკიზს“ შორის. მაგრამ ჩვენს სტატიაში მას „ნოველას“ მივაკუთვინებთ, თემა ნოველისა გათხოვებასა და დიდ სიყვარულზე მეოცნებე ქალების განცდება მათ მეჯლისოზე შეხვედრილ კავალრებთან მიმართებით. მთავარი გმირები ლიზიჩკა ხურმაძე, ანეტა იაზონოვნა და ზიზო (ელისაბედ) ამყაძისაა. მათი ოცნების მამაკაცებიდან პირველი მიტია სამხედრო პირია, რომელმაც სიმამრის, უდარდელაძის, წყალობით მიაღწია ნაჩაღნიკობას, მეორე რუსია - პახომ პახომიჩი, რომელიც ქართულ ენაზეც საუბრობს, ასევე სამხედრო პირია, მესამე კი რუსეთში განათლებამიღებული, რუსეთშივე ქართველი აზნაურია, რომელიც ძველთაძველი გვარის ქალზე დაქორწინებასა და რუსულ ყაიდაზე ოჯახის მოწყობაზე ოცნებობს.

მთავარი მაინც თითქოს ეს ზალაა - დარბაზი, სადაც სხვადასხვა უცხოურ ცეკვებსა და ლეკურსაც თამაშობენ, ქალები შესაფერ კავალრებს ირჩევენ და მომავალზე ოცნებობენ. სახლის გარეთ მყოფი ადამიანები კი „ზოგი ქვაზე დგება, ზოგი თითის წვერებზე, რომ დაინახონ ლეკურის თამაში, ქონდრის კაცები კი კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ ჭერზე ჩრდილების ციმციმის დანახვით“ (მგალობლიშვილი 1885: 81).

მწერლისათვის მნიშვნელოვანია ქართველი ქალბატონები, რომელთა პორტრეტებს არაიშვიათად სატირულ სახეს აძლევს. მაგალითად, გაუთხოვარი ლიზიჩკა ხურმაძეს, როგორც მხოლოდ მიზანწრაფულ ქალს, ისე ახასიათებს, თითქოს დადებითი თითქმის იკარგება მის სხეულში. სული კი ეშმაკისთვის მიუყიდა. იგი ერთიანად მოუცავს ფიქრს საქმროს დასაკუთრებაზე ისე, რომ არც კი ფიქრობს, ვინ იქნება იგი. აქ არაიშვიათად ქალურ სიკეკლუცესაც არ ზოგავს, მაგრამ ნაჩაღნიკობის მაძიებელი მოღალატე მიტიას გამწარებით აგდებს, რაზედაც კავალერი სიცილ-სიცილით პასუხობს: „კავალერმა ურცხვად გაიკასკასა, ხელების მტვრევით გაიარა და გაერია ხალხში“ (მგალობლიშვილი 1885: 87). არც ლიზიჩკას და არც მის კავალერს რცხვენიათ დაფარონ საკუთარი მიზნები. მათი საუბარი ერთგვარი აღსარებაა, მწერლის კალმით სატირულად გამმაფრებული.

ზიზო ამყაძე თითქოს შეყვარებულია თავის რუსეთშივე ვასილზე, მაგრამ მისი ფიქრებიც ტრადიციის კანონების დარღვევისკენაა მიმართული

და თვით მისი მამა - ერთობ გაბღენძილი, ყოფილი ერისთავის გვარის ამაყადე, რომელიც სასიძოდ სწუნობს აზნაურს, უარს არ ამბობს უცხოტომელ მასწავლებელ პოტაპენკოზე (რომელმაც თუ უფროსობა მიიღო, შესაფერისი აღმოჩნდება ზიზოსთვის): „წარმოიდგინე, ჩვენები გაგიუბულები არიან, უნდა იმას მიგცეთო; სტატსკი სოვეტნიკიო, დიდ პენციას დაიმსახურებსო, რაც უნდა იყოს, ის სულ სხვააო. ის გადაბრუნდება, მოკვდება და შეგრჩება ცარიელი სტატსკი სოვეტნიკობა“ - ამხელს ზიზო ამაყადე თავის მოდასაყოლილ მშობლებს.

რაც შეეხება ანეტა იაზონოვნას, დიდი ზალის სტუმარ ქალბატონს, აქ უფრო მეტად ამწვავებს საკითხს მწერალი: გათხოვილი ქალი „იწვის“ პახომ პახომიჩის სიყვარულით, უარყოფს ქართველს და ქართველობას, მზადაა დაუახლოვდეს სამხედრო პირს და დასცინოს თავის მამას, რომელმაც საქველმოქმედოდ ფული გაიღო: „მამა ჩემს კი ოცდაათი თუმანი შეაწერეს სკოლისა და ამისთანა ბორძიკი კი უნდა ასწავლონ. „Ду, противно!“ (მგალობლიშვილი 1885: 91). ანეტა, უარყოფს რა ქართულ ენას, მას ბორძიკ ენას უწოდებს, ნატრობს, რომ რუსული უფრო კარგად იცოდეს, რათა შეეყვარებულს ქართული „სულიკოს“ ნაცვლად „Душка“ დაუძახოს, რადგან არამცთუ ენა, თავად ქართველებიც უგერგილონი არიან სიყვარულში, ქალთან ურთიერთობაში. თავისი შვილისათვის სახელის შერჩევასაც პახომ პახომიჩს უნდა შეარჩევინოს, მაშინ როდესაც პახომ პახომიჩს ქართული ენა შეუსწავლია, მოსწონს კიდეც და აცხადებს ანეტას საპირისპიროდ: „ეჰ, რას ამბობთ, ქალო? შესაყვარებელი ქართველია და ჩვენ მაგითი მოგვაქვს თავი, რომ ქართველი ქალები გვწყალობენ...“ (მგალობლიშვილი 1885: 90).

მწერალი აქ აგრძელებს გ. ერისთავის პოზიციას და თვლის, რომ დრო არ შეიცვალა ქართველი ქალების ღირსების დასაფასებლად, პირიქით, გაუარესდა, ნიჰილიზმი ყოველივე ქართულისადმი ზნეობის დაცემასაც უწყობს ხელს. ანეტა იაზონოვნა მზადაა ქმარს უღალატოს პახომ პახომიჩთან. ქმარს კი ღვინოს დაუდგამს და ისიც არაფერს შეამჩნევს. ს. მგალობლიშვილი მთელი სისასტიკით ააშკარავებს ქალთა გადაგვარებას, რასაც 1901 წელს ერთ თავის ნოველაში „ჩემი სამშობლო ჩემი გულია“ შიო არაგვისპირელი ათქმევინებს: „საცა გინდა, იქ წამოვალო! ყველაფერს დავივიწყებ!... ჩემი სამშობლო ჩემი გულია, სადაც მე ვიქნები, სამშობლოც იქ იქნება“ (არაგვისპირელი 1919: 57-58). ს. მგალობლიშვილისათვის ასეთი ქართველი ქალი გასაკიცხია, ამიტომ არ ერიდება სატირული საღებავები გამოიყენოს მათი პორტრეტისა და ქმედების გადმოსაცემად. აქ ზოგჯერ ავტორი ნოველის ენასაც დამამცირებელი ლექსიკით გადმოსცემს: „ნეტარების ნაპერწკალი ისარივით „გაუსლიკინებთ ხოლმე“, „ზოგი კისერ გადაგდებით ხარხარებს და სატაცურივით იმტვრევა“, „მარაო უპყრია და კალთაში ნაზად იფართხუნებს“, „ლოყები გუდა-ლეღვივით დაშვებულა“, „ცხვირი ჯუკა“, „ზედა ტუჩს მუდამ იფხლეკდა“ და სხვ. ასეთ მხატვრულ ხერხებს ს. მგალობლიშვილი არც უფრო ადრე დაწერილ, არც შემდგომ შექმნილ ნაწარმოებებში არ იყენებს. ამ ნაწარმოებში კი უარყოფითი გმირები მხოლოდ უარყოფითი საღებავებით შეიძლება გადმოიცეს.

ს. მგალობლიშვილის „დიდ ზალაში“ არაა მაღალმხატვრული ნაწარმოები, ეს უფრო მწერლის გულისტკივილის ღია რეტროსპექციაა ქართველ ქალთა გადაგვარების გამო. აშკარაა, ილიამ სწორად მიიჩნია მისი პუბლიკაციაც „ივერიაში“, რამდენადაც იგი „ნეტარი დედებიდან“ ზნეობადაკარგულ, ქართველობადაკარგულ, უცხოელებზე შეყვარებულ, მედროვე ქალების ჩვენების ტრადიციის გაგრძელებად გამოჩნდება.

ს. მგალობლიშვილის მანერა აქ მოკლებულია მწერლისათვის დამახასიათებელ ესთეტიზმს. შინაარსი და ფორმა ამ პატარა ნაწარმოებისა სრულად შეესატყვისება ერთიმეორეს. მაგრამ მთავარი ეს არაა. ნოველამ მაინც სარკესავით აირეკლა XIX საუკუნის 80-იანი წლების რეალობა და წარმოაჩინა იგი მკითხველის წინაშე. აქ მართო მისი ისტორიული მნიშვნელობაც არ იკვეთება. ეროვნული გულისტკივილი კი თამამად აყენებს ხალხოსან მწერალს 60-იანელების გვერდით.

#### დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები

**არაგვისპირელი 1919:** არაგვისპირელი შ., წ. III. ტფილისი, 1919.

**ბარათაშვილი 1979:** ბარათაშვილი ნ., ბედი ქართლისა. კრებულში: ახალი ქართული ლიტერატურა (XIX ს.), ქრესტომათია, ტ. I. თბილისი, 1979.

**მგალობლიშვილი 1885:** მგალობლიშვილი ს., დიდ ზალაში. ჟურნალი „ივერია“, №10, 1885.

**მინაშვილი... 2013:** მინაშვილი ლ., ევგენიძე ი., ქართული ლიტერატურა, წ. II. თბილისი, 2013.

**ჭავჭავაძე 1975:** ჭავჭავაძე ი., რჩეული ორ წიგნად, ტ. II. თბილისი, 1975.

**იმედი 1881:** ჟურნალი „იმედი“, №10, №11, №12, 1881.



საერთო დიალექტური ლექსიკონის  
ქართლურსა და მეგრულში

**For common dialectal vocabulary  
In Kartli and Megrelian**

**ეკა დადიანი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ქუთაისი

**Eka Dadiani**

Akaki Tsereteli state University  
Georgia, Kutaisi

**ABSTRACT**

In no Dialectal vocabulary in terms of origin can be conventionally divided into two groups: 1. word forms that are common in one or more adjacent kilos, 2. word forms that have historically belonged to a common lexical fund but have narrowed over time, lost in the literary language and much in kilos, but have been preserved in one or more kilograms, and consequently, they are now regarded as dialectal word forms.

The existence of shared vocabulary in neighboring dialects is natural, which is due to territorial proximity. In addition, there are facts when the same dialectal word is found in distant, non-adjacent kilograms. Relevant patterns are not uncommon in the Kartvelian language space.

The study revealed interesting results. In the Kartli dialect, there are a large number of lexical items that are also characteristic of the Megrelian dialect. Here we note: some of the dialect words recorded in Kartli, except Megrelian, are used in other parts of the Georgian language (Imereti, Gurian, Adjara, Kakhetian, Tushuri ...).

The presented article analyzes the common dialect material in Kartli and Megrelian. For example, bandal, boy/girl, burdgha, lia, mandalion, adjustment, muchuchi, sogo, kanchavs, shepletili, shurshura, chvarti, tsutska, chichdeba, booth ...

Common semantic dialectisms are also confirmed in the analytical dialects. For example, „Krukh“ „Aged potatoes, corn, beans“... 2. Land „The main color of the fabric, wallpaper“; 3. The boiler is watered „when the vodka is distilled, the sight will come out in the pipe“; 4. To „take everything out of the house, to appropriate it“...

The existence of a common dialectal vocabulary in Kartli and Megrelian (as well as in other dialects) undoubtedly indicates the fact that these angular expressions are subsystems of one common language, the Georgian (Kartvelian) language system and not independent systems. Kartli and Megrelian are more or less different from

the modern written language: the Kartli dialect is closest to the Georgian written language, unlike Megrelian, which shows more peculiarities in this respect, which is generally the result of centuries of divergent and convergent processes.

საკვანძო სიტყვები: დიალექტი, მეგრული დიალექტი, ქართლის დიალექტი, დიალექტური ლექსიკა, ქართული ენა

Keywords: dialect, Megrelian dialect, Kartli dialect, dialect vocabulary, Georgian language.

დიალექტური ლექსიკა, როგორც წესი, კონკრეტულ დიალექტსა თუ დიალექტთა ჯგუფში გამოიყენება და არ არის დამახასიათებელი სალიტერატურო ენისათვის. ასეთია უმთავრესად შრომით საქმიანობასთან, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგთან, წეს-ჩვეულებებთან... დაკავშირებული სიტყვები. დიალექტური ლექსიკის წარმოშობის საფუძველი შეიძლება იყოს: განსხვავებული ბუნებრივი გარემო (ლანდშაფტი, კლიმატი, მთები...), მეურნეობის დარგები... ამ ტიპის სიტყვები მეტ-ნაკლებად ყველა კილოში დასტურდება.

წარმომავლობის თვალსაზრისით დიალექტური ლექსიკა შეიძლება პირობითად ორ ჯგუფად დაიყოს: ა) სიტყვაფორმები, რომლებიც ერთ ან რამდენიმე მოსაზღვრე კილოში არის გავრცელებული და ბ) სიტყვაფორმები, რომლებიც ისტორიულად საერთოენის ლექსიკური ფონდის კუთვნილება იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში მათი გავრცელების არეალი დავიწროვდა, დაიკარგა სალიტერატურო ენასა და კილოთა დიდ ნაწილში, თუმცა შემოინახა ზოგმა დიალექტმა ან დიალექტთა ჯგუფმა, შესაბამისად, ისინი ამჟამად დიალექტიზმებად განიხილება.

მომიჯნავე დიალექტებში საზიარო ლექსიკის არსებობა ბუნებრივია, რაც ტერიტორიული სიახლოვეთ არის განპირობებული. ამასთანავე, არის ისეთი ფაქტებიც, როცა ერთი და იგივე „კუთხური“ სიტყვა ერთმანეთისგან დამორებულ, არამეზობელ კილოებში გვხვდება. შესაბამისი ნიმუშები ქართველურ ენობრივ სივრცეში არცთუ იშვიათია.

წარმოდგენილ სტატიაში გავაანალიზებთ, ერთი მხრივ, ქართლურსა და, მეორე მხრივ, მეგრულში არსებულ საერთო დიალექტურ მასალას.

კვლევამ საინტერესო შედეგები გამოავლინა. ქართლურ დიალექტში საკმაო რაოდენობით დასტურდება ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ასევე დამახასიათებელია მეგრული მეტყველებისთვის. აქვე აღვნიშნავთ: ქართლურში დაფიქსირებული დიალექტური სიტყვების ნაწილი, გარდა მეგრულისა, სხვა კილოებშიც გამოიყენება.

განვიხილოთ კონკრეტული მასალა:

1. ბურდლა - ერთი ბურდლა აღარა ჰყავს - ერთი ფრთაც კი აღარა ჰყავს (ქათამი...) (ერთი ბურდლა აღარა მყამს, ისე დამიხუზა ჭირმა ქათმები); იმის

ზურდლა არ იყვეს, იმის ზურდლა არა ვნახო! - დაიკარგოს! არ დამენახოს!  
(შენი ზურდლა აღარა ვნახო აქა! (ბეროზაშვილი... 1981).

შდრ. ზურდლა / ზუნდლა (მეგრ.) - ბალანი, ზურტყლი, ზუმბული. გამოთქმა:  
სქანი ზურდლა ვავძირა თექ „შენი ფეხი არ იყოს იქ“ (შენი ბალანი არ ვნახო  
იქ) (ქაჯაია 2001).

ზურდლა (მეგრ.) - ზურტყლი, ზუმბული; ბანჯგვლი; ბულული (თმისა)  
(ქობალია 2010).

ზუნდლა (ლაზ.) - ზუმბული (ჩიქობავა: ქდკ. <http://corpora.co/#/dictionaries>).

შდრ. ზურდლა (გურ. აჭარ.) - ფრინველის ზუმბული (ს.ჟღ., შ.ნიჟ.) (დლონტი  
1984).

შდრ. ზუნდლა (იმერ.) - ზურტყლი (ბერიძე 1986).

ზურდლა „ზუმბული“ დასტურდება „ჩვენებურების“ მეტყველებაში:  
ზურდლის ბალიში არ მიყვარს, თავი ტკივილ აჩენს (ფუტკარაძე 1993: ქდკ.  
<http://corpora.co/#/dictionaries>).

ქეგლ-ის ახალი რედაქციის მიხედვით: ზუნდლა - კუთხ. (იმერ.) პატარა  
ზომის ზუმბული; ზუნდლი - კუთხ. იგივეა, რაც ზუნდლა; ზურდლა - კუთხ.  
ზურდლი, ზუმბული (<https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>).

2. ბანდალი - ბარბაცი, ტორტმანი (ძლივს ავდექი და ბანდალით  
მივედი კედლამდინა) (ბეროზაშვილი... 1981).

შდრ. ბანდალი (მეგრ.) - 1. ბარბაცი, ბანდალი; ღონემიხდილის ქანაობით  
სიარული; ობანდალუ (ლაზ.) - ბარბაცი (ქაჯაია 2001).

ბანდალი (მეგრ.) - ბარბაცი, ტორტმანი, უილაჯო, უღონო სიარული;  
ბოდიალი; ბჟუტური (ქობალია 2010).

ბანდალერი (ლაზ.) - ბანცალ-ბანცალით (ასათიანი 2012. <http://corpora.co/#/dictionaries>).

ბანდალი (გურ.) - ბორძიკი, ქანაობა, სიარულის დროს ან სიმთვრალის  
მიზეზით (ს.ჟღ.) (დლონტი 1984).

ბანდური (გურ.) - უსაქმოდ სიარული, ხეტიალი, ყიალი (დლონტი 1984).

ბანდალი „ჩვენებურების“ მეტყველებაში აღნიშნავს: გაჭირვებით სიარულს,  
ბარბაცს (ფუტკარაძე 1993: ქდკ. <http://corpora.co/#/dictionaries>).

სულხან-საბას განმარტებით: ბანდალი - აქა-იქ მივლა-მოვლა ZA  
(ორბელიანი 1991).

ქეგლ-ის ახალი რედაქციის მიხედვით: ბანდალი (კუთხ.) იმერ. - უილაჯოდ  
სიარული, ღონემიხდილის სიარული, - ლასლასი, ბარბაცი; ბანდალებს  
(კუთხ.) - ბანდალით დადის, ლასლასებს, ბარბაცებს (<https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>).

ქეგლ-ში ბანდალი განხილულია როგორც იმერული დიალექტისათვის  
დამახასიათებელი სიტყვა; ქართლურისა და მეგრულის, აგრეთვე  
ლაზურისა და გურულის მონაცემები ასახული არ არის.

3. სოლო ქართლურ დიალექტში ორი მნიშვნელობით დასტურდება:

1. დიდი ქათამი ერთგვარი, სახორცე (სოლო ვარია ტიტველაა. უფრო  
დიდები ისინი იზრდებიან სოლოები, კარგა სუქდებიან), 2. ხახვი ერთგვარი,

ღერო უმსხვილდება და თავს არ იხვევს (სოლო ხახვი დიდხანს არა ძლევს, მალე დოღოვდება (ბეროზაშვილი... 1981).

მეგრულში საანალიზო სიტყვა სხვადასხვა ვარიანტით იხმარება:

სოლო - წაგრძელებული რამ; ყელმადალი კაცი, კისერწაგრძელებული ქათამი; სოლორია - იხ.სოლო; სორლო - ტანმადალი; სორლოლია - იხ. სორლო (ქობალაია 2010).

სოლორია - იგივეა, რაც სორლოია - სოლო, დიდი ტანის, მოსული, ჯიშინი; სერლერია - გამხდარი და მადალი (იქვე).

სორლო / სორლოია) - სოლო. სორლოია ბოში - მადალი, დიდი ტანის ბიჭი, - ტანწერწეტა, ჯიშინი. შდრ. სერლერია, სოლორია (ქაჯაია 2002).

სოლო (ქსნის ხეობა)- ბოლომოგლეჯილი წიწილა, ან წიწილა, რომელსაც ბოლო არ ეზრდება (ვ. სომხ.) (დლონტი 1984).

სოლო (იმერ.) - ყელტიტველა (იმერული ლექსიკონი: ქდკ. <http://corpora.co/#!/dictionaries>); სოლოდე - დიდი ტანის, მსხვილი (შარაშენიძე 2008: 420).

სოლო („ჩვენებურების“ ქართ.) - ჯიშინი, ჩვეულებრივზე უფრო მსუქანი, მოზრდილი (ფუტკარაძე 1993: ქდკ. <http://corpora.co/#!/dictionaries>).

სულხან-საბას მიხედვით, სოლო - დიდი ქათამი ZABCDE (ორბელიანი 1993).

ქეგლ-ში სოლო ორგვარი სემანტიკით არის წარმოდგენილი: 1. დიდი ქათამი (საბა); 2. კუთხ. (გურ.) - დიდი ტანის, მოსული, ჯიშინი (ქეგლ). ქართლურის, იმერულისა და მეგრულის მასალა განხილული არ არის.

4. ქანჩავს - ჯოხით მაგრად უჭერს, ჭიმავს (თოკს, მავთულს). საქანჩი კიდევ სხვა არი, კეტია პატარა, ან წნელსა, ან მავთულს უქანჩავთ ამითი (ბეროზაშვილი... 1981).

შდრ. ქანჩუა (მეგრ.) - მაგრად შეკერვა რისამე; ქანჩა; ცემა წელში; ტაცება (პირისა, ხელისა) (ქაჯაია 2002).

ქანჩუა (მეგრ.) - ქანჩა (ღვინისა); წევა, წნეხა; ტაცება, ჩავლება (ხელისა) ქენჯნა (ქობალაია 2010).

ქანჩი (თუშ.) - გუდის პირსაკრავი ბაწრის დასაჭიმი მოკლე ჯოხი (ცოცანიძე 2013: ქდკ. <http://corpora.co/#!/dictionaries>).

ქანჩი - ხრახნილის მოსაჭირებელი ZABCD (ორბელიანი 1993).

ქეგლ-ის მიხედვით, ქანჩი - 1. ტეჟ. ხრახნილიანი ღრუს მქონე მრავალწახნაგოვანი ლითონის ნაჭერი ჭანჭიკის მოსაჭერად; 2. კუთხ. (ქიზ.) მოკლე ჯოხი თოკით შეკრულის მოსაჭერად (ქეგლ).

ქანჩა - 1. საქანჩავი მილით ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა (სითხისა); 2. კუთხ. (იმერ., გურ.) - მოწევა, მოზიდვა (თავისკენ); 3. კუთხ. (იმერ., გურ.) ჭერა, პერობა, ძაგვრა, ბოჭვა (ქეგლ).

ქართლურისა და მეგრულის მასალა ქეგლ-ში შეტანილი არ არის.

5. შეპლეთილი - შერევილი (შერევილი როა ადამიანი, უნორმო, ცოტა რო აკლია, შეპლეთილს ვეძახით (ბეროზაშვილი... 1981).

შდრ. პრენტი (მეგრ.) - ჩერჩეტი, მოსულელო, შერევილი; პრენტუა - [წა] მოროშვა, სისულელის თქმა (ქაჯაია 2002).

შეპრენტილი (იმერ., გურ.) - შერეული, შერევილი (ი.ჭყ.) (დლონტი 1984).

შეპრენკილი (გურ.) - ნ. შეპრენტილი (დლონტი 1984).

ქეგლ-ში შეპრენტილი განმარტებულია როგორც - კუთხ. (გურ., იმერ.) - იგივეა, რაც სულელი, შერევილი (ქეგლ).

ვფიქრობთ, განხილული სხვადასხვა დიალექტური სიტყვაფორმები საერთო წარმომავლობისა და სემანტიკის სიტყვებია.

6. შურშურა - დაუფიქრებელი მოჩქარე (ყველაფერში შურშურა ნუ ხარ, ცოტა დაუხმე ხომე ჭკუასა) (ბეროზაშვილი... 1981).

შურშურით - სწრაფად, საჩქაროდ (დავეში გზაზე შურშურითა) (იქვე).

შდრ. შურშურაია (მეგრ.) - სულწასული; მოუთმენელი (ქაჯაია 2002).

შურ-შურაიათ (მეგრ.) - სულმოუთქმელად, სასწრაფოდ (ქობალია 2010).

შდრ. შურებაი (თუშ.) - აჩქარება (თ. უთურგ.) (დლონტი 1984).

საანალიზო სიტყვა ს.ქართვ. შურ- ფუძის გაორკვევით არის მიღებული; მისთვის ამოსავალი ჩანს სულ-.

ქეგლ-ში განხილული სიტყვაფორმა გაანალიზებული არ არის.

7. ზოგიერთ დროგადასულ ბოსტნეულს ბიჭას ან გაბიჭებულს ეტყვიან; მაგ., ხახვი რომ გაბიჭდება, - შუაში მაგარი ღერო ამოუვა და თესლს გაიკეთებს; კარტოფილმა და ბოლოკმაც იცის გაბიჭება. გაბიჭებული მცენარე სათესლედ არ ივარგებს, არ ამოვა (სალარიძე 1978: 168).

ბიჭა სიმინდი - უნაყოფო სიმინდი (ბიჭა სიმინდი უშვილო სიმინდია, ტაროს რომელიც არ გაიკეთებს) (ბეროზაშვილი... 1981).

ბიჭდება - იჩაგრება, აღარ იზრდება (ცხოველი, მცენარე) (ზამთარში რო მოიგებს, იმასა ცოტა რძე აქ და ბატკანი ბიჭდება) (იქვე).

გაბიჭდება - 1. ნაყოფს არ გაიკეთებს, უსარგებლოდ გაიზრდება (მცენარე). ნაყოფს რო არ გაიკეთებს, სიმინდია თუ ლობიო, გაბიჭდაო, ვიტყვით; ჩვენი სიმინდი გაბიჭდა, ერთი ტარო არ ამოიღო... 2. დაიჩაგრება, აღარ გაიზრდება (ცხოველი, მცენარე) (სიმინდი თუ არ გათოხნე თავი დროზე, გაბიჭდება (იქვე).

შდრ. ბიჭება (მეგრ.) - გადაგვარება, დაჩიავება; გაფუჭება. მობიჭებული - მობიჭება; გამოფიტვა, გადაგვარება;

მობიჭება (მეგრ.) - დაჩიავება; გადაგვარება, გადაჯიშება; გამოფიტვა (მიწისა) (ქობალია 2010).

მობიჭებული (ქიზიყ.) - მოღონიერებული, საკმაოდ მოზრდილი (ს. მენტ.) (დლონტი 1984).

ბიჭაჭ ბატკან (თუშ.) - ნაადრევად, დოლის დადგომამდე მოგებული ბატკანი (ცოცანიძე 2013: ქდკ. <http://corpora.co/#/dictionaries>).

ბიჭა-ბიჭა (ზ.იმერ., გურ.) - 1. ვაზის მუხლის ძირში ამოსული ზედმეტი ფოთლები (ზ.წერ.); 2. ვაზის მთავარ ღერზე ამოსული ზედმეტი ყლორტები, მორჩები (ი.ქავთ.); 3. სიმინდის უვარგისი ღეროები დედა ღეროს გვერდს ამოსული, თანაარსი (ვ.ბერ., ზ.ჭუმბ.) (დლონტი 1984).

ქეგლ: ბიჭაბიჭა - 1. კუთხ. (ზ.იმერ.) - „ვაზის მუხლის ძირში ამოსული ზედმეტი ფოთლები“ (ზ. წერ.), 2. კუთხ. (გურ.) - „სიმინდის უვარგისი

ღეროები, დედაღეროს გვერდს ამოსული (ვ. ბერ.) (ქეგლ-ის ახალი რედაქცია. <https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>).

ბიჭა ბატკანი - დოლის დაწყებამდე მოგებული ბატკანი, ადრეულა ბატკანი, რომელიც გაზაფხულზე კარგად მოლონიერებულია (ქეგლ-ის ახალი რედაქცია. <https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>).

ბიჭა - ბიჭა ჩავარდება - კუთხ. (ქიზ.) აბრეშუმის ჭიის თესლიდან პირველი ჭია გამოვა (ქეგლ-ის ახალი რედაქცია. <https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>).

მობიჭებული - კუთხ. (ქიზ.) - საკმაოდ მოზრდილი, მოლონიერებული (ს.მენტ.) (ქეგლ-ის ახალი რედაქცია. <https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>).

განხილული სიტყვაფორმები საერთო ბიჭ- ძირისგან ნაწარმოები ჩანს და სხვადასხვა კილოებში მეტ-ნაკლებად მსგავსი სემანტიკით იხმარება. ქეგლ-ში შეტანილია მხოლოდ იმერულის, გურულისა და ყიზიყურის მონაცემები, ქართლურისა და მეგრულის შესაბამისი მასალა წარმოდგენილი არ არის.

8. ღია-ღიადა - გუბე-გუბედ (ეს როგორი მორწყულია, კვლებში ღია-ღიადა დგას წყალი) (ბეროზაშვილი... 1981).

შდრ. ღია (მეგრ.) - 1. სოფელია წალენჯიხის რაიონში (ი. ყიფშიძე)... (ქაჯაია 2001).

ღია (მეგრ.) - მოვარდნილი და დაგუბებული წყალი; ღიამჰალი (ქობალია 2010).

ღია (ფშ., მესხ., ქიზიყ., ქართლ.) - დატბორებული წყალი; გუბე, ტბორი; ღვარი (ი.ქეშიკ., ი.მაის., ს.მენტ., შ.ძიძ., ნ.კეცხ., პ.ხუბ.) (დლონტი 1984).

ღია (იმერ.) - გუბე, ლაფი, ტალახი (ქდკ. <http://corpora.co/#/dictionaries>).

ღია (კახ.) - ლაფი (ქდკ. <http://corpora.co/#/dictionaries>).

სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით: ღია - საფლობი ტალახი ZA (ორბელიანი 1991).

ღია -1. ლამი, საფლობი ტალახი (საბა); 2. კუთხ. (ქართლ., კახ.) მოვარდნილი ან მიშვებული წყლის ღვარი ან გუბე (ქეგლ).

როგორც განხილული მასალიდან ჩანს, ღია არაერთ კილოში გვხვდება, თუმცა ქეგლ-ში ქართლურ-კახურ დიალექტურ სიტყვად არის კვალიფიცირებული.

9. მოასარგალებს - მოსპობს, გაანადგურებს (ღორმა, გინდა საქონელმა, სიმინდი რო შეგიჭამოს, მოსპო და მოასარგალაო) (ბეროზაშვილი... 1981).

შდრ. სერგელაფა / სერგელუა (მეგრ.) - თრევა (ქაჯაია 2002).

მოსარგალება (გურ., იმერ.) - მოსრესა და გაფუჭება (გ. შარაშ.); ფეხით უწყალოდ გათელვა, მოხრება (ი.ქავთ.) (დლონტი 1984).

ქეგლ-ში განხილული სიტყვაფორმა არ გვხვდება.

10. ცუცვა - ცუგა, ცუგო (პატარა ლეკვებ ვეტყვით ხომე ცუცვასა) (ბეროზაშვილი... 1981).

შდრ. ცუცვა (მეგრ.). იხ. ცუცქა - პატარა ძაღლი. ცუცვა - ციციწა. ცუცვა

ჯოღორი - ციცქნა ძაღლი (ქაჯაია 2002).

ცქუნცქა (მეგრ.) - ცუცქია, ცუცქზე მჯდომი, ფინია ძაღლი (ქობალია 2010).

შდრ. ცუცქვა (გურ.) - მსუნაგურად ძებნა საჭმლისა (გ.შარაშ.) (ღლონტი 1984).

ცუცკა/ცუცქა სიტყვაფორმა ქეგლ-ში არ დასტურდება.

11. ჯიხური - სასიმიინდე, ძარი (ჯიხური არი, სიმიინდ რო ჩაყრიან ხომე, სასიმიინდე ჩვენთან არ იციან) (ბეროზაშვილი... 1981).

შდრ. ჯიხური (მეგრ.) - ხის კოშკი (საბა), კოშკი, ციხური ნაგებობა, - ჯიხური. ჯიხურამ(ი) მაღაზა - ჩვეულებრივ ოთხ ბოძზე აგებული სასიმიინდე. დაბლა ადგილი ხშირად ჯარგვალა (ოთახი), რომელსაც ჯიხურს ეძახიან, ხოლო სასიმიინდეს - ჯიხურამი მაღაზა ჰქვია. ჯიხური - საყარაულო (ქაჯაია 2002). ჯიხური (მეგრ.) - ჯიხური, ციხური, ციხე-კოშკი; ციხესავით მკვიდრად ნაგები სახლი (ადრე მიწის, თიხის ნაგებობა) (ქობალია 2010).

ჯიხური (ზ.იმერ.) - შუაგეცხლიანი ძელური სახლი, სამზარეულო (წერეთელი 1938: ქდკ. <http://corpora.co/#/dictionaries>).

ჯიხური - ხის კოშკი ZAB. მოდიდო სახლი გ(რ)ძელი CD (ორბელიანი 1993). ქეგლ-ში ჯიხური ასეა განმარტებული: 1. ხის კოშკი (საბა); 2. ერთოთახიანი პატარა შენობა (გუშაგისათვის, გზის დარაჯისათვის...); 3. კუთხ. (ზ.იმერ.) შუაგეცხლიანი ძელური სახლი, სამზარეულო; 4. კუთხ. (ქართლ.) ბოძებზე შედგმული ძარი სიმიინდის შესანახად (ქეგლ).

ვფიქრობთ, ქართულურ-იმერული და მეგრული მასალა ერთიან კონტექსტში უნდა იქნეს განხილული.

12. ჭიჭდება - ზრდას ასრულებს, ხევდება, ბერდება (ბალახი) (ბეროზაშვილი... 1981).

შდრ. ჭიჭე (მეგრ.) - პატარა; მცირე, ცოტა. ჭიჭარება/ჭიჭორება - დაპატარავება (ქაჯაია 2002).

ჭიჭე (მეგრ.) - პატარა. ჭიჭარება - დაპატარავება; თვალში სიპატარავე (ქობალია 2010).

შდრ. ჭიჭავება (იმერ.) - მოჭიჭავება - ფულის ზომიერად ხარჯვა, თავშენახულობა. მოჭიჭავე - მომჭირნე (ღლონტი 1984).

ჭიჭა (ფერ.) - მოკლევურიანი ცხვარი (ბერიძე... ფერეიდნული სალექსიკონო მასალა: ქდკ. <http://corpora.co/#/dictionaries>).

ქეგლ-ში შეტანილია: ჭიჭდება - პატარავდება; ილევა (გ.შატბ.).

13. ჩვართი - საქმის ცუდად მკეთებელი (ბეროზაშვილი... 1981).

ჩვართა (მეგრ.) - ფეხმრუდი, მრუდეტერფის მქონე, - ჩორთვა. ჩვართუა - ფეხმრუდი კაცის სიარული; სრულფეხსაცმლიანი პირის მოძრაობა, - ჩორთვა (ქაჯაია 2002).

ჩვართი (მეგრ.) - საქმის ცუდად მკეთებელი; ჩანჩურა; ჩვათა - თიმთიმა, ფომფლე; ჩვათუა - ჩაკვრა, ჩაფლობა (ფეხისა ლაფში) (ქობალია 2010).

ქეგლ-ის მიხედვით: ჩორთავს - კუთხ. (იმერ.) გვერდულად ცვეთს (ფეხსაცმელს); ჩორთა - მრუდე ტერფის მქონე - ფეხმრუდი (<https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>).

14. მუჭუჭი - დიდი მოყვარული ვისიმე, რისამე (საქმის მუჭუჭი, ღვინის მუჭუჭი, ქალების მუჭუჭი) (ბეროზაშვილი... 1981).

შდრ. მუჭუჭი (ქართლ.) - რამეს სიყვარული: ღვინისა, ქალისა, მუსუსი (კირიონი) (ღლონტი 1984).

შდრ. მუჭუჭი (მეგრ.) - მუჭუჭი, მუყათი (ქობალია 2010).

მუჭუჭი - საქმით დაინტერესებული, მონდომებული (ზედგინიძე 2014).

ქეგლ-ში აღნიშნული სიტყვა შეტანილი არ არის.

15. მანდალიონი - აივნის კოჭი (ბალკონში მანდალიონებია, შიგნით სახლში - კოჭები) (ბეროზაშვილი... 1981).

მანდალიონი აღნიშნული მნიშვნელობით გამოიყენება მეგრულშიც (გამოქვეყნებულ მეგრულ ლექსიკონებში არ ფიქსირდება).

შდრ. მანდალიონი (იმერ.) - შენობის გარე მხრიდან, გარშემო, ჭერის, კოჭების შვერებზე აკრული ფიცარი (იმერული ლექსიკონი: ქდკ. <http://corpora.co/#/dictionaries>).

მანდალიონი კოჭი (ქიზიყ.) - სიგრძე დაწყობილი კოჭი, რომელზედაც იატაკის ფიცარი დაიგება (მენტემაშვილი 1943: ქდკ. <http://corpora.co/#/dictionaries>).

ქეგლ-ში საანალიზო სიტყვა შეტანილი არ არის.

ქართლურსა და მეგრულში დასტურდება საერთო სემანტიკური დიალექტიზმებიც:

1. კრუხი - იტყვიან გაღივებულ, დაძველებულ კარტოფილზე, სიმინდზე, ლობიოზე (დათესვის დრო რო მოუვა, გვითქვამს ხომე, კრუხიაო კარტოფილზე, ლობიოზე, სიმინდზე, ყველაფერზე, რაც თესლეულია, პურზე - არა) (ბეროზაშვილი... 1981).

შდრ. მოჭვა (მეგრ.) - კრუხი; მონჭვა (ლაზ.) - კრუხი (ნ. მარი); გურ. მოჭვა - კრუხი (ღლონტი 1984).

მეგრულში, ქართლურის მსგავსად, დაძველებულ სიმინდზე, რომელიც ძნელად იფშენება, იტყვიან: მოჭვა (კრუხი) არისო. ამ სემანტიკით მოჭვა გამოქვეყნებულ მეგრულ ლექსიკონებში არ ფიქსირდება.

შდრ. კრუხვა (ლერხ.) - სიცივე (მ. ალავიძე, 1938).

მოჭვა ქეგლ-ში განმარტებულია როგორც - კუთხ. (გურ.) იგივეა რაც კრუხი.

კრუხი / მოჭვა სიტყვაფორმათა განსხვავებული მნიშვნელობა ქეგლ-ში ასახული არ არის.

2. მიწა - ქსოვილის ძირითადი ფერი, ფონი (თეთრი მიწა აქს და ლურჯი წვრილ-წვრილი ყვაილები) (ბეროზაშვილი... 1981).

მიწა ამავე მნიშვნელობით გამოიყენება მეგრულშიც. გამოცემულ მეგრულ ლექსიკონებში არ არის შეტანილი.

ქეგლ-ში მიწა სიტყვის ეს მნიშვნელობა განხილული არ არის.

3. ქვაბი არწყევს - არყის გამოხდის დროს მილში ნახადი გადმოვა. არაყს რო ხდიან ხომე, ბევრს შეუკეთებენ ცეცხლსა, მეტი ცეცხლი რო მოუვა, რაც უნდა გამოხადონ, არაყთან ერთად ისიც გადმოვა მილიდან, იმაზე იტყვიან, ქვაბმა არწყიაო (ბეროზაშვილი... 1981).



შდრ. რწყია (მეგრ.) - პირლებინება, - რწყევა (ქაჯაია).

რწყიება (მეგრ.) - რწყევა, ლებინება; გამოხდილი არყის ნაცვლად ბუზალუყის გადმონთხევა ქვაბიდან ჭარბი ცეცხლის შეკეთების შედეგად (ქობალია 2010).

ქეგლ-ში რწყევა სიტყვაფორმა განხილული მნიშვნელობით არ ფიქსირდება.

4. ფრინველის ძვალს ხორცს რომ ერთიანად შეაცლიან და გამოხრავენ, გახიწნა, გამოხიწნაო, ამბობენ (სახლის გახიწვნა - სახლიდან ყველაფრის გატანას, მითვისებას ნიშნავს) (სალარიძე 1978: 155).

ხინწუა (მეგრ.) - გარჩევა; ფქვილის (ღერღილის) გაწმენდა ჩენჩოსაგან; მოსუფთავება, - ხინწვა (მარცვლეულისა); ერთად მოგროვება (ქაჯაია 2002).

ხინწუა (მეგრ.) - რკვევა, დარჩევა გაცრილი მარცვლეულისა, ქატოს, ანაცერის ბზისა და წველის მოშორება, განიავება; ჩახლეჩა ხმისა; უკვალოდ გაქრობა (ქობალია 2010).

გახინწვა (იმერ.) - გაცეხვილ ღომს რომ გადარეკავენ და გაწმენდენ მტვრისაგან (ი.ჭყ.) (დლონტი 1984).

ხიწნა (იმერ.) - ჯიჯგნა, ჭამა (წერეთელი 1938: ქდკ. <http://corpora.co/#/dictionaries>).

გამოხიწვნა (ქიზიყ.) - გამოცარიელება; გადატ. ძალზე გახდომა. ნ. გამოხიკვნა (მენტეშაშვილი 1943: ქდკ. <http://corpora.co/#/dictionaries>).

ხიწნა - ძვლებიდან ხორცის გამოცლა, წიწვნა (ქეგლ).

განხილული სიტყვაფორმები საერთო ხიწნ-ძირისგან არის ნაწარმოები და დიალექტებში მეტ-ნაკლებად მსგავსი სემანტიკური ნიუანსებით არის წარმოდგენილი.

როგორც ვნახეთ, ქართლურში დადასტურებული დიალექტური სიტყვაფორმები, გარდა მეგრულისა, სხვა კილოებშიც (იმერული, გურული, აჭარული, კახური, თუშური...) გვხვდება. ისინი საერთოქართული წარმომავლობის სიტყვებია, რომლებმაც ფორმოზრივ-სემანტიკური ერთიანობა შეინარჩუნეს რიგ კილოებში. საერთო დიალექტური ლექსიკის არსებობა ქართლურსა და მეგრულში (აგრეთვე სხვა კილოებში) უდავოდ მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ ქართლური, მეგრული, იმერული, გურული... მეტყველებები ერთი საერთო ენის, ქართული/ქართველური ენობრივი სისტემის ქვესისტემებია და არა დამოუკიდებელი სისტემები. ქართლური და მეგრული თანამედროვე სამწიგნობრო ენასთან მიმართებით მეტ-ნაკლებად განსხვავებულია: ქართლური მეტყველება ყველაზე ახლოს დგას სამწიგნობრო ენასთან, განსხვავებით მეგრულისაგან, რომელიც ამ მხრივ მეტ თავისებურებებს გვიჩვენებს, რაც ზოგადად საუკუნეების განმავლობაში ენაში მიმდინარე დივერგენციული თუ კონვერგენციული პროცესების შედეგია.

**დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები**

- აბულაძე 1973: აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი, 1973.
- ასათიანი 2012: ასათიანი ი., ლაზური ლექსიკონი. თბილისი, 2012.
- ბერიძე 1986: ბერიძე ვ., სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა. თბილისი, 1986.
- ბერიძე...: ბერიძე მ., ზაკურაძე ლ., ფერეიდნული სალექსიკონო მასალა: ქდკ (<http://corpora.co/#/dictionaries>). 20.03.2020.
- ბეროზაშვილი... 1981: ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალები), შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე. თბილისი, 1981.
- ელიავა 1997: ელიავა გ., მეგრულ-ქართული ლექსიკონი. თბილისი, 1997.
- ზედგინიძე 2014: ზედგინიძე გ., ჯავახური ლექსიკონი. თბილისი, 2014.
- იმერული ლექსიკონი: იმერული ლექსიკონი. ქდკ (<http://corpora.co/#/dictionaries>). 20.03.2020.
- იმნაიშვილი 1974: იმნაიშვილი გრ., ქართლური დიალექტი, I. თბილისი, 1974.
- მენტეშაშვილი 1943: მენტეშაშვილი სტ., ქიზიყური ლექსიკონი. თბილისი, 1943: ქდკ (<http://corpora.co/#/dictionaries>). 20.03.2020.
- ორბელიანი 1991-1993: სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული. თბილისი, ტ. I – 1991, ტ. II – 1993.
- სალარიძე 1978: სალარიძე თ., ალგეთის ხეობის ქართლური. თბილისი, 1978.
- სარჯველაძე 1995: სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი, 1995.
- სომხიშვილი 1978: სომხიშვილი ვ., ქსნის ხეობის მეტყველება. ცხინვალი, 1978.
- ფენრიხი... 1990: ფენრიხი ჰ., სარჯველაძე ზ., ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. თბილისი, 1990.
- ფუტკარაძე 1993: ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული. ბათუმი, 1993: ქდკ (<http://corpora.co/#/dictionaries>). 20.03.2020.
- ქაჯაია 2001-2009: ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი. თბილისი, ტ. I – 2001, ტ. II – 2002, ტ. III – 2002, ტ. IV – 2009.
- ქეგლ: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. თბილისი, 1950-1964.
- ქეგლ-ის ახალი რედაქცია: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია. მთავარი რედაქტორი ავთ. არაბული. <https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>. (10.03.2020).
- ქობალია 2010: ქობალია ა., მეგრული ლექსიკონი. თბილისი, 2010.
- ღლონტი 1984: ღლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, მეორე გამოცემა. თბილისი, 1984.

- ყიფშიძე 1914: И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, СПб., 1914: თბზულებანი. თბილისი, 1994.
- შარაშენიძე 2008: შარაშენიძე ნ., საჩინოური ქართული (ქვემოიმერული კილო ერთი სოფლის მეტყველების მიხედვით). თბილისი, 2008.
- ჩიქობავა: ჩიქობავა: ქდკ (<http://corpora.co/#/dictionaries>). 20.03.2020.
- ცოცანიძე 2013: ცოცანიძე გ., თუშური ლექსიკონი. თბილისი, 2013: ქდკ (<http://corpora.co/#/dictionaries>). 20.03.2020.
- წერეთელი 1938: წერეთელი ბ., ზემოიმერული ლექსიკონი: ქართველურ ენათა ლექსიკა, I. თბილისი, 1938: ქდკ (<http://corpora.co/#/dictionaries>). 20.03.2020.
- ჭარაია 1997: ჭარაია პ., მეგრული ლექსიკონი. თბილისი, 1997.

ეპიტაფიური პოეზიის კულტურა ქართლში

**Culture of epitaph poetry in Kartli**

**მაკვალა დავითაძე**

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ახალციხე

**Makvala Davitadze**

Samtskhe-Javakheti State University  
Georgia, Akhaltsikhe

**ABSTRACT**

Epitaphic poetry, an epitaph in general, has a long history and past. It originates from ancient Greece. In the fundamental dimension of human existence, Plato exudes courage, which man especially needs during such a higher act as death. Epitaph culture has proved acceptable to many peoples and countries of the world.

Ephraim Small, the greatest ecclesiastical figure, writer, translator, and philosopher of the eleventh century, explained that the epitaph was „a word inscribed on a tombstone.“ In the Christian writing of the narrative genre, there were three directions (faces): „life“, „meeting“ and „epitaph“. Ephraim’s brief commentary on the epitaph is attached to Gregory the Theologian’s „Epitaph to His Father Gregory of Andian, Bishop,“ and is written on Ashia.

In turn, the source of Ephraim is the tenth-century Byzantine commentator Basil Minus, a grammarian. The existence of the epitaph is ancient in Georgia, but it takes its form from the tenth to the eleventh century. The culture of the epitaph must be related to the tradition of laying a cut stone on the tomb.

An example of an original Georgian epitaph is the famous epitaph of David the Builder. Inscription of the tombstone of one of the members of the feudal house of the supporters, etc.

In Georgia, the epitaph took on a poetic form and became a poem. Georgian epitaph verse is similar to Mestviluri in size and rhythm.

The content is close to the funeral verse. The classification of epitaphs looks like this: small, poetic form, chronographic and dialogical epitaphs. In Georgia, we find mainly poetic, word-based epitaphs containing certain philosophical thoughts. Texts containing Christian-eschatological teachings are also noteworthy for the Georgian epitaph culture.

The epitaphs of „cemetery stones“ collected by Kubaneishvili, played a big role in the study of epitaphs which includes epitaphs in almost all parts of Georgia. In

Georgia, Kartli, as well as in other parts of Georgia, the epitaph culture has been well developed since ancient times.

This is confirmed by the epitaphs on almost all cemeteries in Kartli, both old and new. In Kartli, the epitaph poem is characterized by chamber and screen character. Although epitaphic poetry is somewhat „older“, it makes little progress. The mainline of Georgian epitaphs is to understand the essence of life and death, to be thankful to God, and to complain to the miserable world.

In Shida Kartli, in the occupied Samachablo today, there is the tomb of the young son of King Vakhtang VI, on which there is an epitaph. The existence of epitaphs is also confirmed in Samtavi, in the form of epitaphs of the Amilakhvars's ossuary, and Kvemo Kartli, Fitareti, on the Orbelishvili tombstones.

Epitaphs have cultural-ethnographic, as well as literary and historical value, the study of which sheds light on many controversial issues.

საკვანძო სიტყვები: ეპიტაფია, ეფრემ მცირე, ქართული ეპიტაფია ეპიტაფიების კლასიფიკაცია, პოეტური ფორმა ეპიტაფია, სოლ. ყუბანიშვილი, ქართლი.

Keywords: epitaph, Ephrem Small, Georgian epitaph Classification of epitaphs, poetic form epitaph, sol. Kubaneishvili, Kartli.

ადამიანის არსებობის ერთ-ერთ უმთავრეს განზომილებაში პლატონი გამოყოფს სიმამაცეს, რაც ადამიანს განსაკუთრებით სჭირდება ისეთი უმაღლესი აქტის დროს, როგორცაა სიკვდილი. სწორედ ამ აქტის ღირსეულად ატანის ნიუანსი და გამოხატულებაა ეპიტაფიური პოეზიაც.

ეპიტაფიურ პოეზიას, ისევე როგორ თავად ეპიტაფიას, დიდი ხნის ისტორია და წარსული აქვს, მას საფუძველი ჩაეყარა ძველ საბერძნეთში. თავდაპირველად წარმოადგენდა მიცვალებულის საფლავზე წარმოთქმულ სიტყვას, შემდეგ კი მიიღო სხვა სახე და ტექსტი იწერებოდა საფლავის ქვაზე.

ეპიტაფია ადამიანის განვლილი ცხოვრების გზის ჰარმონიულად შეთანხმებული და შეხმატკბილებული ასახვის საშუალებაა.

XI საუკუნის უდიდესი საეკლესიო მოღვაწე, მწერალი, მთრგმნელი და ფილოსოფოსი ეფრემ მცირე განმარტავდა, რომ ეპიტაფია „საფლავის ქვაზე წარწერილი სიტყვანია“, ხოლო თხრობითი ჟანრის ქრისტიანულ მწერლობაში სამ მიმართულებას (სახეს) გამოყოფდა: „ცხოვრება“, „შესხმა“ და „ეპიტაფიამ“:

„შეისწავე, რამეთუ აპიტაფია ბერძულისაგან ქართულად საფლავის ზედად გამოითარგმნების, ხოლო მე, ვინათგან სხუამ, თვსგან განკუთნილი, ძალი აქუნდა, ამისთვისცა, ბერძულიცა სიტყუამ დაწერე და ძალიცა მისი, რამეთუ სამნი არიან საკითხავთა აღწერისა წესნი: ცხოვრებისა აღწერისანი და შესხმისა და აპიტაფიისანი. ხოლო ეპიტაფია არს, რაჟამს საფლავსა ზედა

წარსრულისასა წარმოიტყოდეს ვინმე სიტყუათა გლოვისა და შესხმისა და ნუგეშინისცემათა ერთად შეზავებულთა“ – ეფრემ მცირის ეს კომენტარი ერთვის გრიგოლ ღმრთისმეტყველის თხოვლებას – „ეპიტაფიად მამისა მიმართ თვისისა გრიგოლ ანძიანორელ ეპისკოპოსისა“ და მიწერილია აშიაზე. თავის მხრივ, ეფრემის წყარო არის მეათე საუკუნის ბიზანტიელი კომენტატორი ბასილ მინიმუსი, გრამატიკოსი.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართული ეპიტაფიური კულტურის ისტორია უძველესია, მაგრამ ჩამოყალიბებულ სახეს სწორედ X-XI საუკუნეებიდან იღებს.

საქართველოში ქართული ყოფითი კულტურისათვის საფლავისადმი განსაკუთრებული მოწიწებაა დამახასიათებელი. საფლავის ნიშანი საფლავის ქვაა, ეპიტაფია მისი ადრესატის დამსახურების აღმნიშვნელია და მის განსხვავებულობას უსვამს ხაზს.

ცნობილი მეცნიერი მიხეილ ჩიქოვანი მიიჩნევდა, რომ ეპიტაფიის კულტურა დაკავშირებული უნდა იყოს თლილი ქვის საფლავზე დადების ტრადიციასთან.

ისტორიულად, ეპიტაფიის არსებობა საქართველოში უძველესი დროიდანვე დასტურდება. ამის მაგალითია არმაზის ქვის სტელის ბერძნულ-არამეული ვარიანტები, რომელიც 1940 წელს აღმოაჩინეს ქართველმა მეცნიერებმა და გ. წერეთელმა გაშიფრა იგი. წარწერა ორ ენაზე – ბერძნულსა და აღმოსავლეთში გავრცელებული ძველი არამეულის მსგავს ენაზე იყო შესრულებული. ეს არის ცნობილი ეპიტაფია სერაფიტასი. ორიგინალური ქართული ეპიტაფიის სიძველის ნიმუშს წარმოადგენს თამარისა და დავით აღმაშენებლის ცნობილი ეპიტაფიები.

მხარგრძელთა ფეოდალური სახლის ერთ-ერთი წევრის საფლავის ქვის წარწერა არა მარტო ეპიტაფიაა, არამედ დიდი ფილოსოფიური-თეოლოგიური სიბრძნის მომცველია და პოეტურად მაღალი ხარისხისა:

„გამოვედით სოფლისაგან ცუდქმნილნი და გამომკრთალნი,

გულსა ცეცხლი მომდებიან, ამომდიან პირით აღნი,

დიდთა ჩემთა შეუებათაგან დამრჩეს ჩოხის ნათერთალნი,

კურთხეულ ხარ ქრისტე ღმერთო, შენ და შენი სამართალი“ – ამ ერთსტროფიან ეპიტაფიაში გამოსჭვივის ადამიანის მიწიერი ყოფნის ამაოება, ღვთაებრივთან მიახლებით გამოწვეული განცდა და წუთისოფლის არარაობა.

ქართლში, მუხრანელთა სასაფლაოზე, იყო ასეთი წარწერა: „მშვენიერებანი პირთანი დალპეს და სიჭაბუკის ყვავილნი ჭეშმარიტად ამაო არს ყოველივე კაცობრივი, არამედ ნათელსა პირსა შენისასა განუსუენე, ქრისტე, სულსა. მუხრანი“.

ამა თუ იმ გეოგრაფიული არეალის ეპიტაფიების შესწავლა არა მარტო ფოლკლორული თვალსაზრისითაა საინტერესო, არამედ ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხითაც, რადგან ისინი გვამცნობენ ამ არეალში ეთნიკური ჯგუფის თავმოყრის, მათი კულტურის შესახებ; საშუალება

გვეძლევა გავარკვიოთ, რას ცვლის ეს ურთიერთობა; რა საერთო ტენდენციას უყრის საფუძველს, რა რჩება თვითმყოფადი და ხელშეუხებელი. უფრო მეტიც, ეპიტაფიებზე დაყრდნობით ისტორიული ჭეშმარიტების აღდგენაც არის შესაძლებელი, რადგან ის წარმოადგენს როგორც მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულების ძეგლს, ასევე ობიექტურ და უტყუარ ისტორიულ წყაროს.

საქართველოში ეპიტაფიამ მიიღო პოეტური ფორმა და ლექსად ჩამოყალიბდა. ზომითა და რითმით მესტვირულსა ჰგავს, შინაარსით სამგლოვიარო-საწესო ლექსებს უახლოვდება და ჟანრიც თემატიკურად ძალიან განსაზღვრულია.

შეიძლება, ერთგვარად, ეპიტაფიათა კლასიფიცირებაც. მაგ., მცირე ზომის, პოეტური ფორმის, ქრონოგრამული და დიალოგური ეპიტაფიები. საქართველოში გვხვდება ძირითადად პოეტური, სიტყვათა თამაშზე აგებული და გარკვეული ფილოსოფიური აზრის მომცველი ეპიტაფიები. ქართული ეპიტაფიური კულტურისათვის ნიშანდობლივია ქრისტიანულ-ესქატოლოგიური სწავლების მომცველი ტექსტებიც.

ეპიტაფიური ლექსი, ზოგადად ეპიტაფიური კულტურა საქართველოსა და კერძოდ, ქართლისთვისაც საგულისხმო და ნიშანდობლივია.

ქართლში ეპიტაფიური ლექსი ადრეული დროიდანვე ჩანს. რა თქმა უნდა, თემატურად შემოსაზღვრულია და ვერც უმაღლეს პოეტურ ფორმას პასუხობს ხშირად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უმნიშვნელოვანესია მისი შესწავლა. ქართლში გავრცელებული ეპიტაფიები პრინციპულად არ განსხვავდება საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებული ეპიტაფიებისაგან. ეპიტაფიის მოკლე ტექსტში ჩანს ადამიანის მთელი ცხოვრება, ზოგჯერ ირონიაც კი გამოსჭვივის დროის წარმავლობისა და ფუჭად ჩავლილი ცხოვრების გამო. მნიშვნელოვანია ასევე შეხედულებანი სიკვდილ-სიცოცხლის შესახებ.

საქართველოში ეპიტაფიათა აღნუსხვა-შეკრების საქმეს ხელი მოჰკიდა ცნობილმა ქართველმა მკვლევარმა სოლომონ ყუბანეიშვილმა (1901–1986). მისი დავალებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმისა და სოხუმის ინსტიტუტის სტუდენტებმა და მაწავლებელთა საკვალიფიკაციო კურსის მსმენელებმა შეაგროვეს ასობით საფლავის ქვის ეპიტაფია საქართველოს სხვადასხვა კუთხეების სასაფლაოდან. რა თქმა უნდა, ეს მასალები არ წარმოადგენს აბსოლუტურად ყველა სასაფლაოს ეპიტაფიას, მაგრამ აქ წარმოდგენილი მონაცემები მოიცავს თბილისს, აჭარას, კახეთს, ფშავს, იმერეთს, ქართლს. აღნიშნული მასალების შესწავლის შემდგომ შეიძლება ითქვას, რომ ქართლში გავრცელებული ეპიტაფიური ლექსისათვის აღსანიშნავია ლექსიკური კონსერვატივიზმი, მხატვრულ-ხატოვანი აზროვნების ერთფეროვნება და ტროპულ სახეთა სიმწირე-ერთგვაროვნება თუ ტრაფარეტულობა. ქართლის ეპიტაფიური კულტურა ეხმიანება იმ საერთო ტენდენციებს, რაც დამახასიათებელი არის ზოგადად ქართული ეპიტაფიური ლექსისათვის.

ქართლში გავრცელებული ეპიტაფიური ნიმუშებისათვის დამახასიათებელია მაქსიმალური ლაკონიზმი. ვერ ეგუება სიუჟეტურ გაშლას, სათქმელის გავრცობასა და დეტალიზაციას.

ამა თუ იმ გეოგრაფიული არეალის ეპიტაფიების შესწავლა მნიშვნელოვანია ასევე ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც. ამ მხრივ არც ქართლია გამონაკლისი. ეპიტაფიათა შესწავლით საშუალება გვეძლევა, გავარკვიოთ ბევრი ისტორიული ფაქტი და დეტალი.

ცხინვალიდან რვა კილომეტრის მოშორებით (ამჟამად სოფ. ქვემო მონასტერი), თირის ეკლესიის კანკელის წინამდებარე საფლავის ქვაში ჩასმული მარმარილოს ფილაზე გამოკვეთილი ეპიტაფია გვაუწყებს, რომ ვახტანგ მეექვსე „რაოდენთამე წელთა“ ყოფილა „სამკვდროსა მამულსა... სოფელსა ამას“, ე.ი. სოფელ თირში, აქ გარდაცვლია მას პირმო-ბატონიშვილი როსტომი (როგორც ჩანს, მცირეწლოვანი და იგი ღვთისმშობლის ეკლესიაში დაუკრძალავთ).

შიდა ქართლში, სამაჩაბლოში, სამწუხაროდ, ცნობილი მოვლენების შემდგომ არაერთი საფლავი განადგურდა და წაიშალა კვალი, არადა მათი ფუნდამენტური შესწავლა ნათელს მოჰყენდა ძალიან ბევრ, დღემდე სადავოდ მიჩნეულ საკითხს.

ქართლში, სამთავისში, ამილახვართა ეპიტაფიები XVIII-XIX საუკუნეებით თარიღდება: აგათონიკე ამილახვრის (თარიღი უცნობია), გიორგი იოსების ძე ამილახვრის (1860 წ.), ნიკოლოზ გივის ძე ამილახვრის (1862 წ.), მიხეილ გივის ძე ამილახვრის (1883 წ.) და სხვათა ეპიტაფიები. ამ ეპიტაფიათა შესწავლა არაერთ საკითხს ჰყენს ნათელს.

ქვემო ქართლში, ფიტარეთში, არიან დაკრძალულნი ორბელიშვილთა გვარის წარმომადგენლები. განსაკუთრებით საინტერესოა ყაფლან ორბელიშვილის ქვის წარწერა (ფიტარეთი ამის შემდეგ ორბელიშვილთა სამვალედ იქცა): „წყალობითა და შეწევნითა ღმრთისათა, მე, ორბელის შვილმან ყაფლან მეორეთ შევამკე მოასტერი ესე და ბარსა და მთაში მტრისაგან გაოხრებული მკვიდრი მამული ჩემი აღვაშენე, სოფელია მა, და ამას გარეთ შენი მამებისა სოფელი იბ. ესე ყოველი დაუტევე ძეთა ჩემთაე და დავემკვიდრე ამას შინა, ქორონიკონსა ტნთ“.

ყოველივე ეს ცხადყოფს ეპიტაფიის როგორც ისტორიულ, ისე კულტურულ მნიშვნელობას. საინტერესოა ისიც, რომ ეპიტაფიის კულტურა წარმოადგენდა უწყვეტ კულტურულ აქტს.

ზოგადად, ბევრი ეპიტაფია გვხვდება ერთდრულად საქართველოს არაერთ კუთხეში, ვფიქრობთ, მათი კამერალური და ტრაფარეტული ხასიათის გამო. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ქართლში გავრცელებულ ეპიტაფიებში სიკვდილით გამოწვეული მწუხარება მიეწერება არა ღმერთს, უზენაესს, არამედ წუთისოფლის მრუდე და ავ დინებას, საწუთროს. უზენაესი სიკვდილის მძიმე წუთებშიც მოწიწებითა და იმედით მოიხსენიება. ხშირად ეპიტაფია მთარღებოდა მინაწერით: „სწორებო,



ყველამ შენდობა მაღირსეთ“ – ეს მინაწერი მისტერიისა და ღვთის ნებისადმი მორჩილების გამომხატველია.

ხალხური პოეზია, რომელსაც რუდუნებით ინახავდა ხალხის მეხსიერება, პროგრესს განიცდიდა, რასაც ვერ ვიტყვით ეპიტაფიის, ხალხური ლექსის ამ სპეციფიკური განშტოების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ეპიტაფიური პოეზია ერთგვარად „ხანდაზმულია“, პროგრესს თითქმის არ განიცდის, არც ზეპირი გავრცობა ჰქონდა, რადგან ესა თუ ის ეპიტაფია კონკრეტული პიროვნებისადმი იყო მიმართული და ამიტომ ფართო ასპარეზზე ვერ გადიოდა. ცოცხლობდა მანამ, სანამ სასაფლაოს ქვას მიწა ან ბალახი არ დაფარავდა ან ჩაიშლებოდა.

ქართლში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ეპიტაფიების უმრავლესობა პირველი პირით მოგვითხრობს ამბავს. ვფიქრობთ, ამის მიზეზი ქვეცნობიერად წინაპართა კულტი უნდა იყოს და მომდინარეობდეს წარმართული ყოფისათვის დამახასიათებელი ჩვეულებიდან. წარმართული რწმენა-წარმოდგენით, გარდაცვლილთა სულებს ხორციელი მოთხოვნილება აქვთ, ცოცხლებთან საუბარი და ურთიერთობა შეუძლიათ, ხოლო სიკვდილსა და სიცოცხლეს ერთიანი სუბსტანცია გააჩნია.

1886-1942 წლებით თარიღდება ეპიტაფია, რომელიც ვინმე მიშა გელაშვილს ეკუთვნის:

„ნუ დაიღვრები დედავ ცრემლებით,  
ნუ გტანჯავს ფიქრი დამარხულ შვილის  
ჩემს უნებურად გავჩნდი ამ ქვეყნად  
და უნებურად იყო სიკვდილი  
გამოვეთხოვე სიცოცხლის ხმაურს,  
ბედმა აქ მომცა სამუდამოთ ბინა,  
დედა მწუხარე ატარებს ტრაურს  
როს თავის შვილი აქ დააძინა.“

გარდაცვლილი თითქოს ამშვიდებს დედის სულის ფორიაქს.

XX საუკუნის ოციანი წლებით თარიღდება ვინმე ალექსი თოფურის საფლავის ეპიტაფია:

„სიტკბოება დავტოვე ამქვეყნიური  
ცივი სამარე გამიხდა ბინათ  
დღეს მზე დასცქერის საფლავს მდუმარეს,  
მე მას სიზმარში ვხედავდი წინათ“.

ადამიანების წარმოდგენით, სიკვდილი ტლანქი, უხეში და დაუნდობელია, ასეთი მუქი ეპითეტებითაა ის დახასიათებული:

„ია მოწყვიტა ტლანქმა ხელმა და იგი დასჭკნა,  
და მე კი დაუნდობელმა სიკვდილმა“ (ნინო, 1886-1908).

იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება მეტაფორული ეპიტაფიაც. მაგალითად: „მძულს, როდესაც შენს აღმაფრენას ფრთას აკვეცენ ამა სოფლის უკმეხნი და არც ის მიყვარს, როცა გაუშლილი კოკორი სწყდება“. ამ

ეპიტაფიის ადრესატი არის ახალგაზრდა, უდროდ გარდაცვლილი დათიკო (1892-1908).

„მე ესე მონა შენი მიხეილ... განვედი ამა სოფლითგან მტვრადქმნილი“. ეპიტაფია 1888 წლით თარიღდება.

დამრიგებლობითი შინაარსის ეპიტაფიებიც არაა უცხო ქართლის ეპიტაფიური კულტურისათვის. მაგალითად:

„თუ შენ გესმის შენი კაცური მოვალეობა,  
თუ შენ გინდა იყვე კმაყოფილი  
და შენს ხსოვნას პატივისცემით იხსენიებდნენ,  
მაშა შეიყვარე პატიოსანი შრომა,  
რომელიც გზაა მისკენ მიმავალი“

(ზაალ ვარსიმაშვილი. 1862-1908).

ნინიკო ხიზანიშვილი 16 წლისა გარდაცვლილა. მის ეპიტაფიაში გამოხატულია არა იმდენად გარდაცვლილის, არამედ მისი ჭირისუფლის განცდები, წუხილი და დამოკიდებულება:

„შენ ყვავილები გახალისებდა,  
და სურვილები აწვდილი ცამდე,  
მძიმე ტკივილით დაგზადა დედამ  
მოულოდნელად სიკვდილთან წახველ“.

ზოგიერთი ეპიტაფია წარმოადგენს ზესთასოფლის ყოფის იმედიან აღწერას. რითაც ამქვეყნად დარჩენილს ერთგვარად უმსუბუქებს ცრუ და გაუტანელი სიკვდილის სიმძიმეს. 16 წლისაა ამ ეპიტაფიის ადრესატი:

„ჩემი სიტურფე არ დაენანა  
სიკვდილს ცრუსა და გაუტანელსა,  
და ვით ხანმოკლე ნაზი ყვავილი  
ადრე მომწყვიტა ცხოვრების ველსა.  
ლხენა ალერსი არც აქ მაკლია  
ხვთიურის მადლით გაბრწყინებულსა,  
მაგრა მას ვწუხვარ, რითი ვუშველო,  
ჩემი მშობლების მწუხარე გულსა“.

ამ ეპიტაფიის მიხედვით, ზესთასოფელი, ადამიანის სულის მუდმივი სამყოფელი ღვთიური მადლითაა გაბრწყინებული, რაც ერთგვარ შვებას წარმოადგენს ცოცხალთათვის.

ეპიტაფიათა შინაარსში არსად გვხვდება უფლის გმობის, უფლისადმი საყვედურის გამომხატველი ფრაზები. პირიქით, უფლისადმი შევედრება, შენდობის თხოვნაა გამოხატული.

ქართლში გვხვდება ეპიტაფია, რომელშიც გამოყენებულია კლასიკოსთა პოეტური ნიმუში. მაგალითად, ერთი საფლავის ქვაზე არის ეპიტაფია ილია ჭავჭავაძის პოეზიიდან:

„მას დედის ძუძუ ტკბილი  
შხამადაც შერგებია  
მამულისათვის სიკვდილი  
ვისაც დაზარებია“.

ამ ეპიტაფიის ქვეშ მინაწერია: „უმაღურ სომხებთან ბრძოლის დროს გმირულად დაუპული მე-3 კურსის სტუდენტი მიხეილ იოანეს ძე დარბაისელი. დ. 1898 წ. გარდაიცვალა 12.12.1918 წ.“

შენდობა, ღმერთთან შევედრება ერთგვარი შვებაა გარდაცვლილისთვის. ამიტომ გარდაცვლილი თითქოს ყველას სთხოვს, რომ არ დაიზარონ მისი სულის გახარება შენდობის თქმით:

„ვინც რომ აქეთკენ გამოიაროთ  
გთხოვთ, რომ შენდობა გამიზიარო  
და ჩემი სული მით გაახარო  
მიწით ნაშენი მიწავე ვარო“.

ამ ეპიტაფიის ადრესატი 50 წლისა გარდაცვლილა. ზოგადად, ეპიტაფიებში ისმის ცხოვრების წარმავლობით გამოწვეული წუხილი, გარდაცვლილის „გასაუბრება“ ცოცხლებთან და ერთგვარი სინანული იმის გამო, რომ წუთისოფელში ლხენას ცვლის სევდა:

„მკითხველო ჩემს სახლს რას დააცქერდი  
რა ჩამომყურებ ჩაფიქრებული,  
მეც შენებრ ერთხელ სოფელს დავმღერდი  
შენებრ მეც ვიყავ აყვავებული“.

ტრაგიკულად დაღუპული 7 წლის გოგონას დედის ცრემლითა და წუხილითაა გაჯერებული მეტაფორული ეპიტაფიის ბჭკარედი: „მუდამ გეცმევა ტანზე მძინარეს, დედის ნაკერი ფიქრის ფარჩები“.

ეპიტაფიის კულტურა დღემდე შემორჩენილია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, მათ შორის ქართლშიც, რასაც უდავოდ აქვს გარკვეული კულტურულ-ეთნოგრაფიულ-ლიტერატურული ღირებულება.

ქართლში დასტურდება ასევე კენოტაფის კულტურაც.

შიდა ქართლში, ხაშურის რაიონში, არის საფლავი, რომლის ადრესატიც ლუბა მელიტონის ასული ტალახაძე-დავითაძეა. ქალს ომში დაღუპვია მეუღლე და ერთი ვაჟი. დარჩენილა სრულიად მარტო. უბედურებით გულშემრულმა ქვრივმა ომში დაღუპულ ქმარსა და შვილს კენოტაფი გაუკეთა. თავისი სამარის ეპიტაფიაც წინასწარ დაწერა და ანდერძად დატოვა, მისი საფლავის ქვაზე ამოეკვეთათ:

„მშვიდობით ჩემო სახლკარო  
მშვიდობით ჩემო მხარეო,  
ისე მივდივარ იმ ქვეყნად  
მე აქ ვერ გაიხარეო.  
სუყველა კარგად იყავით  
ვისაც ჩემი ხმა გსმენიათ,  
ისე მივდივარ საიქიოში  
იქაც ვერ მომისვენია“.

ასეა თუ ისე, ეპიტაფიის ტრადიცია დღესაც გრძელდება, ადამიანებს კვლავ აქვთ სურვილი უკანასკნელი ხსოვნის სამანი ამქვეყნად ლექსით

დაიდონ. ეპიტაფიური პოეზია დღესაც ნატკენ და მგლოვიარე სულს უყუჩებს დათაღხულ ჭირისუფალს, წამკითხველს სევდას აღუძრავს და წუთისოფლის ამაოებაზე ჩააფიქრებს.

#### დამოწმებული ლიტერატურა

**დავითაძე 2010:** დავითაძე მ., სოლომონ ყუბანეიშვილი ქართული მწერლობის მკვლევარი. თბილისი, 2010.

**დავითაძე 2011:** დავითაძე მ., საფლავის ქვის სიმფონია. თბილისი, 2011.

**ხაინდრავა 2011:** ხაინდრავა ე., რეკლამის სტილის ეპიტაფია, როგორც კულტურული ფენომენი და მისი ვერბალური გაფორმება. ჟურნალი „ენა და კულტურა“, №5. ქუთაისი, 2011.

**ხაინდრავა 2017:** ხაინდრავა ე., ამილახვართა ეპიტაფიები სამთავისიდან (XIX ს.). რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი „სპეკალი“, 2017.

**ჩიქოვანი 1946:** ჩიქოვანი მ., ქართული ფოლკლორი. თბილისი, 1946.

**კეკელიძე 1948:** კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. XXXIII. თბილისი, 1948.

**ქართლი – საქართველოს ცენტრი,  
ქართველთა შეგროვები და გაბაერთიანება**

**Kartli - the center of Georgia,  
Gathering and uniting the Georgians**

**როლანდ თოფჩიშვილი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და  
ეთნოლოგიის ინსტიტუტი  
თბილისი, საქართველო

**Roland Topchisvili**

Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology  
Tbilisi, Georgia

**ABSTRACT**

The Georgian ethnic unit consisted of various territorial units. These local units had their original names. The abundance of territorial units was caused by geographical factors. Over time, the same geographical factor led to the unification of Georgians, which also led to their aspiration for a united state organization. As a result of this aspiration, a common name ‘Kartveli’- Georgian was produced, and then we got the name of the country „Sakartvelo“ - Georgia from this ethnonym. It occurred because one of the territorial units of Georgia, called Kartli, was located amid Georgia. Along with this factor, the landscape and natural-geographical environment had determinant importance. The physical geography of almost every historical - ethnographic part of Georgia was diverse. They differed from each other in elevation, deep and relatively shallow valleys, sloping mountains, forest cover, the number of arable lands, protection, and terms of sunlight. The landscape and natural-geographic environment of Georgia created unique and different economic forms. None of the territorial units could exist independently- they complemented each other in this respect; what one had didn’t have the other. Mutual compatibility was the consequence of the history of Georgia and the Georgian nation. The historical and ethnographic parts of Georgia were in a close economic union with each other which was a basis for the consolidation of the Georgian people. Consolidation was taking place around Kartli. Kartli was the shortest route to Southern Georgia. Different historical and ethnographic parts of Georgia were linked to each other with Kartli.

The population of Kartli, due to an exogenous factor, is often used to reach a critical threshold. In this case, the rescuers of Kartli were those territorial units where the enemy could not be included. As a result of the migration of the increasing population of the highlands and western Georgia – the population in Kartli was reproduced. Thus, Kartli was not only a region in the center of Georgia but also the region gathering and uniting Georgians. The natural-geographic and landscape factors, in turn, led to the formation of the Georgian ethnic unit as a nation, the formation of the Georgian literary and theological language, and the existence of the capital in Kartli.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო, ქართლი, ცენტრი, ტერიტორიული ერთეული, მიგრაცია, კონსოლიდაცია, მოსახლეობა, ეთნიკური სტრუქტურა  
**Keywords:** Georgia, Kartli, Center, Territorial Unit, Migration, Consolidation, Population, Ethnic Structure

საქართველო სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარისაგან (ლოკალური/ტერიტორიული ერთეულისაგან) შემდგარი ქვეყანა იყო. ასეა დღესაც. ქართველთა განსახლების არეალი სწორედ ამ მხარეებს მოიცავდა და მოიცავს. წარსულსა და აწმყოზე ყურადღება იმიტომ გავამახვილებთ, რომ დროის კვალობაზე საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა - ქვეყანას არაერთი ტერიტორიული ერთეული ჩამოსცილდა (ჩამოაცილეს), შესაბამისად გაქრა ეთნოგრაფიული ჯგუფი, ქვეყნის საზღვრებიც მნიშვნელოვნად დავიწროვდა. ჩვენს დროში კი საფრთხე შეექმნა საქართველოს ცენტრს - ქართლს: შიდა ქართლი ოკუპირებულია და ძირძველი ქართული მოსახლეობაც გამოდევნილი.

ქართლი იყო და არის საქართველოს ცენტრი, აქედან მომდინარეობს ქართველთა აღმნიშვნელი ენდოეთნონიმი „ქართველი“ და ყველა ქართველის მიერ შექმნილი პოლიტიკური ერთეულის, სახელმწიფოს სახელწოდება „საქართველო“. რატემა უნდა, საერთო ეთნონიმისა და ქვეყნის საერთო სახელწოდების წარმოქმნამდე ქართული ეთნოსიც არსებობდა და ქართველთა განსახლების არეალიც. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ არა მხოლოდ ქართველებისათვის, არამედ სხვა ეთნოსებისთვისაც, საერთო სახელწოდების წარმოქმნა ჩვეულებრივი გვიანდელი მოვლენაა. თუმცა ტერმინ „საქართველოს“ წარმოქმნამდე ქართველებს კარგა ხნით ადრე ასეთი გამაერთიანებელი სახელწოდება ჰქონდათ; ეს იყო ორი სიტყვისაგან შემდგარი „ყოველი ქართლი“. მაგალითად, მემატთანე ჯუანშერისათვის ისეთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, როგორც იყო კახეთი, კლარჯეთი და ეგრისი, ქართლში შემავალია. უფრო მეტიც, წყაროში ეს მხარეები არა ჩვეულებრივ ტრადიციული ტერმინით - „ქვეყანა“ არის მოხსენიებული, არამედ „ხევით“: ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების შემდეგ დაჩი მეფემ „იწყო შენებად ქართლისა, რამეთუ მოაჭრებულ იყვნეს ყოველნი ჰევნი ქართლისანი, თვნიერ კახეთისა და კლარჯეთისა

და ეგრისისა“ (ქც 1955: 205). ბუნებრივია, დასახელებული ერთეულები - კლარჯეთი, კახეთი და ეგრისი - ქართლად მას შემდეგ იქნა გააზრებული, რაც ისინი საერთო სახელმწიფოს - ქართლის შემადგენლობაში შევიდნენ, ე.ი. მომავალი საქართველოს მხარეები ჯერ კიდევ საკმაოდ ადრე კონცენტრირებული იყვნენ ცენტრალური პროვინციის - ქართლის გარშემო. აქ აღარ შეუდგებოდა „ქართლის“ სახელწოდების წარმოქმნის სხვადასხვა თეორიების ჩამოთვლას - ეს ამ ნაშრომის მიზანს არ შეადგენს. ჩვენი მიზანია მხოლოდ იმ მიზეზებზე ყურადღების გამახვილება, რამაც განაპირობა ქართლის ერთიანი საქართველოს ცენტრად, ქართველთა შემკრებად და გამაერთიანებლად გადაქცევა.

ასე რომ, თავდაპირველად თავისი განსახლების არეალში ქართული ეთნიკური ერთეული სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულისაგან შედგებოდა და ამ ლოკალურ ერთეულებს თავ-თავისი სახელწოდება გააჩნდა. რა განაპირობებდა ამას? - პასუხი მარტივია: გეოგრაფიული ფაქტორი. მაგრამ თანდათან იმავე გეოგრაფიულმა ფაქტორმა განაპირობა ეთნიკურ ქართველთა შეკავშირება, რაც, თავის მხრივ, აპირობებდა ერთიანი სახელმწიფო ორგანიზაციისაკენ სწრაფვას. ამ სწრაფვის დასასრულს ემთხვევა ერთიანი, საერთო სახელწოდების - „ქართველისა“ და შემდეგ „საქართველოს“ წარმოქმნა.

კითხვა ჩნდება: რაღა ქართლი აღმოჩნდა შემაკავშირებელი, რაღა ქართლის გარეშე მოხდა საერთო ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქართველი ერის წარმოქმნა? ქართულ სალიტერატურო ენას რატომ მაინც ქართლური დიალექტი დაედო საფუძვლად და არა სხვა რომელიმე?

ქართლი საქართველოს შუაგულში მდებარეობდა და მდებარეობს, მაგრამ ეს კიდევ არაფერს ნიშნავდა. ამ ფაქტორთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა ლანდშაფტსაც, ბუნებრივ-გეოგრაფიულ ფაქტორსაც ჰქონდა. მანამ, სანამ ამ მოვლენაზე უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ, უნდა გავიხსენოთ, რომ საქართველო და ქართველთა განსახლების არეალი მოიცავდა სამხრეთ კავკასიის დასავლეთ და სამხრეთ ნაწილს, სადაც ქართველთა სხვადასხვა თემები, ტერიტორიული ერთეულები მდებარეობდა. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ესენი იყო ქართლი და კახეთი (ჰერეთ-კახეთი), მთაში - ფხოვი, თუშეთი, დვალეთი, წანარეთი, ხადა და ცხავატი... დასავლეთ საქართველოში - ეგრისი, არგვეთი (იმერეთი), თაკვერი (რაჭა, ლეჩხუმი), აფხაზეთი, გურია, მთაში - სვანეთი... სამხრეთ საქართველოში - არტაანი, კოლა, ერუშეთი, სამცხე, ჯავახეთი, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, ლაზეთი... ყველა დასახელებული ტერიტორიული ერთეული/თემი სამი მდინარის - მტკრის, რიონისა და ჭოროხის აუზში მდებარეობდა. როგორც სამართლიანად მიუთითებენ, აქ მოხდა ქართველთა ეთნოგენეზი (ქურდიანი 2002: 57-86).

დავუბრუნდეთ ისევ ქართველთა განსახლების არეალს. თუ შევადარებთ ამ ტერიტორიულ ერთეულებს, აღმოვაჩინოთ, რომ თითქმის ყველა დასახელებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის ფიზიკური

გეოგრაფია ერთმანეთისაგან განსხვავებული იყო. განსხვავდებოდნენ ისინი ერთმანეთისაგან ზღვის დონიდან სიმაღლით, ღრმა და შედარებით არაღრმა ხეობებით, მთების დახრილობით, ტყის საფარით, სახენელი მიწის რაოდენობით, დაცულობის თვალსაზრისით, მზის რადიაციით. ასე რომ, ყველა ლოკალური ერთეულის ლანდშაფტი, ფაქტობრივად, განსხვავებული იყო. დავიწყით აღმოსავლეთიდან. კახეთისა და ქართლის ლანდშაფტი და ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო ყველაზე ნაკლებ თავდაცვის საშუალებებს ქმნიდა. ქართლსა და კახეთს თუ შევადარებთ ერთმანეთს, უფრო მეტად დაუცველი მეორე იყო (1753 წლის ერეკლე II-ის განჩინებაში კახეთის შესახებ ვკითხულობთ: „ჟამის შლილობისაგან და სოფლის მიმოკვეთებისაგან ურჯულოთა და წარმართთაგან ჩვენი ქვეყანა ბევრჯელ უშენ და ოხერ ყოფილიყო მეფის ალექსანდრეს აქეთ მეფე იმამყული ხანამდე“ (ქსმ 1972: 421). კახელები ხშირად შიდა ქართლს აფარებდნენ თავს. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნის ნიკოლოზ ალავერდელის წყალობის წიგნში ვკითხულობთ: „ოდეს ჟამთა ვითარებისაგან კახეთი ლეკთ დაიპყრეს, ჩვენ ქსნის ვეზზედ ქსნის ერისთავის მამულში დავიხიზნეთ და შენ, სახლთხუცესი ზარაპი თან გარდმომყევ... და სხვა ძმები წმინდის გიორგის ტაძარს არ მოშორდით... და უშჯულოთაგან მრავალი განსაცდელი მოითმინეთ (ქსმ 1970: 793). ქართლი, თავის მხრივ, ასევე განსხვავებული იყო - შიდა ქართლში უფრო მეტად იყო ტყიან ხეობებში თავშეფარების საშუალება, ვიდრე ქვემო ქართლში. ასევე განსხვავებული სურათი გვქონდა სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში - სანაპირო „ქვეყნებში“ ტაოსა და კოლა-არტანუში შემოსულ მტერს (აგრეთვე მიგრანტებს) გაბატონების უფრო მეტი საშუალება ჰქონდა; შავშეთის, კლარჯეთ-ლიგანის, აჭარის ვიწრო და ღრმა ხეობები ადგილობრივ მკვიდრთ თავდაცვის მეტ საშუალებას აძლევდა (ოდრხოს მცხეთოსის ძის წილი ტერიტორია „ტასისკართგან ვიდრე ზღუამდე სპერისა, ქვეყანა კლდოვანი“ - იყო). რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, ფაქტობრივად, ის ყველა მხრიდან ყველაზე მეტად მიუდგომელი იყო. ზემო იმერეთის ლანდშაფტი (უსწორმასწორო რელიეფი და ტყე), ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდიდა ქართლიდან და სამცხიდან მტრის შესვლას. ივანე ჯავახიშვილიც აღნიშნავდა, რომ იმერეთის მოსახლეობის მდგომარეობა სახარბიელო იყო და რომ ტყით დაბურვილობა ქართველებს მტერთან

<sup>1</sup> ქართლზე და მის დედაქალაქ მცხეთაზე გადიოდა ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის დამაკავშირებელი გზა. ცხვრის გზა თრიალეთ-ჯავახეთისაკენ დიღმის მინდვრიდან იწყებოდა და გაივლიდა მუხათგვერდის ტბას, ჭილიტბის სერს, ზემო დიდგორზე, მანგლისის ყელზე (შუბათსა და ბოტის შორის), კლდეკარს თრიალეთზე და აქედან ჯავახეთში. დიღმიდან მანგლისის დიდგორამდე ეს გზა სულ 13-15 კილომეტრის მომცველი იყო. ამის შესახებ ნიკო ბერძენიშვილი აღნიშნავდა: „ჯავახეთ-თრიალეთიდან ჭილი-ტბის სერით, კარსნის მთაზე მოდიოდა. ეს იყო ... ყველაზე მარჯვე და უმოკლესი გზა იბერიის დედაქალაქსა და მესხეთს შორის. ამავე მიმართულებას ჰგულისხმობს მირიან მეფის და ნინოს მიერ საბერძნეთიდან მოწვეული საეკლესიო მისიონის მარშრუტი: ერუშეთი, მანგლისი, მცხეთა (ბერძენიშვილი 1990: 212). რა თქმა უნდა, ეს გზა ჰქონდათ გავლილი მცხეთის მიდამოების სოფლების მკვიდრ მესაქონლეებს, რომლებიც წმიდა ნინოს ჯავახეთში შეხვდნენ.“



ბრძოლას უადვილებდა (ჯავახიშვილი 1941: 197-198). იმერეთის ეს მდგომარეობა კარგად აქვს შენიშნული (1818-1819 წლებში) ფრანგ მოგზაურს პოლ გიბალსაც: „...Густые леса и разрознность населения создавали условия ктому, что имеретинцы могли избежать чужеземного гнета“ (გიბალი 2017: 343). ქართლი და კახეთი კი, ამ მხრივ, შემოსული მტრისათვის ხელმისაწვდომი იყო, რაც ადგილობრივი მოსახლეობის ამოწყვეტას ან სხვაგან გადასვლას იწვევდა. დემოგრაფიულად გაპარტახებულ ქართლსა და კახეთს დასავლეთ საქართველოს ნამატი მოსახლეობა ავსებდა. ასეთი მიგრაციული მიმართულება ერთჯერადი აქტი არ ყოფილა, ის საქართველოს მთელი ისტორიისათვის იყო დამახასიათებელი. ხანდახან იმერეთიდან ქართლში გადასახლება მასობრივ ხასიათსაც კი იღებდა. მაგალითად, 1722-1738 წლებით დათარიღებულ ერთ-ერთ საბუთში აზნაური წერს: „ასე და ამა პირსა ზედან, რომე საქმე გამიჭირდა, რაც გლეხი მყვანდა, ყველა ქართლს წამივიდა“ (დოკუმენტები... 1940: 455). ზემოთ დასახელებულმა ფრანგმა მოგზაურმა ეს პროცესიც კარგად შეამჩნია: „Из Имеретии ежегодно выезжает много сельских жителей, чтобы обустроится в Картли и Кахети, и они там процветают. Те, кто успешно устраивается подобным образом, никогда обратно не возвращаются“ (გიბალი 2017: 360).

საქართველოს ლანდშაფტი და ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო, ფაქტობრივად, განსაკუთრებულ და განსხვავებულ სამეურნეო ფორმებს ჰქმნიდა. ჯერ კიდევ ივანე ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ არცერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს დამოუკიდებლად არსებობა არ შეეძლო - ისინი ამ მხრივ ერთმანეთს ავსებდნენ; რაც ჰქონდა ერთს, არ ჰქონდა მეორეს. ერთ მხარეს თუ საკმარისი რაოდენობით ჰქონდა სახნავ-სათესი მიწები, მეორეს ამის დეფიციტიც გააჩნდა, სხვაგან საკმარისზე მეტი რაოდენობით იყო საძოვრები და სათიბები. ურთიერთშემავსებლობა საქართველოსი და ქართველი ერის ისტორიის თანმდევი მოვლენა იყო. საამისოდ შეიძლება ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი გავიხსენოთ, რომელიც წმიდა ნინოს საქართველოში შემოსვლასთანაა დაკავშირებული - IV საუკუნის დასაწყისში, ჯავახეთში საზაფხულო საძოვრებზე დიდი რაოდენობით იყვნენ ქართლელი, მცხეთის ირგვლივ არსებული სოფლების მკვიდრი მწყემსები. ასე რომ, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებად დაყოფა და ამ მხარეების სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები ქართველი ხალხის კონსოლიდაციისათვის მტკიცე საფუძველს წარმოადგენდა.

რომელი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის ირგვლივ ხდებოდა სხვადასხვა ქართული მხარის კონსოლიდაცია? ამ კითხვაზე პასუხი რთული არაა; ეს იყო ქართლი. რატომ მაინცდამაინც ქართლი? რატომ მოისწრაფოდა მისკენ სხვადასხვა მეზობელი თუ არამეზობელი მხარის მოსახლეობა? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქართლის პრიმატს, მის გარშემო კონსოლიდაციას ქართველი ხალხის ენდოეთნონიმი - „ქართველი“ და ქართველთა განსახლების ტერიტორიისათვის, ქართველთა სახელმწიფოსათვის საერთო სახელწოდება - „საქართველოც“ ადასტურებს.

ქართლის პრიორიტეტულობას დანარჩენ მხარეებთან შედარებით ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი განაპირობებდა; ეს იყო მისი ცენტრალური მდებარეობა, ლანდშაფტი და ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო. ქართლი აკავშირებდა ერთმანეთთან აღმოსავლეთ (კახეთისა და მთის რეგიონები) და დასავლეთ საქართველოს - ქართლზე გადიოდა უმოკლესი გზები, რომლებიც სამხრეთ საქართველოსაკენ მიემართებოდა.<sup>1</sup>“

ქართლით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები; კახეთიდან და აღმოსავლეთ საქართველოს მთის რეგიონებიდან სამხრეთ საქართველოში სამეურნეო-ეკონომიკური მიზეზით მიმავალთ აუცილებლად ქართლი უნდა გაეველოთ. გარე სამუშაოზე კახეთსა და სამცხეში მიმავალ სვანებსაც ქართლი უნდა გაეველოთ (ენგურის სათავედან ჯერ გადადიოდნენ ცხენისწყლის ხეობის სათავეში, აქედან რიონის ხეობის სათავეში /დღევანდელი მთის რაჭა/, შემდეგ ლიახვის ხეობით შიდა ქართლში აღმოჩნდებოდნენ, ბოლოს - ქვემო ქართლში, თრიალეთსა და ჯავახეთში). სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთელი რიგი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები (შავშეთი, კლარჯეთი, ერუშეთი, აჭარა) სახვნელ-სათესი მიწის დეფიციტს განიცდიდა. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ 1818 წლის მონაცემები, ქართლში ერთ კომლს საშუალოდ 40 დღიური სახვნელი მიწა ჰქონდა (გლეხი მხოლოდ მის საკუთრებასა და მფლობელობაში არსებული მიწის ნახევარს ამუშავებდა, რადგან მეორე ნახევარს ასვენებდა). იმავე დროს ზემო იმერეთში მცირემიწიანობა იყო. სოფელ ბუინევში ცხოვრობდა 19 კომლი, რომელთაგან მხოლოდ ერთ ოჯახს გააჩნდა სამი დღიური სახნავ-სათესი, ორ-ორი დღიური სამ ოჯახს ჰქონდა, დღიურნახევარი - ორ ოჯახს, თითო დღიური - სამ ოჯახს, ნახევარი დღიური - ხუთ ოჯახს, მეოთხედი დღიური - სამ ოჯახს. სოფელ ხუნევში 19 კომლი მკვიდრობდა, რომელთაგან მაქსიმუმ 2 დღიურის მფლობელი მხოლოდ 10 კომლი იყო (სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. #544, გვ. 19, 87-88). ეს კი იწვევდა იმერელთა მუდმივ მიგრაციას ქართლისაკენ (და კახეთისკენაც). იმერლები ქართლში დროებითაც მიგრირდებოდნენ.

ქართლის სამეურნეო უპირატესობა სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებთან (დასავლეთ და სამხრეთ საქართველოსთან) კარგად აქვს შენიშნული ნიკო ბერძენიშვილს: „რას ნიშნავს, რომ პურეულის უძველესი ჯიშები დას. საქართველოში არის შერჩენილი, ხოლო მისი შემდგომი განვითარება იქ აღარ ჩანს და პურეულით მდიდარია საშუალო საუკუნეებში არა დასავლეთ საქართველო, არამედ აღმოსავლეთი. ეს იმას ნიშნავს, რომ პურეულის განვითარება იქ ზღვარდადებულია ბუნებრივი პირობებით, ექსტენსიურია, ხოლო ადამიანის შრომა საშუალო საუკუნეების ტექნიკის განვითარების პირობებში უძლურია რაიმე ეფექტი მოგვცეს ამ მიმართულებით, მაშინ როცა აღმ. საქართველოში ესევე შრომა შეუდარებლად უფრო დიდ ეფექტს იძლევა. პური დას. საქართველოში მხოლოდ ზეგნებშია და ისიც შეზღუდული ოდენობით,

ჭალები მისთვის სრულიად გამოუსადეგარია; ამავე დროს აღმოს. საქართველო უხვად აჯილდოვებდა მშრომელს იმავე საშუალო საუკუნეთა საწარმოო ტექნიკით შეიარაღებულს. რაც უფრო ექსტენსიური იყო სოფლის მეურნეობა, დას. საქართველოს მეურნეობითი შესაძლებლობანი, მისი ბუნების სიუხვე შეუდარებლად დიდი იყო, ხოლო რაც უფრო ინტენსიური ხდებოდა მეურნეობა, სულ უფრო აშკარა ხდებოდა აღმოსავლეთის უპირატესობა, სადაც ადამიანს შრომა გაუდიოდა. დას. საქართველოს ბუნება კი შეუდარებლად მეტ წინააღმდეგობას და ხშირად გადაულახავ წინააღმდეგობას უწევდა საშუალო საუკუნეების ადამიანს და ზღვარს უდებდა შემდგომ განვითარებას (შესანიშნავი მოწმობა ხანძთელიდან: ეს ქვეყანა გაუსაძლისიაო, მის წინააღმდეგ ბრძოლა არც ივარაუდება, კლარჯეთი მთიანია და მწირი, მაგრამ დიდი შრომით იქ უდაბნო სამოთხედ იქცევა...) (ბერძენიშვილი 1990: 249-250). შიდა ქართლს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი ახასიათებდა - ორგანზინადრობა. მაგალითად, მეჯუდასა და ლეხურას ხეობის მთიან ნაწილში მცხოვრებთ სახლი, ყანა, ბოსტანი, ბაღი და ვენახი ბარში, მეჯვრისხევიც ჰქონდათ (ნიშანდობლივია, რომ 1781 წლის აღწერაში მეჯვრისხევიც მკვიდრ ყველა ოჯახის უფროსს მიწერილი აქვს: ბიყრელი, ქოლოთელი, ჭალისუბნელი, წოლდელი, ჭურთელი, ისროლისხეველი, ბენდერელი, ივრეთელი, შველიეთელი, გავაზელი, სამეგურელი, წოლდელი... (ჯავახიშვილი 1967: 224-226). ე. ი. ოჯახს ჰქონდა ორი სახლი თავისი სამეურნეო კომპლექსებით: მთაში მესაქონლეობასა და მთურ მიწათმოქმედებას ეწეოდნენ და ბარში, სადაც ბარული მეურნეობის ყველა ფორმა არსებობდა. ბუნებრივია, მეურნეობის ასეთი ფორმა გაუყრელ, დიდ ოჯახად ცხოვრებას ითვალისწინებდა. შუა საუკუნეებში ორგანზინადრობა ძირითადად ერთი საფეოდალოს ფარგლებში ხდებოდა (მაგალითად, ზემოთ ჩამოთვლილი მთისა და მთისწინეთის სოფლები და ბარში მდებარე მეჯვრისხევი ქსნის საერისავოში შედიოდა). მეურნეობის ეს ფორმა, ცხოვრების ეს წესი მათ ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც შეინარჩუნეს, მთაში მცხოვრებმა გლეხებმა უკვე თავად დაიწყეს მიწების შეძენა (თოფჩიშვილი 2017: 27-28). ორგანზინადრობის ტრადიცია XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე გააჩნდა იმერეთის ხანისწყლის ხეობის მოსახლეობასაც სამცხეში, აგრეთვე ერწო-თიანელებს ახმეტასა და მის მიდამოებში (იქვე: 182). როდის უნდა წარმოქმნილიყო ორგანზინადრობა საქართველოში? - ჩვენი აზრით, ცხოვრების ეს წესი ქვეყნის დემოგრაფიული კრიზისის პარალელურად უნდა გაჩენილიყო; ეს დრო კი გვიანი შუა საუკუნეებია.

მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ მიგრაციას ორი მხარე აქვს. იყო კი იმისათვის მზად ქართლი, რომ იმერეთის (და სხვა მხარეების) მოსახლეობა მიეღო? ამ კითხვაზე დადებითი პასუხი არსებობს, რის მიზეზებზედაც ქვემოთ ვისაუბრებთ. მიგრაცია დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთის მიმართულებით საქართველოს ხანგრძლივი ისტორიისათვის თანმდევი მოვლენა იყო. მაგრამ ის მხოლოდ

მუდმივი გადასახლების სახით არხდებოდა. საქართველოს ისტორიისათვის დამახასიათებელი იყო დროებითი მიგრაციებიც, მხედველობაში გვაქვს გარესამუშაოზე სიარული. ქართლისა და კახეთისაკენ დროებით სამუშაოზე მოისწრაფოდა არა მხოლოდ იმერეთის, არამედ სხვა მხარეების მოსახლეობაც. განსაკუთრებით ამ თვალსაზრისით გამოირჩეოდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობა. სვანები საქართველოს მთელი ისტორიის განმავლობაში არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ბარის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში ჩამოდიოდნენ გარე სამუშაოზე, არამედ აღმოსავლეთსა (ქართლი, კახეთი) და სამხრეთ საქართველოშიც. იმერეთში ტერმინიც კი არსებობდა „ნაქართლი“, რომელიც ისეთ კაცს ეწოდებოდა, რომელიც ქართლში სამუშაოდ დაიარებოდა. იმერეთში, რაჭასთან ერთად, სავარცხლებსაც ამზადებდნენ, რასაც ქართლსა და თბილისში ჰყიდდნენ - ამას ეთნოლოგ ჯუანშერ სონღულაშვილის მიერ ქართლში ჩაწერილი ლექსიც მოწმობს: „გეტყობა იმერელი ხარ, // ზურგზე გკიდია გიდელი, // შიგ სავარცხლები გიწყვია, // ქალაქში გასაყიდელი“. ქართლსა და კახეთში იმერეთიდან სამუშაოდ მეჭურეებიც დადიოდნენ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ აღმოსავლეთ საქართველოში „თავ მაძკალს“, მკაში მოთავსეს, საუკეთესო მომკელს „თაბაგარი“ რქმევია - თაბაგარი ხომ ზემო იმერეთის მკვიდრი გვარია. ეს ფაქტორი კი, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ქართული ეთნიკური ერთობის კონსოლიდაციას და ქართველი ერის ჩამოყალიბებას. უფრო მეტი - სვანურად მეტყველთათვის ქართული ენაც მუდმივად სასაუბრო ენა იყო.

ასე რომ, ქართველთა განსახლების არეალის არც ერთი ტერიტორიული ერთეული კარჩაკეტილი არ ყოფილა, მათ შორის, მთიანეთიც. გეოგრაფიულ-ბუნებრივი გარემო და ლანდშაფტი ამ მხარეებს ამის საშუალებას არ აძლევდა. ამაზე ყურადღება ნიკო ბერძენიშვილმა გაამახვილა: „კარჩაკეტილი“ სვანეთი გაუგებრობაა. რა ჰქონდა სვანებს კარჩასაკეტი. ისინი ხომ ყოველთვის ბარზე იყვნენ დამოკიდებული. მათი მეურნეობა (მესაქონლეობა) სწორედ ამ ურთიერთობის ინტენსიურობას მოითხოვდა. არა მარტო მოსახლეობის ნამატი იძულებული იყო ბარად ჩასულიყო და იქ დაჯდომა ეცადა, მთაში დარჩენილიც კი იძულებული იყო ბართან კავშირი არ შეეწყვიტა და ბართან თავი ერჩინა. ამის შედეგია, რომ ბარელები სვანში მიწის მუშას, არხების ოსტატებს ჰგულისხმობენ... მთა, მართალია, ბარელისათვის მიუდგომელი და „ჩაკეტილი“ იყო, მაგრამ მთისათვის ბარი არასოდეს ჩაკეტილი არ ყოფილა...“ (ბერძენიშვილი 1990: 427). მეცნიერის ნათქვამს მხოლოდ ერთს დავსძენთ - მისი ნათქვამი საქართველოს მთიანეთის ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეზე ვრცელდება. მთიელებისთვისაც ბარი, და პირველ რიგში ქართლი, გამაერთიანებელი იყო. მთიელთა ასეთი სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები გარკვეული წინაპირობა იყო ბარში ჩამოსახლებისა.

საქართველოს სხვადასხვა მხარეთა მოსახლეობის ქართლისაკენ მიგრაცია რომ ისტორიის სიღრმეში წარმოქმნილი და მუდმივი მოვლენა

იყო, ამას ქართული საისტორიო წყაროებიც ადასტურებს. აზო მცხეთაში მოდის (თუ მოჰყავთ) მოსახლეობის გარკვეულ ნაწილთან ერთად „არიან-ქართლიდან“ ანუ, უფრო რომ დავაკონკრეტოთ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან, კლარჯეთიდან. ვისაც შავშეთ-კლარჯეთის ლანდშაფტი უნახავს, მისთვის ეს ცხადი იქნება, რადგან იქ მიწათმოქმედებისათვის ვარგისი სახნავ-სათესი მიწების რაოდენობა უაღრესად შეზღუდულია. უფრო ადრეც, აზომდეც ხდებოდა ეს მიგრაციები სამხრეთ საქართველოდან. ამის დამადასტურებელი კი ტოპონიმი მცხეთაა, რომელსაც საფუძველი მიგრირებულმა სამცხელებმა ჩაუყარეს (სხვათა შორის, ტოპონიმი მცხეთა დასავლეთ საქართველოშიცაა, კერძოდ, ლეჩხუმში). ახლა ისიც გავიხსენოთ, ვინ იბრძოდა და იღვწოდა საქართველოს გასაერთიანებლად, ქართლი თუ განაპირა ტერიტორიული ერთეულები? რატომ შემოდის ეგრისის მმართველი ქუჯი ფარნავაზთან კავშირში „ყოველი ქართლის“ სამეფოს შემადგენლობაში? (ქუჯი ფარნავაზს მიმართავს: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა, და შენ გმართებს უფლობა ჩემი“), რატომ იბრძვიან ქართველთა ერთ სახელმწიფოში გასაერთიანებლად ტაო-კლარჯეთის ქართველთა სამეფო და აფხაზეთის დასავლეთ ქართული სამეფო? რატომაა ამ დროს განზე გამდგარი კახეთის სამეფო და რატომ არა აქვთ ინტერესი ქართლის მმართველთა ქართული მხარეების გასაერთიანებლად და ერთ სახელმწიფოში ცხოვრებისაკენ? პასუხი მარტივია - დასავლეთ საქართველოსა და სამხრეთ საქართველოს მმართველ ფეოდალებს ქართლის ნაყოფიერი მიწების ხელში ჩაგდების სურვილი ამოძრავებთ; მათ სამიწათმოქმედო მეურნეობის ფართოდ განვითარების საშუალებას ლანდშაფტი და კლიმატი არ აძლევდა (საამისოდ ბაღვშ-ორბელთა, თმოგველთა, თორელ-ჯავახიშვილთა, ქაშიბაძე-ბარათაშვილების, ფანასკერტელ-ციციშვილთა, შალიკაშვილთა ისტორიის გახსენებაც საკმარისი იქნება). კახეთს/ჰერეთ-კახეთს კი მარცვლელული კულტურებისათვის საჭირო სახნავ-სათესი მიწები საკმარისზე მეტი რაოდენობით ჰქონდა და ამიტომაც საქართველოს გაერთიანებისათვის მისი მესვეურნი თავს არ იწუხებდნენ.

ქართველთა კონსოლიდაციიდან მთის გამოთიშვაც შეუძლებელია. ზემოთ სვანების შესახებ უკვე აღვნიშნეთ. ანალოგიურად გარე სამუშაოზე გასვლა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მიმართულებით რაჭველებისა და ლეჩხუმლებისათვისაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამ პროცესში ჩართული იყვნენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებიც. ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთ ფაქტს გავიხსენებ. ესაა 1659 წლის ბახტრიონის აჯანყება. მტერთა ქმედებებით კახეთის მოსახლეობა ამ დროს უკვე დემოგრაფიული თვალსაზრისით დიდ კრიზისს განიცდიდა (მოსახლეობის ბრძოლაში გაწყვეტა, მწარმოებელი მოსახლეობის დიდი რაოდენობით აყრა და სპარსეთში გადასახლება). თითქოს დანარჩენ კახეთსაც აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ბედი უნდა გაეზიარებინა, მაგრამ მხსნელად კახეთს მთის მოსახლეობა მოევლინა. რამ აიძულა

მთიელები ბახტრიონის აჯანყების მონაწილენი გამხდარიყვნენ და ფაქტობრივად კახეთისათვის ქართული ეთნიკურობა შეენარჩუნებინათ? იმ სამეურნეო-ეკონომიკურმა კავშირებმა, რომელიც მთასა და ბარს შორის არსებობდა, რაშიც სახელმწიფოს ჩართულობა საკმაოდ დიდი იყო. მთიელები კარგავდნენ საარსებო საშუალებას - ბარის საზამთრო საძოვრებს. საზამთრო საძოვრების გარეშე კი ადგილობრივი მთური სამეურნეო საშუალებებით არსებობა შეუძლებელი იყო. ამას ემატება ის ვენახები, რომლებიც მთიელებს და მათ ჯვარ-ხატ-სალოცავებს სახელმწიფოს მიერ ჰქონდათ ბოძებული. თუ გადავხედავთ კახეთის მოსახლეობას, აღმოვაჩენთ, რომ აქ ადგილობრივი ძველი კახური მოსახლეობის შთამომავალნი მცირე რაოდენობით არიან. კახეთში თავმოყრილია საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის მოსახლეობა, განსაკუთრებით, მთიელები და დასავლეთ საქართველოდან მიგრირებულები. XVIII საუკუნის საისტორიო საბუთები კახეთში ქართლიდან მოსახლეობის მიგრაციაზე თვალყურის გადევნების საშუალებასაც იძლევა (მაგალითად, 1771 წლის არზით ირკვევა, რომ მეჯუდას ხეობის მოსახლეობა მეჯვრისხევის ზემოთ თითქმის მთლიანად აყრილა) (ქსმ 1981: 18, 27, 42, 43, 49, 59, 61, 103, 123, 191, 225, 339, 486, 614, 644, 726, 781. 806...). იმ დროს ქართლს ხომ თავად ჰქონდა დემოგრაფიული პრობლემა, რაღაზე მიგრირდებოდნენ ისინი კახეთში? მიზეზი მრავალია; ეს იყო ყიზილბაშობა და ოსმალობა, აგრეთვე ლეკიანობას დამატებული ოსიანობა (ფრონეების ხეობის ქართველთაგან დაცლის მიზეზი სწორედ რომ ოსიანობა იყო). მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ისიც, რომ მცენარის ვეგეტაცია კახეთში საკმაოდ ადრე იწყება, ვიდრე შიდა ქართლში. მაგრამ კვლავ კითხვა ისმის - ანალოგიური დემოგრაფიული ფაქტი მხოლოდ გვიან შუა საუკუნეებში მოხდა? - ეს პროცესი მოსახლეობის მიგრაციისა მუდმივად მიმდინარეობდა. კითხვა გაჩნდება - როგორ ურიგდებოდა ქართლის ფეოდალური საზოგადოება ყმა-გლეხების სხვა მხარეში გადასახლებას? აღნიშნული საბუთების სიმრავლე სწორედ იმ ფაქტით არის განპირობებული, რომ თავადაზნაურობა კახეთში გადასახლებულებს ეძებდა. როგორც ირკვევა, კახეთის მოსახლეობა ქართლიდან გადასახლებულ-გადახვეწილებს იცავდა. ამის დამადასტურებელი ფრიად საყურადღებო ფაქტია აღწერილი 1788 წლის არზაში: „... საქართველოს პატრიარქის ჭირი მოსცეს მათს მონას ციციშვილს ზაზას. ამას მოვახსენებთ, რომ ერთი კომბლი კაცი მყვანდა, წავკისიდან ამეყარა, ხაშმზედა ჩავიდა. აგერ ერთი კვირეა ჩავედი მე, ხაშმელებმა ხიზანი საყდარში შეიყვანეს და კაცები იარადით წვერზედ აგზავნეს, იქაური ღვდლები ქომაგად ყავსთ იმ ჩემს კაცებს“ (დოკუმენტები... 1953: 143). მოყვანილი დოკუმენტი იმასაც ადასტურებს რომ ქართლის თავადაზნაურობა გვიან შუა საუკუნეებში მწარმოებლის, ყმა-გლეხის კრიზისის განიცდიდა - ქართლში სერიოზული დემოგრაფიული პრობლემა იყო, მიუხედავად იმისა, რომ აქ დასავლეთ საქართველოდან ინტენსიური მიგრაციული პროცესი მიმდინარეობდა.

კახეთის მსგავსი ანალოგიური ვითარება იყო ქართლშიც. ამ პროცესს შიდა ქართლსა და ქვემო ქართლში სხვადასხვაგვარად უნდა შევხედოთ. ქვემო ქართლის სამხრეთ საზღვართან არსებობამ და განსხვავებულმა ლანდშაფტმა ფაქტობრივად განსაზღვრა მისი ბედი. ძველი ქართული მოსახლეობა აქ შედარებით მცირე რაოდენობით შემორჩა, ბევრი კი სომხურ-გრიგორიანული კონფესიის მიმდევარი გახდა. სასაზღვრო ზოლთან სიახლოვე და ლანდშაფტი აქ ქართული მოსახლეობის ბუნებრივ აღწარმოებას ფაქტობრივად ხელს უშლიდა. ადგილობრივ მოსახლეობას ქვემო ქართლში ღრმა და ტყიანი ხეობების არარსებობის გამო თავის შეფარების ისეთი საშუალება არ ჰქონდა, როგორც შიდა ქართლში. აგრეთვე ქვემო ქართლის ლანდშაფტი ნახევრად მომთაბარე თურქულენოვან მოსახლეობას უფრო იზიდავდა, ვიდრე შიდა ქართლი. რაც შეეხება შიდა ქართლს, აქ ძველი ისტორიიდან დაწყებული მიგრაციული პროცესები არ შეწყვეტილა. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ აქაც ადგილობრივი ძველი ქართლები უმნიშვნელო რაოდენობით არიან შემორჩენილი. ისევე როგორც კახეთი, შიდა ქართლიც შიდა მიგრაციულმა პროცესებმა იხსნა. შიდა ქართლში ეს მიგრაციული ტალღები სხვადასხვა მიმართულებისა იყო. აქ მიგრირდებოდნენ არა მხოლოდ მთიელები და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა, არამედ მტერს გამორიდებული სამხრეთ საქართველოს მოსახლეობაც. ამ თვალსაზრისით საქართველოს ეს ცენტრალური ტერიტორიული ერთეული შეიძლება პირობითად ორ ნაწილად დავყოთ: გორიდან აღმოსავლეთით ძირითადად საქართველოს მთიდან ჩამოსახლებულთა შთამომავლები სჭარბობენ, გორიდან დასავლეთით კი - დასავლეთ საქართველოდან გადმოსახლებულთა შთამომავლები. თუმცა ქართლში დიდი რაოდენობითაა ჯავახეთიდან მიგრირებულთა შთამომავლებიც (ჯავახეთი როგორც ქვემო ქართლთან, ისე შიდა ქართლთან მოკლე გზებით იყო დაკავშირებული). დასავლეთ საქართველოდან ქართლში მოსახლეობის უწყვეტი მიგრაციის დასადასტურებლად შეიძლება დავიმოწმოთ 1715 წლის რუისის სამწყსოს დავთარი. დავთარში შეტანილია ძირითადად დღევანდელი ხაშურისა და ქარელის რაიონების სოფლები, აგრეთვე ფრონეების ხეობა, რომელიც საბჭოთა პერიოდის ზნაურის რაიონს მოიცავდა. ირკვევა, რომ შიდა ქართლის რუისის სამწყსოში შემავალი მოსახლეობა XVIII საუკუნის დასაწყისში ძირითადად დასავლეთ საქართველოდან იყო მიგრირებული. მაგრამ სულ რაღაც ერთი საუკუნის შემდეგ, XVIII საუკუნის დასაწყისში, დავთარში მოხსენიებული გვარები აღნიშნულ სოფლებში უკვე აღარ მოსახლეობდნენ (მხოლოდ თითო-ორი გვარი იყო შემორჩენილი, ისიც უმნიშვნელო რაოდენობით). სოფელთა ნაწილი ნასოფლარად იქცა, ნაწილში კი უკვე ახალი მიგრანტები მოსახლეობდნენ, რომლებიც ასევე დასავლეთ საქართველოდან იყვნენ მიგრირებული.

დასავლეთ საქართველოსაგან განსხვავებით, ქართლში (და კახეთშიც) მოსახლეობა რომ ხშირად იცვლებოდა, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ

ყველაზე დიდი 40 ქართული გვარი დასავლურქართულია (თოფჩიშვილი 2010:2 44). რამ გამოიწვია მოსახლეობის ცვლა? - საგარეო ფაქტორმა: ოსმალობამ, ყიზილბაშობამ და განსაკუთრებით ლეკიანობამ. საგარეო ფაქტორი (ოსმალეთის იმპერიასთან საზღვარი) ხელს უშლიდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის მიგრაციას თორის მხარეში. რუსეთის მიერ ახალციხის შემოერთებამ თორის პრომლემაგ გადაწყვიტა. იმერეთისა და სხვა მხარეების მოსახლეობამ ინტენსიური დასახლკარება დაიწყო ბორჯომის ხეობაში. ასე რომ, დასავლეთ საქართველო და საქართველოს მთიანეთი მუდმივად ამარაგებდა ქართლს მოსახლეობით. საქართველოს მხარეები ერთმანეთს ავსებდნენ. თავდაპირველად ქართლისაკენ სწრაფვას ეკონომიკური ფაქტორები განაპირობებდა, შემდეგ მიგრაციას ქართლში ხელს უწყობდა საგარეო ფაქტორი, კატასტროფული დემოგრაფიული ვითარება. შეიძლება ითქვას, რომ ქართლი გადაარჩინეს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მხარეებმა, ამ მხარეების ნამატმა მოსახლეობამ, იმ მხარეებმა, სადაც მტერი ბუნებრივ-გეოგრაფიული ფაქტორების გამო საერთოდ ვერ შედიოდა.

კითხვა ისმის: შიდა ქართლისა და კახეთის მიმართულებით მთიელთა და დასავლეთ ქართველთა გადმოსახლებანი მხოლოდ ერთჯერადად მოხდა, თუ ის მუდმივი პროცესი იყო? ასეთი მიგრაციული პროცესები არ შეწყვეტილა საქართველოს მთელი ისტორიის განმავლობაში - ქართლი, კახეთთან ერთად, გადაარჩინა იმ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მოსახლეობამ, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში კონცენტრირდებოდნენ ცენტრალური პროვინციის გარშემო, რომლის ლანდშაფტი და სახვნელ-სათესი მიწის დიდი ფართობები იზიდავდა თითქმის ყველა ქართველს და, შეიძლება ითქვას, ყველა კლასის წარმომადგენელს (როგორც გლეხს, ისე ფეოდალს). ქართლის ამ როლს განსაზღვრავდა შემდეგი მიზეზები: ცენტრალური მდებარეობა, სავარგული მიწები, მოკლე დამაკავშირებელი გზები, რომლებიც მიემართებოდა კახეთისაკენ, დასავლეთ საქართველოსაკენ და სამხრეთ საქართველოსაკენ. ქართლის ბარზე და მთიანეთზე გადიოდა ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი გზაც.

კიდევ ერთი კითხვა გაჩნდება: რატომ ვერ უზრუნველყო ზემოთ დასახელებულმა მოსახლეობამ ქვემო ქართლის, კახეთის აღმოსავლეთ ნაწილის დასახლება-ათვისება, ანდა რატომ შემოვიდა დაცარიელებულ ადგილებზე უცხო ეთნიკური ერთობა, მაგალითად, როგორებიც ოსები არიან? სანაპირო „ქვეყნები“ ამ მხრივ ნაკლებად მიმზიდველი იყო - მტერი პირველად აქ შემოდიოდა და მწარმოებელს თავის შეფარების ნაკლები საშუალება ჰქონდა. რატომ ვეღარ მოევლინა მშველელად დასავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა? დადგა დრო და დასავლეთ საქართველომ, უფრო სწორად, იმერეთმა და რაჭამ ეს მისია ვეღარ შეასრულა და „მშველელის“ როლში სხვა, უცხო ეთნოსი მოგვევლინა. ესენი ოსები იყვნენ, რომლებმაც ჯერ დვალეთი და შიდა ქართლის მთიანეთი დაიკავეს, მოგვიანებით კი აქედან ბარის



სოფლებშიც მნიშვნელოვანი რაოდენობით დასახლდნენ. რატომ მიეცათ ოსებს თავისუფლად დასახლების შესაძლებლობა? თუ ვახუშტი ბაგრატიონს გავიხსენებთ, ის ოსთა მიერ შიდა ქართლის მთიანეთის დაკავებას იმას მიაწერს, რომ ეს უკანასკნელი გეოგრაფიული ერთეული ადგილობრივი ქართული მოსახლეობის მიერ ერთჯერადად მიტოვებულ იქნა და ოსებს აქ ნასოფლარებზე დასახლება უხდებოდათ: „ხოლო რაოდენნი ოსნი დავსწერეთ ამ ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათთგან გარდმოსახლებულან ოსნი, და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაჲთგან მტერთაგან ბარს შინა კაცნი შემცირებულან“ (ქც 1973: 363-364).

ამკარაა, რომ შიდა ქართლის ბარში დემოგრაფიული თვალსაზრისით იმდენად კრიტიკული ვითარება შეიქმნა, რომ ქართველი ფეოდალები იძულებული იყვნენ შიდა ქართლის მთასა და დვალეთში მცხოვრები თავიანთი ყმები ჯგუფურად და ერთდროულად ბარში ჩამოსახლებინათ. კითხვა ჩნდება: რატომ აყარეს შიდა ქართლის მთიელები სახელმწიფომ და თავად-აზნაურობამ? რატომ აღარ იქნა გამოყენებული მეორე რეზერვი, რომელიც დასავლეთ საქართველოდან მოემართებოდა, საიდანაც მუდმივად ხდებოდა ბუნებრივი ნამატის აღმოსავლეთ საქართველოს ბარის რეგიონებში გადასახლება? რატომ ვეღარ მიეშველა დასავლეთ საქართველო (განსაკუთრებით იმერეთი, რაჭა) მთას?

მიზეზი საგარეო ფაქტორი იყო. ცნობილია, რომ ქართველ ერს აუნაზღაურებელი დანაკლისი მიაყენა თემურ-ლენგის შემოსევებმა (1386-1403 წწ.). მერვე ლაშქრობის დროს (1403 წ.) თემურ-ლენგმა იმერეთსა და რაჭაშიც მოახერხა შესვლა და, სპარსელი მემკვიდრის აღნიშვნით, დაახლოებით შვიდასი დაბა, ყანა და მონასტერი იქნა დარბეული და გამარცხული“. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, იმერეთმა და რაჭამ მოსახლეობის დიდი დანაკლისი განიცადა. ასე რომ, კარგა ხნის განმავლობაში დასავლეთ საქართველოს აღნიშნულმა მხარეებმა აღმოსავლეთ საქართველოს ბარის მოსახლეობით მომარაგება ვეღარ შეძლო, რამაც გამოიწვია დვალეთიდან და შიდა ქართლის მთიანეთიდან ბარში მოსახლეობის ერთდროული ჯგუფური გადასახლება. ამ ფაქტმა კი, თავის მხრივ, ხელ-ფეხი გაუხსნა ჩრდილოეთიდან შემოსულ ოსურ ეთნიკურ ერთობას, რომელსაც მიგრაციისას ფაქტობრივად წინააღმდეგობა აღარ ხვდებოდა. აღნიშნული დემოგრაფიული ვითარების შექმნაში დიდი როლი 1348 წლის ეპიდემიამაც ითამაშა, რომელიც „დიდი სიკვდილობა“-ს სახელითაა ცნობილი.

ცნობილია, რომ ყველა ეთნოსს მისთვის დამახასიათებელი ეთნიკური სტრუქტურა გააჩნია. ორიგინალური ეთნიკური სტრუქტურის მატარებელი იყო ქართული ეთნოსიც - საკუთრივ ქართულ დიალექტებზე მოლაპარაკე ტერიტორიულ ერთეულებს გარდა, მასში მეგრულად და სვანურად მეტყველი ტერიტორიულ-ლოკალური ერთეულებიც შედიოდნენ და შედიან. ქართულ ეთნოსს აერთიანებს ქართული სამწიგნობრო ენა. ქართული ეთნოსის ამ სტრუქტურის შექმნაც გეოგრაფიულმა ფაქტორმა

განაპირობა. სამეგრელოსა და სვანეთის მოსახლეობას ადგილობრივი ლანდშაფტი აიძულებდა მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობა ჰქონოდა საქართველოს დანარჩენ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებთან. ამ განაპირობა მხარეების მოსახლეობა მუდმივად მიისწრაფოდა საქართველოს ცენტრალური მხარისაკენ - ქართლისაკენ. აქ სახვნელი მიწისა და სამოვარ-სათიბების დიდი რაოდენობა იყო. ქართლის ცენტრალურმა მდებარეობამ და ლანდშაფტმა განაპირობა ქართლური დიალექტის ყველა ქართველის სალიტერატურო ენად გადაქცევა. ქართლის ტერიტორია მეგრულად და სვანურად მეტყველთა განსახლების არეალი რომ ყოფილიყო, ქართული ეთნოსის სალიტერატურო, სახელმწიფო და საღვთისმეტყველო ენა ან მეგრული იქნებოდა, ან სვანური. ასე რომ, ქართველთა ეთნიკური სტრუქტურა გეოგრაფიული გარემოს შექმნილია - მის სტრუქტურულ ერთეულებს ერთმანეთის გარეშე არსებობა არ შეეძლოთ, გეოგრაფია მათ ეკონომიკურ მიზიდულობას განაპირობებდა. ეს კი ეთნიკური კონსოლიდაციის საფუძველი იყო (თოფჩიშვილი 2018: 100).

ამრიგად, ქართლი იყო ქართველთა შემკრები და გამაერთიანებელი, რასაც განსაზღვრავდა ბუნებრივ-გეოგრაფიული, ლანდშაფტური ფაქტორები, რაზედაც, თავის მხრივ, დამოკიდებული იყო თოთოეული მხარის და საერთოდ ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური განვითარება. ამავე ფაქტორმა განაპირობა ქართული ეთნიკური ერთეულის ერთად (ნაციად) ჩამოყალიბება, ქართული სალიტერატურო და საღვთისმეტყველო ენის ფორმირება, დედაქალაქის ქართლში არსებობა. ქართლის (აგრეთვე კახეთის) ეთნიკური გადარჩენაც მის ირგვლივ (ახლოს და შედარებით დაშორებულმა) მდებარე მხარეებმა მოახდინეს.

#### დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები

- ბერძენიშვილი 1990: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები. თბილისი, 1990.
- გიბალი 2017 - Обзорение Крыма, Новороссии и Кавказа в дневнике путешествия из Одессы в Тифлис Поля Гибалия, 1818-1819, Москва, 2017.
- დოკუმენტები... 1940: დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I. თბილისი, 1940.
- დოკუმენტები... 1953: დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II. თბილისი, 1953.
- თოფჩიშვილი 2010: თოფჩიშვილი რ., სახელების ეთნოლოგია და ისტორია. თბილისი, 2010.
- თოფჩიშვილი 2017: თოფჩიშვილი რ., საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები. თბილისი, 2017.
- თოფჩიშვილი 2018: თოფჩიშვილი რ., გეოგრაფიული გარემო და კავკასიელთა ეთნიკური კულტურა. თბილისი, 2018.

- 
- ქც 1955: ქართლის ცხოვრება, ტ. I. თბილისი, 1955.
- ქც 1973: ქართლის ცხოვრება, ტ. IV. თბილისი, 1973.
- ქსმ 1972: ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III. თბილისი, 1972.
- ქსმ 1981: ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII. თბილისი, 1981.
- ქურდიანი 2002: ქურდიანი მ., ქართველთა პირველსაცხოვრისი ენობრივი მონაცემების მიხედვით და საერთო-ქართველური ეთნოსის ტომობრივი შემადგენლობა. ქართველი ხალხის ეთნოგენეზი. თბილისი, 2002.
- ჯავახიშვილი 1941: ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III. თბილისი, 1941.
- ჯავახიშვილი 1967: ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, I. თბილისი, 1967.
- სცსსა: საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე №544.

**საქალაქო ცხოვრების განვითარება  
გვიან შუა საუკუნეების ქალაქ გორში**

**Development of City life in Gori late middle ages**

**რუსუდან კაშია**

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის  
საჯარო ბიბლიოთეკა  
საქართველო, ქუთაისი

**Rusudan Kashia**

Kutaisi Iliia Chavchavadze public Library  
Kutaisi, Georgia

**ABSTRACT**

For the development of monetary relations favorable conditions were formed in XVIII century Georgia. Economic stability was fostered by a politically stable environment. The revival of city life has significantly affected the city. Gori too. Historical documents confirm the abundance of trade-workshops and merchants in Gori.

The „Julabashvili Book“ provides significant material for getting acquainted with the foreign-economic relations of Georgia of this period. According to the book (income-expenditure book), the area of activity of Gori merchants - Gogia, Baghdasar, and Papuna Julabashvili - seems to be quite wide. They were engaged in taking and giving in Iran: Isfahan, Tabriz, Gillan, Mashat (Mehmed), Rasht; All over the Caucasus: Shemakha, Darubandi, Kizlar. The Julabashvilis are actively trading in Turkey, in particular in K. In Istanbul; After the opening of Dariali Road in the Russian city of Astrakhan.

The Julabashvilis often conduct trading operations with „bets“ and „comrades“ of the XVIII century. Fig. II Review of the documents gives us grounds to say that not a single partnership was associated with such a well-known businessman and waiter of that period as Secretary Manuchar Tumanishvili.

The National Center of Manuscripts preserves the letters of Baghdasar and Gogia Julabashvili, business reports, written to the secretary Manuchar.

The documentary material gives a clear picture of the internal market relations of the country, and from this point of view, the role of Georgian feudal cities is obvious. Although Georgia is divided into kingdoms and is under the influence of Iran

and Turkey, in the late Middle Ages trade ties between the various corners intensified significantly and laid the foundation for the formation of a common national market. The Kingdom of Kartl-Kakheti protected trade between western and eastern Georgia. During the period under consideration, according to the royal customs tariff, no duty was levied on goods imported from Imereti and Russia (N. Koiava, 1954, p. 338).

Historical documents mention the Kingdom of Kartli in the XVIII century. Gori Commodity-Monetary Relations with Neighboring Kingdoms, Experience in Trade and Foreign Trade, Role of the Kingdom of Kartli in Creating a Unified Georgian National Market.

საკვანძო სიტყვები: ხელოსნობა, ვაჭრობა, ჯულაბაშვილები, წიგნი, სავაჭრო პარტნიორობა, ბაზარი, საქონელი, ვაჭრობა ირანთან.

Keywords: handicrafts, trade, Julabashvilis, book, trade partnerships, market, goods, trade with Iran.

გვიან შუა საუკუნეების ქართლში საქალაქო ცხოვრების განვითარებით ქალაქ გორს თბილისის შემდეგ მეორე ადგილი ეკავა. გორში მუშაობდნენ სხვადასხვა დარგის ხელოსნები: მეწაღეები, მკერავები, მჩითავები, ფეიქრები, მღებავები, ოქრომჭედლები, ხუროები და სხვ. საქალაქო ურთიერთობების განვითარებაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ სოფლებიდან გლეხები გორში ჩადიოდნენ, ქირით ცხოვრობდნენ და ხელობაზე მუშაობდნენ (მეგრელაძე 1963: 206).

გორის, როგორც ქალაქისა და სავაჭრო პუნქტის, განვითარებას ხელს უწყობდა მისი გეოგრაფიული მდებარეობაც. თუ, ერთის მხრივ, გორი თბილისს უკავშირდებოდა, მეორე მხრივ, გორიდან დასავლეთ საქართველოში ორი გზა გადიოდა. ცხინვალის გავლით გორიდან გზა ჩრდილოეთ კავკასიაში მიდიოდა. გორი დაკავშირებული იყო სამხრეთ საქართველოსთანაც კლდეკარის გადასასვლელითა და თემის ხეობით (იქვე: 208).

XVIII საუკუნის საქართველოში შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ფულად-სასაქონლო ურთიერთობების განვითარებისათვის. ეკონომიკურ სტაბილურობას ხელი შეუწყო პოლიტიკურად შედარებით მდგრადმა გარემომ. საქალაქო ცხოვრების განვითარებაში დიდი როლი შეასრულა ვახტანგ VI-ის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა: „დასტურლამალი“ აწესრიგებს საქალაქო ცხოვრებას, „საკუთრების ქალაქური წესის“ შემოღებით მეფემ მნიშვნელოვანი უპირატესობანი მიანიჭა მოქალაქეებს.

XVIII საუკუნის შუახანებში „ოსმალობა-ყიზილბაშობამ“ ქართლსა და კახეთში საქალაქო ცხოვრების სტაგნაცია გამოიწვია. XVIII საუკუნის II ნახევარში ქვეყნის ეკონომიკური გამოცოცხლების საფუძველი გახდა დასავლეთ საქართველოში სოლომონ I-ის აქტიური სახელმწიფოებრივი

მოღვაწეობა, ქართლ-კახეთში თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის ერთობლივი გონივრული მმართველობა, რამაც ხელსაყრელი პირობები შექმნა სასაქონლო წარმოებისა და სოციალ-ეკონომიკური წინსვლისათვის. 1770 წელს ერეკლეს ბრძანებით აღდგა ვახტანგ VI-ის მიერ დაკანონებული „განწესებანი“; სამეფო ხელისუფლება აქტიურად ჩაერია ხელოსნურ ორგანიზაციათა, ასევე ქალაქის სამართლის მოწესრიგებაში. ხელახლა განისაზღვრა ქალაქის მოხელეების უფლებები. XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში ერეკლე II-მ დააწესა ქალაქების: თბილისის, გორის, ატენის, ახალდაბის, ალისა და ცხინვალის მოურავების სარგო და უფლება-მოვალეობანი. 1784 წელს საგანგებო ბრძანებით აიკრძალა თბილისიდან და გორიდან მოსახლეობის აყრა და სხვაგან გადასვლა.

ისტორიული დოკუმენტებით დასტურდება გორში სავაჭრო-სახელოსნოების, ვაჭართა სიმრავლე. ჩვენი ქვეყნისათვის უმძიმეს XVII საუკუნეში, როცა ძნელია ისაუბრო საქალაქო, საბაზრო ურთიერთობების განვითარებაზე, ქალაქ გორში ცხოვრობდნენ საგვარეულოები, რომლებიც ვაჭრობა-ხელოსნობით იყვნენ დაკავებულნი. მოსაზრებას გამოვთქვამთ ისტორიულ საბუთებზე დაყრდნობით; 1683 წლითაა დათარიღებული გიორგი მეფის წყალობა დავით ქსნის ერისთავისადმი: „გიბოძეთ მამა პაპათ ნაქონი გორელივაჭრები: როსტომაშვილები, ალიხანაშვილები, გოგინაშვილები, შიხინაშვილები, გივინასშვილები, ზირაქაშვილები, ჭურიკაშვილები, ესეები თავის მამულითა, რითაც მქონებელი იყოს დღეს“ – ვკითხულობთ საბუთში (ხეც Hდ-2342).

XVIII საუკუნის II ნახევარში საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლება საგრძნობლად დაეტყო ქ. გორსაც. მაგალითისათვის მოვიყვანოთ რამდენიმე საბუთს: 1789 წლით თარიღდება განჩინება გორელ ვაჭარ ზურაბასა და მისი ბიძაშვილის აფრასიონის გაყრის თაობაზე; გაიყვეს სახლები და კუთვნილი ხუთი დუქანი (დოლიძე 1974, №267). 1791 წელსაა დაწერილი არზა დარეჯან დედოფლისადმი, გორელი თამაზა ამირადაშვილისა, რომელსაც ბიძაშვილი და ბიცოლა ედავება დუქნებს. დარეჯან დედოფალი უბრძანებს ოთარ ამილახვარს გორის მოხელეების დასწრებით გაარკვიონ საქმე (დოლიძე 1985).

XVIII საუკუნის II ნახევარში გორის მოურავობა ამილახვართა გვარის სამოხელეო მემკვიდრეობით თანამდებობას წარმოადგენდა. გორის მოურავის სარგო „დასტურლამალით“ იყო განწესებული. ნიხრს მოურავი უმთავრესად ქალაქში შემოტანილ პროდუქტზე აწესებდა (მესხია 1983: 402).

1765 წლით თარიღდება ერეკლეს ბრძანება გორის ბაჟის ათისთავის შესახებ: „ჩვენი ბრძანება არის, მერმე როგორც ძველადგან გორულის ბაჟის სარგო ამილახვორს ქონოდეს, ახლაც უნდა მიეცეს“ – ვკითხულობთ საბუთში (ხეც Hდ-13794).

მეფისა და მისი ოჯახის წევრების შემდეგ, ფეოდალურ ქალაქებში, სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობათა შედარებით ძლიერი მფლობელები

ეკლესია-მონასტრები იყვნენ. ეკლესია, როგორც მსხვილი ფეოდალური ორგანიზაცია, ცდილობდა ქალაქებში ჰყოლოდა როგორც ყმა ვაჭრები და ხელოსნები, ასევე ჰქონოდა შემოსავლის მომტანი დუქნები, ქარვასლები, სახელოსნოები და სხვ. (მესხია 1983: 355). ისტორიულ არქივში დაცული მასალა ადასტურებს, რომ გორში მცხოვრები ვაჭრების ნაწილი კათალიკოსის კუთვნილებას წარმოადგენდა. 1749 წელს თეიმურაზ II-მ სამეფო გამოსაღებისაგან გაათავისუფლა საკათალიკოსო ყმები. 1771 წლის ბრძანებით ერეკლე II-მ ერთხელ კიდევ გააფრთხილა ქალაქის მოხელეები, რომ ისინი სამეფო სათხოვარს ნუ აიღებენ როგორც თბილისში, აგრეთვე გორში, ცხინვალში და „სადაც არის“ საკათალიკოსო ხელოსანი და ვაჭარი (მესხია 1983: 61). 1738, 1780 წლებით დათარიღებულ საბუთებში მოიხსენიება სამთავნელი ეპისკოპოსის დუქნები გორში (ცსა, ფ. 229, დავთარი 36, საბ. 228).

დოკუმენტური მასალა იძლევა ნათელ სურათს ქვეყნის შიდა საბაზრო ურთიერთობების შესახებ და ამ თვალსაზრისით იკვეთება ქართული ფეოდალური ქალაქების როლი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო სამეფო-სამთავროებადაა დაყოფილი და ირანისა და თურქეთის გავლენის სფეროში მოქცეული, გვიან შუა საუკუნეებში საბაზრო-ეკონომიკური კავშირების სხვადასხვა კუთხეებს შორის საგრძნობლად გააქტიურდა და საფუძველი ჩაეყარა საერთო ეროვნული ბაზრის ჩამოყალიბებას. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის ვაჭრობას ყოველთვის მფარველობდა ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლება. განსახილველ ხანაში, სამეფო საბაჟო ტარიფის მიხედვით, ბაჟი არ აიღებოდა იმერეთიდან და რუსეთიდან შემოსულ საქონელზე (ქოიავა 1954: 338). ბაჟს არ იხდიდნენ არა მარტო იმერეთიდან ჩამოსული ვაჭრები, არამედ იმერული საქონლით მოვაჭრენიც. ქართლის საბაჟოებში იმერეთიდან შემოტანილ იმერულ საქონელზე გორელი ვაჭრები ბაჟს არ იხდიდნენ (სამსონაძე 1980: 52). ამ თვალსაზრისით საგულისხმოა XVIII საუკუნის 80-იანი წლებით დათარიღებული გორელი ქეთხუდების საჩივარი მეფისადმი, სადაც ლაპარაკია იესე ამილახვრის თავნებობის შესახებ. გორელი მოქალაქეების უკმაყოფილების ერთ-ერთ მიზეზად დასახელებულია „ხორაგზე ბაჟის დადება ახალციხიდან და იმერეთიდან მოსულის“ (სამსონაძე 1980: 47).

დასავლეთ საქართველოდან ქართლში დიდი რაოდენობით იყიდებოდა: რკინა, სელი და სელის ძაფი, თავთის ქსოვილი, ბეწვეული და საკვები პროდუქტი. რუსი ვაჭარი შაგუბატოვი ჩამოთვლის ქართულ პროდუქციას და მიუთითებს, რომ ქართლში (თბილისისა და გორის ბაზრებზე) მოწონებით სარგებლობდა იმერეთიდან შეტანილი: „მელიისა და კვერნის ბეწვი... ნედლი და ამოხვეული აბრეშუმი... სხვადასხვა ფერის თავთა, რომელსაც კანაფიდან ამზადებდნენ, ცვილი, სანთელი, ცხვრის ტყავები, სქელი და თხლად ნაქსოვი ტილო, სელის ძაფი, ზურგიელი და საკვები პროდუქტის ნაირსახეობა“ (ხეც ROS-110, გვ. 7). ქალაქ გორში დიდი

მოთხოვნილება იყო იმერულ თავთის ქსოვილზე. ისტორიული საბუთები გვაწვდის ცნობებს, რომ გორში ქუთაისელ ვაჭრებს თავიანთი სავაჭრო დუქნები ჰქონდათ და სხვადასხვა საქონლით, მათ შორის – იმერული აბრეშუმით – თავთით ვაჭრობდნენ (ცსა ფ. 254, საქმე 131, გვ. 299).

XVIII საუკუნის II ნახევარში შრომის გეოგრაფიულმა დანაწილებამ, სხვადასხვა სამრეწველო პროდუქციის წარმოება-დამუშავებაში კუთხოვრივი დახელოვნების პროცესმა და საქართველოს მხარეებს შორის არსებულმა მჭიდრო სავაჭრო კავშირ-ურთიერთობამ მტკიცე საფუძველი შექმნა ერთიანი ქართული ბაზრის ჩამოყალიბებისათვის.

ქართული სამეფოების საგარეო სავაჭრო კონტაქტების შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან XVIII საუკუნის ქართული ისტორიული საბუთები. მათში მოცემულია უმთავრესად ის გეოგრაფიული არეალი, სადაც ქართველ ვაჭრებს განსახილველ პერიოდში უხდებოდათ ვაჭრობა. პოლიტიკური თვალსაზრისით აღმოსავლეთ საქართველო კვლავ ირანის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. საგარეო ვაჭრობით ქართლ-კახეთი ძირითადად ირანთან ან ირანის დაქვემდებარებაში მყოფ ამიერკავკასიის ქალაქებთან იყო დაკავშირებული (სამსონაძე 1980: 96). XVIII საუკუნის შუა წლებში გაიხსნა რუსეთთან სავაჭრო სამომოსვლო გზა, რომელიც „ოსეთის“, იმავე „დარიალის“ გზის სახელითაა ცნობილი. ქართველ ვაჭრებს საქონელი გაჰქონდათ მოზდოკში, ასტრახანსა და მაკარიევოს ცნობილ ბაზრობაზე. მიუხედავად ამისა, აღნიშნული პერიოდის „ქართულ დოკუმენტებში აღმოსავლური საქონელი ჭარბობს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან XVIII საუკუნის დასასრულამდე გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდათ“ (კაციტაძე 1973: 55).

აღნიშნულ ხანაში საგარეო სავაჭრო მიმოსვლას ძირითადად ახალი გაერთიანების – „სავაჭრო ამხანაგობების“ წევრები ახორციელებდნენ. „ამხანაგობების“ შიგნით აშკარად გამოხატულია ქონებრივი დიფერენციაცია „თავნის“ მფლობელ საქმოსანსა და მასზე დამოკიდებულ, საქმის მკეთებელ პირს შორის. ძირითადი თანხის – თავნის მფლობელი მოქალაქე საქმეში მხოლოდ ფულს აბანდებს, იგი ადგილზე (თბილისი, გორი, ქუთაისი) იმყოფება, ხოლო სავაჭრო ოპერაციას აწარმოებს პირი, რომელსაც ამხანაგობაში გაცილებით ნაკლები (თითქმის ნახევარი) თანხა შეაქვს და თავისი შრომით ანაზღაურებს თანხის მეორე ნახევარს. ქართული სავაჭრო „ამხანაგობები“ საამხანაგო საქმეში შესულ პირთა მკვეთრი ქონებრივი სხვაობის მაჩვენებელია, რაც მომავალში ქმნიდა მოსალოდნელი სოციალური ცვლილებების საფუძველს.

ამ პერიოდის საქართველოს საგარეო-ეკონომიკური კავშირების გასაცნობად მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის „ჯულაბაშვილების დავთარი“ (შეისწავლა და გამოსცა მკვლევარმა დ. მეგრელაძემ). დავთრის (შემოსავალ-გასავლის წიგნის) მიხედვით, გორელი ვაჭრების – გოგია,



ბაღდასარ და პაპუნა ჯულაბაშვილების სამოქმედო არე საკმაოდ ფართო ჩანს. ისინი ალებ-მიცემობას აწარმოებდნენ ირანში (ისპაჰანი, თავრიზი, გილანი, მაშათი (მეჰმედი), რეშთი), მთელს კავკასიაში (შემახა, დარუბანდი, ყიზლარი); ჯულაბაშვილები აქტიურად ვაჭრობენ თურქეთში, კერძოდ ქ. სტამბოლში. „დარიალის გზის“ გახსნის შემდეგ – რუსეთის ქალაქ ასტრახანში.

ჯულაბაშვილები ხშირად სავაჭრო ოპერაციებს „ფსონებთან“ და „ამხანაგებთან“ ერთად ატარებენ. მაგალითად თუ პაპუნა ჯულაბაშვილი, ერთის მხრივ, თავრიზში „ფსონად“ არის ხოჯაბეგთ დათუნასთან, მეორეს მხრივ, იგი „ქალაქს“ (თბილისი) ხოჯაბეგთ დათუნასშვილ იარაღისთან საქონელს გზავნის სარეალიზაციოდ. სხვა შემთხვევაში კი თვითონ პაპუნას მიაქვს სხვისი (რომელიმე „ფსონის“ ან „ამხანაგის“) საქონელი გასასაღებლად და ა. შ. (მეგრელაძე 1963: 209).

XVIII საუკუნის II ნახევრის დოკუმენტების განხილვა გვაძლევს საფუძველს ვთქვათ, რომ არაერთი ამხანაგობა იყო კრედიტით დაკავშირებული ამ პერიოდის ისეთ ცნობილ საქმოსანსა და მევახშესთან, როგორცაა მდივანი მანუჩარ თუმანიშვილი.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ბაღდასარ და გოგია ჯულაბაშვილების წერილები, საქმიანი ანგარიშები, მიწერილი მანუჩარ მდივანისადმი. გავეცნოთ საბუთებს: 1800 წელს დაწერილ თამასუქში კვითხულობთ: „ავიღე მე გორელმა ჯულანთ დავითასშვილ მბაღდასარამა, შენ ბატონი მანუჩარ მდივანისგან ორი თუმანი ახალი ქალაქის თეთრი, რაც ხანს ჩემათ ხელთ დაყო, თუმნის თავს თვეში ერთი აბაზი სარგებელი გაძლიო“ (ხეც Hd-4581).

1801 წლით თარიღდება გილანიდან ბაღდასარას გამოგზავნილი წერილი მანუჩარ თუმანიშვილისადმი: „ამას მოგახსენებთ: ხუროშვილ მიქელას ხელით ჭარულ აბრეშუმს გიგზავნით, ამას გარდა ოთხი სტილი კახური აბრეშუმია და ერთი ჩარეჟი ყაჭი...“ (ხეც Hd -3675)

1802 წელს ბაღდასარა კვლავ გილანიდან წერს ბარათს მანუჩარ თუმანიშვილს: „აბრეშუმი გებრძანებინათ... თქვენი სამსახური დიახ მსურს და ყაჭი მიყიდნია და აბრეშუმი ყაბზით (ხელწერილი)“ (ხეც Hd-3777). როგორც ვხედავთ, ვაჭრობის საგანს ძირითადად აბრეშუმი წარმოადგენს.

დავთრიდან ირკვევა, რომ XVIII საუკუნის 20-იან წლებში ჯულაბაშვილების ოჯახი გორში მყოფ კათოლიკე მისიონერებს უკავშირდება. როგორც ცნობილია, 1669 წელს გორში კაპუჩინელთა მისიონი დაარსდა. მისიონერებს, გარდა პოლიტიკურისა, ეკონომიკური პერსპექტივებიც ესახებოდათ საქართველოში... ისინი უშუალო კონტაქტს ამყარებდნენ ქართველ ვაჭრებთან (მეგრელაძე 1963: 210).

დავთრის მიხედვით, გორელი ვაჭრები ირანში უცხოელ ვაჭრებთან ან მეწარმეებთან ამყარებდნენ კავშირს. ირანში ჯულაბაშვილების ერთ-ერთი პარტნიორი ევროპელი, სავარაუდოდ, ინგლისელი კომერსანტი,

გვარად მილთონია. მკვლევართა (მ. ბერძნიშვილი, დ. მეგრელაძე) აზრით, მილთონი ფართლელის მოვაჭრის ან ფაბრიკანტის გვარი იყო. XVIII საუკუნის ბოლოს თბილისში არსებობდა „მილთონის ქარვასლა“ და იყიდებოდა „მილთონის ჩითი“ (იქვე: 209).

დავთრის 1722 წლის ჩანაწერში ვკითხულობთ: „მე პაპუნამ იმ თარიღში, რომ ისპაჰანს ხოჯა-ბეგთ დათუნასთან ამანათი გაუშვი, მე ასე მითხრა დათუნამ, რომ მილთონსო მამის შენის გოდერძასიო სამი თუმნის თამასუქი აქვსო. მასუკანათ ჯერ წავედი ისპაჰანს, დათუნამ: შენ მილთონი არას გთხოვსო...“ (იქვე: 213).

როგორც აღვნიშნეთ, ჯულაბაშვილების საგვარეულო შემოსავალ-გასავლის წიგნი ნათლად მიუთითებს, რომ ჯულაბაშვილები გაცხოველებულ აღებ-მიცემობას აწარმოებენ მთელ ამიერკავკასიაში, ირანსა და რუსეთში. მოგვყავს რამდენიმე ნაწყვეტი დავთრიდან, პაპუნა ჯულაბაშვილი წერს: „ტატოანთ ოთარამ ამანათი გამატანა ჰაშტარხანს... ესენი გავყიდე და გამოველ გილანს“. მალე პაპუნა ისევ გილანში მიდის სავაჭროდ, საქმეში შეამხანაგებულ ნასყიდაშვილ ოსეფასთან ერთად. მომდევნო წელს იგი შემახიაში ვაჭრობს, თან ახლავს ამხანაგები – ალავერდა და გოგინა.

1729 წლის ჩანაწერში ვკითხულობთ: „ოთარა წასულიყო მაშათს და მეც წამოველ გორს. გორიდან წაველ რაშტს, რაც ამ დავთარში წერია, გილანს ოთარას მივეც მე პაპუნამ, დარუბანდიდან წავედი გილანს გემით, ოთარასი ჩემზე აღარა დარჩა რა, მძობის მეტი“. ამ შეთანხმებას ემოწმებიან სხვა გორელი ვაჭრები, მითითებულია მათი სახელები: რამაზაშვილი გივი, საჰაკანთ ფარსადანა, იმგოისშვილი ღვთისავარა და სხვ.

1737 წლით თარიღდება ჩანაწერი, სადაც აღწერილია პაპუნა ჯულაბაშვილის შამახიაში სავაჭრო ოპერაცია, რომელსაც „ამხანაგებთან“ ერთად ატარებდა, მომგებიანად დასრულებულა.

XVIII საუკუნის II ნახევარში ამიერკავკასიაში რუსული და რუსეთის გზით შემოსული საქონელი გამოჩნდა. რუსეთის იმპერია საუკუნეების მანძილზე ცდილობდა სამხრეთისაკენ საზღვრების გაფართოებას. შავ ზღვაზე და კავკასიის ბაზრებზე გაბატონების ცდებმა განსაკუთრებით აქტიური ხასიათი მიიღო 1750 წლიდან, როდესაც გაიხსნა ე. წ. „დარიალის გზა“, საქართველოს სამეფო-სამთავროები რუსეთის სავაჭრო ცენტრებს უმოკლესი გზით დაუკავშირდნენ. რუსეთის ქალაქებსა და საქართველოს შორის ერთგვარი საშუამავლო რგოლის როლს ასრულებდა ქ. მოზდოკი. მოზდოკის გამშვები პუნქტის კანცელარიის მასალები იძლევა ნათელ სურათს, რომ ქართველ ვაჭრებს რუსეთის ბაზრებზე გაჰქონდათ როგორც ადგილობრივი, ასევე ირანული და ამიერკავკასიის ქალაქებიდან შემოტანილი საქონელი.

1752 წელს პაპუნა ჯულაბაშვილი წერს: „ჩვენ მოვედით რუსეთიდან, მე და მამაჩემი გორსა“ – ნავაჭრი საქონლით (მეგრელაძე 1963: 216).

1802 წლის ჩანაწერში ვკითხულობთ: „გორიდან გავედი კვირა დღესა მე დავითასშვილი იოვაკიმე, სტამბოლიდამ მოსული, რუსეთისკენ სავაჭროდ“ (იქვე: 220).

აღნიშნულ პერიოდში ჩრდილოეთ კავკასიის გავლით საქონლის გატანა, ცხადია, დიდ რისკსა და საფრთხესთან იყო დაკავშირებული. ხშირი იყო ვაჭრებზე გამარცვის მიზნით თავდასხმის შემთხვევები. ასევე, ადგილი ჰქონდა რუსი მოხელეების მხრიდან უსულგულო დამოკიდებულებას და თვითნებობას.

1784 წელს მეფე ერეკლე წერს პოლკოვნიკ ბურნაშევს: „ვაჭარი ქ. გორიდან ბეჟან შიხინოვი (მოზდოკის გამშვები პუნქტის დავთარში ქართული გვარები რუსული დაბოლოებებით არის მოხსენებული) საქონლით იყო ჩასული ყიზლარში, გზაზე იგი ლეკებმა გამარცვეს და მოკლეს“. მეფეს თხოვს დახმარებას, რომ ნამარცვი საქონელი და თანხა დაუბრუნონ ოჯახს. იმავე წელს მეფე ერეკლე მიმართავს დახმარებისათვის პოტიომკინს, დაიცვას დარუბანდსა და ბაქოში „მოსიარულე“ (მოვაჭრე) საქართველოს მოქალაქეები (გამრეკელი 1980: 171).

რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობას XVIII საუკუნის II ნახევარში წვრილი, საცალო ვაჭრობის ხასიათი ჰქონდა. ვაჭრობა მიმდინარეობდა ძირითადად იმპერიის სამხრეთ ქალაქებთან: ასტრახანსა და ნიჟეგოროდთან, მაგრამ ქართველი ვაჭრების ინტენსიური მიმოსვლა, აქტიური ფულად-სასაქონლო და საბაზრო კავშირები განვითარების პერსპექტივით ხასიათდებოდა.

ამდენად, ისტორიულ საბუთებში ნათლად აისახა XVIII საუკუნეში ქართლის სამეფოს, ქ. გორის სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა მეზობელ სამეფოებთან, საქონელბრუნვისა და საგარეო-სავაჭრო მიმოქცევის გამოცდილება, ქართლის სამეფოს როლი ერთიანი ქართული ეროვნული ბაზრის შექმნაში.

#### დამოწმებული ლიტერატურა

ბერძენიშვილი 1953: ბერძენიშვილი ნ., მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, II. თბილისი, 1953.

გამრეკელი 1980: გამრეკელი В. Межкавказские политические и торговые связи восточной Грузии, Тбилиси, 1980.

დოლიძე 1974: დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, V. თბილისი, 1974.

დოლიძე 1985: დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, VIII. თბილისი, 1985.

კაციტაძე 1973: თურქეთ საქართველოს სავაჭრო - ეკონომიკური ურთიერთობები XVII-XVIII საუკუნეების ქართული დოკუმენტური წყაროების მიხედვით: მაცნე, №2, 1973.

---

მეგრელაძე 1963: მეგრელაძე დ., მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიიდან (ჯულაბაშვილების დავთარი), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, წ. 35. თბილისი, 1963.

მესხია 1983: მესხია შ., საისტორიო ძიებანი, II. თბილისი, 1983.

სამსონაძე 1980: სამსონაძე მ., სოციალურ-ეკონომიკური ვითარება XIX ს-ის I მესამედის საქართველოში. თბილისი, 1980.

ქოიავა 1954: ქოიავა ნ., ფინანსები ქართლ-კახეთში XVIII ს.-ში: ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები. თბილისი, 1954.

**სამოქალაქო ბიუჯეტი და ბიბლიოთეკები  
(გორის მუნიციპალიტეტის მაგალითზე)**

**Participatory budget and Libraries on the example  
of Gori Municipality**

**გიორგი კილაძე**

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა  
საქართველო, თბილისი

**Giorgi Kiladze**

The National Parliamentary Library of Georgia  
Georgia, Tbilisi

**ABSTRACT**

In this article, the author tries to answer some interrelated questions about the relationship between participatory budgeting and libraries.

1. What kind of relationship can a participatory budget and a library have if:

1. The library is the priority of the participatory budget

1.2. The library is not a priority of the participatory budget

1.3. To what extent is the library's topic the participatory budgeting?

2.1. Foundation/restoration of the library (Another problem is the librarian's salary. There is no salary for the participatory budget for the project. It's interesting whether local schools' initiative - «a day in a week as a librarian» will be a priority. What results will it give us in terms of strengths and weaknesses, in terms of appearing opportunities and threats (loss of books, magazines, so on)

2.2. Promote the transformation of the existing library into public space (training, film screening/one-time purchases of equipment for discussion, promotion of new groups of immigrants in the library service area; increasing public interest in contemporary literature; Developing the library programs (for example, civil education subject).

2.3. Occasional supply with books, magazines, so on.

3. The issue of the relationship between the participatory budget and libraries requires special studies;

4. We should pay particular attention to the current and potential attitude of the population to the topic of the library; should identify the causes of existing problems and find ways and means to solve them, as far as possible;

5. The study should also focus on the relationship between the local budget and the participatory budgeting regarding the libraries;

6. It is necessary to activate the library community at the stages of preparing and conducting the information campaign of the participatory budgeting with the population;

7. Indicate several issues that can be financed and prioritized in the participatory budgeting for the current year.

საკვანძო სიტყვები: სამოქალაქო ბიუჯეტი, გორი, ადგილობრივი ხელისუფლება, მოქალაქეების ჩართულობა, მუნიციპალური პროგრამების პრიორიტეტები, ბიბლიოთეკები, საპროექტო ინიციატივები

Keywords: civil budget, Gori, local government, citizen involvement, municipal program priorities, libraries, project initiatives.

თანამედროვე ქართული კანონმდებლობა საშუალებას აძლევს მოსახლეობას თვალი ადევნოს არა მხოლოდ თვითმმართველობის საქმიანობას, არამედ აქტიური მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტებში არსებული პრობლემების აღმოჩენა/გაანალიზებაში და საფუძვლიანი ზეგავლენა მოახდინოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

ადგილობრივ მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემათა აღმოჩენა, ანალიზი, გადაწყვეტილების გზებისა და საშუალებების გადაწყვეტილების მიძღვრა ორგანოებამდე მიტანა და მით უფრო, მასზე ზეგავლენის მოხდენა საფუძვლიან განათლებასთან ერთად ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმების შემუშავება/დანერგვასაც მოითხოვს.

ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ძირითადი ფორმები და მეთოდები განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და ორგანული კანონით - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, ხოლო დამატებითი მექანიზმები მოცემულია საკრებულოების დებულებებით (რეგლამენტებით), თუმცა, რამდენადაც სამწუხარო არ უნდა იყოს, მოქალაქეები ნაკლებ ინიციატივებს იჩენენ, შეიძლება ითქვას, გაურბიან მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ჩართულობას. ჩვენ მიერ ჩატარებული წინასწარი კვლევის შედეგებიდან აშკარად ჩანს: „ჩართულობა“ არჩევნებში მონაწილეობითა და „ხმის მიცემით“ ამოიწურება. დიდი ალბათობით, აღნიშნული დამოკიდებულება, სავარაუდოდ, მოქალაქეთა სათანადო განათლების დაბალ დონეში უნდა ვეძებოთ. რამდენადაც საკვირველი არ უნდა იყოს, გაუბედაობა, საკუთარი უფლებების არგამოყენება განათლების არსებული დონის შედეგია და მის სრულყოფაზე სხვა ორგანიზაციებთან, უწყებებთან, სამსახურებთან ერთად თავად ადგილობრივმა ხელისუფლებამაც უნდა

იზრუნოს. საუბარია არა მხოლოდ საკანონმდებლო ინიციატივებსა და დადგენილებებზე, არამედ დაინტერესებულ მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან შესაბამისი პროექტებისა და პროგრამების, ჩართულობის მოდელების, ფორმებისა და მექანიზმების ერთობლივ განხორციელებაზე.

ერთ-ერთ ამგვარ მექანიზმად, ფორმად, მოდელად უნდა მივიჩნიოთ ბრაზილიის ქალაქ პორტუ-ალეგრიში დაბადებული იდეა „სამოქალაქო ბიუჯეტი“, რომელიც უკვე რამდენიმე წელია ხორციელდება საქართველოშიც, კერძოდ, ქალაქ გორში - 2016 წლიდან, ხოლო 2018 წელს - მთლიანად გორის მუნიციპალიტეტში, ამჟამად გორის მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანების საფუძველზე.<sup>1</sup>

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, სამოქალაქო ბიუჯეტი საქართველოში ჯერ კიდევ სიახლედ ითვლება, სწორედ ამიტომ თავს უფლებას მივცემ, შევებო სამოქალაქო ბიუჯეტის განმარტების საკითხს.

„სამოქალაქო ბიუჯეტი პირდაპირი დემოკრატიის ერთ-ერთი ინსტრუმენტია, რომელიც წარმოადგენს სამოქალაქო მონაწილეობის ყველაზე მაღალ დონეს. ეს არის მოსახლეობის ჩართვა ადგილობრივი პრობლემების მოგვარებაში, ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების პროცესში მათი აქტიური მონაწილეობის მეშვეობით“<sup>2</sup>.

სამოქალაქო ბიუჯეტს განხორციელების ეტაპები გააჩნია. სხვადასხვა მოდელისთვის (პორტ-ალეგრეს, პოლონური, ჩიკაგოს და ა.შ.). მათი რაოდენობა სხვადასხვაა. მაგ., გორის მუნიციპალიტეტის მერის აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებულ „სამოქალაქო ბიუჯეტის განვითარების პროგრამაში“ ცალკეა გამოყოფილი სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის წარმოების წესი, რომელიც სამოქალაქო ბიუჯეტის განხორციელების მხოლოდ 6 ეტაპს მოიცავს და ფორმით (და არა შინაარსით) რადიკალურად განსხვავდება სამოქალაქო ბიუჯეტის სტანდარტების დანერგვის პრაქტიკულ სახელმძღვანელოში მოცემული სამოქალაქო ბიუჯეტის 8 ეტაპისაგან<sup>3</sup>.

სტატიის მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარე სამოქალაქო ბიუჯეტის მხოლოდ ერთ ეტაპზე, გორის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებაში მოცემულ II ეტაპზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას. ბრძანებაში ვკითხულობთ: „მიმდინარე წლის 21 ივლისიდან 15 აგვისტოს ჩათვლით - მოქალაქეები მუნიციპალიტეტში აგზავნიან სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში საპროექტო ინიციატივების განაცხადის ფორმებს. კოორდინატორი ადმინისტრაციული ერთეულის

<sup>1</sup> გორის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება N3322. 14 ივნისი, 2018 წ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო ბიუჯეტის განვითარების პროგრამის დამტკიცების შესახებ.

<sup>2</sup> იხ. სამოქალაქო ბიუჯეტის სტანდარტების დანერგვის პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბ., 2018.


<sup>3</sup> სტატიის მოცულობა საშუალებას არ იძლევა ამ თანხვედრა-განსხვავებებზე თუნდაც მოკლედ ვისაუბროთ.

მაცხოვრებლებს, საჭიროებისამებრ, ეხმარება სამოქალაქო ბიუჯეტის საპროექტო ინიციატივის განცხადების სააპლიკაციო ფორმის შევსებაში. განაცხადების მიღების პერიოდში, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი პირი (მთავარი კოორდინატორი) ამოწმებს წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივების განაცხადების ტექნიკურ სისწორეს“.

სხვა ბევრ კითხვასთან ერთად იბადება ერთი, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი კითხვა: რა არის საპროექტო ინიციატივა და რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს მას ბიბლიოთეკებთან?

წინასწარ შევნიშნავ: საპროექტო ინიციატივის<sup>4</sup> ზუსტი განმარტება სამეცნიერო, საცნობარო, სასწავლო ლიტერატურაში ჯერჯერობით არ არსებობს. რაც შეეხება შინაარსს - საპროექტო ინიციატივა არის თაოსნობა რაიმე საქმეში, რაიმე წამოწყებაში განსაზღვრული მიზნებით (მაგ., რომელიმე პრობლემის გადაჭრა), ამოცანებითა და შესრულების ვადებით. მაგ., გორის მუნიციპალიტეტში 2018-2019 წლის სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის ფარგლებში სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს მიერ განხილულ იქნა მოსახლეობის მიერ შემოტანილი 167 საპროექტო ინიციატივა, საიდანაც სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს მიერ მოწონებული და შემდეგ წარმომადგენლობითი საბჭოს (ადგილებზე შეკრებილი მოსახლეობის) მიერ შერჩეულ იქნა 76 საპროექტო ინიციატივა, რომლებიც მიმართულია მუნიციპალიტეტში არსებული სხვადასხვა ტიპის პრობლემების გადაჭრაზე.

ცხრილი N1-ში მოცემულია ქ. გორის მუნიციპალიტეტში 2018-2019 წლის სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის ფარგლებში შერჩეული საპროექტო ინიციატივები.



ცხრ. 1 - ქ. გორის მუნიციპალიტეტში 2018-2019 წლის სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის ფარგლებში შერჩეული საპროექტო ინიციატივები.<sup>5</sup>

<sup>4</sup> ზოგჯერ მას საპროექტო იდეად მოიხსენიებენ.

<sup>5</sup> იხ.: ყიფიანი 2018: 55.



გარკვეული მიზეზების გამო ჩვენ გვერდს ავუვლით ცხრილის თუნდაც ზერელე ანალიზს. შევნიშნავთ მხოლოდ ერთს: ქ. გორის მუნიციპალიტეტში 2018-2019 წლის სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის ფარგლებში ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობისთვის არც ერთი საპროექტო ინიციატივა არ განხილულა<sup>6</sup>.

იზადება ლეგიტიმური კითხვა: რა მიზეზები განაპირობებენ საპროექტო ინიციატივების ამგვარ სტრუქტურას და რატომ არ არის სტრუქტურაში ბიბლიოთეკები?

კითხვის პირველი ნაწილზე საპასუხოდ აუცილებლად მიმაჩნია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და სამოქალაქო ბიუჯეტის ურთიერთმიმართების საკითხის განხილვა, რამდენადაც მეორე პირველის გარკვეულ ნაწილს წარმოადგენს.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სტრუქტურის განხილვას აქ არ შევუდგებით, აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების ერთ-ერთ მდგენელს პრიორიტეტები/პროგრამები წარმოადგენს. გორის მუნიციპალიტეტის 2019 წლის პროგრამები ასახულია მე-16 მუხლში („მუხლი 16. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამები“), რომელიც 4 ქვეთავისგან შედგება.

ამასთან, გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და სამოქალაქო ბიუჯეტის შედარებითი ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ: მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის საპროექტო პრიორიტეტები მაღალი სიზუსტით ირეკლავს (განსაკუთრებით ა, ბ, გ ქვეპროგრამების ნაწილში) მუნიციპალიტეტის პროგრამის პრიორიტეტებს. დიდი ალბათობით, მსგავსი სიტუაციაა სხვა მუნიციპალიტეტებში, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები გააჩნია. მაგ., 1. სამოქალაქო ბიუჯეტის რეგულაციით წინასწარაა განსაზღვრული სამოქალაქო ბიუჯეტის პრიორიტეტები (მაგ., ინფრასტრუქტურული პროექტები, ინოვაციური პროცესების მხარდაჭერა), 2. მოსახლეობა კარგად იცნობს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამებსა და პრიორიტეტებს და სამოქალაქო ბიუჯეტით მხარს უჭერს მათ და ა.შ.

რაც შეეხება ზემოთ აღნიშნული კითხვის მეორე ნაწილს (რატომ არ არის სტრუქტურაში ბიბლიოთეკები?), მიმაჩნია, რომ აქ საქმე უფრო რთულადაა. ძნელად წარმოსადგენია ბიბლიოთეკების თემის სამოქალაქო ბიუჯეტში სათანადო არასახვას ერთი, თუნდაც მთავარი მიზეზი ჰქონდეს. შეცვლილი ფორმითა და შინაარსით გათანამედროვეებული ბიბლიოთეკები მხოლოდ წიგნსაცავები და სამკითხველო დარბაზები რომ აღარ არის, უდავო და დადასტურებული ფაქტია.

ასევე დადასტურებულია ბიბლიოთეკების საზოგადოებრივ სივრცეებად გადაქცევის ტენდენცია და ამ ფონზე მუნიციპალიტეტების სამოქალაქო ბიუჯეტში არასახვის საკითხი კვლევის ობიექტად უნდა

<sup>6</sup> ანალოგიური მდგომარეობაა სხვა წლებშიც და საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში.

იქცეს. შესაბამისად, უნდა დადგინდეს პრობლემის მიზეზები და მოინახოს მათი გადაჭრის გზები და საშუალებები. დარწმუნებული ვარ, მიზეზი არც სამოქალაქო ბიუჯეტის „ბუნებაშია“ და არც პრობლემისადმი მოქალაქეების, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების არაჯეროვან დამოკიდებულებაშია. მიზეზები უფრო სიღრმისეულია და მათ გამოსავლენად სპეციალური კვლევა უნდა ჩატარდეს<sup>7</sup>.

კვლევის ჩატარებამდე აუცილებლად მიმაჩნია, მკითხველს საკუთარი მოსაზრებები გავაცნო<sup>8</sup>. უპირველეს ყოვლისა, გავიხსენოთ, როგორ უნდა გამოვლინდეს საპროექტო ინიციატივები სამოქალაქო ბიუჯეტების პროცესში.

როგორც წესი, საპროექტო ინიციატივების გამოვლენა იწყება პროცესის მომზადების ეტაპზე; „ეს ეტაპი საჭიროა იმისათვის, რომ გავიგოთ, მოსახლეობის აზრით, რომელია მოსაგვარებელ პრობლემებს შორის მათთვის ყველაზე პრიორიტეტული. იგი საშუალებას აძლევს მოქალაქეებს თავად გაეცნონ პრობლემებს, სხვების აზრს ამასთან დაკავშირებით და განიხილონ ისინი საზოგადოებასთან. ამისათვის საჭიროა დისკუსიისათვის სივრცის შექმნა და მოსახლეობის ფართოდ ინფორმირება“.<sup>9</sup> ახლა ვნახოთ, თუ როგორაა ასახული ეს ეტაპი გორის მუნიციპალიტეტის მერის არაერთგზის ნახსენებ ბრძანებაში: „სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების საწყის ეტაპზე პროექტის კოორდინატორი ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით... და აწვდის მოქალაქეებს ინფორმაციას სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების მიზნებსა და შესაძლებლობებზე; საჭიროებისამებრ, ეხმარება მოსახლეობას პრობლემებისა და პრიორიტეტების გამოვლენაში“.

ვფიქრობ, სწორედ ამ ეტაპზე არის შესაძლებელი სამოქალაქო ბიუჯეტში მოსახლეობის მიერ ბიბლიოთეკის საკითხის „წამოწევა“, თუმცა მანამდე მოგვიწევს, სულ ცოტა, სამი კითხვის დასმა და მასზე პასუხის გაცემა<sup>10</sup>.

1. რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს სამოქალაქო ბიუჯეტსა და ბიბლიოთეკას იმ შემთხვევაში, თუ:

ა. ბიბლიოთეკა არის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში პრიორიტეტული მიმართულება?

ბ. ბიბლიოთეკა არ არის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში პრიორიტეტული მიმართულება?

2. რამდენად არის ბიბლიოთეკის თემა სამოქალაქო ბიუჯეტის „საქმე“. იმ შემთხვევაში, თუ სამოქალაქო ბიუჯეტით მოთხოვნილია:

ა. ბიბლიოთეკის დაარსება/აღდგენა (ცალკე თემაა ბიბლიოთეკარის

<sup>7</sup> დარწმუნებული ვარ, კვლევა აუცილებლად ჩატარდება და ჩემი არა მხოლოდ პასიური თანამონაწილეობით.

<sup>8</sup> შესაძლებელია ჩემი მოსაზრებები კვლევის ჰიპოთეზად ჩავთვალოთ.

<sup>9</sup> სამოქალაქო ბიუჯეტის სტანდარტების დანერგვის პრაქტიკული სახელმძღვანელო, 2019, გვ. 20.

<sup>10</sup> ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად კიდევ ერთი კვლევის ჩატარებაა აუცილებელი. თუმცა არც იმას გამოვრიცხავ, სტატიაში დასმულ კითხვებს ერთ კვლევაში გაეცეს პასუხი. ამასთან, აუცილებელია კვლევის მეთოდების წინასწარ დადგენა.

ხელფასი. რამდენადაც სამოქალაქო ბიუჯეტი პროექტის განხორციელების შემდეგ ხელფასების დაფინანსებას არ ითვალისწინებს. საინტერესოა, რა გავლენას მოახდენს პრიორიტეტების გამოვლენისას ადგილობრივი სკოლის მასწავლებლების ან/და მოსწავლეების, ახალგაზრდების ინიციატივა პირობითი სახელწოდებით „ერთი დღე“ კვირაში ერთი დღე ბიბლიოთეკარად? რა შედეგებს მოგვცემს, ვთქვათ, ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და მოსალოდნელი საფრთხეების გამოვლენისას (წიგნების, ჟურნალების დაკარგვა და ა.შ.);

ბ. არსებული ბიბლიოთეკის საზოგადოებრივ სივრცედ გადაქცევის ხელშეწყობა (ტრენინგები, კინო-ჩვენება/განხილვისთვის აპარატურის ერთჯერადად შეძენა, ბიბლიოთეკის მომსახურების სივრცეში ახალი ემიგრანტი მოსახლეობის მოზიდვის ხელშეწყობა; მოსახლეობის დაინტერესების გაზრდა თანამედროვე ლიტერატურით; საბიბლიოთეკო პროგრამების განვითარება (ვთქვათ, სამოქალაქო განათლების თემებით); წიგნებით, ჟურნალებით და ა.შ. ერთჯერადი მომარაგება.

და ბოლოს, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ:

1. სამოქალაქო ბიუჯეტის და ბიბლიოთეკების ურთიერთმიმართების საკითხი მოითხოვს სპეციალურ კვლევას;
2. კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოსახლეობის ამჟამინდელ და პოტენციურ დამოკიდებულებას ბიბლიოთეკის თემასთან; დადგინდეს არსებული პრობლემების მიზეზები და შეძლებისდაგვარად გადაჭრის გზები და საშუალებები;
3. კვლევაში ასევე ყურადღება უნდა დაეთმოს ადგილობრივი ბიუჯეტისა და სამოქალაქო ბიუჯეტის ურთიერთმიმართების საკითხს ბიბლიოთეკების თემასთან დაკავშირებით;
4. აუცილებელია საბიბლიოთეკო თემის გააქტიურება მოსახლეობასთან სამოქალაქო ბიუჯეტის მოსამზადებელ და საინფორმაციო კამპანიის ეტაპებზე.
5. სამოქალაქო ბიუჯეტის რეგულაციებში უფრო დეტალურად განისაზღვროს საკითხთა ის წრე, რომელთა დაფინანსება შესაძლებელია და პრიორიტეტულადაა აღიარებული მიმდინარე წლის სამოქალაქო ბიუჯეტით.

#### დამოწმებული ლიტერატურა

რობერტსონი 2005: რობერტსონი დებორა ა, კულტურის პროგრამები ბიბლიოთეკებისთვის, ქართულენოვანი გამოცემა. თბილისი, 2005.

სამოქალაქო ბიუჯეტის... 2017: სამოქალაქო ბიუჯეტის სტანტარტების დანერგვის პრაქტიკული სახელმძღვანელო, 2017, „საერთაშორისო სოლიდარობის ფონდის“ (პოლონეთი) პროექტი „დემოკრატიის მხარდაჭერა“. თბილისი, 2017.

ყიფიანი 2018: ყიფიანი დ., მონაწილეობითი ბიუჯეტირება, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი. თბილისი, 2018.

## მავრცობი ხმოვნები ქართლურში

### Extending Vowels in the Kartli dialect

**მარიამ კობერიძე**

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი  
საქართველო, გორი

**Mariam Koberidze**

Gori State Teaching University  
Georgia, Gori

#### ABSTRACT

Distribution of the Kartli dialect on a wide territory caused the separation of Kilokauri (small dialectic) speech. Relationship with other dialects also promotes this difference. Unification tendency is frequent in the places of connection with 'neighbor dialects'. Thus, distinctive lingual events for Upper Imeretian, Meskh-an-Javakhetian, Mtiuletian, and Kakhetian are more confirmed in Kartli. The migration of the population is frequent in the villages of Kartli from the different corners of Georgia. Also, It is proved by the changeovers of vocal codes, usage of extending vowels 'a' and 'i' in Kartli. We studied the disquisitive question on the Kilokauri (small dialectic) level in Georgian literary language and other dialects of the Georgian language. We used for analysis the dialectic texts recorded by Georgian linguists in the villages of Kartli at different times that we compared chronologically to the material we had found. Extending the vowel 'a' in Kartli, like literary Georgian language and other dialects of the Georgian language, is used with nouns and other parts of speech. Vowel 'a' is expressed as with proper vowel-root nouns and pronouns in a suitable situation in an Ergative case too.

Extending 'a' is often used in Kartli in this case, when we have a monosyllabic verb after a noun with Dative case-ending. In the same position except for a noun, extending 'a' is met with pronouns, particles, adverbs. Extensions of Vowel 'a' with the dative case is a widespread case in Kartli. Vowel 'a' seems to be the constant case ending in the speech of Kartli. Dialects of Algeti Valley and Tsietsopeli of Kvemo Kartli represents an exception, where there are consonant-root nouns extended by a vowel 'a' without dative case-ending. Proper nouns in the dative case usually have the nasal vowel 'a'. Definitive in the Genitive case is met with extended form in inersive structure. In sub-dialects of Kartli dialects, 'a' and 'i' may be alternated to each other with Genitive and Instrumental cases. Extending the vowel 'i' is actively used with

vowel-root ending proper nouns. Mostly 'a' is used in Kartluri of Prone Valley. It seems 'i' and 'a' have the same function. The difference between them is according to the places of distribution.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული ენა, ქართლის დიალექტი, ენათმეცნიერება, მრავლობითი ზგერები, პოზიცია, ფუნქცია, გაერთიანება.

**Keywords:** Georgian language, Kartli dialect, linguistics, plural sounds, position, function, unification.

ქართლური კილოს ვრცელ ტერიტორიაზე გავრცელებამ განაპირობა მასში მეტყველების კილოკაური ერთეულების გამოყოფა. მათ შორისაა ცენტრალური ანუ შიდა ქართლური (მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი), ჩრდილო (ზემო) ქართლური (ქსნისა და არაგვის ხეობათა მეტყველება), სამხრეთ (ქვემო) ქართლური (თრიალეთური კილოკავი, სადაც გამოიყოფა: გომარული, წერაქვ-სიონური, რეხული, ალგეთური თქმები), დასავლური ქართლური (ხაშურ-სურამისა და ბორჯომის ხეობის მეტყველება) (იმნაიშვილი 1974: 19-20; ჯორბენაძე 1989: 290-291). მეტყველების თავისებურება შეინიშნება ხეობებისა და სოფლების მიხედვით. ამ განსხვავებას ხელს უწყობს სხვა კილოებთან ურთიერთობაც. „მეზობელ კილოებთან“ ურთიერთშეხების ადგილებში ხშირია უნიფიკაციის ტენდენცია, ამიტომ ქართლურში უფრო მეტად დასტურდება ზემოიმიერულის, მესხურ-ჯავახურის, მთიულურისა და კახურისათვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენები. ხშირია საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ქართლის სოფლებში მოსახლეობის მიგრაცია. დასტურდება სამეტყველო კოდთა გადართვის შემთხვევებიც.

ქართლურში გამოყენებული -ა და -ი მავრცობი ხმოვნები ჩვენ შევისწავლეთ კილოკავების მიხედვით ქართულ სალიტერატურო ენასა და ქართული ენის სხვა დიალექტებთან მიმართების გათვალისწინებით. საანალიზოდ გამოვიყენეთ ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალა, რომელიც ქრონოლოგიურად შევუდარეთ ქართველ ენათმეცნიერთა მიერ ქართლის სოფლებში სხვადასხვა დროს ჩაწერილ დიალექტურ ტექსტებს.

ქართლურში მავრცობი -ა ხმოვანი, მსგავსად ქართული სალიტერატურო ენისა და ქართული ენის სხვა დიალექტებისა, გამოიყენება სახელებთან და მეტყველების სხვანაწილებთან. სამეცნიეროლიტერატურაში გამოყოფილია ისეთი შემთხვევები, როდესაც აუცილებელია -ა მავრცობის ხმარება (ჩიქობავა 1950: 37; ზურაბიშვილი 1972: 45, 46; ბეროზაშვილი 1967: 16-25). ასევე გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა „ა არ წარმოადგენს სიტყვის აუცილებელ ელემენტს, მაგრამ გარკვეულ კონტექსტში მისი გამოყენება კანონზომიერია“ (ზურაბიშვილი, 1972: 46).

ქართლურში -ა მავრცობი ხშირად იხმარება იმ შემთხვევაში, როცა მიცემითი ბრუნვისნიშნის არსებითი სახელის მომდევნოდ გვაქვს

ერთმარცვლიანი ზმნა. მაგ.: „კარდიო მაგნილებსა ვსვამ“ (სასირეთი); „პაპასა გავს“ (დვანი); „ნაკედლარებსა რწყავს“ (ტახტისძირი); „ტელეფონსა არა აქ მიღებაი“ (კირბალი); „სიცხე ბავშვებსა აქთ“ (ხელთუბანი).

ამავე პოზიციაში, არსებითი სახელის გარდა, -ა მავრცობი გვხვდება ნაცვალსახელებთან, ნაწილაკებთან, ზმნიზედებთან. მაგ.: „ახლა არავისა აქვს“ (აღიანი); „აწრისხევიდანა ვართ“ (ქორდი); „ზედმეტი სახელი ყველასა ყამს“ (გუგუტიანთ კარი); „თუ ვისმესა აქვს აღებული დიდი ნაკვეთები, ისინი თესავენ“ (დიცი); „შენცა საქორწილო ხარ“ (მერთი); „როგორა ხართ“ (არადეთი); „აქა ჩვენთანა ხორბალი არა გვაქ“ (ქორდი).

ქართულში -ა მავრცობი ხმოვანი აქტიურად გამოიყენება მიცემით ბრუნვასთან. ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის (ქართლური, კახური) დამახასიათებელია მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა, ემფატიკური -ა-ს დართვისას კი -ს ბრუნვის ნიშანი შენარჩუნებულია (მარტიროსოვი... 1956: 69; იმნაიშვილი 1974(1): 34; ჭუმბურიძე 2016: 97). მაგ.: „ას ნაბიჯზე კვერც არტყამდა“ (დიდი თონეთი); „დაუყრი ქათმებ ნაკმაზ“ (ტბისი) (იმნაიშვილი 1974 (1): 194). ქართლური დიალექტის კილოკავები ამ მხრივ ერთმანეთისაგან განსხვავებულ პოზიციას გვიჩვენებენ. შიდა ქართლურსა და დასავლურ ქართლურში -ა მავრცობი ხმოვნის ხშირი დართვა უმეტეს შემთხვევაში ხელს უწყობს ბრუნვის ნიშნის შენარჩუნებას. მაგალითად:

ცენტრალური ქართლური: „კაჭკაჭი კი არა, კაჭკაჭო ჰქვიან იმ ბავშვსა“ (ქორდი); „ჭილყვავსა ვერ იძახდა, ჭილტავს იძახდა“ (ქორდი); „მამაჩემსა ვალტერა ქვია, აი, რომელ ვალტერასა, ჭილტავიანთ ვალტერასა“ (ქორდი); „ურო-კილკას ვეძახდით ხოლმე წერაქვსა, ლომი ლომსა, ქართულად რა ქვიან, არ ვიცი“ (ქორდი); „მამაჩემსა კიდეც ცოტათი დაუმთავრებია“ (არზო); „დედამ აჩუქა ჩემ რძალსა“ (სასირეთი); „აი იმ ლიტამ ეგეთი კარგი სიტყვა უთხრა მამაჩემსა“ (არზო).

დასავლური ქართლური: „ჩააბარა პატრონსა და დეესიბა აქ“ (ყვიბისი); „დავაცილე ნიშანსა“ (ქვაბისხევი); „ამუებდენ ბალახსა წყევსები“ (ქვაბისხევი); „მუუტანდა ბატონსა: ქათამსა, გოჭსა, პურსა, ღვინოსა...“ (ახალდაბა); „იმას (ლობიოს) უზანთ, მერე ნიგოზსა, ხახვსა, ნარგიზსა, რიანსა, ქონდარსა (ყვიბისი)“ (იმნაიშვილი 1956: 95).

ჩრდილო ქართლური: „გამაფთხრიდნენ მიწასა, დააწყობდნენ კოჭეფსა, დაეხურამდენ ფიცარსა“ (ავენისი); „ჩვენსოფელ ეძახიან ავენისსა“ (ავენისი); „მერე გაურიგებენ იმ ქალსა“ (დადიანეთი); „ჩემი ჯეილობის დროსა ექვსი კომლი ვიყავით ამ სოფელში“ (ლარგვისი); „ზამთარში ყიზლარში კვებავენ ცხვარსა“ (ცხავატი) (იმნაიშვილი 1974 (2): 136, 145).

სამხრეთ ქართლური (ალგეთის ხეობის მეტყველება): „დავდგამთ რძესა, მოვხდით ნაღებსა“ (ტბისი); „გაწურულ დოსა, უზამთ მარილსა“ (მაწევანი); „ტყავსა დაშტრიან შოლტებათა“ (თონეთი) (სარალიძე 1978: 59).

ქვემო ქართლის წითელსოფლისა და ალგეთის ხეობის მეტყველებაში გვხვდება გამონაკლისი, სადაც -ა ხმოვნით გავრცობილი ფუძეთანხმოვნიანი

სახელები მიცემითი ბრუნვის ნიშნის გარეშე იხმარებიან. მაგ.: „პურა ძქამდი“; „სახლა ვგვიდი“ (წითელსოფელი); „ერთი აბია ჩვენ ქლიავება“ (თონეთი); „ფარცხაზე დააწყობენ დიდრონ ბელტება“ (თონეთი); „ამოიღებს კოვზა“ (თონეთი); „ძალიან ცხელა ქალაქა“ (ჩხიკვათა); „ჩავყრით კორკოტა“ (იმნაიშვილი 1974 (1): 195; სარალიძე 1978: 37).

საკუთარ სახელებთან მიცემით ბრუნვაში ჩვეულებრივ იხმარება -ა მავრცობი ხმოვანი. მაგ.: „მე ვერევი გიოსა“ (ატენი); „დახე რაა შახოსა, როგორ ალაგებს ნეტა ამ დილაუთენია ემაგოდენა ფლოსტებსა“ (დოესი); „მოდო ახლა დავურეკავ ლიასა“ (გარიყულა); „ისეთი გლახა ყანს თამილასა (ბავშვი), ისეთი გლახაი“ (დირბი).

ნათესაობით ბრუნვაში დაყენებული მსაზღვრელი გავრცობილი ფორმით გვევლინება ინვერსიულ წყობაში. მაგ.: „სამი ბრიგადა არის მემინდვრეობისა და ერთი მეზაღვობისა“ (დვირი); „ხე-ტყე იყო კნიაზისა“ (ახალდაბა) (იმნაიშვილი 1956: 93); „აი, ქვევრში რო ნალექი დარჩება ღვინისა“ (არბო).

-ა მავრცობი ხმოვანი გვხვდება ვითარებით ბრუნვაშიც. მაგ.: „ერთი ბიჭი წავიდა კახეთში საცხოვრებლად“ (გუგუტიანთ კარი). ალგეთის ხეობის მეტყველებაში - თ (! -დ) და -ათ (! -ად) დაბოლოების ელემენტი სიყრუეს ინარჩუნებს ა ხმოვნის წინაც. მაგ.: „დავჭრით წვრილათა“ (გოლთ.); „გალეწამს ბზეთა“ (ჯორ.); „მაიყვანა ცოლათა“ (ჩხიკვათა) (ალავიძე 1978: 57).

-ა მავრცობი ჩვეულებრივ გვხვდება რიცხვით სახელებთან ან რიცხვითი სახელებით შედგენილ სიტყვებთან. მაგ.: „პატარა სოფელი არი და ყოველდღე ხედამენ ერთიმეორესა“ (არადეთი). გვხვდება შემთხვევა, როცა მსაზღვრელ-საზღვრული ერთდროულად დაირთავს მავრცობ ხმოვანს. მაგ.: „მეორესა გოგოსა ინსტიტუტი დავამთავრებინე“ (ატენი).

ქართლურში, კახურსა და ჯავახურში გვაქვს მენა, შენა, ჩვენა, თქვენა, ესა, ისა, ეგა ნაცვალსახელები, რომელთა ბოლოკიდურ -ა-ს მავრცობის ფუნქცია აქვს (იმნაიშვილი... 1956: 76; სალარიძე 1978: 60; ჭუმბურიძე 2016: 97). ქართლური დიალექტის კილოკავებში ნაცვალსახელებში „შესაფერის პირობებში ზოგან აღდგება ა ხმოვანი, ზოგჯერ დაერთვის ეს ხმოვანი“ (ზურაბიშვილი 1972: 50).

საილუსტრაციო მაგალითები:

პირის ნაცვალსახელები: „ეხლა მე შენა მოგცემ ფულსა“ (ზერტი); „სანამ თბილიამინდები იყო, არ დათესეთ თქვენა?“ (ხელთუბანი); „პატარა ნარკვევი აქვს გაკეთებული იმასა“ (არბო); „ამასა რიყიანსა ვეძახით“ (გუგუტიანთ კარი); „ჩვენა, მაგალითათა, პეტრიანთა გვეძახიან“ (გუგუტიანთ კარი); „ნეტა რა მოსაწონი ეგა მყამს“ (ატენი); „რას ელოლიავები მაგასა“ (ატენი); „ისა კიდენა სუ მაიტა, მაიტას გაიძახის“ (სალოლაშენი); „არ უყურებ შენ ამათა“ (კარალეთი); „ჩემ ბავშვობაში ამასა ვინ წარმოიდგენდა“ (დისევი).

ჩვენებითი ნაცვალსახელები: „რასა კოცნი ამდენსა, იტყვი დიდი უნახავი ყავდე“ (ზერტი); „შიშაქია, თუ რა არის, მადლიანი ესა“ (ახრისი);

„დედაი იმდენსა შრომოს, რომა ყველაფერი გაგვიზადა შვილესა“ (ატენი); „ნეტა რათ უნდა მაგოდენა შეშაი“ (ქარელი); „სად გადაყარა ამოდენა ფული?“ (ტახტისძირი); „ვაშლის ბალი გვაქ და იმითა ვცხოვრობთ“ (დისევი); „რალა აქ გაუსკდათ სიყვარულის ბუშტი, ამოტენა ხალხში“ (ხიდისთავი).

კითხვითი ნაცვალსახელები: „ვინაა რა გლახათ დაიარება“ (ახრისი); „ვისა აქ ნეკნები დამტვრეული, ა“ (ქარელი); „რანაირათა ზიხარ, ჰა?“ (ზემო ხვედურეთი); „თქვენ რასა შვებით?“ (სალოლაშენი); „რასა ვხედავ“ (გარიყულა).

განსაზღვრებითი ნაცვალსახელები: „გებრალეზოდეთ ყველასა“ (ატენი); „ვერ იმეცადინებს თითონა“ (ზერტი); „ისეთი ლამაზი არი ე გოგო, ყველაფერსა ხდენილობს“ (ატენი).

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები: „მეც გავუკეთებ ფიფქებსა და რაღაცეებსა ბავშვებსა“ (გარიყულა); „ეხლა რაღაცა სამუშაო იყო“ (გუგუტიანთ კარი); „სუ თავიდან ვიღაცა შემოსულა“ (გუგუტიანთ კარი); „რაღაცა, პატარა, მცირე ნაწილი წმინდა აბოს სხეულის დაკრძალულია ჩვენი არბოს ტერიტორიაზე“ (არბო); „ზოგი ეხლა ელოდონ ჩემგან რამესა“ (არადეთი); „მალე გაფხუკიანდება, რომ ვინმე აწყყინებს რამესა“ (ატენი).

უარყოფითი ნაცვალსახელები: „აქ ხო თავ და ბოლოს ვერ გაუგეფ ვერაფერსა“ (არადეთი); „ცუდ არ გირჩევ არაფერსა“ (სალოლაშენი); „ჟინტა შრატა აღარა შარჩეს“ (ატენი).

სალიტერატუროენაში ხმოვანი საკუთარ და საზოგადო ხმოვან ფუძიან სახელებსა და ნაცვალსახელებთანაც შესაფერ სიტუაციაში გვხვდება მოთხრობით ბრუნვაში. თ. ზურაბიშვილის მოსაზრებით, შეიძლება წარმოშობით ეს ა მოთხრობითი ბრუნვის ნიშნისეული ხმოვანი იყოს (მან>მა), თუმცა უფრო სავარაუდოა, იგი იმავე რიგისა იყოს, როგორცაა სხვა ბრუნვებში წარმოდგენილი ა. მაგ.: ეს არ იცოდა აბეზარმა ვანომა (ი. გოგებ.); წამოიძახა გოგომა (ილია); რაზედაც ძმამა და ქვეყანამ დააყენა (ვაჟა); „სთქვა ვიღაცამა“ (ილია); რა ვქნა მე უშენომა (ილია) (ზურაბიშვილი 1972: 47).

ახალ ქართულში ემფატიკურ ხმოვანს ფუნქციური თვალსაზრისით უტოლდება ზოგი სხვა დანიშნულებისა და წარმომავლობის ა ხმოვანი. მათგან აღსანიშნავია მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის -ა ელემენტი ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან: დედა-მა (შდრ. მოთხრობითი ბრუნვის ფორმა დედა-მ); რაც შეეხება თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებს, აქ -მა საკუთრივ მოთხრობითი ბრუნვის ნიშანია (კაც-მა) და ამიტომაც -ა არ გაიაზრება ემფატიკურ ხმოვნად. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, გვიანდელი რეინტერპრეტაციის შედეგია და ისიც თავს იჩენს ახალ ქართულ სალიტერატურო ენასა და ზოგიერთ დიალექტში (ჯორბენაძე 1995: 132).

ქართულში ბოლოხმოვანი სახელებთან მოთხრობით ბრუნვაში -მა აქტიურად გამოიყენება. მაგ.: „წაიყვანა ძმამა“ (ჩუმათელეთი); „გამოიარა ორმა თხამა“ (ალი); „აღზარდა დედამა“ (ზეკოტა); „უთხრა დეიდანა“ (სავანისუბანი); „მელვინემა უთხრა“ (ცხრამუხა); „თენომა მიცა“



(დიდი ბეკამი); „ამ ჩვეულებამა დიდი გავლენა იქონია მთიულ ხალხზე“ (თორტიზა); „უპასუხა მენახირემა“ (იკოთი) (იმნაიშვილი 1974 (1): 80, 194).

ალგეთის ხეობის ქართლურში მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად ხმოვანფუძიან სახელებთან ზოგჯერ გვხვდება -მა იმავე პირობებში, რომელშიც იხმარება ემვატიკური -ა. მაგ.: „ადგა ამ მოლა მასრადინამა და თარხანის ცხენსა კუდი ძირში მაჭრა“ (ტბისი); იგივე -მა გვაქვს ც(ა) ნაწილაკის დართვისას: „მემრე კაი პური ჭამეს ნინიკამაცა და არსენამაცა“ (ტბისი). შეიძლება შევხვდეთ -მა-ს დართვას მოკვეცილ ხმოვანფუძიან სახელზე: „თავმჯდომარმა თქვა. ზოგჯერ მოთხრობითში დაყენებულ მ-ზე დაბოლოებულ სახელთან ერთი მანი ისმის. მაგ.: „აბესალომა უთხრა“ (მანგლისი) (სალარიძე 1972: 57).

ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია კონტექსტი: ზოგ შემთხვევაში მავრცობ ხმოვანად შეიძლება გავიაზროთ, ზოგჯერ კი ბრუნვის ნიშნისეულ ელემენტად მივიჩნიოთ (მან>მა). გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოთხრობითი ბრუნვა არქაული ფორმითაც შეიძლება შეგვხვდეს ქართლურში. მაგ.: „გადმასახლამეფემანგლები“ (თორტიზა) (იმნაიშვილი 1974 (1): 194); „ღმერთმან ყველა გადღერძელოთ“ (ზემოქსნური); „ერთმან კაცმა მოგვიყვა“ (ქვემოქსნური) (სომხიშვილი 1968: 54).

ანალოგიური შემთხვევები დასტურდება ზემოიმერულშიც: მამცა მუშაობამა (წიფა), გააკეთა ძმამა (ნებოდ.), აჭამა დედამა (ქვები) (ძოწენიძე 1952-1953: 75-76; ძოწენიძე 1961: 382).

- ა მავრცობი ხმოვანი დასტურდება ზმნიზედებთან. მაგალითები:

ადგილის ზმნიზედა: „სუ გაგვიხმა ნაკვეთში აქა“ (დიცი); „ჩამოვიდა აქა“ (მერეთი); „იშვიათათ არი აქა“ (თვალადი); „აგერ გვარამამე წინა ცხოვრობს“ (ქორდი); „არი მანდა გვერძე“ (არბო); „ე, მანდერა ნიშანი რო არი, მანდ გამიჩერე ერთი“ (არადეთი); „ძირითად გუგუტიშვილები ვართ სულ აქა“ (გუგუტიანთ კარი); „მიაფენს იქა“ (ატენი); „წამომიყვანეს უკანა“ (გუგუტიანთ კარი); გილოცავთ, ექა მეზობელ სოფელში დღეობაა“ (ოკამი); „შვილო, ემანდერა ქათამი უნდა იყოს“ (არადეთი).

ვითარების ზმნიზედა: „აი, ყვავილები მიყვარს ძალიანა“ (თვალადი); „ამას ხო მოჰკრეფავ, გაარჩევ ლამაზათა, მერე...“ (თვალადი).

დროის ზმნიზედა: „დოლისპურს ასე ეპახდნენ ხორბალსა მაშინა, შავფხასა“ (თვალადი); „დღესა კვირაცხოვლობაა (ოკამი); მე ეხლაცა მაქ“ (გუგუტიანთ კარი); „გუშინა გიგლათანა იყვნენ, 41 წელი აულნიშნეთ“ (არადეთი); „როდემდინა უნდა მატყუებდე“ (კეხვი).

ქართლურში დასტურდება ისეთი შემთხვევები, როდესაც თანა ასრულებს ზმნისართის ფუნქციას, წყობა კი პოსტპოზიციურია. მაგ.: „უვლიდნენ გარეშამო და მღეროდნენ თანა“ (ჩხიკვათა); „ისაც შაიდღვიბება თანა“ (გოლთეთი) (სალარიძე 1978: 60).

საინტერესო მოვლენას წარმოადგენს რიგ სახელებთან ოდინდელი -ივ სუფიქსის გამოყენება (ჩიქობავა 1942: 90-92), რომელსაც უკვე დაკარგული აქვს მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის ფუნქცია. ამჟამად იგი გვხვდება როგორც ზმნისართების მაწარმოებელი აფიქსი (შანიძე 1973: 76. ალგეთის

ხეობის მეტყველებაში ხშირია ასეთი წარმოების ზმნისართები. მაგ.: „თანაბრივ მოკრიფე ლობიო!“ (თონეთი); „გუთანი ესე რღმივ არ მოხნამს“ (თონეთი). -ივ-იანი ფორმა შეიძლება ა ხმოვნით იქნეს გავრცობილი: „იმის ბადლივა ავანტყოფი ბიჭი გაგზავნა“ (თონეთი) (სალარიძე 1978: 57). მსგავსი მაგალითი დადასტურდა ცენტრალურ ქართულშიც. მაგ.: „მოუხვევ მარცხნივა და ემანდ არ თონეი“ (ატენი).

ქართულში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც „გარკვეულ კონტექსტში -ვა ნაწილაკია ნახმარი თანამედროვე ქართულში დამკვიდრებული ც-ს ნაცვლად“ (ზურაბიშვილი 1972: 51). მაგ.: „ადრეცა ვასესხეი და ყბა ჩამომავდებინა“ (ხიდისთავი); „რო გადავილო ერთხელაცა“ (ატენი); „მერე დედამა თათარა გამიკეთა და ჩურჩხელებიცა“ (ვარიანი); „ბავშვი რო გაცივდეს, არ გეშინია, მაინცა?“ (ატენი); „ტკბილათ ელაპარაკე შენცა, დაუყვავე“ (ატენი); „ეგრე ნუ იტყვი, შვილო, კარქივ ბევრია და ცუდიცა“ (ატენი); „აბა, აწონე ეგეცა ერთი - ორი ლარისაი“ (ხელთუბანი).

ქართულ სალიტერატურო ენაში ხშირად -ა ხმოვანი შესაფერის პირობებში დაერთვის ან აღდგება თანდებულებთანაც. ასეთ შემთხვევაში ზოგჯერ ერთ სიტყვაში ორი ა მავრცობი იყრის თავს: ერთი თანდებულის წინ, ბრუნვის ნიშნის წინ, მეორე თანდებულის შემდეგ (ზურაბიშვილი 1972: 49).

ქართულში -ა მავრცობი ხმოვანი უმეტესად თანდებულის შემდეგ იხმარება. მაგალითები:

ვით(ა) თანდებული: „ჰოდა, შემოდი, რას დამდგარხარ გადამთიელივითა“ (ხიდისთავი); „შეგივარდება ხოლმე ფეხსაცმელი ტახტის ქვეშა და დგებარ მერედა, მერედა ეძებ გიჟივითა“ (ახალქალაქი); „გაქრი შარშანდელი თოვლივითა“ (არადეთი); „ჭვლები ცეცხლებივითა მწვავს გულ-მუცელს“ (ტახტისძირი) (კობერიძე 1999: 117).

როგორც ცნობილია, -ვით თანდებული ფუძემოგონიანებთან მხოლოდ მიცემით და ნათესაობით ბრუნვებს მართავს (შარაშენიძე 1939: 148). აღნიშნული თანდებული თანხმოვანფუძიან სახელებს სამ ბრუნვაში: სახელობითში, მიცემითსა და ნათესაობითში ერთვის. საინტერესო მოვლენაა ალგეთის ხეობის ქართულში -ვით თანდებულის მიერ სახელის ნათესაობით ბრუნვაში მართვა, რაც სალიტერატურო ქართულში იშვიათად გვხვდება (შარაშენიძე 1939:148). მაგ.: „წითელი ვარდებივით როა, ცერცვისავითა“ (ტბისი) (სალარიძე 1978: 60).

მსგავსი საილუსტრაციო მაგალითები დადასტურებულია ატენისა და წედისის ხეობის მეტყველებაში. მაგ.: „გემისავით ქალი იყო მანაი“; „თავისავითაა, დიდია ხოლოთ თავგზე“; „ოთარაანთ ქვრივისავითა უნდა მოექცე...“; „ვაშლისავით იყო“; „ნეტაი იმასა, ვინც მომკვდარა იმისავითა“ (კახაძე 1953: 302).

ეს მოვლენა არც ფრონეს ხეობის მეტყველებისთვის არის უცხო. მაგ.: „გავაკეთებდით რიკს - ხის პატარა პალოსავით“ (ნული).

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ალგეთის ხეობის ქართულში -ა მავრცობი ხმოვანი ერთდროულად დასტურდება თანდებულის წინ და

შემდეგ. მაგ: „სიტკბოს გულისათვისა“ (ჯორჯიაშვილი) (სალარიძე 1978: 61).

ანალოგიური მოვლენა დადასტურდა ატენის ხეობის მეტყველებაში საკუთარ სახელთან. მაგ.: „რო დამჯდარხარ პონტესასავითა“ (ატენი).

თან(ა) თანდებული: „სახლიდან გარეთა ფეხს არა ჰყოფს, არცა ლაპარაკოფს ვინმესთანა“ (ხიდისთავი); „რთველი რო გვქონდა, რატო არ მოხვედი ჩემთანა“ (ვარიანი); „ახლა აქედან წავალ აბოსთანა“ (დოესი); „სუ იცის იმანა, რო იმისთანა კაცები მეჯავრება“ (ატენი); „რა მომაწყენს, კაცი არ ილევა ჩვენთანა“ (ატენი); „ავედი ჩემ ბიძაშვილთანა“ (რუისი); „აქა ჩვენთანა ხორბალი არა გვაქ“ (ქორდი); „გამიჩერე ქალაქთანა“ (ქარელი); „იმასთანა ისეა, რო...“ (ქარელი).

ში (შია) თანდებული: „ეგრე ჩამოდღეძილი რო დადიხარ სოფელშია“ (ხიდისთავი). ატენისა და წედისის ხეობის ქართულურში დასტურდება -შიდა: „სარგო ყოფილა წისქვილშიდა“ (კახაძე 1953: 293).

ზედა თანდებული: ზედა თანდებული მხოლოდ იქ გამოიყენება, სადაც -ა ხმოვნისანი ფორმებია მოსალოდნელი. მაგ.: „მიატეტყა ის შპალერი კედელზედა“ (ხიდისთავი); „ტრანგალეტკაი ჩამოვარდა და ზედ დეეცა ფეხზედა“ (ზერტი); „მაგათ ადგილზედა იყა“ (ატენი); „თხილი იქნებოდა, კაკალი და არაყ დალევდნენ იმაზედა“ (ატენი).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ძველ ქართულში ხმარებული ზედა აღწევს მე-19 საუკუნემდე და რომანტიკოს მწერალთა ენაში არქაიზმად გვევლინება. იგი საშუალო ქართულშივე ზემდის დადის და ამ სახით საბოლოოდ ბატონდება ახალ სალიტერატურო ენაში. საშუალო ქართულში ვლინდება ზედან (/ზედან), რომელიც ზოგიერთ კილოში დღესაც იხმარება. იმერულში დასტურდება ზედას პარალელურად მოსალოდნელი ზენას შეკვეცილი სახე - ზენ. ყველა ესენი იშლება; ზე-და, ზე-ნა, ზე-და-ნა (მარტიროსოვი 1946: 217).

ფრონეს ხეობის ქართულურში დასტურდება როგორც „ზედანა“, ისე „ზეიდანა“, რომელიც ნათესაობითი ბრუნვის ფორმასთან გვხვდება. მაგ.: „კანი [ს] ზედანა ისეთი ლბილი ხორცი წამოუა, რო ...“ (ტახტისძირი); „წინათი სახლი ერდოს ზეიდანა მიწა იყრებოდა ან კიდევა ჩალა ხომე“ (დირბი).

თვის(ა)//თვინ(ა) თანდებული: „ვარჩევე კაკალსა ჩურჩხელებისთვისა“ (გარიყულა); „ფიქრობენ თავიანთი ცოლ-შვილისთვისა“ (მეჯვრისხევი); „მე კიდევა ვარ ჩემთვისა“ (ვარიანი); „ჩემი თავისთვისა არ მიმიქცევია ყურადღება“ (ზერტი); „მაგითვისამცალია?“ (ზერტი); „თავითვისა შოულობს ფულეხსა“, მე კიდევა ვჭრ ჩემთვისა, ესევე ჩემი შვილებითვისა, მა ვისთვისა მინდა“ (ატენი); შდრ. უსავრცობო ფორმა: „კომშის ფოთოლი, ჟოლო, მაგალითად, მალინას ემახიან მშვენიერია სამკურნალოდ გაციებისთვის“ (სასირეთი).

ალგეთის ხეობის ქართულურშიც იგივე პოზიციაში გვხვდება -ა მავრცობი. მაგ.: „საპალტოე მისცა გოგოსთუსა“ (ჩხიკვათა); „იმას ხმარობენ წყლისთვისა, ღვინოსთვისა (ჯორჯიაშვილი). ზოგჯერ თვინ(ა) ერთვის

ნათესაობითი ნიშნის ს ელემენტდარგულ ფორმას: „აღბათ იმითვინა თქვეს“ (საღრაშენი) (სალარიძე 1978: 61).

დან(ა) თანდებული: „ჩამომაქ ტავარი თბილისიდანა“ (ატენი); „ამოვატანინებ ცომსა ფურნიდანა“ (გარიყულა); გემეცალე ეხლა აქედანა“ (ზერტი); „მაგის ზემოდანა სულ დაღმართია“ (ქორდი); „ზოგი ატენიდანაო და არ ვიცი“ (გუგუტიანთ კარი).

ფრონეს ხეობის მეტყველებაში „ზევიდან“, „ქვევიდან“ ადგილის ზმნიზედები იხმარებიან ზეიდანა, ქვეიდანა ფორმით. მაგ.: „წვიმებს დაასწრობს, ზეიდანა გადახურავს სახლს“; „ერთი ქვეიდანა შემბღვირა და წავიდა თავი გზაზე“; „ზეიდანა დევი ქალი გადმოდგა“; „ქვეიდანა რო ცეცხლი შეუნთეს დევს, მისი ყვირილი ცად ასწვდა“. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ -ა მავრცობიანი ადგილის ზმნიზედები (როგორც თანდებულებიანი, ისე უთანდებულო) ზოგჯერ ზედსართავი სახელის მნიშვნელობით იხმარება. მაგ.: „ზეიდანა კუთხემ ჩამოიწია და ჩამოწვა კიდეც“; „ქვეითა პირი გადაკეცე და გაასწორე“; „მისი იქეთა გზაა“; „აქეთა ნათესავი სუ დაივიწყა“; „წინა მეზობელი ამომავალი ზე არი“; „უკანა პური არ იშუშება“ (კობერიძე 2006: 177).

დამ(ა) დადასტურებულია ალგეთის ხეობის ქართულში. მაგ.: „მანანა ფოთლი დამაც მოჰქონდა (ფუტკარსა), ყვავილები დამაც (კლდეისი) (სალარიძე 1978: 62).

ცენტრალურ ქართულში დასტურდება -მდის // მდინ თანდებულის -ა მავრცობიანი ფორმა. მაგ.: „არ წამიყვან სახლამდინა?“ (ტახტისძირი). სოფელ დირბის მეტყველებაში -მდე // -მდინ // -მდის თანდებული დაერთვის ვითარებითი ბრუნვის გავრცობილ ფორმას და გამოითქმის ასე: ა+ნდე // -ა+ნდინ // -ა+ნდის. მაგ.: „იმის ყურანდისაც მიაღწია“; „გორანდის ოცდაათი კილომეტრია“; „კოჭებანდი აქვთ კაბები“ (დლონტი 1980: 219).

ალგეთურ მეტყველებაში -მდინ თანდებული -ა მავრცობის გარეშე გვხვდება. მაგ.: „ერთ წლამდინ“ (თონეთი); „დეკემბრამდინ არის ტყეში“ (ზოგვი) (სალარიძე 1978: 62).

როგორც ცნობილია, ძველქართულში ფორმალურად ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა „-ით სუფიქსიანი მოქმედებითი ბრუნვა -ით სუფიქსიანი ზმნისართისაგან. სახელის ფორმაში ბრუნვის ნიშანი -ით წარმოდგენილია -ა მავრცობით (-ითა), რომელიც არ იხმარება ზმნისართის ფორმებში. -ა, როგორც განსაზღვრებითი ელემენტი, მხოლოდ სახელს შეეფერებოდა (უთურგაიძე 2005: 257).

ქართულ დიალექტში -ა მავრცობი დაერთვის ორივეს: არსებითი სახელსაც და ზმნისართსაც. მაგ.: „თოხითა ვთოხნით, ტრაქტორითა ხნამენ“ (ქორდი); „ჩემი შვილები ქედს იწვამენ მუშაობითა“ (ატენი); „კაი კომბოსტოს მწნილი ექნება, თავის კარქი არაყითა“ (დოესი). შდრ. „რო წამოვედი დილითა, დავურეკე კიკიას და ვუთხარი ჩამოვიდეს მერი აქა-თქო“ (სალოლაშენი); „მაგასა რა გამოიყვანს არსებაშია, სახლიდან გარეთა ფეხს არა ჰყოფს“ (ატენი).

იმავე პოზიციაში ვითარებითში დასმული ზმნიზედაც დაირთავს -ა სავრცობს. მაგ.: „შენა რაღაცა ფინთათა იგი ხომე თქმაი...“ (დირბი); „მშობლებს დავლოცავ, კარგათა იყვნენ და მაგრათა იყვნენ, ჩვენ კიდევად დროულათა გეფიქროს, რასა სხედხართ ესე“ (ზერტი); „ხო, წავე მარა ისეთი სუფრა იყო, გეგონება ზუზივ-წუწივ გააწყესო გაზომილათა“ (ატენი); „აესე წვრილათა სჭრიდა პატარ-პატარებსა“ (დოესი).

-ა მავრცობს დაირთავს კავშირიც. მაგ.: „ქორდს აქვს ციხე-კოშკი, რომელიცა, მე მგონი, თარიღდება მე-17 საუკუნითა“ (ქორდი); „მაგრა უნდა გაირეცხოს, რომა ჯერა აქ მაგასა კირსა თავისებურებური გემო“ (არბო); „რომა აიო, პენსიაო დაბალი გვაქო“ (ოკამი); „არ ვიცი, შვილო, ეგრე ითქვა, რომა ატენში არიან ბაიამეები“ (გუგუტიანთ კარი); „მერე მთელი სოფელი კი მოვიდა, მაგრამა მაინც არ უნდა მამხდარიყო ეგრე“ (არადეთი).

-ა მავრცობი დასტურდება „არის“ ზმნის სახელთან ენკლიტიკის შემთხვევაში. მაგ.: „ჭალაი ლიახვის პირასა და ამიტომ დაარქვეს ჭალა“ (ქორდი).

ქართლური კილო -ა მავრცობი ხმოვნის ხმარების წესის მიხედვით არსებითად განსხვავდება ძველ ქართულში არსებული ნორმებისაგან. ქართლურსა და კახურში ამ ხმოვნის ხმარება ჩვეულებრივ შეპირობებულია პაუზითა და კავშირით. ემფატიკური ხმოვანი წინადადების ერთგვარ შემკვრელად გვევლინება უმთავრესად (გიგინეიშვილი 1951). მსგავსი წესით ა მავრცობი იხმარება ქართველ მწერალთა ნაწერებში. მაგ.: „ბატონი ყრმის სისხლსა სვამს“ (ს. მგალ. 4); „ლომებრ გულს უხოკს ადამიანსა“ (ილია, VI, 71); „ასრულებენ აკადემიასა და უნივერსიტეტსა“ (ი. გოგებ., II, 35); „ყურსა და გულს ატკობდა“ (რ. ერისთ., III, 1937, 6) (იმნაიშვილი 1974 (1): 35).

მავრცობი -ა ხმოვანი ქართლურში გვხვდება: ა) პაუზასთან წინადადებაში. მაგ.: „დავდგამთ რძესა, მოვხდით ნაღებსა“ (ტბისი); „დაულამდა გზაზედა, იმას ხმარობენ წყლისთვინა“ (ჯორჯიაშვილი); ბ) და კავშირის წინ (ზოგჯერ და კავშირის შემდეგაც). მაგ.: „ბერიკაცები აკერინებდნენ ტყავებსა და გუდებსა“ (თონეთი); „დაიძინა თითონა და სახედრები გაუშვა საზოგარზე“ (ტბისი); „გადავზელამთ მარილითა და პილპილითა“ (ჩხიკვათა); გ) ზმნების წინ. მაგ.: „წველა-დღვება ერთათა გვექონდა“ (გოლოთეთი); „ძალიანა ცხელა“ (ჩხიკვათა); „თვლები ჯამბართა ჭქ მიბმული გუთანსა“ (ტბისი); „იმითვინა თქვეს“ (საღრაშენი) (სალარიძე 1978: 58).

ქართლურში ერთი საინტერესო შემთხვევაც დასტურდება: ორზე მეტი სიტყვისაგან შემდგარ მარტივ თხრობით წინადადებაში იგი ერთვის პირველ ან მეორე სიტყვას. ასეთ შემთხვევაში წინადადება ორ ინტონაციურ ერთეულად იყოფა, რომელთაგან პირველი (ხშირად მეორეც) მთავრდება ა-ხმოვანდართული სიტყვით. ეს სიტყვა აქცენტირებულია, ინტონაციურად გამოყოფილი და ამის შემდეგ პაუზა ჩნდება. პაუზის შემდეგ მეორე ინტონაციურ ერთეულში მოქცეულია ზმნა დანარჩენ წევრთა გარემოცვაში. მაგ.: „იმ ღამესა / დაიძინა თითონა“ (ტბისი); გაწურულ დოსა

/ უზამთ მარისა“ (მაწევანი) (სალარიძე 1972: 59). „ამიტომ შესაძლებელი ამ ა-ს გამოყენება თავკიდურიანი და პრევერბიანი ზმნების წინაც (შდრ. ზურაბიშვილი 1972: 53; ბეროზაშვილი 1967: 9; სალარიძე 1972: 59).

სპეციალურ ლიტერატურაში გაანალიზებულია მავრცობი ა-ს ხშირი ხმარება ზმნურ ფორმებთან. აღნიშნული შემთხვევები დასტურდება ზემორაჭულში, როგორც „ზმნური მავრცობი ა“ (ძიძიგური 1954: 75); ტაოურსა და ლივანურში „უფუნქციო ხმოვანი“ (ფუტკარაძე 2016: 300).

ეკა დადიანი დაწვრილებით განიხილავს ზმნური ა-ს რეალიზების შემთხვევებს ტაოურში ქართული ენის დიალექტებთან მიმართებით. მის მიერ მოყვანილი ნიმუშებიდან დასტურდება, რომ მავრცობი ა-ს დაერთვის როგორც პირის/რიცხვის ნიშნიან ფორმებს, ისე უშუალოდ ფუძეს (თემისნიშნიანს, უთემისნიშნოს). უკანასკნელი რიგის ფაქტები სხვა კილოებში არ ფიქსირდება. ასევე არ არის გამოვლენილი ხმოვნის მომდევნოდ ზმნური მავრცობი ა-ს გამოყენების ფაქტები სხვა დიალექტებში. ტაოური ზმნური მავრცობი ა-ს გამოვლენის სიხშირისა და დისტრიბუციის მიხედვით მეტ-ნაკლებად განსხვავდება ქართული ენის სხვა ქვესისტემებისაგან. ტაოურში, სხვა კილოებთან შედარებით, ზმნური მავრცობი ა-ს გამოვლენას კანონზომიერი ხასიათი აქვს; ის, როგორც წესი, ჩნდება ერთმარცვლიან ზმნებთან, რომელთაც არ დაერთვის ხმოვანი პრეფიქსი ან ხმოვნის შემცვლელი მორფემა (ზმნისწინი). დასტურდება სხვადასხვა მწკრივში პირისა და რიცხვის განურჩევლად. დაერთვის როგორც თანხმოვნით, ისე ხმოვნით დასრულებულ ფორმებს (დადიანი 2017: 90-96).

ქართული დიალექტის კილოკავებში ზმნური ფორმებისათვის დამახასიათებელი მავრცობი იშვიათად დასტურდება. მავრცობი ა-ს ხმოვანი ზმნურ ფორმებთან ჩვენ დავადასტურეთ ცენტრალურ ქართულში. აღნიშნული ფორმები სამეტყველო კოდთა გადართვის შემთხვევაზე უნდა მიგვანიშნებდეს. მაგ.: „მარი, პატარა პური ჭამა გვაქვსა და და არ ჩამოხვალთ? (ერგნეთი); „რა თავბედი ჩამოქტირისა“ (ხიდისთავი); „ამ დროს ვიბნევითა“ (ტახტისძირი).

როგორც ცნობილია, ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში -ი დასტურდება მხოლოდ ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებთან. კერძოდ: ფუძეუკვეცელ სახელებთან: წყარო - წყარო-ს-ი (შდრ. ძველი ქართული: წყარო-ის-ა), წყარო-თ-ი (ძველი: წყარო-ით-ა) და საკუთარ სახელებთან: ელენე-ს-ი, მერაბ-ის-ი... ამისგან განსხვავებით თანხმოვანზე დაბოლოებულ საკუთარ სახელებთან ნათესაობით ბრუნვაში პარალელურად დაჩნდება როგორც ი, ასევე ა. ასევე გვხვდება უმავრცობო ფორმაც (მერაბ-ის-ი || მერაბ-ის-ა || მერაბ-ის-), ხოლო მოქმედებით ბრუნვაში უმავრცობო ფორმა წარმოდგენილი (ჯორბენაძე 1995: 132).

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში მკვეთრად აისახა საკუთარ სახელთა საზოგადო სახელების ბრუნებასთან გათანაბრების ტენდენცია (საკუთარი სახელი სახელობითსა და მოთხრობითში დაირთავს ბრუნვის

ნიშნებს, მიცემითში, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში - ემფატიკურ ხმოვანს). ეს იყო ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი მოვლენა და სალიტერატურო ენა თანდათანობით იძულებული გახდა, ეს მოვლენა აესახა, საბოლოოდ ნორმად ექცია (სარჯველაძე 1984: 369). „ჭილ-ეტრატის იადგარში“ შეინიშნება საკუთარ სახელების ბრუნებასთან გათანაბრების ეს ტენდენცია (საკუთარი სახელები მიცემითში, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში ბრუნვის ნიშნის შემდეგ დაირთავენ ემფატიკურ ხმოვანს) (კობერიძე 2013 (1): 217).

ყურადღებას იქცევს მეათე საუკუნის სასულიერო პოეზიაში ერთი შემთხვევა, როდესაც საკუთარ სახელთან ნათესაობით ბრუნვაში დასტურდება -ი (მაგ.: „ერი იგი სამწყსო ქრისტისი“ (იოანე მინჩხი 1946: 330) (კობერიძე 2013 (2): 9), რომელიც ცოცხალი სასაუბრო მეტყველების ამსახველ მოვლენას უნდა წარმოადგენდეს.

-ა-ს გარდა -ი-ს გაჩენა ფონეტიკური კანონზომიერებით არის შეპირობებული: თუ ბრუნვის ნიშნის ხმოვნი თი ელემენტი შენარჩუნებულია, მავრცობ ხმოვანად დაჩნდება -ა, ხოლო თუკი ხმოვანი რედუცირებულია, მავრცობი ხმოვნის პოზიციაში წარმოდგენილი იქნება -ი (ჯორბენაძე 1998: 594; ჭუმბურიძე 2016: 94).

მსგავსად ქართული სალიტერატურო ენისა, ქართლურში ხმოვანფუძიანი ფუძეუკვეცილი საზოგადო სახელები ნათესაობითსა და მოქმედებითში წარმოდგენილია -ი მავრცობი ხმოვნით. მაგ.: „ცალი ტოტი ჩაკეტეს წყაროსი“ (ტახტისძირი); „დაასუქეს ღორები ქატოთი“ (დვანი).

ქართლურში -ა და -ი მავრცობი ხმოვნები თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი სახელების ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებთან ერთმანეთის პარალელურად იხმარებიან. მაგ.: „კიბითი ადიან“ (ვაშლოვანი); „ამითი თავს ირჩენდა“ (ჯავახი); „აქტითი აქ მინდორი ჩაბარებული“ (კოდა); „ჩაიარა ფერხითი“ (მუხ.) (იმნაიშვილი 1974 (2): 197); „სახლი ააშენეს მეზობლისი“ (ტახტისძირი). შდრ. „ნახირი გამორეკეს სოფლისა“ (დირბი). „აუჭრელა გვერდები თხილი სახრითი“ (ბრეთი) შდრ. „კვი კომბოსტოს მწნილი ექნება, თავის კარქი არაყითა“ (დოესი).

ამავე დროს ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ საკუთარ სახელებთან ისე, როგორც სალიტერატურო ენაში, ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში აქტიურად გამოიყენება -ი მავრცობი ხმოვანი. მაგ.: „ფურნეი კათა აცხობს პურებსა ჩიტკოსი“ (დვანი); „ამათა სული უდგიათ ქრისტოთი, თორე...“ (ტახტისძირი).

არაგვის ხეობის ქართლურში ნანათესაობითარი მსაზღვრელი იშვიათია. თუ ის ბოლოუკვეცილი სახელისაგანაა მიღებული, -ი დართულადაც შეიძლება მოგვევლინოს ზოგჯერ. მაგ.: საყურ-ბეჭედი ოქროსი გამოუგზავნო დასაო; ეს დუნდუა რომ მივიდა ალექსანდრეს ოჯახში, ცოლმა ალექსანდრესი ვერ იცნო... (იმნაიშვილი 1953: 324).

ბორჯომის ხეობის მეტყველებაში ემფატიკური ა-ს ნაცვლად -ი შეიძლება გაჩნდეს ბოლოთანხმოვნიანებსა და ფუძეუკვეცილებთანაც,

მაგრამ, ამ მხრივ, აქაური მეტყველება ვერ შეედრება ვერც ფშაურსა და ვერც ზემოიმერულს; იგი მხოლოდ ჩანასახს წარმოადგენს; მაგ.: რო გახდება ოცი წლისი (წაღვერი) (იმნაიშვილი 1956: 95).

ქართლური დიალექტის კილოკავებში -ი მავრცობი დაერთვის ზმნისართებსაც.

ალგეთის ხეობის ქართლური: მაგ. „ეს ყვავილები დილითი იშლება ხომე“ (თონეთი); „დილითი მოვიდა“ (გოლეეთი); „წინათი უფრო ვთესამდით ოსპსა“ (თონეთი); „საჩქართი მამა წინ მოვიდა სახში“ (გოლეეთი); „მაშინვეთი ვიპოვე“ (თონეთი); „მაშვეთი გაქცეულა“ (ტბისი); „რატომ მაშვეთი არ შაუკერე?“ (მაწევანი) (სარალიძე 1978: 63).

ცენტრალური ქართლური: „წინათი თვლევს ჰქონდა ხის ღერძი“ (სვენეთი); „წინათი დიდი ყაჩაღობა იყო“ (ნაწრეტი); „ოზდაათი წლის აქეთი მარტოკინა ვარ“ (ხელთუბანი). მოქმედებით ბრუნვაში ე ბოლოხმოვნანი ზოგიერთი სახელი შეიძლება მოგვევლინოს ბოლოუკვეცელადაც, მაგალითად, სიღარიბეთი (იმნაიშვილი 1974 (1): 197).

ჩვენ მიერ მოძიებულ საილუსტრაციო მაგალითებში დადასტურდა -ა და -ი მავრცობი ხმოვნის მონაცვლეობის შემთხვევები. მაგ.: „მაგისი ოჯახი გული ვერაფრითი მოვიგე“ (ტახტისძირი). შდრ. „ვერაფრითა გავაღვი (კარი) ე ბეთალმანი“ (დვანი); „ამის მიხედვითი გააკეთეი ეგ შენი მურაბაი და ნახეი მერე“ (დვანი). შდრ. „მეზობლი აზრები მიხედვითა როდემდე ვიყოთ, გაგვაგებინე ერთი“ (დირბი). როგორც ჩანს -ი-ს და ა-ს ფუნქცია ერთნაირი აქვთ. განსხვავებას გვიჩვენებენ გავრცელების ადგილით.

ბორჯომის ხეობის ქართლურში წინათ (!წინა) ზმნისართი თითქმის ყოველთვის ირთავს ი-ს; მაგ.: წინათი ხის გუთნებით და კავებით ხვანანდით მიწასა (ქვაბისხევი). ეგვე ი გვევლინება მოქმედებით ბრუნვაში ნაცვალსახელთან. მაგ.: „ამითი უნდა გაგულაოო“ (რველი); „მითი ვწერანდით“ (ყვიბისი). ი შეიძლება დაერთოს (იშვიათად) იქიდან ზმნისართსაც. მაგ.: „წამევიდა იქიდან“ (ლიკანი). გრ. იმნაიშვილს ი-ს დართვის აღნიშნული შემთხვევები ზემოიმერულის გადმონაშთად მიაჩნია (იმნაიშვილი 1956: 96).

თამარ სალარიძე ზოგიერთი (თ-ზე დასრულებული) ზმნისართის თავისებურებად მიიჩნევს ბოლოში ი ხმოვნის დართვას. დილითი, წინათი (!წინათი); საჩქართი, მაშინვეთი / მაშვეთი, რაც ანალოგიითა და უნიფიცირების მიდრეკილებით უნდა აიხსნას. მისი მოსაზრებით, თ-ზე დაბოლოებული ზმნისართებისა თუ ზმნისართული ფუნქციით გამოყენებული სახელების ი ხმოვანი გავრცობის მიდრეკილების მაუწყებელი უნდა იყოს სხვა დიალექტურ ერთეულებში დადასტურებული შემდეგი მაგალითებიც: „მმაკაცობითი, ქთამითი, მოხათრებითი“ (ნოზაძე 1970: 339); „ლამით, წინათი, მაგრათი“ (მარტიროსოვი... 1956: 70); „ნაჯახითი, თოფითი, ნიჩფითი..“ (ძოწენიძე 1973: 148). „ეს ი, რომელსაც ემფატიკურს უწოდებენ, ზოგჯერ, დიალაც ემფატიკურ ა-ს ადგილას გვხვდება და თითქოს მისივე ფუნქციით გამოიყენება, ოღონდ აშკარა სხვაობა იმაშია,



რომ ი თავისუფალია იმ პოზიციური შეზღუდვებისაგან, რაც ა"ს გამოყენებას ახასიათებს" (სარალიძე 1978: 64).

აღნიშნული მოვლენები დასტურდება ზემოიშვრულშიც. მაგ.: „ერთიმეორის მიხედვითი აკეთებენ საქმეს“; „ვერაფრის დიდებით ვერ დეიჭირა“ (ძოწენიძე 1973: 148). აღნიშნული მაგალითები -ა -ს ვერ იგუებენ; არ შეიძლება: „მიხედვითა აკეთებენ; ან: ვერაფრის დიდებითა ვერ დეიჭირა“ (სალარიძე 1978: 64).

აღნიშნული მოვლენები უცხო არ არის ქართული ენის ქართული ენის სხვა დიალექტებისთვისაც. იმერული დიალექტის კილოკავები მავრცობთა გამოყენების მხრივ განსხვავებულსურათს იძლევიან: ქვემოიშვრულისათვის როგორც -ა, ისე -ი მავრცობი არ არის დამახასიათებელი, ზემოიშვრულში კი განსხვავდება სხვადასხვა რაიონის მეტყველება (ჭუმბურიძე 2016: 99). ხარაგაულის რაიონის მცხოვრებთა მეტყველებაში (სოფლები: ლელვანი, ზარანი, ფარცხნალი...) -ა ხმოვანი უჩინარდება და მის ადგილს ი იჭერს, როგორც მისი ტოლი ოდენობა. „ნიკალას არ ეზარება სმა და ჭამა ადამიანისი“ ( ზარანი). მოქმედებით ბრუნვაში ემფატიკურ -ა-ს ადგილს იჭერს ი. „არ განსხვავდება ლაპარაკით“ (ძოწენიძე 1973: 49). ეს ი გვხვდება ზესტაფონის რაიონშიც: „როსტოვიდან მევიდა მატარებლითი“; უჭმელი რითი დგები“. საჩხერის რაიონის მცხოვრებთა მეტყველებაში მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში სისტემატურად იხმარება -ა ემფატიკური ხმოვანი, -ი-ს გამოყენების შემთხვევები იშვიათია. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს ჭიათურის რაიონშიც (ძოწენიძე 1973: 49, 50).

ქეთევან ძოწენიძე არნ. ჩიქობავას მოსაზრებებზე დაყრდნობით (ჩიქობავა 1942: 71-95) აღნიშნავს, რომ -ი ელემენტი, რომელიც ზემო იმერეთის რაიონებიდან განსაკუთრებით სვირს ქვემოთ და ყვირილის მარცხენა ნაპირზე მდებარე ჭიათურის სოფლებისა და ზესტაფონის რაიონებისთვისაა ნიშანდობლივი, ემფატიკური -ა-ს ბადალი უნდა იყოს (ძოწენიძე 1973: 107).

ბორჯომის ხეობის ქართულში დადასტურებულია -გან თანდებულიან მოქმედებითზე -ი ხმოვნის დართვა: იქიდანნი, სახლიდანნი (იმნაიშვილი 1956: 95), რომელიც ზემოიშვრულის გავლენით უნდა აიხსნას (ძოწენიძე 1952-1953: 77-78; ძოწენიძე 1957: 536; ჭუმბურიძე 2016: 99).

ამრიგად, საკვლევი საკითხის ანალიზი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ:

1. ქართულში მავრცობი ხმოვნები (-ა და -ი), მსგავსად ქართული სალიტერატურო ენისა და ქართული ენის სხვა დიალექტებისა, გამოიყენება სახელებთან და მეტყველების სხვა ნაწილებთან. დასტურდება ისეთი შემთხვევები, როდესაც მავრცობი ხმოვნების ხმარება აუცილებელია ან გარკვეულ კონტექსტში მათი გამოყენება კანონზომიერია.

2. მავრცობი -ა ხმოვანი გვხვდება: პაუზასთან წინადადებაში; და კავშირის წინ და ზმნების წინ ან შემდეგ. მავრცობიანი სიტყვისათვის დამახასიათებელია აქცენტირება.

-ა მავრცობი ხშირად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც მიცემითი ბრუნვისნიშნის არსებითი სახელის მომდევნოდ გვაქვს ერთმარცვლიანი ზმნა. ამავე პოზიციაში გვხვდება ნაცვალსახელებთან, ნაწილაკებთან, ზმნიზედებთან. თუმცა გვაქვს გამონაკლისებიც, როცა სიტყვის აქცენტირების დროს -ა გამოიყენება პრევერბიანი და პრეფიქსიანი ზმნების წინაც.

3. -ა მავრცობი ხმოვანი უმეტეს შემთხვევაში (დასავლურ და ცენტრალურ ქართულში) ხელს უწყობს მიცემითი ბრუნვის ნიშნის შენარჩუნებას. გამონაკლისს წარმოადგენს ქვემო ქართული, სადაც -ა ხმოვნით გავრცობილი ფუძეთანხმოვნის სახელები მიცემითი ბრუნვის ნიშნის გარეშე იხმარებიან (პურა, კოვზა...).

4. დასავლურ და შიდაქართულ მეტყველებაში ნათესაობით ბრუნვაში დაყენებული მსაზღვრელი გავრცობილი ფორმით გვევლინება ინვერსიულ წყობაში (ბრიგადა მემინდვრეობისა, ხე-ტყე კნიაზისა...).

5. ბოლოხმოვნიან სახელებთან მოთხრობით ბრუნვაში -მა აქტიურად გამოიყენება იმავე პირობებში, რომელშიც გვხვდება -ა მავრცობი (მნიშვნელობა აქვს კონტექსტს).

6. ცენტრალურ და ქვემოქართულ მეტყველებაში -ვით(ა) თანდებულის სავრცობიანი ფორმა სახელს მართავს ნათესაობით ბრუნვაშიც (ვაშლისავითა, თავისავითა...).

7. ქართლისათვის დამახასიათებელია -ივ სუფიქსიანი ზმნისართების გავრცობა -ა ხმოვნით (ბადლივა, მარცხნივა..).

8. ქართულში (ჩვენი მასალებით) -ა ზმნური მავრცობი იშვიათად დასტურდება. აღნიშნული ფორმები სამეტყველო კოდთა გადართვის შემთხვევაზე უნდა მიგვანიშნებდეს (მაქსა, ვიბნევითა..). თუმცა ეს არ მიუთითებს იმაზე, რომ სხვა საილუსტრაციო მაგალითებში არ დადასტურდეს ეს მავრცობი.

9. ქართულში -ა და -ი მავრცობი ხმოვნები თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი სახელების ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებთან ერთმანეთის პარალელურად იხმარებიან. ამავე ბრუნვებში აქტიურად გამოიყენება ი მავრცობი ხმოვანზე ფუძედაბლოებული საკუთარ სახელებთან (ჩიტკოსი, ქრისტოთი).

10. არაგვის ხეობის ქართულში ნანათესაობითარი მსაზღვრელი, თუ ის ბოლოუკვეცილი სახელისაგანაა მიღებული, ზოგჯერ -ი დართულადაც შეიძლება მოგვევლინოს (საყურ-ბეჭედი ოქროსი).

11. ქართული დიალექტის კილოკავებში -ი მავრცობი დაერთვის ზმნისართებსაც (დილითი, წინათი, აქეთი). ჩვენ მიერ მოპიებული საილუსტრაციო მაგალითებში დადასტურდა -ა და -ი მავრცობი ხმოვნის მონაცვლეობის შემთხვევები (ვერაფრითი / ვერაფრითა, მიხედვითი / მიხედვითა).

12. ქართულში -ა და -ი მავრცობებს ერთნაირი ფუნქცია აქვთ,

განსხვავებას გვიჩვენებს კილოკავების მიხედვით გავრცელების ადგილი. ვფიქრობთ, აღნიშნული შემთხვევები ანალოგიითა და უნიფიკაციის მიდრეკილებით უნდა აიხსნას.

#### დამოწმებული ლიტერატურა

- ბეროზაშვილი 1967: ბეროზაშვილი თ., ნიკო ლომოურის ენა, საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი (რუს. ენაზე). თბილისი, 1972.
- გიგინეიშვილი 1951: გიგინეიშვილი ივ., ახალი ქართული სალიტერატურო ენა და ვაჟა-ფშაველა. გაზეთი „სახალხო განათლება“, №14, 15, 1951.
- დადიანი 2017: დადიანი ე., ზმნური მავრცობი -ა ტაოურში. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა, ტ. XXI. ქუთაისი, 2017.
- ზურაბიშვილი 1972: ზურაბიშვილი თ., მავრცობი ა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, I. თბილისი, 1972.
- იმნაიშვილი 1953: იმნაიშვილი გრ., არაგვის ხეობის ქართლური. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV. თბილისი, 1953.
- იმნაიშვილი 1956: იმნაიშვილი გრ., ზორჯომის ხეობის ქართლურის თავისებურებანი. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VIII. თბილისი, 1956.
- იმნაიშვილი (1) 1974: იმნაიშვილი გრ., ქართლური დიალექტი, I. თბილისი, 1974.
- იმნაიშვილი (2) 1974: იმნაიშვილი გრ., ქართლური დიალექტი, II. თბილისი, 1974.
- კახაძე 1953: კახაძე ო., ატენისა და წედისის ხეობის ქართლური. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV. თბილისი, 1953.
- კობერიძე 1999: კობერიძე მ., სახელთა მრავლობითი რიცხვის აღნიშვნის საკითხისათვის ფრონეს ხეობის ქართლურში: საენათმეცნიერო ძიებანი, IX. თბილისი, 1999.
- კობერიძე 2006: კობერიძე მ., ზოგი ზმნიზედის ფორმისა და ფუნქციისათვის ფრონეს ხეობის ქართლურში. საენათმეცნიერო ძიებანი, XXII. თბილისი, 2006.
- კობერიძე 2013 (1): კობერიძე მ., ემფატიკური ხმოვანი „ჭილ-ეტრატის იადგარში“. ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული, V. ქუთაისი, 2013.
- კობერიძე 2013 (2): კობერიძე მ., ემფატიკური ხმოვანი მეათე საუკუნის სასულიერო პოეზიაში. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, №5. გორი, 2013.
- მარტიროსოვი 1946: მარტიროსოვი არ., თანდებული ქართულში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I. თბილისი, 1946.
- მარტიროსოვი... 1956: მარტიროსოვი არ., იმნაიშვილი გრ., ქართული ენის კახური დიალექტი. თბილისი, 1956.
- მინჩხი 1946: იოანე მინჩხი, დასადებელნი წმინდისა აღდგომისანი: ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შემდგენელი სილ. ყუბანიევილი, თბილისი, 1946.

- ნოზაძე 1970: ნოზაძე ლ., ქართული დიალექტური მასალები. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XVIII. თბილისი, 1970.
- სალარიძე 1978: სალარიძე თ., ალგეთის ხეობის ქართული. თბილისი, 1978.
- სარჯველაძე 1984: სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი. თბილისი, 1984.
- სომხიშვილი 1968: სომხიშვილი ვ., ქსნის ხეობის მეტყველება. ცხინვალი, 1968.
- უთურგაძე 2005: უთურგაძე თ., ზმნისართები -ით სუფიქსით. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IX. თბილისი, 2005.
- ფუტკარაძე 2016: ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, II. ბათუმი, 2016.
- დლონტი 1980: დლონტი ალ., ფილოლოგიის ჩანაწერები. თბილისი, 1980.
- შანიძე 1973: შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I. თბილისი, 1973.
- შარაშენიძე 1939: შარაშენიძე თ., „ვით“ თანდებული ქართულში. თსუ შრომები, X. თბილისი, 1939.
- ჩიქობავა 1942: ჩიქობავა არნ., სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. თბილისი, 1942.
- ჩიქობავა 1950: ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I. თბილისი, 1950.
- ძიძიგური 1954: ძიძიგური შ., ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან. თბილისი, 1954.
- ძოწენიძე 1952-1953: ძოწენიძე ქ., ზემოიმერული კილოკავი: ქუთაისის ალ. წულუკიძის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XI. ქუთაისი, 1952-1953.
- ძოწენიძე 1957: ძოწენიძე ქ., ზემოიმერული კილოკავის ძირითადი თავისებურებანი: ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XVII. ქუთაისი, 1957.
- ძოწენიძე 1961: ძოწენიძე ქ., ზემოიმერული კილოკავი (ჭიათურის მიმდებარე სოფლების მეტყველების მიხედვით). ქუთაისის ალ. წულუკიძის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXIII. ქუთაისი, 1961.
- ძოწენიძე 1973: ძოწენიძე ქ., ზემოიმერული კილოკავი. თბილისი, 1973.
- ჭუმბურიძე 2016: ჭუმბურიძე ნ., მავრცობი ხმოვნები სალიტერატურო ქართულში და მათი ნაირსახეობანი დიალექტებში. წიგნში: გ. გოგოლაშვილი, ნ. შარაშენიძე, გ. ცოცანიძე, ნ. ჭუმბურიძე, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II. თბილისი, 2016.
- ჯორბენაძე 1989: ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, 1. თბილისი, 1989.
- ჯორბენაძე 1995: ჯორბენაძე ბ., ქართველურ ენათა დიალექტები. თბილისი, 1995.
- ჯორბენაძე 1998: ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, 2. თბილისი, 1998.

**ივანე მაჩაბლის სახე  
თანამედროვეთა მოგონებებში**

**The face of Ivan Machabel  
in the memoirs of contemporaries**

**მარიამ მარჯანიშვილი**

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი  
საქართველო, ქუთაისი

**Mariam Marjanishvili**

Kutaisi State Historical Museum  
Georgia, Kutaisi

**ABSTRACT**

Many myths and legends are connected with the disappearance of the great translator of the great Shakespeare, Ivan Machabel. This process continues today. Researchers still provide materials based on assumptions or versions that rely less on documentary research and reality.

Many memories of the strange death or disappearance of Ivan Machabel are also scattered abroad, the authors of which are his contemporaries, his direct eyewitnesses, and give us many references that shed new light on the face of the immortal ancestor, the many mysterious aspects of his life and work.

The story of Rezo Gabashvili, the son of writer Ekaterine Gabashvili, a worthy representative of Georgian political emigration, attracts attention from several memoirs.

Among the memoirs are also many interesting places gathered to immortalize the public work of his wife, Anastasia (Tasso) Machabel, and the creative activity of Ivan Machabel. Tasso Machabel's authority and name grew when he began to publish the writings of his worthy wife, Ivan Machabel, and around this issue, Daraz ought to write about the writings of his late wife. Regarding the „Bankobiana“, which was unleashed between two great figures, the memoirs of Giorgi Zhuruli, a political emigrant, a National Democrat, and a member of the first coalition government of independent Georgia, draw attention: „Ilia was preparing for each session as a student for the exams. During the separation of technical and principled questions, he was often equipped with complete documentation, quoting from special books...“

The details of the memoirs clearly show the lines to create a portrait of Ivan Machabel, in which not only the translator of Shakespeare in the past and the personality of a prominent public figure live but also these icons bring to life the icon of a worthy patriot.

საკვანძო სიტყვები: ილია, მაჩაბელი, ბანკობია, შექსპირის მთარგმნელი, მოგონებები, პორტრეტები

Keywords: Ilya, Machabel, Bankobia, Shakespeare translator, Memoirs, Portraits.

მრავალი მითი და ლეგენდაა დაკავშირებული დიდი შექსპირის უბადლო მთარგმნელის ივანე მაჩაბლის გაუჩინარებასთან. ეს პროცესი დღესაც გრძელდება. მკვლევრები ამჟამადაც ვარაუდებსა თუ ვერსიებზე დაყრდნობით გვაწვდიან მასალებს, რომლებიც დოკუმენტურ კვლევებსა და რეალობას ნაკლებად ეყრდნობა.

ივანე მაჩაბლის უცნაურ სიკვდილსა თუ გაუჩინარებაზე ასევე მრავალი მოგონებაა გაფანტული უცხოეთში, რომელთა ავტორები მისი თანამედროვენი, მისი უშუალო თვითმხილველნი არიან და ბევრ ისეთ ცნობას გვაწვდიან, რომლებიც ახალი კუთხით აშუქებენ უკვდავი წინაპრის სახეს, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მრავალ იდუმალეობით მოცულ მხარეს.

ამ მოგონებათაგან ბევრი საინტერესო ადგილია დამოწმებული, სადაც ახალი ცნობებია ე.წ. „ბანკომანიასთან“ დაკავშირებით და ასევე მისი მეუღლის - ანასტასია (ტასო) მაჩაბლის საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე. იგი ივანე მაჩაბლის საქმიანობის უკვდავსაყოფად ყველაფერს აკეთებდა.

მოგონებათა მთელი რიგი წყებიდან ყურადღებას იპყრობს მწერალ ეკატერინე გაბაშვილის ვაჟის - ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ღირსეული წარმომადგენლის რეზო გაბაშვილის მონათხრობი: „ნამდვილი ომი გათამაშდა ჩემს ყმაწვილობაში - „ბანკომანიის“ სახელით. ხუმარანი თუ პოეტები, ჟურნალისტები თუ პუბლიცისტები, ტლანქი მოენე თუ კარიკატურისტები, მთელი ქართველი საზოგადოება იყო გაყოფილი და აყოლილი თავად-აზნაურობის ამა თუ იმ ბანაკს: „ჭავჭავაძისტები“ და „მაჩაბლისტები“ გააფთრებით ებრძოდნენ ერთმანეთს. ვანო მაჩაბელის მომხრე ქართლელი თავად-აზნაურები ტივებით ჩამოდიოდნენ თბილისში და კახელნი „ცხენ და ცხენ ან დილიყნებითა“...

ყოველი კრება იყო მძაფრი პაექრობა არა მარტო ილიას ენამჭევრობის „მძიმე არტილერიასა“ და ვანო მაჩაბლის მჭერმეტყველების „მსუბუქ ცხენოსნებს“ შორის, არამედ გონებით უფრო ნაკლებ, ვიდრე სატევრითა და რევოლვერით შეიარაღებულთა შორის... მაგრამ ილიას ძალუმი ლოგიკა, სარკაზმებითა და მჭრელი ირონიით შეზავებული სიტყვა არა მარტო სჯობნიდა მუდამ, არამედ, რაც მთავარია, - ანელებდა მოწინააღმდეგეთა სიმძაფრეს და კრება არასოდეს გასცდენია პარლამენტალურ წესებს.

„...საბოლოოდ ილიამ გაიმარჯვა, მისი პირადი მეგობარი ივანე მაჩაბელი კი მისტერიულად დაიკარგა. ამ ამბავმა დიდი მღელვარება გამოიწვია, მაგრამ ზეთივით გადაესხა „ბანკობიანას“ ზღვას... სტიქიონი დაწყნარდა და მას აქეთ, ილიას მესაჭეობით, ბანკის გემს ყოველწლიურად

მოჰქონდა საქართველოს სალაროში ერთი მილიონი მოგება“ (შარაძე 1986: 47-148).

„ბანკობიანას“ უკეთ წარმოსაჩენად, რომელიც ორ დიდ მოღვაწეს შორის იყო გაჩაღებული, დავიმოწმებთ პოლიტიკური ემიგრანტის, ეროვნულ-დემოკრატიისა და დამოუკიდებელი საქართველოს პირველი კოალიციური მთავრობის წევრის გიორგი ჟურულის მოგონებებს: „... იმ ხანობას „ბანკობია“ უკვე გაჩაღებული იყო ჩვენში.

ილია ყოველ მორიგ სხდომისათვის ისე ემზადებოდა, როგორც სტუდენტი გამოცდებისათვის. ტექნიკურ და პრინციპიალურ კითხვების გარჩევის დროს სრული დოკუმენტაციით აღიჭურვებოდა ხოლმე, სპეციალურ წიგნებიდან ციტატების წარდგენით...

ჩვენ, ახალგაზრდებს ბევრი რამ არ მოგვწონდა „მაჩაბლისტების“ და „ჭავჭავაძისტების“ ახირებულ შებრძოლებებში. ამიტომ თავშივე ორთავ პარტიას ვერიდებოდით და ჩვენი დამოუკიდებელი ჯგუფის შედგენა დავაპირეთ, როგორც სხვებმა „ნეიტრალურ პარტიის“ სახელით მონათლეს. დიდხანს არ შეგვრჩენია ნეიტრალობა და მალე ჭავჭავაძისტებში გავითქვიფეთ, რაშიაც ხელი თვით ოპოზიციონერ-მაჩაბლისტებმა შეგვიწყვეს...

მაშინაც, და ეხლა მით უფრო, არ მომწონდა ბანკის კითხვების გარშემო ასეთი შეჯახება. დღესაც ვერ გამიგია - რა ჰყოფდა სერიოზულად იმ ორ ჯგუფს. ვგონებ უფრო ტემპერამენტი, ვიდრე პრინციპიალური განხეთქილება.

არა მცირე როლი ითამაშეს მათ, ვინც ილიას და ვანოს გარშემო იყვნენ დაჯგუფებული და უპრაგონოდ ენაწყლიანობდნენ. ნიჭითა და ენერგიით სავსე ივანე მაჩაბელი ის მაჭარი იყო, რომელიც სულ მუდამ დუღდა და გადმოდიოდა, - ილია კი ას-კოკიან ქვევრში დამდგარი და უკვე დაყენებული ღვინო იყო. ერთი ანგარიშს იმას არ უწევდა, რომ შეუძლებელია სულ მუდამ მაჭრობაში ყოფნა, - მეორეს კი თითქოს დავიწყებოდა, რომ ერთ დროს იგიც მაჭარი ბრძანდებოდა. თვითონ ბანკისათვის იმდროინდელ კრებებს, თავდავიწყებამდე გატარებულს, ჩემის აზრით, ვნების მეტი არა მოუტანია რა“ (იქვე: 165-166).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ივანე მაჩაბლის უცნაურ სიკვდილთან ბევრიმიტქმა-მოთქმასწავლობდა. ბევრსაკაკიწერეთლისადატასომაჩაბლის ურთიერთობის გამოც გარკვეული ეჭვი ჰქონდათ, რაზედაც მეტყველებს ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენლის - ვახტანგ ღამბაშიძის ერთი ეპიზოდი მოგონებათა წიგნიდან „სამშობლოში ნასმენ-ნახული“, რომლის ავტორს მიაჩნდა, რომ „მოგონებები და ცოტა რამ გაკეთებულიც - ყველაფერი ეს არ უნდა დაიკარგოს უკვალოდ, რამეთუ კაცობრიობა წარსულის მოგონებითაც ცხოვრობს“ (ერის დიდება 1958: N5).

ამ მოგონებათა წიგნში ექიმი ვახტანგ ღამბაშიძე შოტლანდიიდან გრიგოლ დიასამიძისადმი გაგზავნილ, 1947 წლის 24 ივლისით დათარიღებულ წერილში მოგვითხრობს: „რადაცას რომ ამბობდნენ აკაკის

მიერ დატოვებულ ანდერძის შესახებ, ვითომ რამოდენიმე წლის შემდეგ უნდა გაეხსნათ და ელოდნენ ზოგიერთ საიდუმლოების გამომჟღავნებას - ასეთი ხმები იყო გავრცელებული ერთ დროს - ამის შესახებ ხომ არაფერი გაგიგია, ჩემო გიგო, როგორც მაგონდება ეხლა, შემდეგ საქართველოდან ჩამოსულ პირთაგან გადმოცემით, არაფერი განსაკუთრებით საყურადღებო ამ ანდერძში არ აღმოჩენილა. ყველანი უფრო ვანო მაჩაბლის შესახებ ელოდნენ რისამე გამომჟღავნებას. სხვათა შორის, მანსვეტაშვილს ვანო მაჩაბლის გარდაცვალება 1898 წელს აქვს აღნიშნული. სწორედ ამ წელს დავბრუნდით ვანდა და მე საქართველოში და თბილისში ჩამოსვლისთანავე ტასომ მკითხა: ყველაფერს გაფიცებ, რაც თქვენთვის ძვირფასი არის ქვეყანაზედ, ჩემს ვანოს არ შეხვედრილხართ უცხოეთში?...“ (შარაძე 1992: 108).

ივანე მაჩაბლის მეუღლემ ტასო ბაგრატიონ-დავითაშვილმა დიდი ტანჯვა და მღელვარება გადაიტანა მეუღლესთან ერთად 80-იანი წლების ბანკის გარშემო ატეხილი დავისას. ამიტომ მისი ცხოვრებაც ისეთივე მშფოთვარე და დაძაბული იყო, როგორც ივანე მაჩაბლის, მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, იგი შეგნებულად ხვდებოდა მის კარზე მომდგარ ყოველგვარ გაჭირვებას. მაშინაც კი, როცა საშინელი უბედურება დაატყდა თავს, არა მარტო მას, არამედ მთელ ქართველ ხალხს ვანო მაჩაბლის უგზო-უკვლოდ დაკარგვის გამო, ტასო სულიერად არ დაცემულა, ვაჟკაცურად გაუძღვა ვალებში ჩაფლულ ოჯახს და ამავე დროს არც საზოგადოებრივ ასპარეზს ჩამოშორებია.

ტასო მაჩაბელი გახლდათ ქართული თეატრის მეცენატი, ჟურნალ-გაზეთების გამოცემის საქმის ორგანიზატორი, რომელიც მატერიალური სახსრებითაც უზრუნველყოფდა ქართული პერიოდიკის შეუფერხებლად გამოცემას.

ერთიორად გაიზარდა ტასო მაჩაბლის ავტორიტეტი და სახელი, როცა ის შეუდგა თავისი ღირსეული მეუღლის - ივანე მაჩაბლის ნაწერების გამოცემას და ამ საკითხის გარშემო დარაზმა თავისი განსვენებული მეუღლის მეგობარი მწერლები.

„დიდად პატივცემულო ბატონო დავით! - სწერდა ტასო მხატვარ დავით გურამიშვილს, - გაზეთებიდან მოგეხსენებათ, განვიზრახე ჩემი ქმრის თარგმანების გამოცემა, რომელშიაც მოთავსებული იქნება აგრეთვე მისივე ბიოგრაფია. თქვენ, როგორც ქართველი საზოგადოებისათვის კარგ მცოდნეს და თვალსაჩინო მოღვაწეს, ალბათ უყურადღებოდ არ დაგრჩებოდათ საზოგადოებრივი მოღვაწეობა ჩემი ქმრისა.

თქვენ მეგობრობდით და პარიზშიაც ერთად იყავით ორ წელიწადს, ისე რომ, როგორც კერძო ადამიანს, შეგიძლიათ დაახასიათოთ თავისი ნაკლით, ანუ კარგი თვისებებით. ამიტომ ძალიან დამავალებთ, თუ გაირჯებით და დაგვეხმარებით ამ საქმეში“ (ჩიხლაძე 1976:146).

ასეთი შინაარსის წერილები მისწერა მან ზაქარია ჭიჭინაძეს, იონა მეუნარგიას, სამსონ ფირცხალავას, დავით კარიჭაშვილს, ანტონ



ფურცელადეს, ანასტასია თუმანიშვილს, დომენიკა ერისთავ-განდევილს და სხვა.

მართლაც, არ დარჩენილა ივანე მაჩაბლის არც ერთი პატივისმცემელი და დამფასებელი, რომ არ გამოხმაურებოდა ტასო მაჩაბლის შესანიშნავ ინიციატივას.

ამას გარდა, ტასო მაჩაბელმა დრამატულ საზოგადოებას გადასცა ივანე მაჩაბლის შექსპირის დრამების ქართული თარგმანების დედნები.

ქართული თეატრი, წერა-კითხვის საზოგადოება, სახალხო თეატრი, სხვადასხვა საზოგადო-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, სად არ გინდათ, რომ ტასო მაჩაბელი არ მონაწილეობდა, როგორც მუყაითი და დაუზარელი დედა-დიასახლისი.

ამ ქალის ცოცხალ პორტრეტს გადმოგვცემს მისი თანამედროვე და ოჯახის ახლო მეგობარი ემიგრანტი გიგო დიასამიძე: „გვინახავს ტასო ფილანტროპისა და კეთილშობილი ქველმოქმედის როლში, მუდამ საქმიანი, აჩქარებული, ათას საზოგადოებრივ საზრუნავ საკითხებზე ჩაფიქრებული, მუდამ ვიდაცაზე მოფუსფუსე, ვიდაცის მფარველი“ (ჩიხლაძე 1976: 139).

ივანე და ტასო მაჩაბლებს ქალ-ვაჟი ჰყავდათ: „მე კარგად მახსოვს მამაჩემის უგზო-უკვლოდ დაკარგვის შემდეგ ვალებში ჩაფლული ჩვენი ოჯახი, - გვიამბობს ელენე მაჩაბელი. როცა დედაჩემი აქეთ-იქით დარბოდა, ათასგვარ გზასა და საშუალებას ეძებდა ბავშვების საზრდოს მონახვისათვის. სახლის გაყიდვით, ვექსილებისა და ნივთების დაგირავებით ხომ სული გვქონდა გაწამებული...“

დედაჩემს დიდხანს არ გაუხდია შავები. მახსოვს მხოლოდ ერთხელ თავად-აზნაურობის საღამოზე ჩაიცვა პირველად ლურჯი ხავერდის კაბა და ამის მეტი კაბა არ ქონია სიკვდილამდე. მძიმე მატერიალურ პირობებში, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებოდით, დედამ მაინც მოახერხა საზღვარგარეთ ჩემი ძმის ნიკუშას გაგზავნა“.

მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობითაა სავსე მისი წერილი ვაჟიშვილისადმი... „სულით ამაღლებული იყო წმინდა ცხოვრებით აღსავსე მამაშენი. იმისი მაგალითი თვალწინ უნდა გვქონდეს ყოველთვის. ის ფიქრობდა, თუ ყოველი წვერი საზოგადოებისა იქნება სრული ჭკუით, სიკეთით, ეს ხომ ბედნიერებაა, რადგან საზოგადოებაც იქნება მაშინ მძლავრი, და ასეთი საზოგადოება რას იზამს, მთებს დასძრავს, არა?“ (ჩიხლაძე 1976: 153).

შექსპირის ქართულად მთარგმნელის ოჯახთან დაკავშირებული გახლდათ ინგლისის კიდეც ერთი სახელოვანი შვილები და-მმა უორდროპები, რაც კარგად ჩანს ტასო მაჩაბლის ოლივერ უორდროპისადმი გაგზავნილ წერილებში: „... ეს არეულობა ასე მალე არ ჩაწყნარდება, მე კი არ მინდა, რომ ნიკომ დრო დაკარგოს და ალბათ დამჭირდება სწავლის დასასრულებლად მისი უცხოეთში გაგზავნა. ამ გადაწყვეტილებას ის დადებითი მხარეც ახლავს, რომ იგი შეისწავლის უცხო ენებს, რაც მომავალში დიდად გამოადგება...“

„...ნიკოს ჯერ ვერაფერი გადაუწყვეტია თავისი სწავლის შესახებ. სურს აგრონომიის კურსი მოისმინოს მონპელიეში, მაგრამ რადგან ფრანგული ენა არ იცის, ერთ წელს მაინც დაკარგავს... სანამ ენას ისწავლის... სამწუხაროდ, საქმეები საშუალებას არ მძლევს კავკასიიდან წამოვიდე და ნიკო იძულებული იქნება მარტო გაემგზავროს, თუ კი მაინც გადაწყვიტა საფრანგეთში გააგრძელოს სწავლა.

...სიყვარულით მოგიკითხავთ ყველას ერთობით. ნიკო წავიდა ბელგიაში, ელენე მოკითხვას გიგზავნით“ ... (შარაძე 1986: 242-245).

ტასო მაჩაბლის სამივე წერილი 1971 წლითაა დათარიღებული. ორი მათგანი ფრანგულ ენაზე, ხოლო ერთი ქართულადაა დაწერილი.

ამრიგად, მოგონებათა ამ დეტალებიდან აშკარად იკვეთება შტრიხები ივანე მაჩაბლის პორტრეტის შესაქმნელად, რომელშიც ცოცხლობს არა მარტო გარდასულ დროში დარჩენილი შექსპირის მთარგმნელი და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის პიროვნება, არამედ ამ მოგონებებით ჩვენშიც ცოცხლდება ღირსეული მამულიშვილის ხატება.

#### დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები

**შარაძე 1986:** შარაძე გ., საქართველოს მზე და სიყვარული ალბიონის კუნძულზე. თბილისი, 1986.

**შარაძე 1992:** შარაძე გ., ამერიკელი ქართველები თვალის ერთი გადავლებით. თბილისი, 1992.

**ჩიხლაძე 1976:** ჩიხლაძე ნ., ღვაწლმოსილი ქართველი მანდილოსნები. თბილისი, 1976.

**ერის დიდება 1958:** გაზეთი „ერის დიდება“, №5. თბილისი, 1958.

**რელიგიური ვითარება  
მეოცე საუკუნის დამდეგის ცხინვალის მხარეში**

**The Religious situation at the beginning of the  
XX Century in Tskhinvali Region**

**ალექსანდრა მღაბრიშვილი**

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი  
გორი, საქართველო

**Aleksandre Mgebrishvili**  
Gori State Teaching University  
Georgia, Gori

**ABSTRACT**

Apart from the native language and cultural traditions, religious viewpoints of the Ossetians were highly valued, it can be proved by the notes both Georgian and Russian sources of the XIX century.

XIX century Russian sources point out the pagan origin of the majority of Ossetians. During the sacrifice rituals, they killed goats and hung their skins on tall trees. Christian Ossetians kept strict fasts and held sacrifice rituals on 'holy Sundays'. Islam spread mostly among Digorel Ossetians. Christianity was introduced to the Ossetians first from Byzantium in the VI-VII centuries, and then from Georgia. Although Christianity was not firmly established and the inhabitants of the mountainous regions were pagans in the late Middle Ages.

The topic of religion was of utmost importance. If the Georgian language was popular among the settled Ossetians on the Georgian territory, it was not popular among the Ossetians that came down from the mountains of the North Caucasus, not to say anything about the spread of Christianity. To settle the problems and spread political influence on the North Caucasians at the same time, Tsar's Russia used strategies such as a military and a migration policy. Georgian clergy were actively involved in the missionary campaign to convert a non-Christian population, living in the Caucasus, into Orthodox religion.

The Ossetians always could care and expand their cultural traditions, get a good education, and create their worthy contemporary history during the period of living in Georgia. Georgian state always provided Ossetians with fertile soil to improve literary and cultural relations among them, set new ways for their development and move onto the next stage, and so on.

After the establishment of the Soviet government in Georgia, church life had to face a difficult situation. Beginning from the XIX century malicious policy of conducting the service in the church in Russian, the abolition of autocephaly, and announcing Georgia as a Russian province by Royal Russia was successfully continued by Bolshevik Russia. From the first days of the Sovietization of Georgia, the purposeful fight against the Georgian Orthodox church began.

At the end of the 20s, with the view to intensify the anti-religion campaign, the establishment of atheist alliances began. Significant obstructing factors of the Georgian religion were national traditions that opposed the dangerous prototype of a unified Soviet person.

**საკვანძო სიტყვები:** ცხინვალი, ეთნიკური კონფლიქტი, სეპარატიზმი, ოკუპაცია, ტერიტორიული მთლიანობა, საბჭოთა რუსეთი, ბოლშევიზმი, რელიგია, კულტურა.

**Keywords:** Tskhinvali, ethnic conflict, separatism, occupation, territorial integrity, Soviet Russia, Bolshevism, religion, culture

მშობლიური ენისა და კულტურული ტრადიციების გვერდით საინტერესო გზა გაიარა ოსთა რელიგიურმა შეხედულებებმა, რომელთა შესახებაც საგულისხმო ცნობებს გვაწვდიან როგორც ქართული, ისე XIX საუკუნის რუსული წყაროები.

„საქართველოში, განსაკუთრებით ბარის რაიონებში ოსების მიერ მამულის მიღების და დამკვიდრების ერთ-ერთი პირობათაგანი იყო მათი ქრისტიანობა. წყალობის წიგნებში ხშირადაა ხაზგასმული ის ფაქტი, რომ ესა თუ ის ოსი „ახალი ქრისტიანია“, „ნაოსარი“, ანდა „ოსყოფილია“. სამივე შემთხვევაში ეს ნიშნავს იმ ოსის ქრისტიანობას, რომელსაც ეს ცნებები ეხება. ამ გარემოებაზე მითითება იმის მაჩვენებელია, რომ ქრისტიანი ოსის (თუ ის ქრისტიანია, მაშინ „ოსი“ ამ სიტყვის სრული აზრით აღარცაა და იგი ქართველად ითვლება) ცხოვრება ქრისტიანულ ქართულ მოსახლეობას შორის კანონზომიერია და ფრიად სასურველიც“ (სონღულაშვილი 2009: 179).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, ოსნი: „სარწმუნოებით არიან ძუელად ქრისტიანენი და სამწყსონი ნიქოზლისანი, და უფროს დუალნი. არამედ აწინდელთ ჟამთა დუალნი სახელით ოდენ ქრისტიანენი, რამეთუ იმარხვენ დიდმარხუასა, ხატთა, ეკლესიათა და სამღუდელოთა პატივსა უყოფენ და თაყვან-სცემენ, და სხვისა სრულიად უმეცარნი, არა უვისთ მღუდელი, და უნათლისღებონი არიან, თვინიერ რომელნი ქართლსა და რაჭას მოინათვლიან. ხოლო თაგაურნი, ქურთაულნი, ვალაგირი, ფაიქომი, დიგორელნი და ბასიანელნი, რომელთა თავნი და წარჩინებულნი მათნი არიან მაჰმადიანნი, და დაბალი გლეხნი ქრისტიანენნი, გარნა უმეცარნი

ორივეს რჯულისანი, რამეთუ გარჩევა მათი არს ესე: რომელნი სჭამენ ღორსა, არიან ქრისტიანენი, და რომელნი სჭამენ ცხენსა, ესენი არიან მაჰმადიანნი. გარნა ყოველთავე უწყიან მზგავსი კერპისა, რომელსა უწოდებენ ვაჩილას, რამეთუ შესწირავენ ელიას თხასა და ხორცსა შესჭამენ თვითვე, ხოლო ტყავსა გასჭიმავენ მაღალსა ძელსა ზედა და თაყვანი-სცემენ ტყავსა მას დღესა შინა ელიასასა, რათა არა მოუვლინოსთ ელიამ სეტყუანი და მოსსცეს ნაყოფნი ქუეყანისანი“ (თოგოშვილი 1977: 37).

ოსების დიდი ნაწილის წარმართულ წარმოდგენებთან სიახლოვეზე XIX საუკუნის არაერთი რუსული წყაროც მიუთითებს.

რუსი მწერალი ორესტ ევეცკი, რომელიც დიდხანს მუშაობდა კავკასიაში (ამიერკავკასიის სტატისტიკის მიმართულებით), დაკავებულ იყო რუსული ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შეგროვებით, საქართველოს მთავარმმართველის, გენერალ-ფელდმარშლის, გრაფ პასკევიჩის ბრძანებით შექმნილ ნაშრომში „ამიერკავკასიის სტატისტიკური აღწერა“ არაერთგზის მიუთითებს, რომ ამიერკავკასიაში მცხოვრები 22 000 სული (იგულისხმება ორივე სქესი) ოსიდან, რომლებიც ოსურ ენაზე საუბრობენ, გარკვეულმა ნაწილმა მიიღო ქრისტიანული (ბერძნული მიმართულების) სარწმუნოება და შეურია მასში სხვადასხვა წარმართული რიტუალები, ხოლო ნაწილი კი კერპთაყვანისმცემელია. როგორც ერთ, ისე მეორე ნაწილში ფართოდ არის გავრცელებული მრავალცოლიანობა (ევეცკი 1835: 31).

ო. ევეცკი საინტერესოდ საუბრობს ოსთა რელიგიური რიტუალების შესახებ. კერძოდ, ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ოსების დიდი ნაწილი წარმართული რწმენისაა. ხშირად სოფლებში გააჩნიათ სამლოცველო სახლები, აშენებული ქვით, შემოსაზღვრული ხეებით, რომლებსაც მინიჭებული აქვთ წმინდა მარიამის და ქვეყნის მფარველი სხვა სულების სახელები. სამლოცველო სახლების შიდა მხარე მორთულია ჯვრით და უამრავი რქით. ხეცსურები, სვანები და ოსები ძლიერ პატივისცემას განიცდიან ძველი ეკლესიების მიმართ. თვით მოკლულის ნათესავიც ვერ გაბედავს შეეხოთ მკვლელს, ვიდრე ის თავს აფარებს მის ზღუდეებს. მათ აქვთ თავიანთი წმინდა ტყეები და კორომები. იცავენ მარხვებს შობის და აღდგომის წინ. მათ იციან სხვადასხვა დღესასწაულის შესახებ, მაგრამ არ ესმით მათი მნიშვნელობა. ამ დღესასწაულებს ხვდებიან მსხვერპლშეწირვით, რომლებსაც დეკანოზები ასრულებენ და ამთავრებენ შმაგი სახალხო ნადიმითა და თოფებით მიზანში სროლით (იქვე: 86).

ვახუშტი ბაგრატიონისა და ო. ევეცკის მსგავსად, ოსთა რელიგიურ წარმოდგენებს სახასიათო შტრიხებით წარმოადგენს რუსი გეოგრაფი, ეთნოგრაფი, რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების წევრი პეტრე ნადეჟდინი, რომელიც თითქმის ორი ათეული წელი ცხოვრობდა კავკასიაში და ნაშრომის „ბუნება და ადამიანები კავკასიასა და ამიერკავკასიაში“ მომზადებისას აქტიურად სარგებლობდა რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების არქივებსა და რუმინელების მუზეუმში დაცული საინტერესო მასალით.

ავტორი ეყრდნობა რა ჰაქსტჰაუზენისა და დიუბუა დე მონპერეს ცნობებს, დაასკვნის, რომ ოსები ქრისტიანებად მოქცეულნი არიან ქართველი მეფის - ვახტანგ გორგასლის მიერ. შემდგომში თამარ მეფეც დიდად უწყობს ხელს მათ შორის ქრისტიანობის გავრცელებას. ოსთა შორის არიან ქრისტიანებიც, მაჰმადიანებიც, წარმართებიც. მიუხედავად ამისა, მათში ვერც ერთმა რელიგიამ ვერ გაიდგა ფესვი. ისინი სანახევროდ წარმართები არიან. გააჩნიათ წმინდა კორომები, სადაც შესაწირად მიაქვთ მსხვერპლი (პური, ხორცი, თევზი).

მსხვერპლშეწირვის დროს კლავდნენ თხებს, ხოლო მათ ტყავებს კიდებდნენ მალალ ხეებზე.

ოსთა შორის თხის კულტის აქტუალობაზე მინიშნებს პროფ. გ. სოსიაშვილიც: „ვაჩილას კულტი ოსურ წარმართულ პანთეონში უკავშირდებოდა თხის კულტს. თხის კულტი იმდენად ძლიერი იყო ოსებში, რომ ქართულ საზოგადოებაში ვაჩილა ოსი ადამიანის სინონიმად იქცა...“

აღსანიშნავია, რომ ვაჩილას კულტი დღესაც არის გავრცელებული საქართველოში მცხოვრებ ოსებში“ (სოსიაშვილი 2007: 9).

ნახევრად ქრისტიანი ოსები მკაცრად იცავენ ქრისტიანულ მარხვებს და თავის მსხვერპლს სწირავენ წმინდა კვირაში. აღსანიშნავია, რომ ყველა დიდი დღესასწაულისათვის განკუთვნილია განსაკუთრებული მსხვერპლშეწირვა. ახალ წელს - ღორი, აღდგომას - ცხვარი ან ბატკანი, შობას - თხა. ძირითადად პატივისცემით და მოწიწებით ეპყრობიან და თავყვანს სცემენ ოთხ წმინდანს: წინასწარმეტყველ ილიას, მთავარანგელოზ მიქაელს, წმინდა გიორგის და წმინდა ნიკოლოზს. მათ ქრისტიანული შვიდდღიანი კვირა აქვთ. კვირას ეძახიან ღვთის დღეს. ორშაბათს და პარასკევს თვლიან ისეთ დღეებად, როდესაც ახალი საქმის დაწყება არ შეიძლება (ნადეჟდინი 1869: 101).

ოსთა რელიგიური ცხოვრების შესახებ საგულისხმო ცნობებს იძლევა რ. თოფჩიშვილი: „დღეს ოსები ძირითადად ქრისტიანები არიან. გვხვდებიან მაჰმადიანებიც. მაჰმადიანობა განსაკუთრებით დიგორელ ოსებში იყო გავრცელებული. ოს ხალხში ქრისტიანობა VI-VII სს-ში ჯერ ბიზანტიიდან, შემდეგ კი საქართველოდან შევიდა, თუმცა ამ სარწმუნოებამ აქ ფეხი მყარად ვერ მოიკიდა და გვიან შუა საუკუნეებში მთის ხეობებში მცხოვრებნი წარმართები იყვნენ. საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა მიგრირებული ოსებისათვის ქრისტიანობა მიეღებინებინა. ისლამი დასავლეთ ოსეთში ყაზარდოდან XVII-XVIII სს-ში გავრცელდა. ოსებს ჰყავდათ ქრისტიანიზირებული ღვთაებები: უაგ-გიორგი, უასტირჯი (წმინდა გიორგი); უაცილა-წმინდა ილია; უაცნიკოლა-წმინდა ნიკოლოზი; უაც-ტოტურ-წმინდა თევდორე და სხვ. ოსეთში იყო საერთო ოსური სალოცავებიც („ძუარები“), სახეობო, სასოფლო და საგვარო კულტები. მაგალითად, ალაგირელთა სალოცავი იყო „რეკომი“. ამ სალოცავში არსებულ ზარზე ქართული ნუსხახუცურით შესრულებული წარწერაა. ლოცვებში ხშირად ახსენებენ „მიქელგაბრიტას“ და „თარანჯელოზს“,

რაც სხვა არაფერია, თუ არა მიქელგაბრიელი და მთავარანგელოზი. რაც შეეხება ქურთათისა და თავაურის ხეობებს, აქ საერთო სახელო კულტები არ ყოფილა, მხოლოდ სასოფლო სალოცავები იყო. მაგალითად, ასეთი იყო „ძიგვისი ძუარ“ წმ. გიორგის სახელოზე. ოსებმა, ისევე როგორც ქართველმა მთიელებმა, იცოდნენ სალოცავისადმი მიწის შეწირვა (უშვილო მშობლებს შვილი თუ შეემინებოდათ, მემკვიდრის არ ყოლის შემთხვევაში, სოფლიდან გადასახლებისას)“ (თოფჩიშვილი 2007: 61).

ზემოთ ნახსენები ოსური სალოცავების („ძუარები“) და ზოგადად ოსთა წარმართობისაკენ მიდრეკილი ბუნების შესახებ გარკვეულ ცნობებს გვაწვდის პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომელი ვალდემარ პვაფი.

ნაშრომში „материалы для истории осетин“, რომელიც გამოქვეყნებულია კრებულის - „Сборник сведений о кавказских горцах“ - V ნაწილში, მითითებულია, რომ წარმართ ოსებში ყველა გვარს თავისი ღმერთი ან წმინდანი ჰყავს, რომელიც ოსურ ენაზე იწოდება „ძუარ“. ჩვეულებრივ ამ სიტყვას თარგმნიან, როგორც „წმინდა მფარველი“, რაც არცთუ ისე ზუსტია. „ძუარის“ უფრო შესატყვისი თარგმანია „საგვარეულო ღმერთი“.

ასეთ „ძუარს“ ყველა გვარი წლის გარკვეულ დღეებში სწირავს მსხვერპლს. „ძუარის“ ქურუმი ადრე ყოველთვის იყო გვარის უხუცესი. ამჟამად კი, პატრიარქალური ყოფის შლისას, ქურუმებად გვევლინებიან სხვებიც. არ ვიცი, ისინი როგორ ირჩევიან, მაგრამ მსმენია, რომ ხალხში უცოდველებად ითვლებიან. „ძუარის“ დღესასწაულზე ყველა ეზო ცალკე, საკუთარ კედლებში კლავს ცხვარს, ხარს და მისთ. შემდეგ იწყება მსხვერპლშეწირვა... მომლოცველები „ძუარს“ საჩუქრად მიართმევენ ძვირფას ნივთებს, რათა დაიმსახურონ მისი მფარველობა. მსხვერპლშეწირვის ადგილზე ყველა მიემართება ფეხით და დიდი ნაწილი ფეხშიშველი (კრებული 1871: 93).

ხსენებული ავტორის ცნობების შესაბამისად, ზემოთ ხსენებული „ძუარის“ გარდა, ოსებს გააჩნიათ რამდენიმე განსაკუთრებული ღვთაება. მაგალითად, ავსატი-პირუტყვის მფარველი, დონბეტტერი-მნიშვნელოვანი ღმერთი, რომლის დანიშნულების ახსნაც პვაფისათვის, მისივე თქმით, - ვერავინ შეძლო, საუბარეგი - ქურდებისა და ყაჩაღების მფარველი და ა.შ. (იქვე: 94).

„ქართველთა შემოფოთებას იწვევდა ოსების არასერიოზული დამოკიდებულება ნებისმიერი სარწმუნოებისადმი და ღრმად ფესვგადგმული კერპთაყვანისმცემლობისადმი. ამ ამბით, უმთავრესად, დაინტერესებული იყვნენ სასულიერო პირნი, რომელნიც თავს ვალდებულად რაცხდნენ ჩარეულიყვნენ მართლმადიდებლური სარწმუნოების შენარჩუნების, მისი დაცვისა და მეზობელი ერის ხალხში გავრცელების საქმეში. არაიშვიათად მიმართავდნენ გარკვეულ ღონისძიებებს, მაგრამ

კეთილად და ერთგულად განწყობილი სამღვდელოების ჩარევა ოსთა „მორჯულების“ შეგონების საქმეში მარტოდენ ჩარევით მთავრდებოდა, შედეგი კი მაინცდამაინც სანუგეშოდ არ გამოიყურებოდა“ (გაჩეჩილაძე 1996: 49).

XIX საუკუნის ქართული პრესა აქტიურად საუბრობდა ოსთა რელიგიურ ინდიფერენტიზმზე და სისტემატურად შეახსენებდა საზოგადოებას ამ პრობლემის აქტუალობას. მიუხედავად ამისა, იმ დროინდელ ჟურნალისტთა თუ უბრალოდ საკითხით დაინტერესებულ მკითხველთა დასკვნები ხშირად არცთუ ისე მიმზიდველია.

მაგალითისათვის „მწყემსი“ წერდა: „რა ღონე ვიხმარო, არ ვიცი, მათზე არავითარი გავლენა არ აქვს ჩვენს სწავლა-მოდღვრებას. საჭიროა, გამოგზავნონ ხეირიანი მქადაგებელი და ამასთან ერთად გახსნან სასოფლო სკოლები“ (მწყემსი 1885/2).

„საქართველოს ოსებს მრავალი დღესასწაული ჰქონდათ, როგორც მართლმადიდებლური, ისე კერპთაყვანისმცემლობის აღმნიშვნელი. სამაჩაბლოელი კორესპონდენტის მიხედვით თუ ვივისჯელებით, წმინდა გიორგის დღეობა ყველაზე მეტი პატივისცემით სარგებლობდა ოსებში. „დალხინების, გაჭირვების თუ ქურდობის დროს წმ. გიორგის სახელს ახსენებენ. ოსურად მას „ვასჯირჯის“, ანუ ვასგირგის ემახიან. დიდი ამბით ელოდებიან ამ დღესასწაულს, წმ. გიორგობას. ხოცავენ საქონელს, ლუდს ხარშავენ, თაფლს იღებენ სკიდან... გასწევენ გერის წმ. გიორგის სალოცავში. აუარებელი მლოცველი - ქალი თუ კაცი, ფერადად მორთულნი, შეუდგებიან აღმართს სიმღერით და ცეკვით. ეკლესიის წინ მათ ხვდებიან დეკანოზები. ისინი ამწყალობლებენ ხალხს, რომლებიც მოწიწებით ლოცულობენ, რის შემდეგაც დაიწყება სიმღერა წმ. გიორგიზე. ეს ისეთ წმინდა ადგილად არის მიჩნეული, რომ იქ ცუდი საქმის გაკეთებას ვერაფერს გაბედავს“. რიტუალს შეასრულებდნენ თუ არა, მიდიოდნენ სახლებში და დროს ატარებდნენ მანამ, სანამ სულ არ დაამთავრებდნენ ამ დღისთვის მომზადებულ სურსათს („ცნობის ფურცელი“, 1898, № 682)“ (გაჩეჩილაძე 1996: 61).

განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენდა სარწმუნოების თემა. თუკი ქართული ენა პოპულარობით სარგებლობდა საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლებულ ოსთა შორის<sup>1</sup>, იმავეს თქმა რთულია ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთიდან ჩამოსახლებულ ოსთა შორის ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების კუთხითაც. „სამაჩაბლოს მოსახლეობას შეადგენდა: ოსები და მთიდან ჩამოხვეწილი ელემენტები, დაკავშირებულნი საქართველოსთან ეკონომიურად, პოლიტიკურად და

<sup>1</sup> ოსთა შორის ქართული ენის პოპულარობაზე მიუთითებს ა. სონღულაშვილი ნაშრომში „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში?!, თბ., 2009; ამავე საკითხს არაერთხელ ეხებიან XIX ს. ისეთი რუსული წერილობითი წყაროები, როგორც-ბიცაა: 1. О. Евецкий, Статистическое описание Закавказского края, Санкт-Петербург, 1835; 2. П.Надеждин, Опыт географии Кавказского края, Тула, 1891 და სხვ.



რელიგიითაც, მაგრამ აქ, ჩრდილოეთში, სადაც ქრისტიანობა უმეტესად მახვილით ვრცელდებოდა, სადაც საშუალო საუკუნეებშიც ჰყვავდა წარმართობის კულტი, ამ მრისხანე და მეომარ თემში, ეკლესია შესამჩნევ როლს არ თამაშობდა“ (მნათობი 1924/2: 160).

ამგვარი პრობლემების მოსაგვარებლად და იმავე დროს ჩრდილო კავკასიელებზე საკუთარი პოლიტიკური გავლენის გასავრცელებლად მეფის რუსეთის სამოქმედო არსენალიდან განსაკუთრებული მონდომებით გამოყენებულ ისეთ სტრატეგიებს, როგორებიც იყო სამხედრო და მიგრაციული პოლიტიკა, XIX საუკუნის პირველი წლებიდანვე კვლავ დაემატა მისიონერული საქმიანობა. ვგულისხმობთ გორის არქიეპისკოპოს დოსითეოს ფიცხელაურის პროექტის (ყავაშვილი 2009: 295) საფუძველზე 1814 წლიდან „ოსეთის სასულიერო კომისიის“ აღდგენის ფაქტს (ბუბულაშვილი 2007: 234).

კავკასიაში მოსახლე არაქრისტიანი მოსახლეობის მართლ-მადიდებლურ სარწმუნოებაზე მოქცევის მისიონერულ კამპანიაში აქტიურად იყო ჩართული ქართველი სამღვდელთა. 1853 წელს მოსკოვში გამოქვეყნებული ერთ-ერთი წყაროს მიხედვით, ჯერ კიდევ 1820 წლის 9 აპრილს რუსეთის წმინდა სინოდის დადგენილებით დაჯილდოებულ სასულიერო პირთა შორის არიან: ნ. სამარდანიშვილი, პ. ავალიანი, ვ. ცერაძე, გ. ამირიძე, ი. ლომოური, ა. მაჭავარიანი, ზ. მამაცაშვილი, ი. ელიოზიძე, ბ. ილურიძე, გ. სამაგლიშვილი და სხვები. ჩამოთვლილ პირთაგან, კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში დაცული ცნობის მიხედვით, გამოირჩეოდა ნიკოლოზ სამარდანიშვილი. ამ უკანასკნელმა თავისი მუხლჩაუხრელი მისიონერული მოღვაწეობის შედეგად დიგორელ და ბასიანელ ოსთა შორის მცირე დროში ორას ოცდაათი ადამიანის ქრისტიანად მოქცევა მოახერხა (აქტები... 1874: 402).

საქართველოში ცხოვრების მთელი პერიოდის მანძილზე ოს ხალხს ყოველთვის ჰქონდა საშუალება ეზრუნა და გაედრმავებინა კულტურული ტრადიციები, მიეღო სრულფასოვანი განათლება და შეექმნა საკუთარი ღირსეული უახლესი ისტორია. ქართული სახელმწიფო ყოველთვის ზრუნავდა მის ჭერქვეშ მცხოვრებ ოსებთან ლიტერატურულ-კულტურულ ურთიერთობათა გადრმავების მიზნით ნოყიერი ნიადაგი შეექმნა, სახავდა ახალ გზებს მათი განვითარების ახალ საფეხურზე გადასანაცვლებლად და სხვ. ასეთი მზრუნველობის მაგალითების მოძიება ძნელი არ არის საქართველოს არც ძველ და არც ახალ ისტორიაში, ხოლო განსაკუთრებით იგი საგრძნობი ხდება XVIII-XIX საუკუნეების მიჯნიდან.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველი წლების რუსული წერილობითი წყაროები მიუთითებენ ქართველთა როლზე ოსთა შორის ქრისტიანობის გავრცელების ხელშეწყობის საქმეში.

„Проповедники к ним посылаются из нарочно определенных к тому духовных, а найпаче Грузинских, и их уже несколько крещено...“ (ისტორიული ვითარება... 1802: 99).

აღნიშნული წყაროს მიხედვით, მოცემული ეტაპისთვის ქართველ სასულიერო პირთა მიერ მონათლული ოსების რაოდენობა სამი ათასს შეადგენდა.

ასე გრძელდებოდა მომდევნო ათწლეულების მანძილზე და არამარტო რელიგიური მიმართულებით, ვიდრე კავკასიონის მთებიდან ჩამოვაკეხული ოსი მეზობლები ქართულ მიწაზე წელს მოიმაგრებდნენ და კეთილ მასპინძელთა მიმართ რიგ ავაზაკურ ზრახვებს ჩაიდებდნენ გულში.

ასეთი ტემპით ვითარდებოდა რელიგიური ცხოვრება ცხინვალის რეგიონში. თუმცა აქ მოსახლე ოსური თემის რელიგიური რწმენა-წარმოდგენების გარდა, ცხინვალში აქტიურად ჩქეფს ადგილობრივ ებრაელთა სასულიერო ცხოვრება.

შ. წიწუაშვილის ცნობით, ცხინვალში ფუნქციონირებდა ექვსი სინაგოგა: თამარაშენის თემის, მანაშეროვების ქვის, პაპისმედოვების ხის, ზიზოვების დიდი ქვის, დავარაშვილებისა და კრიხელების სინაგოგები (წიწუაშვილი 2014: 21).

ჯერ კიდევ 1890 წელს ცხინვალს რაბი აბრამ ხვოლესი ეწვია და ცხინვალელ ებრაელთა თხოვნით ოჯახთან ერთად რჩება ცხინვალის ებრაელთა სალოცავის რაბინად.

„რაბი ხვოლესის ჩამოსვლა თავიდანვე დაეტყო ცხინვალს. გაიზარდა მლოცველთა რიცხვი, გამოცოცხლება დაეტყო თალმუდ-თორას, ადრე თუ თითო-ოროლა თალმიდი (მოსწავლე) დადიოდა, ახლა გაიჭედა სალოცავების დარბაზები“ (პატარკაციშვილი 2002: 4).

აქვე, საგულისხმოა ქართველთა და ებრაელთა მეგობრობის კიდევ ერთი ნათელი ფურცელი, რომელიც გვინდა შევახსენოთ მკითხველს.

„ვინ იყო დავით მენახემის ძე ბააზოვი. პატარა ცხინვალელი ებრაელი ბიჭუნა, რომელმაც თამამად, გაბედულად გააბიჯა ჩრდილოეთისკენ, დიდი ებრაული სამყაროსკენ, მარადიული ებრაული სინათლისკენ, რათა დასწრაფებოდა მას. დაეოკებინა ჯერ თავისი თავი და შემდეგ თავისი თანატომელნი. მას თავისებურად ესმოდა რაბინების როლი ხალხის, ჯამაათის წინაშე“ (გვერდწითელი... 1990: 121).

ცხინვალში დაბადებული რაბინი დავით ბააზოვი გახლდათ ებრაელთა სულიერი წინამძღოლი, განმანათლებელი და საყოველთაოდ ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ქართველი ერისა და ქართველი ებრაელობის საუკუნო ძმობის აქტიური დამცველი და ქომაგი.

განათლების მისაღებად რუსეთს გამგზავრებული დ. ბააზოვი უახლოვდება ჰასქალას<sup>2</sup> იდეებს ნაზიარებ ახალგაზრდობას, საქართველოში მობრუნებული კი იწყებს აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. რაში გამოიხატებოდა მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებანი? პირველ ყოვლისა, ქართველი ებრაელობის „გამოყვანა სიბნელიდან“, რაც გულისხმობდა ქართველ ებრაელთა ინტელექტუალური დონის ამაღლებას. აგრეთვე მათ

<sup>2</sup> XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბებული ებრაული საზოგადოებრივ-კულტურული მოძრაობა.

დაკავშირებას „აშქენაზ“<sup>3</sup> ებრაელებთან.

საუბარია სწორედ იმ რაბი დავით ბააზოვზე, რომელმაც უცხოეთში<sup>4</sup> (საბჭოთა ოსეთი 1990/163) გამართულ ერთ-ერთ სიონისტურ თავყრილობაზე საჯაროდ განაცხადა: „მე ჩამოვედი კავკასიის მთებში ჩაკარგული ერთი პატარა ქვეყნიდან, რომელსაც ჰქვია საქართველო და სადაც არასოდეს ყოფილა ებრაელთა სიძულვილი, რბევა, ანტისემიტიზმი.“

არ დააყოვნა დ. ბააზოვის საქართველოსადმი სიყვარულისა და მოკრძალების გრძნობით გაჯერებულმა ამ და სხვა მრავალ გამოსვლათა შედეგმა. ნახსენებ ღონისძიებაზე დ. ბააზოვი ფრანგმა გენერალმა ლიფმონმა შემდეგი სიტყვებით წარუდგინა შეკრებილ საზოგადოებას: „ძმებო, თქვენს წინაშე დგას თქვენი ძმა შორეული ქვეყნიდან მოსული. ეს ქვეყანა შორს არის ჩემგან, მაგრამ იგი უნდა ახლოს იყოს ყოველი ებრაელის გულში (კონფერენცია დიდი აღტაცებით ფეხზე წამოდგა. საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა). ევროპა დღეს ცდილობს ადამიანის სიყვარულის განხორციელებას. ეს კი ქართველ ერს 2000 წლის წინათ ჰქონდა შეთვისებული, ამის მოწმეა ქალაქი მცხეთა და მისი პრეზიდენტი (მამასახლისი), რომელიც დაუხვდა იერუსალიმიდან გამორეკილ ებრაელებს პურ-მარილით, აქ ისტუმრა ძმურად და დღევანდლამდე, თუმცა ბევრი პოლიტიკური ცვლილება მოხდა ერში, მაგრამ თავისი ადგილი ადამიანის სიყვარულისა და ძმური განწყობისა მათში შეუცვლელია.“

ქართველ ერს შეუძლია ამაყად წარმოსთქვას: „ჩვენც გვყავდა მეფეები, სამღვდელოება, მწერლობა, მაგრამ სხვა ერების დევნა ფიქრადაც არ მოგვსვლიაო, ევროპის წინანდელი ძალებით დაქცეულ სისხლში ჩვენი ხელი არ გასვრილაო“. აი, ასეთია ქართველი ერი, საიდანაც ჩვენი სტუმარი ჩამოვიდა.

საზოგადოება აღფრთოვანებული შეხვდა ამ სიტყვებს და უსურვა ქართველ ერს კეთილი მომავალი“ (სამშობლო 1915/126).

უამრავი მსგავსი მაგალითის დასახელება შეგვიძლია, რომელთა საფუძველზე ჩამოყალიბდა ქართველთა და ქართველ ებრაელთა ურთიერთობის სრულიად განსხვავებული ფენომენი.

რაც შეეხება ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მდგომარეობას, XX საუკუნის პირველ ათწლეულში ცხინვალი და მისი შემოგარენი ეპარქიალურად ნიქოზის ეპარქიაში შედის, მაშასადამე, ისტორიულად ქ. ცხინვალი ნიქოზელი მღვდელმთავრის იურისდიქციას განეკუთვნებოდა. რუსეთის მიერ საქართველოს პირველი ოკუპაციისა და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, ეგზარქოსობის პერიოდში, ადმინისტრაციული დაყოფა შეიცვალა.

აქ მოღვაწე სასულიერო პირთა შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთ მათგანზე ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია ხელნაწერთა

<sup>3</sup> უცხო ქვეყანაში (ძირითადად ევროპაში) მცხოვრები ქართველები.

<sup>4</sup> ახალგაზრდა ებრაელ სიონისტთა კონფერენცია ჩატარდა მაინის ფრანკფურტში 1913 წელს.

ეროვნულ ცენტრში დაცულ და XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედით დათარიღებულ ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრებში. ამ დოკუმენტების მიხედვით, ცხინვალში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ: მღვდელი ქრისტესია (შედანაშვილი) (თაბუაშვილი 2013: 54), მღვდელი იოანე (ცერაძე) (იქვე: 55), მღვდელი იოსებ (კასრაძე) (იქვე: 57), ხიზნად მოსული არბოელი მღვდელი გაბრიელ (იქვე: 64) და ა.შ.

XX საუკუნის პირველი წლები ჯერ კიდევ ეგზარქოსობის<sup>5</sup> პერიოდი გახლავთ, პერიოდი, როდესაც მეფის რუსეთის წარმომადგენელი მღვდელმთავარი სრულებით არ არის დაინტერესებული ქართველთა შორის ქრისტიანობის განმტკიცებით; ყოველდღიურ საქმიანობად არის ქცეული მცდელობა წირვა-ლოცვის რუსულ ენაზე დაკანონების, ეპარქიების შემცირების და მრევლში ქრისტიანული ცნობიერების დასაკნინებლად.

ამ პერიოდის ცხინვალის სასულიერო ცხოვრებაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით მღვდელ იროდიონ ოქროპირიძის პიროვნებას.

იროდიონ ოქროპირიძე 1859 წელს დაიბადა სოფელ დისევში. აქაური ოქროპირიძეების საგვარეულო სახლმა არაერთი ცნობილი მისიონერი, მღვდელმთავარი და სასულიერო პირი მისცა საქართველოს. მათ ჩამონათვალში ალბათ შემდეგი გვარ-სახელების მოხმობაც იკმარებდა: მღვდელი დავით ოქროპირიძე<sup>6</sup>, წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე<sup>7</sup>, ეპისკოპოსი ლეონიდე<sup>8</sup>, ეპისკოპოსი პიროსი<sup>9</sup>, დეკანოზი გაბრიელი<sup>10</sup>, მღვდელი ალექსანდრე<sup>11</sup> და სხვ.

<sup>5</sup> ეგზარქოსების საქართველოში მოღვაწეობის ავკარგიანობის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხ. ცნობილი რუსი ფილოლოგიისა და ისტორიკოსის, არაერთი სახელმძღვანელოს და სამეცნიერო ნაშრომის ავტორის, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ნ. დურნოვოს საყურადღებო ნაშრომი „ზედი ქართული ეკლესიისა“ (ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხზე), მთარგმნ. გ. ტოტოჩავა, თბილისი 1997; ავტორი იშვიათი გულწრფელობით გადმოსცემს ქართული ეკლესიის იმჟამინდელ ვითარებას, იმ საქმიანობის შუქ-ჩრდილებს, რომელსაც საეგზარქოსო ინსტიტუტი ეწეოდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. მოცემულ თხზულებაში ავტორი ამჟღავნებს ქართული საეკლესიო ისტორიის ღრმა და საფუძვლიან ცოდნას. სამწუხაროდ ნ. დურნოვო შეიწირა საბჭოთა რუსეთში განვითარებულმა მოვლენებმა 1937 წელს.

<sup>6</sup> მღვდ. დ. ოქროპირიძე მოღვაწეობდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ეწეოდა მისიონერულ საქმიანობას.

<sup>7</sup> წმ. მღვდელმთავარი ალექსანდრე ოქროპირიძე სხვადასხვა დროს გახლდათ აფხაზეთის, ქართლ-კახეთისა და გურიის ეპისკოპოსი, დავით გარეჯის და შიო მღვიმის მონასტრების წინამძღოლი. ეწეოდა უაღრესად აქტიურ და ნაყოფიერ საზოგადოებრივ და საგანმანათლებლო მოღვაწეობას. გარდაიცვალა 1907 წლის 16 ნოემბერს. 1995 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა ეპისკოპოსი ალექსანდრე წმინდანად შერაცხა. მისი ხსენების დღედ დაწესებულია 8 ნოემბერი.

<sup>8</sup> ეპისკოპოსი ლეონიდე - საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი (1861-1921)

<sup>9</sup> ეპისკოპოსი პიროსი ოქროპირიძე (1874-1922)

<sup>10</sup> დეკანოზი გაბრიელ ოქროპირიძე (1824-1904)

<sup>11</sup> მღვდელი ალექსანდრე ოქროპირიძე (1879-1959)

1904 წლის მარტის დამდეგს<sup>12</sup> მამა იროდიონი ცხინვალის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად იქნა გამწესებული. ამ პერიოდში ცხინვალი წმინდა ქართულ დასახლებას წარმოადგენს გარკვეული რაოდენობის სომეხი, ებრაელი და ორიოდე ოსი ეროვნების ოჯახის ჩათვლით. იქვე, ტაძრის გვერდით, დაბინავებული მოძღვრის სახლი იმ პერიოდის ცხინვალის რეგიონის ინტელიგენციის საუკეთესო თავშეყრის ადგილად იქცა. ი. ოქროპირიძის ქალიშვილის, ქეთევან ოქროპირიძის (მეგრელიძე) სიტყვებით რომ ვთქვათ: „მაშინ ცხინვალი აყვავებულ ბაღს ჰგავდა და გამორჩეული ინტელიგენცია ჰყავდა. ჩვენს სტუმართმოყვარე ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ სოფრომ მგალობლიშვილი, ანტონ ფურცელაძე, დავით კასრაძე, ნიკო ლომოური. ცხინვალშივე იზრდებოდა, ისიც მღვდლის, ვასილ ხიდაშელის ოჯახში მომავალი აკადემიკოსი შალვა ხიდაშელი<sup>13</sup>. ცხინვალში მაშინ სასტუმრო არ იყო და აქ ჩამოსული ყველა გამორჩეული პიროვნება, კათალიკოსი იქნებოდა იგი, გუბერნატორი თუ სკოლების ინსპექტორი, ყოველთვის ჩვენთან ჩერდებოდნენ და იყო გაუთავებელი სტუმრიანობა ჩვენს სახლში“ (საპატრიარქოს უწყებანი 2010/16: 19).

ზემოთ ჩამოთვლილ პირთაგან მამა იროდიონს განსაკუთრებით თბილი ურთიერთობა აკავშირებდა ანტონ ფურცელაძესთან. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო დეტალია დაცული სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებებში.

1904 წელს ცხინვალის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად გამწესებასთან ერთად იროდიონ ოქროპირიძე გორის მაზრის III ოლქის მთავარხუცესად იქნა არჩეული. იმავე წელს<sup>14</sup> ებოძა კამილაგვა<sup>15</sup> და დაინიშნა გორის მაზრის სამრევლო-საეკლესიო სკოლების ზედამხედველად.

მამა იროდიონის ბიოგრაფიაში საგულისხმო დეტალს წარმოადგენს მრავლობითი მცდელობები ქართულ-ოსური პერმანენტულად დამაბული ურთიერთობის დასარეგულირებლად. პირდაპირი დიალოგის, ქადაგებების თუ სხვადასხვა შეხვედრების ორგანიზებით იგი ცდილობს წინ აღუდგეს და შეძლებისდაგვარად გაანეიტრალოს ორ ხალხს შორის არსებული დამაბულობის მუხტი.

როგორც ზ. ოქროპირიძე მიუთითებს, ერთ-ერთი უკიდურესად დამაბული სიტუაციის დროს დეკანოზმა იროდიონმა სიფრთხილით მოუწოდა ოსებს, რომ „ჩვენ ქართველებს და ოსებს თითქმის ათასი

<sup>12</sup> ეს გახლავთ ეგზარქოსალექსი I (ოპოცკის) პერიოდი (1901-1905). ეგზარქოსალექსი I თანამედროვეთა მიერ ხასიათდება, როგორც კეთილი, გულისხმიერი, უბრალო, ყაირათიანი, მკვირცხლი და ენერგიული ადამიანი. მის სახელს უკავშირდება დეკანოზ ივანე ვოსტორგოვის სახელის ამოტივტივება, რომელიც მალე ეგზარქოსის მარჯვენა ხელად იქცა.

<sup>13</sup> აკადემიკოსი შალვა ხიდაშელის შესახებ იხ. ალ. მღებრიშვილი, ცხინვალის ლიტერატურული და კულტურული ცხოვრების ისტორია, თბილისი 2011

<sup>14</sup> 1904 წლის 6 მაისს.

<sup>15</sup> მეწამული ფერის სამღვდლო კუნკული.

წელიწადი ტკბილი მეზობლობა გვექონდა... ბევრს ქართველსა და ოსს ერთი ძუძუ უწოვია... თუ აქამდე საქართველოს მიწა-წყალზე ხიზნებად ითვლებოდით, ახლა მიწა-წყალი საკუთრებად გეძლევათ... არც სალდათად გაჰყავხართ და ბევრით თავისუფლები ხართ ქართველებზე. ახლა სიკეთისა და მადლობის მაგივრად თქვენ მოლაღატეობას აპირებთ... იმახით, რომ მცხეთამდე უნდა დავიჭიროთო... ქართველობაც თუ გაცხარდა ცუდ საქმეს გიზავთ ამ მოლაღატეობისთვის..." (ოქროპირიძე 2012: 24).

ირ. ოქროპირიძე საკუთარ ჩანაწერებში დეტალურად აღწერს საუკუნის დასაწყისის ცხინვალს. ობიექტური მემატანის თვალთ ჭვრეტს იქ არსებული ვითარების დეტალებს. იგი არა მხოლოდ აღმწერი და მემატანია, არამედ უშუალოდ დგას განვითარებული მოვლენების ფერხულში და ადგილზე არსებული რთული ვითარების თანამონაწილეა. ამ სიტყვების თქმისას ძირითადად ვგულისხმობთ 1920 წელს სეპარატისტულად განწყობილ ოსთა დაჯგუფებების მიერ „როკის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის“ გამოცხადების მცდელობის ფაქტს. საქართველოს პირველი დემოკრატიული ხელისუფლების არაერთჯერადი გაფრთხილების მიუხედავად, ამზობებულ ოსთა რაზმები არბევდნენ და მარცვავდნენ ცხინვალის მოსახლეობას, პირადი შეხედულებებით ატყვევებდნენ ადამიანებს. დატყვევებულთა ერთ ჯგუფში აღმოჩნდა იროდიონ ოქროპირიძეც, რომელიც სხვათა გვერდით გაუყენეს გზას ფეხით ვლადიკავკაზისკენ.

საკუთარ ჩანაწერებში მამა იროდიონი იუველირის სიზუსტით მოგვითხრობს ამ ფაქტის შესახებ. აქ ნაჩვენებია სეპარატისტთა სახეებიც და დახმარების სურვილით სავსე მადლიერ ნაცნობ ოსთა პორტრეტებიც. ავტორი გვიჩვენებს მკაცრ რეალობასაც და იმ ადამიანებსაც, რომლებიც ყოველმხრივ ცდილობდნენ დახმარებოდნენ და შეწეოდნენ ტყვეებს (ოქროპირიძე 1968: 131).

საგულისხმოა, რომ საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლების ძალისხმევით მოხერხდა უდანაშაულოდ დატყვევებული მოქალაქეების გათავისუფლება და საქართველოში დაბრუნება. იმავე დღეებში გაზ. „ერთობაში“ მოთავსებული საგაზეთო სტრიქონებით მამა იროდიონი ცდილობს მადლიერება გამოხატოს არსებული ხელისუფლების, ნაცნობ-მეგობრებისა და ყველა გულისხმიერი ადამიანის მისამართით, ვინც გარკვეული წვლილი შეიტანა ტყვეთა გათავისუფლების საქმეში. იგი წერდა: „ჩვენ ოსების ტყვეობიდან დაბრუნებულნი: აფიცრები, გვარდიელები, დეკ. ირ. ოქროპირიძე, მილიციელები და კერძო პირნი, სულ 354 კაცი, გულითადად მადლობას ვუძღვნით კავკასიაში მცხოვრებ ქართველობას, მათ სახელოვან ეროვნულ საბჭოს იმ განუსაზღვრელ შრომისა და გულშემატკივრობისათვის, რომელიც მათ გაწიეს ჩვენი ტყვეობიდან დახსნა-პატრონობაში. ჩვენი ხსოვნიდან ამოუშლელად დარჩება ხსოვნა

და პატივისცემა მღვდ. გიორგი ნათაძის<sup>16</sup> (საბჭოს თავმჯდომარეა), მარიამ ოქროპირიძე-ცაბოლოვისა და სხვების, რომელნიც დახმარებას გვიწევდნენ ერთი კვირის განმავლობაში. ნამეტნავად დიდი ღვაწლი დაგვდო საბჭოს თავმჯდომარემ და კონსულის მოადგილემ მღ. გიორგი ნათაძემ, რომელიც კონსულის მაგივრობის გარდა მდივნობასაც ასრულებდა, რადგან ორივე ქ. თბილისში წასულიყვნენ და მთელი მძიმე ტვირთი მიწერ-მოწერისა, - ჩრეზვიჩაიკა რეკომენბში მთელი კვირის განმავლობაში მისვლა-მოსვლისა და მოლაპარაკებისა დააწვა მღ. გიორგი ნათაძეს. გულითად მადლობას ვუძღვნით აგრეთვე არდონის მღვდელს ნიკოლოზ იტონიევს ოჯახობით, რომელიც დიდი გულშემატკივრობითა და დიდი მასპინძლობით გვინახავდა ხუთ კაცს ტყვეებს მთელი ერთი კვირის განმავლობაში და ალაგირში მცხოვრებ გაბო კოჩიევს ოჯახობით, რომელმაც თბილი გრძნობითა და პურმარლით გაგვამხნევა ტანჯული ტყვეების ერთი ჯგუფი. უაღრეს მადლობას ვუძღვნით ჩვენი რესპუბლიკის მთავრობას და მის გამოგზავნილ პოლკოვნიკ ავქსენტი აბესაძეს<sup>17</sup> იმ მშობლიურ გრძნობა-მზრუნველობისთვის, რომელიც გაგვიწიეს ტყვეობიდან დახსნა-მგზავრობაში“ (ერთობა 1920/157: 3).

1905 წლის 3 თებერვალს მღვდელი იროდიონ ოქროპირიძე დაჯილდოვდა წმინდა ანას III ხარისხის ორდენით, 1908 წლის 15 მაისს სამკერდე ოქროს ჯვრით, ხოლო 1915 წლის 24 ივნისს სიონის საკათედრო ტაძარში გაიმართა მისთვის დეკანოზის წოდების მინიჭების ცერემონიალი. ეკლესიისადმი ერთგული სამსახურის ნიშნად მამა იროდიონის დეკანოზად ხელდასხმის ცერემონიალს უძღვებოდა საქართველოს ეგზარქოსი პიტირიმი.<sup>18</sup> დეკანოზ იროდიონ ოქროპირიძის პორტრეტს საგულისხმო შტრიხს სძენს მისი აქტიური ჩართულობა საქართველოს

<sup>16</sup> გიორგი ნათაძე (1870-1946)-დაიბადა სოფელ მერეთში. სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომლის წარმატებით დასრულების შემდეგ მასწავლებლად მუშაობს გორის მაზრის სოფ. ალში, სოფ. სტეფანწმინდაში, თბილისის მაზრის სოფ. პანკისში, ხოლო 1898წლიდან კავკასიის ქართული სკოლის მასწავლებლად. პარალელურად იგი იწყებს მოღვაწეობას ამავე სკოლასთან არსებული ქართული ეკლესიის მოძღვრად. აქტიურად თანამშრომლობდა ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“, ჟურნ. „მოამბეში“ და ა.შ. აქტიურ მონაწილეობას იღებდა საგანმანათლებლო საქმიანობაში, სცენისმოყვარეთა წრის შექმნაში, წარმოდგენების მოწყობაში. იგი გახლდათ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ კავკასიის განყოფილების მდივანი. 1933 წელს დაბრუნდა თბილისში, მუშაობდა სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-მუშაკად, ლიტერატურის მუზეუმში - მათავარ შემნახველად. გარდაიცვალა 1946 წელს.

<sup>17</sup> ავქსენტი აბესაძე დაიბადა 1875 წელს გორის მაზრაში. მონაწილეობდა ბრძოლაში საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად, მათ შორის ყველაზე მასშტაბურ საყოველთაო-სახალხო შეიარაღებულ გამოსვლებში, რომელიც ცნობილია 1924 წლის აგვისტოს აჯანყების სახელით. 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობისთვის დახვრეტილ იქნა საბჭოთა ხელისუფლების მიერ (01. 09. 1924).

<sup>18</sup> არქივისკოპოსი პიტირიმი ოკნოვი (1914-1915) - თანამედროვეთა გადმოცემით პირმოთნე და ორპირი ადამიანი, რომელიც ცდილობდა ქართულ ენაზე საუბარს და წირვის აღვლენას ქართველი ინტელიგენციის გულის მოსაგებად. აცხადებდა, რომ მხარს უჭერდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დაბრუნებას თუ მეუფე ლეონიდე არ იქნებოდა წინააღმდეგი. იგი 1915 წლის 23 ნოემბერს ინიშნება პეტროგრადისა და ლადოგის მიტროპოლიტად. დაახლოებული იყო იმპერატორის ოჯახთან, წარჩინებულ მოხელეებთან და ცნობილ გრიგორი რასპუტინთან.

ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისთვის ბრძოლაში. პროგრესული საზოგადოება, მათ შორის ქართველი სასულიერო ფენის უდიდესი ნაწილი, ავტოკეფალიის მოპოვებაში ხედავდა სამშობლოს თავისუფლებისათვის გადადგმულ ნაბიჯს და ყოველგვარ ღონეს ხმარობდა ხელისუფლებისთვის წინააღმდეგობის გასაწევად.

აქვე დავძენთ, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1921 წლის 25 თებერვალს შემოჭრილ წითელ ქარბორბალას ფეხდაფეხ მოჰყვა ვითარების რადიკალური შეცვლა და საბჭოური რეპრესიული პოლიტიკა. ახალი იდეოლოგიის ძალადობრივი მანქანა საგულდაგულოდ შეუდგა სასულიერო ცხოვრების ძირფესვიანად ამოძირკვას. ახალი წესრიგის განუკითხაობასა და ტერორში ფიზიკურად განადგურდა უამრავი სასულიერო პირი. ფიზიკური გადარჩენის მცირეოდენი შანსი ეძლეოდათ სულიერად და მორალურად გატეხილთ, მათ, ვინც უარს იტყოდა ღვთისმსახურებაზე და პროლეტარიატის დიდ ოჯახში დაიდებდა ბინას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა სასულიერო ცხოვრება. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მეფის რუსეთის მიერ საქართველოს რუსეთის გუბერნიად გამოცხადების, ავტოკეფალიის გაუქმების, წირვა-ლოცვის რუსულ ენაზე აღვლენის სავალდებულოდ ცნობის პოლიტიკა წარმატებით გაგრძელდა ბოლშევიკური რუსეთის მიერ. საქართველოს გასაბჭოების პირველივე დღეებიდან დაიწყო მიზანმიმართული ბრძოლა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ.

პირველ წლებში სასულიერო პირები ცდილობდნენ გარკვეული კომპრომისების პოვნას. ეძებდნენ შეთანხმების ყოველგვარ გზებს და შესაბამის განცხადებებსაც ავრცელებდნენ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა 1923 წლის 3 ივნისს დედაქალაქის ქართველ სასულიერო პირთა საინიციატივო ჯგუფის განცხადება ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლებისადმი. განცხადების ავტორების მიერ ყურადღება გამახვილებულია ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის როლზე საქართველოს ისტორიაში, ქართულ ლიტერატურაში, მწიგნობრობაში და საერთოდ კულტურაში შეტანილ განსაკუთრებულ წვლილზე. ტექსტის ავტორები ცდილობენ ხელისუფლების დარწმუნებას, რომ ქრისტიანობა არ არის ქვეყნის წინსვლისა და განვითარების შემაფერხებელი და საჭიროების შემთხვევაში ეკლესიის მართვა-გამგეობაში შესაბამის ცვლილებებს არ გამორიცხავენ. მზად არიან გადახედონ „მორწმუნეთ შორის რელიგიურ მსოფლმხედველობის წმინდა სახარების მიხედვით გაწმენდა-გასუფთავებას, ეკლესიური წესების გამარტივებას. ამისათვის გთხოვთ მიეცეს სამღვდელეობას და მორწმუნებს შესაძლებლობა შეუდგნენ სათანადო მუშაობას და მომავალში მოწვეულ იქმნას სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება, რომელიც გადასინჯავს სარწმუნოებრივ ყოფა-ცხოვრების ძირითად საფუძვლებს და მართვა-გამგეობის დებულებას“ (სშსსა, III, ფ. 14, საქ. №830, გვ. 59).



ბუნებრივია, მსგავსი ტიპის მცდელობებს არავითარი შედეგი არ გამოუღია. იმ პერიოდის დოკუმენტური მასალა მოწმობს, როგორ მიმდინარეობდა ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ. ანტირელიგიური კამპანიის უფრო თვალსაჩინოდ წარმოსადგენად მკითხველს ვთავაზობთ ამონარიდს საქართველოს კომუნისტური პარტიის საოლქო და სამაზრო კომიტეტებში გავრცელებული ცირკულარიდან, რომელშიც ვკითხულობთ: „სარწმუნოებრივ შარლატანებთან ბრძოლამ ღრმა გამოძახილი ჰპოვა მშრომელ მასებში. არ დარჩენილა სოფელი, სადაც სამღვდელოებასთან და მის აპარატთან - ეკლესიასთან უღმობელი ბრძოლის შესახებ ჩვენი ლოზუნგი მშრომელთა ფართო მასებს არ გაეგოთ, როგორც ბრძოლის და საუკუნებრივ ჩაგვრა-მონობისაგან განთავისუფლების ლოზუნგი.

ანტირელიგიური კამპანია, რომელიც ახლა ტარდება, ამტკიცებს, რომ საქართველოს მშრომელი მასები არ ყოფილა ეკლესიის მიერ მორალურად ძლიერ დამონებული. საჭირო დარჩა დამახეხა და მშრომელთა მთელი მასა, როგორც ერთი კაცი, ადგა ეკლესიასთან საბრძოლველად...

ზოგიერთ სოფლებში გლეხობა ისე გაბრაზებული იყო, რომ მზად იყვნენ ძირ-ფესვიანად დაენგრიათ ეკლესიები. ადგილობრივ ხელისუფლებას უხდებოდა მათი დამშვიდება. ბევრ სოფლებში გლეხები ეკლესიებიდან ყრიდნენ ხატებს, იღებდნენ ჯვრებს და იქვე გამოქონდათ დადგენილება მთელი ამ ნაგავის დაწვის და ეკლესიების შენობების კულტურის ტაძრად გადაქცევის შესახებ.

ჩვენს განკარგულებაში მყოფ ცნობებით, ზოგიერთ მაზრებში ყველა ეკლესია დახურულია, ზოგან კი ნახევარი. უკანასკნელი ცნობით დახურულია 450 მეტი ეკლესია და ყველა ისინი გადაქცეულია კლუბბათ, თეატრბათ, ბიბლიოთეკბათ, შკოლებათ, სამკითხველოებათ და სხვა“ (სშსსა, III, ფ. 14, აღწ. №1, ს. №838, ფურც. 8).

არ დააყოვნა მსგავსი სახელისუფლებო პოლიტიკის შედეგმაც. უკვე 1923 წლის მონაცემებით საქართველოს მასშტაბით 1212 ეკლესია დაიხურა, მათ შორის ცხინვალის რეგიონში - 60 (სშსსა, III, ფ. 14, აღწ. №1, ს. №838, ფურც. 6). როგორც ოფიციალური წყაროებით ირკვევა, ცხინვალის რეგიონში ეკლესიების დახურვას განსაკუთრებული წინააღმდეგობა არ მოჰყოლია და მოცემული დროისთვის მხოლოდ რამდენიმე მათგანიღა ფუნქციონირებს.

ასეთ გაუსაძლის პირობებში განაგრძობდა მამა იროდიონი საეკლესიო მსახურებას. მას არ მიუტოვებია ცხინვალის ტაძარი, ვიდრე იძულებით არ დაატოვებინეს მშობლიური ქალაქი და სახლ-კარი. ამ ვანდალური აქტის შემდეგ დეკანოზი იროდიონი უბრუნდება საკუთარ სახლს სოფელ დისევში და ახლა იქ განაგრძობს მრევლზე მზრუნველობას. ახალი დროების ჯალათებმა ვერც რამდენჯერმე დაპატიმრებით და მრავლობითი შეურაცხყოფებით მოახერხეს მხცოვანი მოღვაწის გატეხა, თუმცა მოახერხეს მისი ჯანმრთელობის შერყევა, რის გამოც მალევე გარდაიცვალა. დაკრძალულია იქვე.

ანტირელიგიური კამპანიის გაძლიერების მიზნით იმავე 20-იანი წლების მიწურულს დაიწყო მებრძოლ უღმერთოთა კავშირების<sup>19</sup> დაარსება. ერთიანი საბჭოთა ადამიანის საშიში პროტოტიპის ჩამოყალიბების გზაზე უმთავრეს ხელისშემშლელ ფაქტორს ქრისტიანული რელიგიიდან მომდინარე ეროვნული ტრადიციები წარმოადგენდა. „მუკი“ ძალისხმევას არ იშურებდა ამ ღირებულებათა დაძლიერების წინააღმდეგ ბრძოლაში. სხვადასხვა დროს საქართველოს სხვადასხვა რაიონში დაარსებულ 3000-ზე მეტი ერთეული 120 000-ზე მეტ ადამიანს აერთიანებდა.

„Ячейки Союза безбожников должны организовываться на принципе добровольности и они широко должны охватить членов партии, комсомольцев, крестьян – безбожников и интеллигенцию. Задачами ячеек Союза безбожников являются: ведение агитпропаганды против всяких религий, религиозных обрядов (крещение, венчание, похороны со священником поминки, тризны, ставление свечей, приношение венков и т.д.“ (სშსსა, III, ფ. 14, აღწ. 4, ს. №194, ფურც. 158).

„მუკის“ საქმიანობამ განუზომელი ზიანი მიაყენა მოქალაქეთა გარკვეულ ნაწილს ქართული ეკლესიის წინააღმდეგ გატარებული მიზანმიმართული ღონისძიებებით. ის მნიშვნელოვნად აუარესებდა მოქალაქეთა ცნობიერებას, თუმცა, მეორე მხრივ, მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა სახელმწიფო დავალების წარმატებით შესრულების საქმეში. მიუხედავად „მუკის“ მონდომებული საქმიანობისა, სახელმწიფოს მხრიდან მისი დაფინანსება სულ უფრო მცირდებოდა და გარკვეული პერიოდის შემდეგ გაუქმდა კიდევ<sup>20</sup> თავისივე შემქმნელების ხელით.<sup>21</sup>

#### დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები

აქტები... 1874: Акты собранные Кавказской Археографической Коммиссией (ред. А. Берже), Т. VI, ч. I, Тифлис, 1874.

ბუბულაშვილი 2007: ბუბულაშვილი ე., „ოსეთის სასულიერო კომისიის“ მოღვაწეობის ისტორიიდან. კრებული ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები (ა. სონღულაშვილის რედ.), №2. თბილისი, 2007.

გაჩეჩილაძე 1996: გაჩეჩილაძე მ., სამაჩაბლოს ოსთა ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება, კულტურა. თბილისი, 1996.

გვერდწითელი... 1990: სამშობლოდან სამშობლოში (შემდგენლები: გ. გვერდწითელი, გ. ბათიაშვილი). რედაქტორი გ. ფანჯიკიძე. თბილისი, 1990.

<sup>19</sup> „მებრძოლ უღმერთოთა კავშირები“ დაარსდა 1928 წლის საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების თანახმად. კავშირის მიზნების და გატარებული ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხ. მ. ბარბაქაძე, „მუკი“ (მებრძოლ უღმერთოთა კავშირი), ჟურნ. „საარქივო მოამბე“, 2010, #8, გვ. 66;

<sup>20</sup> მებრძოლ უღმერთოთა კავშირი გაუქმდა საბჭოთა ხელისუფლების 1947 წლის გადაწყვეტილებით.

<sup>21</sup> აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. ქ. პავლიაშვილი, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწ. I, თბ., 2008, გვ. 464.

დურნოვო 1997: დურნოვო ნ., ბედი ქართული ეკლესიისა (ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხზე). მთარგმნელი გ. ტოტოჩავა. თბილისი, 1997.

ევეცკი 1835: Евецкий О., Статистическое описание Закавказского края. Санкт-петербург, 1835.

თაბუაშვილი 2013: თაბუაშვილი ა., ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის მეორე ნახევარი). თბილისი, 2013.

თოგომვილი 1977: თოგომვილი გ., ვახუშტი ბაგრატიონი ოსეთისა და ოსების შესახებ. თბილისი, 1977.

თოფჩიშვილი 2007: თოფჩიშვილი რ., კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა. თბილისი, 2007.

ისტორიული ვითარება... 1802: Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ея состоянии. Санкт-Петербург, 1802.

კრებული 1871: Сборник сведений о кавказских горцах (В. Пфаф, материалы для истории осетин), выпуск V, Тифлис, 1871.

მღებრიშვილი 2019: მღებრიშვილი ალ., ცხინვალის ლიტერატურული და კულტურული ცხოვრების ისტორია, თბილისი, 2019.

ნადეჟდინი 1869: Надеждин П., Природа и люди на Кавказе и за Кавказом, Санкт-петербург, 1869.

ნადეჟდინი 1891: Надеждин П., Опыт географии Кавказского края, Тула, 1891.

ოქროპირიძე 2012: ოქროპირიძე ზ., ქართველი მისიონერები (ოქროპირიძეები) და ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერ-ობები. ჟურნალი „ლიახვის ხეობა“, №3, 2012.

ოქროპირიძე 1968: ოქროპირიძე ირ., უღელტეხილზე. ჟურნალი „ლიახვი“. თბილისი, 1968.

პავლიაშვილი 2008: პავლიაშვილი ქ., საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწილი I. თბილისი, 2008.

პატარკაციშვილი 2002: პატარკაციშვილი თ., მოგონებები ცხინვალზე: გაზეთი „შიდა ქართლი“, 2002, №441-442.

სონღულაშვილი 2009: სონღულაშვილი ა., „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში?! თბილისი, 2009.

სოსიაშვილი 2007: სოსიაშვილი გ., ძიებანი. თბილისი, 2007.

ტყავაშვილი 2009: ტყავაშვილი მ., ქსნის ერისთავების მამულების საკითხი დოსითეოს ფიცხელაურის „ოსეთის სასულიერო კომისიის“ პროექტში. კრებული ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები (ა. სონღულაშვილის რედ.), №2. თბილისი, 2009.

წიწუაშვილი 2014: წიწუაშვილი შ., ქართველ ებრაელთა ეროვნული აზროვნების ისტორიიდან (1915-1926 წწ.). თბილისი, 2014 [ტექსტი დაიბეჭდა დავით ბაზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის შრომებში, IX, თბილისი, 2014].

ერთობა 1920: გაზეთი „ერთობა“, №157, 1920 (ოსების ტყვეობიდან).

მნათობი 1924: ჟურნალი „მნათობი“, №2, 1924.

მწყემსი 1885: ჟურნალი „მწყემსი“, №2, 1885.

საარქივო მოამბე 2010: ჟურნალი „საარქივო მოამბე“, №8, 2010.

საბჭოთა ოსეთი 1990: გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“, №163, 1990.

სამშობლო 1915: გაზეთი „სამშობლო“, №126, 1915.

საპატრიარქოს უწყებანი 2010: ჟურნალი „საპატრიარქოს უწყებანი“, №16, 2010.

სშსსა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, III, ფ. 14, საქ. №830, გვ. 59.

სშსსა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, III, ფ. 14, აღწ. №1, ს. №838, ფურც. 8.

სშსსა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, III, ფ. 14, აღწ. №1, ს. №838, ფურც. 6.

სშსსა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, III, ფ. 14, აღწ. 4, ს. №194, ფურც. 158.224).

**ქართული შერეული ფოლკლორული მასალები  
(იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ მიხედვით)**

**Folklore materials collected in Kartli  
(According to Iakob Gogebashvili „Dedaena“)**

**ნორა ნიკოლაძე-ლომსიანიძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ქუთაისი

**Nora Nikoladze-Lomsianidze**  
Akaki Tsereteli State University  
Georgia, Kutaisi

**ABSTRACT**

Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Vazha Pshavela, Petre Umikashvili, Alexander Khakhanashvili, Tedo Razikashvili worked hard to record, assemble, publish, and scientifically study the realities of Georgian folk speech.

Iakob Gogebashvili, a classic of Georgian pedagogy, publicist, children's writer, the prominent figure of the national liberation movement, was also a collector, evaluator, savior, and user of oral „pearls“. He also laid the foundation for the teaching of folklore at school.

Iakob Gogebashvili carried out folklore-gathering work in his native corner, in the middle of Kartli, in the village of Variani, and he published these samples of oral tradition in the textbooks compiled by him; Such as: „Georgian alphabet“, „Nature's door“ and „mother tongue“ (in the paper we bring examples of some of them).

„Mother Tongue“ is the richest in folk art among Iakob Gogebashvili's textbooks. This book was first published by the author in 1876. Gogebashvili himself recorded most of the folklore materials contained in it from the people of Kartli. These are folk poems, stories, tales, proverbs, riddles, Araks; Which played a big role in the victory of the textbook and made „Dedaena“ a public textbook.

It is noteworthy that in each new edition of „Dedaeni“ the number of realities of folk speech gradually increased. For example, in the „Mother Tongue“ published in 1895, the number of oral materials reaches two hundred, while in the 1912 edition it is more than two hundred and fifty.

The eminent teacher was pedagogical from the point of view of including

folklore samples in the textbooks. For this purpose, he had to rewrite various folk texts.

As it is indicated in the scientific literature, the oral realities collected in Kartli are included in the „Mother Tongue“ compiled by Iakob Gogebashvili in different ways. 1. Folk poems, proverbs, riddles, tales are often directly included. 2. Folklore works are used after minor content conversions. 3. Based on folk proverbs, Jacob created original children's stories. Also, famous historical and folklore stories were used for the original works.

The place of Iakob Gogebashvili, this multifaceted figure in the history of Georgian culture, is indefinable, and we would like to add that if he had created a hand-made monument - „Dedaena“, this would have been enough to immortalize his name.

საკვანძო სიტყვები: იაკობ გოგებაშვილი, ქართლი, ფოლკლორული რეალობები, „დედაენა“, ლექსები, ზღაპრები, ანდაზები, თავსატეხები.

Keywords: Iakob Gogebashvili, Kartli, folklore realities, „mother tongue“, poems, fairy tales, proverbs, puzzles.

ქართული ფოლკლორის შეგროვებისა და მისი მეცნიერულად შესწავლის საქმეს დიდი ამაგი დასდეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელებმა: ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ, იაკობ გოგებაშვილმა და სხვებმა.

ილია ბრძანებდა: „ხალხური შემოქმედება სახეა, კანია აზრისა, რომელიც საჭკუო, საზნეო ჭემმარიტებას გვიხატავს ხორცშესხმულად“ (ჭავჭავაძე 1941: 302).

ილიას თანამოდგაწე, მწერალი და ქართველი ერის მოჭირნახულე აკაკი წერეთელი ასევე ქართული ფოლკლორის დიდი მოამაგე იყო.

„არცერთი საქმე ისე სასწრაფო არ არის, როგორ ზეპირგადმოცემების შეკრება-შეგროვება“ - აღნიშნავდა ის და ამის მაგალითს თვითონ იძლეოდა; ასევე, რჩევას აძლევდა ენთუზიასტებს, თუ როგორ ემუშავათ და შეეკრიბათ ხალხური საუნჯე:

შეკრიბონ ზეპირგადმოცემები, ყოველგვარი ზღაპრები, შაირები, ლექსები, ანდაზები, ზმები და სხვანი... შემკრები ერთ სოფელს რომ მორჩება, მერმე მეორეში გადავიდეს... მეც დავდიოდი სოფელ-სოფელად და იმდენი რამ სამნიშვნელო და შესანიშნავი ვნახე, რომ სწორედ გასაკვირველია... სულელური რომ გონია კაცს, მიხვდება, თუ რა გონივრული ყოფილან... ესენი ყველა რომ შეიკრიბება, მაშინ შევიტყობთ ჩვენი ქვეყნის ფასს, კიდევ ვიმეორებ, ყველა ვალდებულია, რომ ამ საქმეს მიეშველოს... ჩვენ ზეპირგადმოცემებს „კერძო მნიშვნელობის გარდა მსოფლიო ხასიათიც აქვთ“ (ქართული ხალხური... 1960: 126-127).

ასევე ხალხური მარგალიტების შემკრები, შემფასებელი, გადამრჩენელი და გამომყენებული იყო ქართული პედაგოგიკის კლასიკოსი, პუბლიცისტი, საზავშვო მწერალი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სკოლაში ფოლკლორის სწავლებას.

იაკობ გოგებაშვილს ფოლკლორულ-შემკრებლობითი მუშაობა თავის მშობლიურ კუთხეში, შუაგულ ქართლში, სოფელ ვარიანში, უწარმოებია და ეს ნიმუშები ზეპირსიტყვიერებისა თვითონვე გამოუქვეყნებია მის მიერვე შედგენილ სახელმძღვანელოებში.

„დედაენა“ იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოთა შორის ხალხური შემოქმედებით ყველაზე მდიდარია. ეს წიგნი ავტორმა 1876 წელს გამოსცა. მასში მოთავსებული ფოლკლორული მასალების უმრავლესობა თვით გოგებაშვილს ჩაუწერია ხალხისგან.

„მკითხველს მოეხსენება, რომ ჩვენს სახელმძღვანელოში „დედაენა“ ბლომად არის მოქცეული ხალხური ლექსები და ზღაპრები. უმეტესი ნაწილი ამ ნაწარმოებებისა ჩვენ მიერ არის შეკრებილი სოფელ ვარიანში ოცდაათის წლის წინად და შემდეგ ჩართული „დედაენაში“. „დედაენის“ გამოსვლამდინ არც ერთს ამ ჩვენ მიერ მოგროვილ ლექსთაგანს და ზღაპართაგანს ვერ შევხვდებით ჩვენს ლიტერატურაში“ (გოგებაშვილი 1940: 498).

ისმება კითხვა: რა ჩაწერა ფოლკლორის დიდმა მოამაგემ ქართლში, სოფელ ვარიანში? პასუხის გაცემა არც ისე ადვილია, რადგან საქმეს ამნელებს ის გარემოება, რომ გოგებაშვილის ხელნაწერი ფოლკლორული მასალის პირველი ჩანაწერების დედნები დღემდე უცნობია, ხოლო სახელმძღვანელოებში შეტანილ ზეპირსიტყვიერ რეალიებს შორის შეინიშნება სხვისი შეკრებილი მასალებიც. ამიტომ საჭირო გახდა შეგვედარებინა არქივში დაცული ფოლკლორული მასალები და სახელმძღვანელოებში სხვადასხვა დროს დაბეჭდილი ნიმუშები.

საქართველოს სახალხო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების მეხუთე ფონდში მოთავსებულია ერთი უთარილო ხელნაწერი სათაურით - „მასალა ანბანის ბოლოსათვის“ (55331-ა-15). იგი ათიოდე ხალხური ლექსისაგან შედგება; ესენია: „ზავშვის შექება“, „ვარდი და ბულბული“, „ჩიტი და მეღია“, „ქათამი“, „ბუდის ჩადგმა“, „კოჭლი კურდღელი და მურა“, „კურდღელი და ყანა“, „კამეჩი“, „მეღია“, „მკვეხარა კამეჩი“. ტექსტი, რომელიც იაკობ გოგებაშვილის ხელნაწერია, ასეთია: მასალა ანბანის ბოლოსათვის

1. ზავშვის შექება (ხალხური ლექსი):

იამა გშობა შობითა,  
ვარდმა გაგზარდა ნებითა,  
ნარგიზმა ძუძუ გაწოვა,  
მას გეგხარ სურნელებითა.

2. ვარდი და ბულბული (ხალხური ლექსი):  
ვარდმა გასძახა ბულბულსა:  
ეგ ბალი დამიცალეო,  
განა სხვა ბალი არ არის?  
რა ჩემზე მოიცალეო?!
3. ბუდის ჩადგმა (ხალხური ლექსი):  
თებერვალი დადგაო,  
ხეში წყალი ჩადგაო,  
ჩიტმა ჩიორამაო  
ბუდის ძირი გადგაო.
4. ჩიტი და მელა (ხალხური არაკი):  
ჩიტო, ჩიტო, ჩიორავ,  
რაო, ბატონო მელაო?  
თუ ერთ ბარტყს არ გადმომიგდებ,  
მე შენ შავ დღეს დაგაყენებ.  
ცულს მოვიტან ცუნცულასა,  
ხელეჩოს და წალდუნასა,  
ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა,  
შენც შეგჭამ და შენს შვილსაცა.
5. ანდაზები:  
ხელი ხელსა ჰბანს, ორივე პირსა.  
რომელი თითიც უნდა მომჭრან, ყველა ერთნაირად მეტკინება.
6. ხალხური ლექსი ქათამზე:  
ქათმისა მიყვარს ენაო,  
მაღლიდან გადმოფრენაო,  
მხარ-ბარკალ, კურტუმ კისერი,  
ცოტა რამ საწიწკარაო,  
თუ საბძელსაც მიუმატებთ,  
ჩემთვის ესეცა კმარაო.
7. კურდღელი და ყანა (ხალხურ ლექსი):  
კურდღელი ჩამოცანცალდა  
ფეხმოტეხილი, საწყალი,  
ზურგზე ეკიდა საგძალი -  
კომბოსტო ნორჩი, ახალი.  
ბებერი მურა ეტია,  
დაგიბნელოო ეგ თვალი,



მაგრამ შერცხვა, ვერ ეწია,  
დარჩა მურა ხახამშრალი.

8. მკვეხარა კამეჩი (ხალხური):

კამეჩსა ჰკითხეს, რატომ სირბილი არ იციო? როგორ არ ვიციო, უპასუხა. ისე გვეიქცეოდი, შევარდენიც ვერ მამეწეოდაო, მაგრამ ქვეყანა მებრალეა, ვა თუ ჩემმა სიმძიმემ დააქციოსო.

9. ლექსი კამეჩზე (ხალხური):

კამეჩი წევს და იცოხნის,  
თავის ამინდი ჰგონია,  
ლაფში ჩაფლული ურემი  
შინ მიტანილი ჰგონია.

ზემოთ წარმოდგენილი ლექსები სხვადასხვა დროს დაბეჭდილია „დედა-ენაში“, მაგრამ ამათ გარდა „დედა-ენაში“ სხვა ნიმუშებიც არის შეტანილი, განსაკუთრებით ეს ითქმის საკითხავ ნაწილზე. მაგალითისათვის მოვიტანთ რამდენიმე ნიმუშს:

ანდაზები: „გარეულმა ქათამმა შინაური ქათამი გააგდო“, „ქათამი რომ წყალს დალევს, ღმერთს შეხედავსო“, „ეს ქათამი ჩვენსას კაკანებს და სხვაგან კვერცხსა სდებს“ (დედა ენა 1915); „ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდეს“, „ლიტრას ეუბნებოდნენ და კოკავ შენ გესმოდესო“, „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოდინდება“, „ქვევრს რასაც ჩასხმახებ, იმასვე ამოგმახებ“, „ნათხოვარი მოგიხდება, ისევე მალე გაგებდება“, „ძმა ძმისთვინა, შავი დღისთვინა“, „ცოცხალს არ მეცვა კაბანი, მკვდარსა ჩამაცვეს ფარჩანი“, „ქურდს რომ ყური უგდო, დღეში ასჯერ გამოტყდება“, „ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად“, „ჩხუბში ისეთ სიტყვას ნუ იტყვი, რომ შერიგების დროს შეგრცხვესო“, „კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო“, „მორთული ტიტველსა პერანგსა ჰხდოდა“, „ქოთანი დაგორდა, სარქველი იპოვნა“, „ქარის მოტანილს, ისევე ქარი წაიღებსო“ (დედა ენა 1895).

გამოცანები: „ოთხთა ძმათა ტანით ტოლთა, თავზედ ხურავთ ერთი ქუდი“ (მაგიდა), „დავკარ ხმალი, არ დაეტყო კვალი“ (წყალი), „თავს მოვჭრი, გულს ამოვიღებ, ვასმევ და ვალაპარაკებ“ (კალამი), „ხმელიდან სველი გამოდის, ტკბილიდან მეტად მწარეა, ამისი გამომცნობელი ჭკვიანის შესადარია“ (არაყი), „თეთრი ხნული, შავი თესლი, თესლი მთესველს ეუბნება“ (წერილი), „ჯერ მწარე ვარ, მერე ტკბილი, ბოლოს კი მალხინებელი“ (ყურძენი), „ავხადე ფირფიტელასა, დავხედე გულწითელასა“ (ქვევრი), „გარეთ ოქრო, შიგნით ვერცხლი, ვერცხლში წყალი, წყალში ცეცხლი“ (სამოვარი) (დედა ენა 1895).

„დედა ენის“ ამ წლის გამოცემაში ანდაზის სულ სამოცდაშვიდი ნიმუშია.

ლექსები: 1. „ყაყაჩო და ყმაწვილი“, 2. „ამომავალი მზე“ (მზეო ამოდი, ამოდი), 3. „კაჭკაჭი და ყვავი“, 4. „მოწვევა სწავლაზედ“ (ბიჭო, ვისი ხარ,

მალხაზი), 5. „ხალხური სიმღერა“ (მოდის, ვნახოთ ვენახი), 6. „ირემი“ (ირემო, მთასა მყვირალო), 7. „პური, ღვინო და მჭადი“, 8. „ჩიტი და ფეტვი“, 9. „გუთანი“, 10. „გუთნის დედა“, 11. „ღვინო და სიტყვა“ (დედა ენა 1895).

„დედა ენის“ ყოველ ახალ გამოცემაში ხალხური სიტყვიერების ნიმუშების რაოდენობა თანდათან იზრდებოდა. ასე მაგალითად, 1895 წელს გამოცემულ „დედა-ენაში“ ზეპირსიტყვიერი მასალის რიცხვი 200-მდე აღწევს, ხოლო 1912 წლის გამოცემაში კიდევ უფრო მეტია.

იაკობ გოგებაშვილი „დედა-ენის“ 1881 წლის გამოცემაში თვითონ გვაწვდის ცნობებს, თუ რა აიღო მან ფოლკლორიდან.

„დედა-ენის“ 1881 წლის გამოცემაში სხვადასხვა ჟანრის ფოლკლორული მასალაა: 55 ლექსი, 8 ზღაპარი, 25 არაკი და ხალხურ სიუჟეტზე აგებული მოთხრობა, 170 ქართული ანდაზა, 70 გამოცანა.

იმ გარემოებამ, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენის“ უმთავრეს საკითხავ მასალას ზეპირსიტყვიერება წარმოადგენს, სახელმძღვანელოს გამარჯვებაში დიდი როლი შეასრულა.

ფოლკლორული ნიმუშების სახელმძღვანელოში შეტანას გამოჩენილი პედაგოგი პედაგოგიურ-დიდაქტიკური თვალსაზრისით უდგებოდა. ამ მიზნით მას მოუხდა სხვადასხვა ხალხური ტექსტის გადაკეთება-გადამუშავება, როგორცაა: „ბიჭო, ვისი ხარ, მალხაზი“, „ყაყაჩოსა სიწითლითა“, „კურდღელი ჩამოცანცალდა“, „მოდის, ვნახოთ ვენახი“.

„დედა-ენაში“ ახალი რედაქციით შეუტანია საქართველოს ყველა კუთხეში გავრცელებული კუმულაციური ტიპის მოთხრობა „რწყილი და ჭიანჭველა“, რომელიც დიდ პედაგოგს სოფელ ვარიანში ჩაუწერია. ამავე სოფელში ჩაუწერია მას ხალხური ზღაპარი „მებადურის შვილი“, რომელიც დაიბეჭდა „დედა ენაში“ 1881 წელს.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილ „დედა-ენაში“ ქართლში შეკრებილი ზეპირსიტყვიერი ნიმუშები სხვადასხვაგვარად არის შესული: 1. ხალხური ლექსები, ანდაზები, გამოცანები, ზღაპრები ხშირად პირდაპირაა შეტანილი, 2. ფოლკლორული ნაწარმოებები გამოყენებულია მცირე შინაარსობრივი გადაკეთების შემდეგ, 3. ხალხური ანდაზების საფუძველზე იაკობს შეუქმნია ორიგინალური საბავშვო მოთხრობები. ასევე ორიგინალური ნაწარმოებებისათვის გამოუყენებია ცნობილი ისტორიული და ფოლკლორული სიუჟეტები.

უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში იაკობ გოგებაშვილს მეტად რთულ პირობებში უხდებოდა მუშაობა. აი, რას წერს მისი თანამედროვე ზაქარია ჭიჭინაძე:

„ქართველობამ ამ საუკუნეში ერთობ გვიან გაახილა თვალები. მწერლობა ხომ სულ არ არსებობდა, მწერლობაში თქვენ ვერ იპოვნიდით ვერც ერთ საყმაწვილო წიგნს, საყმაწვილოდ გამოსადეგ ზღაპრებს, სახალხო ლექსებს, ანდაზებს, გამოცანებს. იაკობ გოგებაშვილს წილად

ხვდა არარისაგან რამის დაბადება, ერთსა და იმავე დროს ყველაფრის კრება, გროვება და მერე, მათი აკინძვა, ასხმა და სახელმძღვანელოების გამოქვეყნება“ (ჭიჭინაძე 1900: 41).

მართლაც, როდესაც მწერალმა და პედაგოგმა სახელმძღვანელოების („ქართული ანზანი“/1865/, „ბუნების კარი“/1868/, „დედაენა“/1876/) გამოცემა დაიწყო, ქართული ხალხური შემოქმედების შეკრების საქმე ძალიან დაბალ დონეზე იდგა. ცოტა მოიპოვებოდა ფოლკლორული ნიმუშების ჩანაწერები, განსაკუთრებით ისეთი, რომლებიც ი. გოგებაშვილს თავისი პედაგოგიური იდეების განხორციელებაში დაეხმარებოდა. ამიტომ სახელმძღვანელოს შემდგენელი თვითონ შეუდგა საჭირო მასალების შეკრებას, ჩაწერას. ექვსი თვის მანძილზე იგი განუწყვეტლივ მუშაობს ქართლში, აგროვებს ხალხში გაფანტულ ფოლკლორულ შედეგებს და შეაქვს იგი თავისსავე სახელმძღვანელოებში, განსაკუთრებით „დედა ენაში“, რომელიც სახალხო სახელმძღვანელოდ იქცა.

განუსაზღვრელია იაკობ გოგებაშვილის, ამ გამოჩენილი მოღვაწის, ადგილი ქართული კულტურის ისტორიაში.

სიცოცხლის ბოლო წლებში, 1909 წელს, წერილში - „პრინციპულობა დროების მესვეურისა“ - იაკობ გოგებაშვილი აღსარებასავით ამბობდა:

„რას ვიცავდი და როგორ ვიცავდი ჩემის ორმოცის წლის სალიტერატურო მოღვაწეობაში, ეს კარგად იციან მოსწრებულმა მკითხველებმა. ვიცავდი უმთავრესად: თვითმმართველობას, ავტონომიას, ხალხის განათლებას დედა-ენაზე, ქართული ეკლესიის განთავისუფლებას ანუ ავტოკეფალიას, ქართულის ტერიტორიის გადასვლას ქართველის გლეხების ხელში და სხვა. ყველა ამას ვიცავდი ორსავე ენაზე, როგორც ქართულზე, ისე რუსულზე ერთნაირი გაბედულობით, ერთნაირი მიმართულებით და შინაარსით და ვერც ერთი ცილის მწამებელი ვერ მონახავს ჩემს ძველსადა ახალს ნაწერებში თუნდა მცირეოდენს ორჭოფობას, ორგულობას. მე გამოვედი საზოგადო ასპარეზზე შემუშავებული პროგრამით, ღრმად მოფიქრებული რწმენით და ამ რწმენისათვის მე იოტის ოდენადაც არ მილაღატნია, არც ერთხელ, არას დროს“.

სწორედ ასეთი მოღვაწეობით დაიმკვიდრა იაკობ გოგებაშვილმა ღირსეული ადგილი ჩვენი ერის სულიერ ცხოვრებაში. თამამად დავძენთ: მას მარტო ხელთუქმნელი ძეგლი „დედა ენა“ რომ შეექმნა, მისი სახელის უკვდავსაყოფად ესეც იკმარებდა.

#### დამოწმებული ლიტერატურა

გოგებაშვილი 1876: გოგებაშვილი ი., „დედაენა“, I გამოცემა. თბილისი, 1876.

გოგებაშვილი 1895: გოგებაშვილი ი., „დედა ენა“. თბილისი, 1895.

---

გოგებაშვილი 1940: გოგებაშვილი ი., რჩეული ნაწერები, ტ. II. თბილისი, 1940.

გოგებაშვილი 1941: გოგებაშვილი ი., პედაგოგიური თხზულებანი, ტ. II. თბილისი, 1941.

ქართული ხალხური... 1960: ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, I ნაწილი, აკაკი წერეთლის ფოლკლორისტული შეხედულებანი. თბილისი, 1960.

ჭავჭავაძე 1941: ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, ტ. II. თბილისი, 1941.

**პაპუნა ორბელიანი, როგორც პოეტი –  
ისტორიული პოემა „შეჭირვებანი ქართლისანი“**

**Papuna Orbeliani as a poet - Historical poem  
„Troubles of Kartli“**

**ავთანდილ ნიკოლეიშვილი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ქუთაისი

**Avtandil Nikoleishvili**

Akaki Tsereteli State University  
Georgia, Kutaisi

**ABSTRACT**

Papuna Orbeliani's „The Troubles of Kartli“ is a work of the documentary genre, which poetically narrates the situation in Eastern Georgia in the 20s and 30s of the 18th centuries. Papuna Orbeliani 'The Troubles of Kartli' is a work of the documentary genre, which poetically narrates the situation in Eastern Georgia in the 20s and 30s of the 18th centuries.

It tells the story of the worst situation created by the Ottoman and Kizilbash rule in Georgia in the good faith of the chronicler. Such a view of epoch-making events in the poem is determined by the fact that its author is primarily a chronicler and not a poet.

P. Orbeliani was a figure of the XVIII century, the author of the famous historical chronicle of that period 'Story of Kartlisani'. The interest in the poem in question is substantially increased by the fact that the author himself was a direct eyewitness to the stories narrated in it. This factor further enhances the importance of the work as a historical source. Although p. Orbeliani's main goal is to accurately document the worst situation in eastern Georgia in the 18th century, he is not even a matte man from the outside of this state, but a direct eyewitness of events, who often even expresses his attitude towards these events with emotional admiration. So, p. Orbeliani's 'Troubles in Kartli' is not only a poem that realistically depicts the current situation in Georgia but also 'Troubles in Kartli' itself, as the first source of historical significance, helps us to understand more clearly and in-depth the situation in 18th century Kartli. Its author also actively draws attention to the ways to get our country out of this situation.

The work of P. Orbeliani begins the story from the time when Vakhtang VI, a vein seeker of ways to free himself from Iranian subjugation, turned to Khontkari for help.

P. According to Orbeliani, trusting Khontkari was a big political mistake, which put the country in an even worse situation. P. Orbeliani tells us with heartache the story of the Turkish occupation of Kartli and Tbilisi, which once again expresses Tavi's sharply anti-Turkish position.

The main culprit in this new disaster for the country is P. Orbeliani considers King Vakhtang.

The author of the poem is much more sympathetic to the Iranians than the Turks. Even though Kizilbashoba suffered no less than the Ottoman Empire in Georgia, P. Orbeliani still has a relatively generous attitude towards the Iranians. This circumstance was conditioned by the fact that the liberation of Kartli from Ottoman domination became possible due to the active efforts of the Iranians. In his poem, P. Orbeliani clearly and unequivocally expresses the sharply negative attitude towards the policy pursued by Vakhtang VI to liberate the Kingdom of Kartli from the current difficult situation.

საკვანძო სიტყვები: პაპუნა ორბელიანი, პოემა, საქართველო, ქართლი, ოსმალეთი, ირანი, ვახტანგ VI, ისტორია

Keywords: Papuna Orbeliani, poem, Georgia, Kartli, Ottoman, Iran, Vakhtang VI, history.

XVIII საუკუნის ცნობილი მემკვიდრე პაპუნა ორბელიანი (დაბადებისა და გარდაცვალების ზუსტი თარიღები უცნობია), უპირველეს ყოვლისა, 1739-1758 წლების საქართველოში მიმდინარე ურთულესი მოვლენების ამსახველი თავისი თხზულებით – „ამბავნი ქართლისანი“ არის ცნობილი (პაპუნა ორბელიანის ხსენებული ნაშრომის ტექსტი დაადგინა და 1981 წელს შესავლის, ლექსიკონისა და საძიებლების თანდართვით გამოსცა ელენე ცაგარეიშვილმა). ისტორიკოსთა მიერ ეს ნაწარმოები ერთხმადაა მიჩნეული შესაბამისი პერიოდის ჩვენს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის ისტორიული სიმართლითა და მრავალმხრივობით ამსახველ დიდმნიშვნელოვან მატთანად.

მაგალითად, ივანე ჯავახიშვილის შეფასებით, აღნიშნული ნაშრომის შექმნის გამო პაპუნა ორბელიანი ვახუშტის შემდგომ უსათუოდ უნდა ჩაითვალოს „აღორძინების ხანის ქართული საისტორიო მწერლობის მშვენიერად.“ იგი „ცხოვრებაში ჩახედული ღრმად მოაზროვნე და ეროვნულ-საზოგადოებრივი გრძნობებით გამსჭვალული ისტორიკოსია. მისი მამულიშვილური გული თანამომემთადმი სიყვარულით ძგერს, მისი გონება და აზრი საქართველოს მომავალს დასტრიალებს და ქვეყნის სიმტკიცეზე ოცნებობს“ (ჯავახიშვილი 1977: 367).

ივანე ჯავახიშვილი გამონაკლისი არ არის და პაპუნა ორბელიანის, როგორც ისტორიკოსისა და მემატიანის, ღვაწლს ანალოგიურ შეფასებას სხვა მკვლევრებიც აძლევენ. მაგალითად, კორნელი კეკელიძის აზრით, პ. ორბელიანი „უდავოდ ნიჭიერი და სამშობლოსათვის გულშემატკივარი ისტორიკოსი“ იყო (კეკელიძე 1981: 548).

პაპუნა ორბელიანს, გარდა ზემოთ ხსენებული ნაშრომისა, რომელმაც მყარად დაიმკვიდრა ადგილი საქართველოს ისტორიის ამსახველი იმ მატრიანების გვერდით, ისტორიკოსთა მიერ ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესასწავლად გვერდრაუვლელ დოკუმენტურ წყაროდ რომ არის მიჩნეული, პოეტური ნაწარმოებებიც აქვს შექმნილი. კერძოდ, იგი ავტორია პოემისა – „შეჭირვებანი ქართლისანი“ და ჯერჯერობით გამოუქვეყნებელი რამდენიმე ლექსისა (ხსენებული ლექსები იხ.: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A ფონდი, №1166, 1764 წლის ხელნაწერი ლიტერატურული კრებული). ეს ლექსებია: „ხილთქება, ანბანზე თქმული პაპუნა ორბელიანისაგან“, „ყუავილთქება, ნათქუამი პაპუნა ორბელიანისაგან“, „ანბანთქება ცხრა ლექსად, თქმული პაპუნა ორბელიანისაგან“, „ცხრა ნეტარება, ლექსად თქმული პაპუნა ორბელიანისაგან“ (ka.georgica.ac.ge/isi/პაპუნა ორბელიანი).

თემატურ-შინაარსობრივი თვალსაზრისითაც და მხატვრული ოსტატობის მხრივაც დასახელებულ ნაწარმოებთაგან განსაკუთრებით საინტერესოა პოემა „შეჭირვებანი ქართლისანი“, რომელშიც 1732-1736 წლებში ქართლსა და კახეთში არსებული მდგომარეობა ისეთი სიმართლითაა აღწერილი, რომ დღევანდელი მკითხველისათვის ნაწარმოები ისტორიული თვალსაზრისით გაცილებით უფრო საინტერესოა, ვიდრე ლიტერატურულად.

მასში ფაქტობრივად მემატიანის კეთილსინდისიერებით არის მოთხრობილი იმჟამინდელ ქართლში ოსმალთა და ყიზილბაშთა ბატონობის შედეგად შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა (ნაწარმოები 1971 წელს ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევის თანდართვით გამოაქვეყნა ლილი ქუთათელაძემ. იხ.: მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული კრებული, ტ. I).

პოემისადმი ინტერესს არსებითად ზრდის ის გარემოებაც, რომ ავტორი თავად ყოფილა მის მიერ მოთხრობილი ამბების უშუალოდ თვითმხილველი. ეს ფაქტორი ნაწარმოების, როგორც ისტორიული წყაროს, მნიშვნელობას კიდევ უფრო მეტად ზრდის. ასე რომ, პ. ორბელიანი XVIII საუკუნის 30-იანი წლების აღმოსავლეთ საქართველოში, უწინარესად კი ქართლში, შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის პირადად მომსწრე ის პიროვნებაა, რომელიც ემოციური აღტკინებით გამოხატავს თავის პიროვნულ დამოკიდებულებას მაშინდელი მოვლენებისადმი.

ნაწარმოებში ამბის თხრობა იმ დროიდან იწყება, როდესაც ირანის ქვეშევრდომობიდან განსათავისუფლებელ გზათა ამაოდ მაძიებელმა ვახტანგ მეექვსემ დასახმარებლად ოსმალეთის იმპერიის ხონთქარს მიმართა. როგორც ცნობილია, რუსეთს მინდობილი ვახტანგი, რომელიც

დიდი ხნის განმავლობაში უშედეგოდ ელოდა ამ სახელმწიფოს მხარდაჭერას, იძულებული გახდა მოკავშირეთა ძეგლი სხვაგანაც დაეწყო და იმედის თვალი თურქეთსაც მიაპყრო. კერძოდ, თურქეთის დახმარების მოიმედე კარისკაცთა რჩევით, ვახტანგმა ქალაქ არზრუმის სარასკარს წერილი გაუგზავნა და თხოვა: „მოდით, გვაცემევით ხონთქარსა, ჩვენ ვიყვნეთ მის საბანდობად, დაგაჭერინებთ ერანსა, ჩვენ გვყავით წინასარდლობად.“

პ. ორბელიანი მეფის მიერ მიღებულ ამ გადაწყვეტილებას სრულიად გაუმართლებელ მოვლენად მიიჩნევს და ასეთ შეფასებას აძლევს:

ეს მეფე, ქართლთამპყრობელი, მოტყუვდა ცუდის საქმიანთა, ურჩიეს, ვეყმით ხონთქარსა, მივსცეთ, ავაგსოთ ქრთამითა, დავიპყრათ ადრიბეჟანი, იქ დაჯექე პყრობად სკამითა, ნულარ ვეყმობით ყაენსა, ნულარც რას მივცემთ დრამითა.

როგორც ავტორისეული მონათხრობიდან ნათლად ჩანს, ქართლში ოსმალთა შემოსვლამ და გაბატონებამ ქვეყანა კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. პ. ორბელიანის ხაზგასმით, ქართლის სამეფო კარმა ამ შემთხვევაში სრულებით არ გაითვალისწინა ის დამპყრობლური გეგმები, რაც თურქეთს საქართველოს მიმართ ჰქონდა. ვახტანგის თხოვნით გახარებული სარასკარი დიდი ჯარით დაიძრა ქართლისაკენ. როგორც ავტორი წერს, დაჯავრიანებული მეფე თავის შეცდომას ქვეყანაში თურქთა ლაშქრის გამოჩენისთანავე მიხვდა:

იამა დიდათ სარასკარს, შეყარა ურუმთ ჯარები,  
წარმოემართა ქართლზედა, აღივსო მთა და ბარები,  
წინ მიეგებნენ ქართველნი, შიშით აფერ-ნამკრთალები,  
თვის ნებად იქნენ ქართლზედა, მეფემან შექმნა ჯავრები.

პ. ორბელიანი გულისტკივილით გვიამბობს თურქების მიერ ქართლისა და თბილისის აკლების ამბავს, რითაც კიდევ ერთხელ გამოხატავს თავის მკვეთრად ანტითურქულ პოზიციას. ქართლში, ვითომცდა დასახმარებლად მოსულმა თურქებმა, მწერლის თქმით, „დაიპყრეს თბილისქალაქი ციხით და გარეთ კარები, დაგვიპყრეს, დაგვჩაგრ-გვიჭირეს, ვიქმენით ცუდი ნაშეები.“ ყველაზე სამწუხარო შედეგი, რითაც ქართლში თურქთა „მოპატიჟება“ დასრულდა, ის გახლდათ, რომ ბაგრატიონთა ტახტზე „ფაშები დასხდნენ ბატონად.“

როგორც ითქვა, ქვეყნისთვის თავსდატეხილ ამ ახალ უბედურებაში უმთავრეს დამნაშავედ პ. ორბელიანი მეფე ვახტანგს მიიჩნევდა. თუმცა მისი საქვეყნო დანაშაული, მწერლის შეფასებით, მართო თურქების მოპატიჟება როდი იყო. თურქი დამპყრობლებისაგან შევიწროებულმა მეფემ ქვეყანას კიდევ ერთხელ უღალატა, „ქართლზე ხელი აიღო“ და დიდძალი ამალით თავის საშველად რუსეთს მიმართა. სამწუხაროდ, ამ ამბის შეტყობის შემდეგ „ურუმთა უფრო მოგვიგზვნეს გენია.“

პ. ორბელიანი გულისტკივილით იქვე იმასაც გვაუწყებს, რომ ქართლის დასაუფლებლად ვახტანგის ძმამ – იასემ, რომელიც ვახტანგს რუსეთში არ გაჰყოლია, მაჰმადიანობა მიიღო. მაგრამ საკუთარი ერისა და რჯულის მოღალატე „ადარ აუფლეს ურუმთა, აღარც მიუშვეს ნებობით“. საბოლოოდ,



მისი ამგვარი პოლიტიკური ავანტიურში იმით დამთავრდა, რომ „ისიც აღსრულდა, ქალაქში დამარხეს თათართ წესითა.“ ქართლის გამგებლებად ხონთქარის მიერ დანიშნულმა ფაშებმა, რომელთაც თანმიმდევრული სიზუსტით ჩამოთვლის ავტორი, ქვეყანა უმძიმეს განსაცდელში ჩააგდეს. ერთგან თათართა ბატონობის შედეგად დამკვიდრებული მდგომარეობა ასეა აღწერილი:

განმრავლდა ქართლში ტყვის სყიდვა, ქალ-ყმა მიჰყავდათ ბევრია,  
არა სწუნობდენ ბერსკაცსაც, წამს მოპარსვიან წვერია,  
შეაბილწიან სახლები, სად იყვის ღვინის ქვევრია,  
სცემდნენ, ათრევდენ ქართველთა, შიშით ესცვალისთ ფერია.  
ვინ მოითვლების მათგანა, ვით აყვეს ქართლზე ავია,  
სულ შეაბილწეს საყდრები, ზედ მოაქცივეს თავია,  
ხონთქარის ქვეყნითა მოვიდნენ სულ იენგიჩარ შავია,  
ალივსო ქართლის ქვეყანა, ზედ დაგვდვეს დიდი ზვავია.

პ. ორბელიანის შეფასებით, ასეთი იყო ის უმძიმესი შედეგი, რაც ოსმალთამ მოუტანა ქართლს. მიუხედავად იმისა, რომ თურქთა ამგვარი აგრესია ჩვენი ქვეყნის მიმართ შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა და ასეთი დამპყრობლური პოლიტიკის გასატარებლად ისინი ყოველთვის იყვნენ მზად, იმხანად განხორციელებული ეს აგრესია, ავტორის აზრით, უწინარეს ყოვლისა, მაინც პროთურქულად განწყობილ ქართველთა წაქეზებით ვახტანგის მიერ მიღებული მეტად მცდარი პოლიტიკური გადაწყვეტილების შედეგი იყო.

პოემის ავტორი, თურქებთან შედარებით, ირანელთა მიმართ გაცილებით მეტ კეთილგანწყობილებას ავლენს. მიუხედავად იმისა, რომ „ყოზილბაშობამ“ ჩვენს ქვეყანას „ოსმალბაზე“ არანაკლები (თუ მეტი არა) უბედურება დაატეხა თავს, პ. ორბელიანი ირანელთა მიმართ მაინც შედარებით უფრო ლმობიერად აღმოჩნდა განწყობილი. ეს გარემოება, უპირველეს ყოვლისა, იმით იყო განპირობებული, რომ ოსმალთა ბატონობისაგან ქართლის განთავისუფლება სწორედ ირანელთა აქტიური ძალისხმევით გახდა შესაძლებელი.

ამ საქმის მთავარ შემოქმედად პ. ორბელიანს თამაზ ხანი (შემდგომში ნადირშაჰად წოდებული) მიაჩნდა. ავტორის თქმით, სწორედ მისი მეშვეობით მოგვეცა შესაძლებლობა თურქებზე შურისძიებისა: „შური ვიძიეთ ურუმზე, გულისა მოსაფხანია.“ ქართლის მიმართ თამაზ ხანის მიერ გამოვლენილ ამ უნებლიე სიკეთეს პ. ორბელიანი პოემაში არაერთგზის მიაპყრობს მკითხველის ყურადღებას. მაგალითად, „ხმალი ჰკრა ურუმთ ძლიერი, საქმე ქნა სახელიანიო,“ – წერს ერთგან, მეორეგან კი ამბობს: „ცდილობდა ურუმთ გაყრასა, ის გვექმნა მონაშველია.“

უპირველეს ყოვლისა, სწორედ ზემოთ აღნიშნული გარემოებით უნდა აიხსნას ის კეთილგანწყობილება, რომელსაც ავტორი თამაზ ხანისადმი იჩენდა პოემის მიხედვით. მისი დახასიათებით, იგი იყო „ლომგული, კარგი ვაჟკაცი,“ რომელმაც „სულ დაიმონა ერანი... უყო ყათლამი ურუმთა.“ ყარსში, ხონთქარის სარასკართან, გამართულ გმირულ ბრძოლაში თამაზ

ხანმა მოწინააღმდეგე იმდენად დაჯაბნა, რომ „სტამბოლის დასაჭერად“ კი გაემზადა და დახოცილ ურუმთა „მმოვრით მთა და ბარი აღავსო.“

თურქთა ბატონობისაგან ქართლის განთავისუფლებისათვის გამართულ ბრძოლებში თამაზ ხანს, პ. ორბელიანის ინფორმაციით, ქართველებიც აქტიურად ედგნენ გვერდით. ესენი ყოფილან „დიდი სარდალი ქართლისა“ ქაიხოსრო ორბელიანი, გივი ამილახორი და სხვები.

თამაზ ხანის თანამებრძოლთაგან პ. ორბელიანი განსაკუთრებული პატივისცემით მოიხსენიებს სარდალ ხანჯან ხანს, რომელმაც 1735 წელს თურქთა ბატონობისაგან თბილისი გაათავისუფლა. ხანჯან ხანის შესახებ პოემაში ასეთი რამაა ნათქვამი:

თამაზ ხანს ქართლში ებოძა თვის მახლობელი ჯარია,  
ხანჯან ხან სარდლად დროშითა, ორბელიანთა გვარია.  
მოვიდა, დადგა მცხეთასა, ქართველნი ჯართან გარია.

ლ. ქუთათელაძის აზრით, ხანჯან ხანი, როგორც პოემის დამოწმებული ადგილიდანაც ჩანს, შესაძლოა ორბელიანთა გვარის შვილი იყოს, რომელიც ბავშვობიდანვე უნდა მოხვედრილიყო ირანში. გონებაგამჭრიახ და ცბიერ ნადირ შაჰს სწორედ ეს გაყიზილბაშები და იქ გაწვრთნილი ნაქართველარი შეურჩევია ჯარის სარდლად (მრავალთავი 1971: 228). ქართველთა აქტიური თანადგომით ხანჯან ხანმა და მისმა ჯარმა აღმოსავლეთ საქართველო მთლიანად გაწმინდეს თურქ დამპყრობთაგან, რომლებიც „თორმეტ წელს იყვნენ ქართლშია.“

მიუხედავად იმ კეთილგანწყობილებისა, რომელსაც პ. ორბელიანი ირანელ ხელისუფალთა მიმართ იჩენდა, ის არც მათ დამპყრობლურ გეგმებზე ხუჭავდა თვალს. თურქთა ბატონობისაგან ქართლის განთავისუფლების შემდეგ თამაზ ხანმა სამეფო ტახტზე მისი თანამერჯული ალი მირზა (იგივე ალმირზა) დასვა:

კახ ბატონის ძეს ალმირზას, რომ იყო მისის რჯულობით,  
მას მისცა ქართლი, კახეთი, უბრძანა: იყავ ვალობით.

ლ. ქუთათელაძის განმარტებით, პოემაში მოხსენიებული ალი მირზა და ალი ხანი ერთი და იგივე პიროვნებაა – გამაჰმადიანებული კახთ ბატონიშვილი ალექსანდრე, რომელიც თამაზ ხანს ქართლის გამგებლად განუწესებია და ირანისთვის გადასახდელი ბეგარის აკრება დაუკისრებია (მრავალთავი 1971: 229). პ. ორბელიანის ცნობით, თბილისში მობრძანებულ ალი ხანს, რომელიც ირანელთა ყურმოჭრილი ხელქვეითი იყო, ქართველმა თავადებმა ზურგი შეაქციეს. ხალხი მთებში ხიზნებად გარბოდა და თავს ციხეებს აფარებდა.

პ. ორბელიანი უდიდესი გულისტკივილით წარმოგვიდგენს ირანელთა გაბატონების შედეგად ქვეყნის აკლებისა და, აწიოკების გულისმომკვლელ სურათს. მისი გადმოცემით, თურქთა ნაცვლად მოსულმა ყიზილბაშთა, ავღანთა და ქურთთა ლაშქარმა „მთლივ ზემო ქართლი წარტყუნეს, მოყვანდათ ტყვეთა დასია.“

როგორც ვხედავთ, პირუთვნელი მემატინის როლში მყოფი მწერალი ვითარებას არ ალამაზებს და მიუხედავად ადრინდელი კეთილგანწყობილებისა, არც ირანელ დამპყრობთა აგრესიულ პოლიტიკას ტოვებს მკაცრი კრიტიკის გარეშე:

ორის ერისთვის ქვეყნები სულ ააოხრეს მეტათა,  
მოყუანდათ ტყვენი ურიცხვნი, იყვნენ საქონლის ხვეტათა,  
ხოცდენ მრავალთა ქართველთა, იყვის დაჭრილი რეტათა,  
მიყავდათ ქალნი ყიზილბაშთ, გახადნენ ქმრები ჭვრეტათა.

ირანელთაგან ქართლისა და კახეთის აკლება-აწიოკების მსგავსი მაგალითები პოემიდან სხვაც მრავლად შეიძლება მოვიშველიოთ. ვითარება კიდევ უფრო მძიმე გახდა თბილისში თამაზ ხანის მოსვლისა და სახელისუფლებო ტახტზე დაბრძანების შემდეგ. აქ იგი ერთ თვეს დარჩენილა. ავტორის თქმით, დიდებულთა ერთი ნაწილი ყაენს ხლებია და ნებაყოფლობით უღიარებია მისი ყმობა. აი, რას ამბობს პოეტი ამ ფაქტთან დაკავშირებით:

მოუდგნენ ყმობით ყველანი, ერთობით ორბელიანნი,  
ხონთქარს განუდგნენ, ყეენს ყმეს, საქმე ქნეს ამით ჭკვიანი.  
სომხითი, ამათთან მოყვნენ ალგეთის ბარათიანნი.  
მორჩნენ ოხრებას, ტყვეობას, არ ნახეს ბოლო ზიანი.

ამ ინფორმაციაში მკითხველისათვის ყველაფერი გასაგებია, გარდა ერთი რამისა – თავად ავტორის იმ პოზიციისა, რითაც იგი ყაენისადმი დიდგვაროვანთა ამგვარ მორჩილებასა და მისადმი ნებაყოფლობით ყმობას ჭკვიანურ გადაწყვეტილებად მიიჩნევდა. მართალია, მისი თქმით, მათ ასეთ მორჩილებას შედეგად თითქოსდა „ოხრებისა და ტყვეობის“ თავიდან აცილება მოჰყვა, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ მონობის სანაცვლოდ მიღებული მოჩვენებითი წყალობა რომ იყო, სამწუხაროდ, ამის თაობაზე ნაწარმოებში არაფერია ნათქვამი.

სამაგიეროდ, ვინც მორჩილების ამგვარ გზას არ დაადგა, ისინი თამაზ ხანმა მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო, თავის მონებად გამოაცხადა და ბევრი მათგანი სიცოცხლესაც კი გამოასალმა. თბილისში მისი ყოფნის ერთთვიანი პერიოდის განმავლობაში „ურვილნი ქართველნი მარადის შიშით იყვნენ.“ ქვეყნის ამ ახალმა დამპყრობელმა ნანგრევებად აქცია გორისა და თბილისის ციხეები. უკეთესი დღე არც კახეთს დადგომია. თამაზ ხანმა იქაც უთვალავი ჯარი ჩააყენა და იქაურებზე ჯავრი იმით ამოიყარა, რომ „სულ შეაბილწა საყდრები.“ გარდა ამისა, მან ბევრი მოსახლე მშობლიური ფუძიდან აყარა და შორეულ ხორასანში გადაასახლა.

ქართლისა და კახეთის ამგვარი აკლება-აწიოკების შემდეგ, ავტორის თქმით, თამაზ ხანი ახლა ჭარისა და შირვანის გასაპარტახებლად წავიდა და ამჯერად „მათ მოუკიდა ცეცხლი,“ საქართველოში კი თავისი პოლიტიკის გამტარებლად კვლავ ალი ხანი (იგივე ალექსანდრე ბატონიშვილი) დატოვა.

ცხადია, ისეთი გულმხურვალე პატრიოტისათვის, როგორც პაპუნა ორბელიანი იყო, თამაზ ხანისა და მისი თანამებრძოლების მიერ ჩვენი ქვეყნის ამგვარი აკლება-აწიოკება ქვეყნისათვის თავს დატეხილი უდიდესი ტრაგედია იქნებოდა, რაც სავსებით ბუნებრივი ამბავია. ძნელად ასახსნელი ამ შემთხვევაში მხოლოდ ისაა, რომ, ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, იგი მაინც ამჟღავნებდა ერთგვარ მოკრძალებას ირანის ამ მრისხანე განმგებლის მიმართ.

გარდა ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ზემოთ დამოწმებული ფრაგმენტებისა, ნათქვამის დასტურად აქ ნაწარმოების ის სტრიქონებიც მინდა გავიხსენო, სადაც პ. ორბელიანი ასეთი მაღალფარდოვანი სიტყვებით ასხამს ხოტბას თამაზ ხანის ხელმწიფურ ძლევამოსილებას:

ვითა ვთქვა მისი სიმაღლე, მდიდარი ხელმწიფობანი,  
ლაშქართ სიმრავლე, სიკეთე, ხმამაღალ სვიანობანი,  
კაც-ცხენით სრულად მართვითა, ანუ კარავთა მკობანი,  
ჯარით, სიუხვით სავსება, ყოვლადვე იაფობანი.

როგორც ითქვა, ჩვენი ქვეყნის უმძიმესი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ვითარების დახასიათების დროს პ. ორბელიანი ნათლად და არაორაზროვნად გამოხატავს თავის ნეგატიურ დამოკიდებულებას იმ პოლიტიკისადმი, რომელსაც ვახტანგ მეექვსე ატარებდა შექმნილი შეჭირვებული მდგომარეობიდან ქართლის გამოსახსნელად. კერძოდ, ამ მიზნის მისაღწევად მას არც თურქეთთან ურთიერთობის დამყარება მიაჩნდა ქვეყნისათვის სიკეთის მომტან მოვლენად და არც რუსეთთან.

პ. ორბელიანი, პირველ ყოვლისა, სწორედ ვახტანგის მიერ მიღებულ ამგვარ მცდარ გადაწყვეტილებათა ლოგიკურ შედეგად მიიჩნევდა ქართლში ოსმალთა გაბატონებას, რამაც ქვეყანას უდიდესი უბედურება მოუტანა. ნაცვლად იმისა, რომ მეფე თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩადგომოდა, მან კიდევ ერთხელ გადადგა სახელმწიფოებრივად სრულიად გაუმართლებელი ნაბიჯი - ქვეყნის რჩეულ ადამიანთაგან შემდგარი დიდძალი ამალით თავად რუსეთის ხელმწიფის კარზე გაიხიზნა, ქვეყანა კი მტრის საჯიჯგნად დააგდო.

რაც შეეხება ირანს, როგორც ჩვენი ქვეყნის სისხლიან დამპყრობელს, განსახილველ პოემაში გამოხატული თვალთახედვის მიხედვით, მის მიმართ პაპუნა ორბელიანს რამდენადმე გაორებული დამოკიდებულება ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი, როგორც თავისი ქვეყნის გულმხურვალე პატრიოტი, ცრემლიანი სტრიქონებით ხატავდა ქართლში ირანელთა გაბატონების შედეგად შექმნილ უმძიმეს მდგომარეობას, იქვე, ამის პარალელურად, იგი ირანის იმჟამინდელი განმგებლის - თამაზ ხანის შესახებ აშკარად გამოხატული კეთილგანწყობილებითაც კი საუბრობდა. ერთადერთი გარემოება, რითაც პ. ორბელიანის ამგვარი სპარსოფილური პოზიციის ახსნა შეიძლება ვცადოთ, მხოლოდ და მხოლოდ ისაა, ქართლის განთავისუფლება თურქ დამპყრობთა კოლონიური უღლისაგან იმჟამად სწორედ თამაზ ხანის საბრძოლო დახმარებით რომ გახდა შესაძლებელი.

თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ ჩვენი ქვეყანა ყიზილბაშების მსხვერპლი გახდა. მართალია, პ. ორბელიანი ქართლსა და კახეთში ირანელთა გაბატონების შედეგად შექმნილ უმძიმეს მდგომარეობასაც უდიდესი გულისტკივლით აღწერს, მაგრამ, როგორც ითქვა, ირანის წინააღმდეგ გამოხატული მისი გულისწყრომა ისეთ ყოვლისმომცველ მასშტაბებს აღარ იძენს, როგორც თურქეთისადმი.

#### დამოწმებული ლიტერატურა

- კეკელიძე 1981: კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II. თბილისი, 1981.
- მრავალთავი 1971: მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული კრებული, ტ. I. თბილისი, 1971.
- ორბელიანი 1981: ორბელიანი პ., ამზავნი ქართლისანი (ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა), თბილისი, 1981.
- ქუთათელაძე 1971: ქუთათელაძე ლ., პაპუნა ორბელიანის უცნობი ისტორიული პოემა „შეჭირვებანი ქართლისანი.“ „მრავალთავი,“ ტ. I. თბილისი, 1971.
- ჯავახიშვილი 1977: ჯავახიშვილი ი., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VIII. თბილისი, 1977.
- ka. georgica. ac. ge/isi/პაპუნა ორბელიანი (15.01.2020).

**აგუსტ ჰენრი მუნსის მოგზაურობა ქართლში**

**August Henry Mouns's trip to Kartli**

**ოთარ ნიკოლეიშვილი**

აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ქუთაისი

**Otar Nikoleishvili**

Akaki Tsereteli State University  
Georgia, Kutaisi

**ABSTRACT**

The history of Georgia, its contemporary existence, and its diverse nature have always been a subject of special interest to people visiting us from different countries. Proof of this can be considered the fact that most of the travelers who came to our country were not only satisfied with the sight of big cities but also tried to visit certain parts of Georgia.

In order to clarify what has been said, this time I would like to pay special attention to the information provided about Georgia by the British diplomat - Augustus Henry Mounsey (Augustus Henry Mounsey, 1834–1882).

A. H. Moons entered Georgia, in particular Poti, in December 1865 from Constantinople. From here he headed to Tbilisi. In mid-January 1866, he traveled first to Yerevan and then to Persia. His travel impressions of that time are described in his book *A Journey Through the Caucasus and the Interior of Persia*, published in London in 1872.

Although a. H. Mouns's book does not provide a detailed description of Kartli as one of the most important regions of our country and its constituent cities, and the author provides information about them only as a result of narration of various situational episodes, this paper should still be considered as one of the most important written documents in this regard. The fact that it is a hitherto unexplored historical source by Georgian researchers especially increases the interest in the mentioned work.

საკვანძო სიტყვები: ქართლი, ბრიტანეთი, კავკასია, დიპლომატია, მოგზაურობა, ისტორია.

Keywords: Kartli, Britain, Caucasus, diplomacy, travel, history.

საქართველოს ისტორია, თანადროული ყოფა და მრავალფეროვანი ბუნება სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩვენთან სტუმრად მყოფ პიროვნებათა მხრიდან ყოველთვის წარმოადგენდა განსაკუთრებული ინტერესის საგანს. ამის დასტურად ის ფაქტიც შეიძლება ჩაითვალოს, რომ ჩვენს ქვეყანაში ჩამოსულ მოგზაურთა უმეტესობა არა მარტო დიდი ქალაქების ნახვით კმაყოფილდებოდა, არამედ ცდილობდა საქართველოს ცალკეული კუთხეებიც დაეთვალიერებინა.

ნათქვამის ნათელსაყოფად ამჯერად განსაკუთრებული ყურადღება მივნივთ იმ ცნობებს, რომელთაც საქართველოს შესახებ გვაწვდის ბრიტანელი დიპლომატი - აუგუსტუს ჰენრი მოუნსი (Augustus Henry Mounsey, 1834-1882). მან თავისი დიპლომატიური კარიერა 1857 წელს ლისაბონში დაიწყო, საიდანაც 1861 წელს ჰანოვერში გადაიყვანეს სამუშაოდ, 1862 წელს კი ვენაში განაგრძო მუშაობა.

ა. ჰ. მოუნსის დიპლომატიურ კარიერაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ორ მოვლენას. მათგან პირველ რიგში აუცილებლად უნდა გავიხსენოთ 1867 წლის მაისში ირანის ქალაქ ბალფორუმში (დღევანდელი ქ. ბაზოლი) განვითარებული ტრაგიკული მოვლენები, რასაც ებრაელთა თემის ბევრი წარმომადგენელი ემსხვერპლა. აუგუსტ ჰენრი მოუნსი, „ბრიტანელ მინისტრ ჩარლზ ალისონთან ერთად, იმ დროისათვის თეირანში იმყოფებოდა და პირადად იყო ჩართული დაზარალებულთათვის საკომპენსაციო თანხის გაზრდის საქმეში, რისი ოდენობაც თავდაპირველად, ნასირ ალ-დინ შაჰის (ირანის შაჰი 1848-1896 წლებში - ო. ნ.) გადაწყვეტილებით, 16 ათასი თუმანი ყოფილა. ეს თანხაც, სხვადასხვა მინისტრთა და ოფიციალურ პირთა მიერ ფულის არამიზნობრივად ხარჯვის გამო 3800 თუმნამდე შემცირებულა“ (იეროშალმი 2009: 288).

ა. ჰ. მოუნსი კიდევ ერთი, ასევე ძალზე მნიშვნელოვანი, მოვლენის მომსწრე გამხდარა იაპონიაში მოღვაწეობის დროსაც. როგორც ცნობილია, 1876 წელს მან ამ ქვეყანაში დაიწყო დიპლომატიური საქმიანობა. 1877 წლის 29 იანვარს, ამ ქვეყანაში მისი მუშაობის დროს, კუნძულ კიუსიუზე იფეთქა საცუმას აჯანყებამ, რომელიც თითქმის რვა თვის განმავლობაში გრძელდებოდა. ა. ჰ. მოუნსის იმდროინდელი მოღვაწეობა საინტერესოა იმ მხრივაცაა, რომ იგი აღნიშნული მოვლენის შესახებაც გვთავაზობს უაღრესად მნიშვნელოვან ცნობებს იმ წიგნით, რომელიც მან, როგორც ყოველივე ამის თვითმხილველმა პიროვნებამ, დაწერა და გამოსცა 1879 წელს.

1878 წელს ა. ჰ. მოუნსი დიპლომატიური მისიით ჯერ ათენში გადაიყვანეს სამუშაოდ იქ არსებული ბრიტანული ლეგაციის მდივანად, 1881 წლის 16 აპრილს კი დედოფლის (საუბარია 1837-1901 წლებში ბრიტანეთის დედოფალ ვიქტორიაზე - ო. ნ.) მიერ გენერალურ კონსულად და რეზიდენტ მინისტრად იქნა დანიშნული კოლუმბიის შეერთებულ შტატებში (The London Gazette 1881: 2342).

ა. ჰ. მოუნსი საქართველოში, კერძოდ კი ფოთში, 1865 წლის დეკემბერში შემოვიდა კონსტანტინოპოლიდან. აქედან იგი თბილისში გაემართა. 1866 წლის იანვრის შუა რიცხვებში კი ჯერ ერევანში, ხოლო იქიდან სპარსეთში გაემგზავრა.

უკან იგი 3 ივლისს გაემართა და ჯერ ბაქოში ჩავიდა, იქიდან ვოლგის სანაოსნო გზით ნიჟნი ნოვგოროდს ესტუმრა, შემდეგ კი მატარებლით ინგლისში დაბრუნდა (გროსი 2014: 242-243). სწორედ მისი იმდროინდელი მოგზაურული შთაბეჭდილებებია აღწერილი 1872 წელს ლონდონში გამოცემულ მის წიგნში - „მოგზაურობა კავკასიასა და სპარსეთში“ (A Journey Through the Caucasus and the Interior of Persia).

ხსენებული ნაშრომისადმი ინტერესს განსაკუთრებით ზრდის ის გარემოება, რომ იგი დღემდე შეუსწავლელ საისტორიო წყაროს წარმოადგენს ქართველ მკვლევართა მხრიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ა. ჰ. მოუნსის განსახილველ წიგნში ქართლის, როგორც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონისა და მის შემადგენლობაში შემავალი ქალაქების დეტალურად დახასიათება მოცემული არ არის და ავტორი მათ შესახებ ცნობებს მხოლოდ სხვადასხვა სიტუაციური ეპიზოდების მოთხრობის შედეგად გვაწვდის, ხსენებული ნაშრომი მაინც უნდა მივიჩნიოთ აღნიშნული თვალსაზრისით საგულისხმო ერთ-ერთ წერილობით დოკუმენტად.

თუმცა ობიექტურობა მოითხოვს, აქვე ისიც ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანასთან დაკავშირებით ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრებები ყოველთვის არ შეესაბამება რეალობას და ბრიტანელი დიპლომატის შეფასებებში საკმაოდ ბევრი ფაქტობრივი შეცდომაა დაშვებული, რაც, ჩემი აზრით, იმჟამინდელი ცარისტული პოლიტიკის გავლენის შედეგად უნდა მივიჩნიოთ.

სწორედ ამის ნათელ დადასტურებად უნდა მივიჩნიოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ ა. ჰ. მოუნსი, რუსული კოლონიალიზმის მიერ დამკვიდრებული სტანდარტის გავლენით, ტერმინ „საქართველო“ში ჩვენი ქვეყნის მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილს მოიაზრებს და არა მთლიანად ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეს. ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ შესაბამის ციტატას ტექსტიდან:

„სურამის ქედი ქმნის საზღვარს ორ პროვინციას - იმერეთსა და საქართველოს შორის, რომლებიც თავიანთი ბუნებრივი მახასიათებლებით, დღე-ღამესავით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. აქ ჩვენ დამშვიდობება მოგვიხდა ტყეებთან და მდიდარ ბუნებასთან, რათა ასეულობით მილით მოგზაურობა განგვეგრძო უნაყოფო მთებითა და მოშიშვლებული მწვერვალებით გარშემორტყმული ხრიოკი ველების გასწვრივ იქ, სადაც ბუნებას სძინავს...“

უფერულ და არასტუმართმოყვარე რეგიონში ხუთ-ექვს საათიანი, თანმიმდევრული მოგზაურობის შემდეგ, ჩვენ პირველ ქართულ ქალაქ გორს მივაღწიეთ, რომელიც ლამაზად არის შეფენილი მაღლობზე და



გადმოჰყურებს მდინარე მტკვრის ვრცელ ველებს. აქედან სრულად იშლება დიდებული კავკასიონისა და დიადი იალბუზის მწვერვალი... ტალახის კედლები და თავდაცვითი კოშკები ჯერ კიდევ აკრავს ქალაქს გარს, რაც იმის მანიშნებელია, რომ ქალაქი ადრე უფრო ნაკლებად იყო დაცული, ვიდრე ახლა, ამჟამინდელ მმართველთა ხელში...

კავკასიაში, მაღალმთიან ადგილებში, ყოველი თოთხმეტი, თხუთმეტი მილის ინტერვალში სადგურებია განთავსებული, იქ მყოფებს კი სოფლის ცხენოსანი მცველებიც შეიძლება ეწოდოთ. ისინი, მსგავსად სპარსი კურირისა, ჩაფარის სახელით არიან ცნობილნი. მათ მოვალეობაში არა მხოლოდ წესრიგის შენარჩუნება შედის, არამედ უსაფრთხოების მიზნით მოგზაურთა გაცილებაც. ჩემი აზრით, ყველა ისინი წარმოადგენენ ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომლებიც თვითნაკეთი შაშხანებით არიან შეიარაღებულნი... ისინი აგრეთვე ატარებენ კაზაკთა ტანსაცმელს და აქვთ გრძელი დანა... მე არასოდეს მქონია შესაძლებლობა მათი გმირობა გამოემეცადა, თუმცა გამიგონია, რომ თავდასხმის დროს, რიცხოვრივ უმცირესობაში ყოფნის შემთხვევაში, ჩაფრები ნაკლებ ეფექტურები არიან, ეტლითა და ცხენით მგზავრობისას ინციდენტის დროს კი, პირიქით, უაღრესად სასარგებლონი.

პირადად ჩვენ მგზავრობის დროს წვრილ თავდაზნაურთა ექვსი წარმომადგენელი გვახლდა, რომელთაგანაც ორი უმაღლესი რანგის უახლოეს სოფელში დახმარების სათხოვნელად და მალე ისინი ოცდაათ გლებთან ერთად დაბრუნდნენ. მათ შემდეგ ჩვენი ცხენებისა და ეტლების იქამდე მითრევა, სანამ ჩვეულებრივი გზა დაიწყებოდა“ (მოუნსი 1872: 33-35).

გარდა მოგზაურობასთან დაკავშირებული ამბების მოთხრობისა, ა. ჰ. მოუნსის ხსენებული წიგნი სხვა მხრივაც წარმოადგენს უაღრესად მნიშვნელოვან ნაშრომს. კერძოდ, მასში ძალზე საინტერესოაა წარმოჩენილი არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ზოგადად რუსეთის იმპერიის ყოფით ცხოვრებაში იმხანად არსებული მდგომარეობა. მეტი სიცხადისათვის მოვიყვან შესაბამის ადგილს წიგნიდან:

„საფოსტო გადაზიდვებისათვის კავკასიაში ტელეგრა (სამგზავრო...) გამოიყენება. იგი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც მართკუთხედის ფორმის ყველაზე უხეში ხის ყუთი, რომელიც ოთხ ბორბალზეა შედგმული და მხოლოდ ერთ მგზავრს იტევს და სამგზავროდ უაღრესად არაკომფორტულია. იგი კარგ გზებზეც კი ჯაყყაყებს და ყოველგვარ ფუფუნებას არის მოკლებული... ერთხელ, ჩემმა მეგობარმა მსგავსი ტრანსპორტით თბილისიდან სანკტ-პეტერბურგამდე იმგზავრა; ცხრა დღე-ღამის მოგზაურობის შემდეგ, დანიშნულების ადგილზე მისვლისას, იგი ცოცხალ-მკვდარი გადმოვიდა ტელეგიდან... მსგავსი ტრანსპორტით სამოც-სამოცდაათსაათიანი მოგზაურობა რუსეთში ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება.

უკეთეს შემთხვევაში არსებობს მგზავრთა ოთახები, რომლებიც ხის საწოლით, ბუხრით, ან ღუმელით, გამონაკლის შემთხვევაში კი

მაგიდითაც და სკამებითაც არის კეთილმოწყობილი. ფანჯრებს აქვს ჩარჩო, რომლებშიც ხანდახან მინაც არის ჩასმული. ფოსტის მოხელე ვალდებულია ერთჯერადად მოიტანოს შეშა და გაახუროს ღუმელი, მაგრამ თუკი ამის საჭიროება კიდევ შეიქნა, მაშინ დამატებითი თანხა იქნება გადასახდელი. იგი ასევე ვალდებულია შემოგთავაზოთ სამოვარი, რომელიც ნახშირით თბება და წარმოადგენს საუკეთესო მოგონებას წყლის სწრაფად გასაცხელებლად. ფუფუნების ყველა ამ საგნით მგზავრი, რომლისთვისაც მოგზაურობის იდეა მჭიდროდ არის დაკავშირებული პირველი კლასის სალონის მქონე კუპესთან და ფემინებელურ სასტუმროსთან, აუცილებლად იგრძნობს თავს ისე, როგორც საკუთარ სახლში და გაატარებს საოცარ ღამეს...

ქვეყნის მმართველის ადიუტანტთან (A. D. C. of the Governor of the country) ერთად მგზავრობის შედეგად მე ზემოთ აღნიშნული არაერთი დისკომფორტი ავიცილე თავიდან. თუმცა, მიუხედავად ამ სასიამოვნო გარემოებისა, ჩვენი მგზავრობა დაუბრკოლებლად მაინც არ წარმართულა. ქუთაისის დატოვება 27-ში (დეკემბერს - ო. ნ.) თოვლსა და ქარბუქში მოგვიწია, რის გამოც გზის პირველი მონაკვეთის გავლას ოთხი საათი მოვანდომეთ.

მეორე დღეს ქარი ჩადგა და წინ გადაიშალა მშვენიერი ქვეყანა. ჩვენ ავუყვევით რიონის ქარიან ნაპირებსა და მთებს, რომლებიც ყვავილებთან ერთად დაფარული იყო ციხე-კოშკებისა და ეკლესიების ნანგრევებით. ერთი მონაკვეთი ძალიან ცუდი შეგვხვდა... თვით ჩემი მეგობრის კომფორტულ ვაგონშიც კი იგრძნობოდა ძალზე ძლიერი რყევა. სწორედ ამის შემდეგ დავიწყეთ ასვლა 3000 ფუტის სიმაღლეზე მდებარე სურამის ქედზე“ (მოუნსი 1872: 28-31).

დასასრულ კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ა. ჰ. მოუნსის ხსენებული წიგნი უდავოდ წარმოადგენს ერთ-ერთ საინტერესო წერილობით დოკუმენტს შესაბამისი პერიოდის საქართველოში არსებული მდგომარეობის შესასწავლად. მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანელი დიპლომატი კონკრეტული ქალაქისა და რეგიონის დეტალურ აღწერასა და შეფასებას იშვიათად ახდენს, მის მიერ მოწოდებული ცნობები გარკვეულწილად მაინც წარმოადგენს მეტ-ნაკლებად ფასეულ მასალას შესაბამისი პერიოდის ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესასწავლად.

---

დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები

**გროსი 2014:** Cross A., *In the Lands of the Romanovs: An Annotated Bibliography of First-hand English-language Accounts of the Russian Empire (1613-1917)*. Cambridge, 2014.

**იეროშალმი 2009:** Yeroushalmi D., *The Jews of Iran in the Nineteenth Century: Aspects of History, Community and Culture*, Brill's Series in Jews Studies, Vol. XL Leiden and Boston, 2009.

**მონსი 1872:** Mounsey A. H., *Journey Through the Caucasus and the Interior of Persia*. London, 1872.

**The London Gazette 1881:** *The London Gazette*, May 6, 1881.

<https://www.revolvy.com/page/Augustus-Henry-Mounsey> (15.01.2020).

## გორის ქართული სტამბა

### Gori Georgian printing house

#### მადინა უგლავა-ჯინჯიხაძე

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა  
საქართველო, ქუთაისი

#### Madina Uglava-Jinjikhadze

Kutaisi Iliia Chavchavadze Kutaisi Public Library  
Georgia, Kutaisi

#### ABSTRACT

The Georgian printing house has an interesting history. He went through a difficult path from its foundation until the 30s of the XX century. We should note that the printing house founded in Tbilisi in 1709 was the first not only in Georgia but in the whole of Transcaucasia. Orthodox clergymen, as well as Catholic and Gregorian Christians, were involved in the development of the Georgian printing house. They put effort into publishing a Georgian book. As it is known, Georgian books were printed in Rome and Russia as well.

Since the beginning of the XIX century, the printing business in Georgia has achieved some success. At the moment, in addition to Tbilisi, printing houses are being opened in different cities of Georgia. The Georgian printing house also opened in Gori. Arsen Kalandadze opened the first printing house in Gori in 1889. The second printing house in Gori was opened in 1907 by David Machavariani. He bought this printing house from Grigol Charkviani and moved it to Gori. Mikheil Irakli Tsitsishvili opened the third printing house in Gori.

The society of that time was complaining about the opening of printing houses in Gori with a bad future, ignorance of the case, unprofitability, and failure. It was better to unite all three printing houses and continue the work with joint efforts.

One way or another, the Georgian printing house existed in the cities of Georgia, despite the strong opposition of the then government, and played a major role in educating and raising the awareness of the Georgian population.

We should note that the Rare Publications Department of the Kutaisi Public Library preserves two editions printed in Gori printing house Alexander Fronel's 'Great Meskheta' 1914, Anastasia Eristav-Khoshtaria's short story „Kamisia“

published in 1913 and the Khashuri printing house. Ramishvili's play „Doctor Ashirbajiani“ 1912.

საკვანძო სიტყვები: გორი, ქართული სტამბა, შრიფტი, ზაქარია ჭიჭინაძე, არსენ კალანდაძე, გაზეთი ქართლი, რეგიონალური სტამბები.

Keywords: Gori, Georgian printing house, font, Zakaria Chichinadze, Arsen Kalandadze, Kartli newspaper, regional printing houses.

ქართულ სტამბას საინტერესო ისტორია აქვს. მას შემდეგ, რაც მეფე ვახტანგ VI-ის თაოსნობით დაარსდა პირველი ქართული სტამბა თბილისში, ქართული წიგნის ბეჭდვა მხოლოდ ძნელბედობის ჟამს თუ შეწყდებოდა და მას აუცილებლად აღადგენდნენ ხოლმე ქართველი მეფეები, როგორც თეიმურაზ მეფემ აღადგინა 1749 წელს თბილისის სტამბა.

ქართულმა სტამბამ რთული და ძნელი გზა განვლო დაარსებიდან XX საუკუნის 30-იან წლებამდე. აღსანიშნავია, რომ 1709 წელს თბილისში დაარსებული სტამბა პირველი იყო არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს ამიერკავკასიაში. ქართული სტამბის განვითარების საქმეში განსაკუთრებულად ქართველი სასულიერო პირები იყვნენ ჩართულნი როგორც მართლმადიდებელი, ისე კათოლიკე და გრიგორიანელი ქრისტიანები. მათ დიდი ამაგი დასდეს ქართული წიგნის გამოცემის საქმეს. როგორც ცნობილია, ქართული წიგნები იბეჭდებოდა რომსა და რუსეთშიც. პირველ ეტაპზე ძირითადად სასულიერო ლიტერატურა, თუმცა განვითარებასთან ერთად საერო და საინფორმაციო მასალების ბეჭდვაც დაიწყო.

1832 წელს გამოვიდა პირველი ქართულენოვანი ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი თბილისის უწყებათანი“, რომელიც სოლომონ დოდაშვილმა დააარსა და სულ ხუთიოდე ნომერი გამოსცა, ჟურნალი დაიხურა 1832 წლის შეთქმულების გამოაშკარავებისთანავე. მომდევნო ქართული გამოცემა იყო „ცისკარი“, რომლის დაბეჭდვა პირველ ეტაპზე 1852 წელს დაიწყო გიორგი ერისთავმა და 1854 წელს არსებული სიტუაციისა და უსახსრობის გამო დაიხურა. მისი გამოცემა განაახლა ივანე კერესელიძემ 1857 წელს.

XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში სტამბების საქმე გარკვეულ წარმატებებს აღწევს. ამ დროისთვის თბილისის გარდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქშიც იხსნება სტამბები. საქართველოს მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება ნაბეჭდი წიგნისა და ახალი ინფორმაციის მიმართ იყო წინაპირობა იმისა, რომ იმერეთის უკანასკნელმა მეფემ, სოლომონ II-მ იკისრა პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე, ქუთაისში დააარსა ახალი სტამბა და 1800-1818 წლებში აქ დაბეჭდილი წიგნები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა. ძირითადად ესეც საეკლესიო ლიტერატურა იყო. ჩვენამდე მოღწეული ქუთაისში

დაბეჭდილი პირველი წიგნი „დავითნი“ 1800 წლით თარიღდება. ეს სტამბა დაიხურა ქვეყანაში გავრცელებული შავი ჭირის ეპიდემიის გამო. 1809 წელს წიგნების ბეჭდვა რაჭაში, სოფელ წესში განაგრძეს. წესის სტამბისთვის ახალი მოწყობილობანი არქიმანდრიტ სოფრონიოსს (წულუკიძე) თავისი სახსრებით შეუძენია და გაუმართავს, მაგრამ ეს სტამბაც მალე დაიხურა სოლომონ მეფის დამარცხებისა და რუსიფიკატორული რეჟიმის დამყარების გამო. ქუთაისის სტამბის გაუქმების შემდეგ თავადმა ზურაბ წერეთელმა გელათში შენახული სასტამბო მოწყობილობანი საჩხერეში გადაიტანა და იქ მოაწყო სტამბა. საჩხერის სტამბა ფუნქციონირებდა 1822 წლამდე. ქუთაისისა და წესის სტამბა სამუშაოდ გამართა რომანოზ ზუბაშვილმა და გიორგი პაიჭაძემ, ხოლო საჩხერის სტამბა რომანოზ ზუბაშვილის შვილმა დავით ზუბაშვილმა. ქუთაისში, წესსა და საჩხერეში დაბეჭდილი საეკლესიო წიგნები (თერთმეტივე გამოცემა) საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაშია დაცული.

1763 წელს ილია ჭავჭავაძემ დაიწყო „საქართველოს მოამბის“ გამოცემა და მაშინვე იჩინა თავი პრობლემებმა: ქართული სტამბის სიდატაკე, მუშახელის უკმარისობა, განათლებული კადრის ნაკლებობა, შრიფტის უვარგისობა... მაშინდელმა საზოგადო მოღვაწეებმა: ნიკოლოზ ლოღობერიძემ, დიმიტრი ბაქრაძემ, ვახტანგ თულაშვილმა, სტეფანე მელიქიშვილმა და კიდევ სხვებმა მიიღეს გადაწყვეტილება, გაეუმჯობესებინათ ქართული სტამბის მდგომარეობა. ნიკოლოზ ლოღობერიძემ საჭიროდ ჩათვალა, უპირველეს ყოვლისა, ახალი ასოები შექმნილიყო. მან თავად დაიწყო ამ საკითხზე მუშაობა. გარკვეული ხნის შემდეგ ახალი ქართული ანბანი „სამსჯავროზე“ გამოიტანა. საზოგადოებამ მოიწონა ანბანი და აღფრთოვანებულმა ავტორმა დაიწყო ზრუნვა მათი ყალიბების ჩამოსასხმელად. მაშინ ასეთი ქარხანა საქართველოში არ არსებობდა, ქართულ ასოებს ასხამდნენ პეტერბურგსა და მოსკოვში. საქართველოში ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა 1870 წელს გაიხსნა, როგორც ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნავს, „დიდის ჭაპანწყვეტით“. ნიკოლოზ ლოღობერიძემ ახლადმოწონებული შრიფტის ყალიბები თავისი ხარჯით ვენაში ჩამოსახმევინა. ამ შრიფტს „ვენის ასოების“ სახელით იცნობენ. ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ „ვენის ასოები“ თვითონ ნიკოლოზ ლოღობერიძისა და ილია ჭავჭავაძის კალიგრაფიის მსგავსია და ამ უკანასკნელთა ხელნაწერებიც ძალიან ჰგავს ერთმანეთსო. „ვენის ასოები“ გამოსადეგი იყო გაზეთების დასაბეჭდადაც. მანამდე გამოიყენებოდა კათოლიკე ბერებისაგან 1694 წელს ჩამოსხმული ვენეციური ასოები, რომელთაც შემდეგ „აკადემიური“ უწოდეს (ჭიჭინაძე 1900: 20-21).

ისევ ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძემ 1883 წელს ქუთაისის გაზეთისთვის „შრომა“ თავისი ხარჯითა და დიზაინით ჩამოსახმევინა შრიფტი. ზოგიერთმა მას „ჭიანჭველას ფეხი“ უწოდა. ამ შრიფტით შემდეგში „ვეფხისტყაოსანიც“ გამოსცეს, მაგრამ ამით მან პოპულარობა ვერ მოიპოვა და ხმარებიდან ამოიღეს.

ქართულ სტამბას ძალიან აკლდა ასოთამწყობებიც და მბეჭდავებიც. „ერთ მოხუც ხელოსნისაგან შევიტყვე ის ცნობაც, რომ მთელს თბილისში 1840-50 და 1860 წლებში ქართველთაგან ორი ან სამი კაცი იქნებოდა ასოთამწყობი და ერთიც მბეჭდავი. 1865 წლის შემდეგ კი, როცა სტ. მელიქიშვილის სახელით ახალი ქართული სტამბა გაიხსნა... ქართველნი და სომხებიც წახალისდნენ. ამ ახალ სტამბაში რამოდენიმე ბავშვიც კი მივიდა შეგირდათ“ (ჭიჭინაძე 1900: 23).

ქართველებმა არა მარტო საქართველოში იღვაწეს სტამბის დასაარსებლად. თეირანში პირველი სტამბის დამაარსებელი მოათმადულ დავლა, იგივე მანუჩარ ხან მოათმადულ გურჯი, ირანის სამეფო კარზე მეტად მიღებული და დაწინაურებული პიროვნება იყო. ამას მოწმობს მისი სახელი – სახელმწიფო საყრდენი. ის წარმოშობით ქართველი ყოფილა (კურდღელაშვილი 1959: 82).

ერაყში პირველი სტამბა XIX საუკუნის 20-იან წლებში დაუდ ფაშას (დიმიტრი მანველაშვილი) ზეობის უკანასკნელ წლებში მისივე ინიციატივით დაარსდა და პირველი ერაყელი მესტამბეც მუჰამედ ბაქირ თბილისელი წარმოშობით ქართველი უნდა ყოფილიყო (იქვე: 85).

ზოგადად, იმ ეპოქაში სტამბები არა მხოლოდ თბილისში, არამედ მთელს საქართველოში გავრცელდა. რეგიონებში, პროვინციულ ქალაქებში სტამბის გახსნა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო.

ქართლში, ხაშურში, ახალგაზრდა გურულმა იოსებ ფილიპეს ძე ყაჭიშვილმა გახსნა სტამბა. მას თავად არ სცოდნია სასტამბო საქმე, მაგრამ ენერგიული შრომით დასძლია ყველა წინააღმდეგობა, სტამბის გვერდით წიგნების მაღაზიაც გახსნა და 1912 წლიდან ქართული წიგნების გამოცემაც დაუწყო. „იმ სტამბაში გამოსცენ შემდეგი წიგნები: 1) მოთხ. „მართალი ამბავი“ გიგაურის ასულის ფასი 5 კაპ. 2) „ლექსები“ კ. რამიშვილის, ფ. 10 კ. 3) „ექიმი აშირბაჯიანი“ კომედია რამიშვილის ფასი 25 კ. და სხვანიც, რომელთაც ჩვენ აქ არ ვასახელებთ, საქმის დასამტკიცებლად კი ეს სამი წიგნის დასახელებაც კმარა“ (ჭიჭინაძე 1900: 217).

ქართული სტამბა გაიხსნა აგრეთვე გორშიც. არსენ კალანდაძემ სხვების დახმარებით 1889 წელს გახსნა გორის პირველი სტამბა. ამან კი გააჩინა წიგნების გამოცემისა და გაზეთის დაბეჭდვის შესაძლებლობაც. ამ სტამბამ გამოსცა თომა კემპფელის „მიზაძვა ქრისტესი“ (იქვე: 157).

გორის მეორე სტამბა დავით იოსების ძე მაჭავარიანმა 1907 წელს გახსნა. მან ეს სტამბა გრიგოლ ჩარკვიანისგან შეიძინა და გორში გადმოიტანა. ის უფრო სრულყოფილად იყო აღჭურვილი, ვიდრე არსენ კალანდაძის სტამბა, ამიტომ ის უფრო პოპულარული და სახელოვანი გახდა. ამავე სტამბაში დაიწყო ქართული გაზეთის – „ქართლის“ დაბეჭდვაც. ამ გაზეთის 80 ნომერი გამოვიდა. მან სულ 8 თვე იარსება და სტამბაც მალე დაიხურა. მეპატრონენი სამართალში მისცეს. მათი დანაშაული კი ნამდვილად სასაცილო იყო, რაც კარგად აჩენს რუსული იმპერიის სახეს და უსამართლობას: თურმე ქართული ასოები უფრო მსხვილი, დიდი შრიფტით იყო აწყობილი, ვიდრე

რუსული. ეს კი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, რომ გაზეთის გამოცემა შეეჩერებინათ, თუმცა სტამბამ მაინც განაგრძო მუშაობა.

გაზეთის იერსახე ძალიან გონივრულად და მომგებიანად ყოფილა დაგეგმარებული. პირველ გვერდზე საყოფაცხოვრებო განცხადებები იბეჭდებოდა, მეორე გვერდზე - ქალაქის ამბები, მომდევნო გვერდებზე - უცხოეთისა (10 საინტერესო რეკლამა... <https://www.qartli.ge/ge/skhvadaskhva/article/10381-10sainteresoreklamadzveligorisgazethebshi10>).

გაზეთ „ქართლის“ მკვლევარი ვასილ მამულაშვილი თვლის, რომ გაზეთის არსებობის აუცილებლობა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა პირობებმა განაპირობა. 900-იან წლებში გორში 18000 მცხოვრები ყოფილა. ქალაქს ჰყავდა თვითმმართველობა და სათათბირო 42 ხმოსნით. ამ პერიოდში გორი საპროტესტო მანიფესტაციის ცენტრშია. საოსტატო სემინარიაში საპროტესტო გამოსვლებია, დაარსდა ხალხოსნური ცენტრი „საიდუმლო კომიტეტი“, შეიქმნა „სოციალ-დემოკრატიული პარტიის გორის ორგანიზაცია“, „თავისუფლად მოაზროვნეთა საიდუმლო წრე“, იმართება ხალხმრავალი მიტინგები და დემონსტრაციები, იბეჭდება და ვრცელდება პროკლამაციები, გაძლიერებულია ჟანდარმერიის რეპრესიები. დუღს კულტურული ცხოვრებაც – ეწყობა ქართულ-რუსული ლიტერატურული საღამოები; ჩამოდის მარი ბროსე, აკაკი, ლადო აღნიაშვილი, რატილი, რუსული საოპერო დასი; იმართება რაფიელ ერისთავის საიუბილეო საღამო, ილია ჭავჭავაძის ხსოვნის საღამო; შეხვედრები კოტე მესხსა და ნატო გაბუნიასთან. გორში მიმდინარე პროცესების შესახებ იწერება ქართულ, რუსულ და მსოფლიო პრესაში. „ივერიას“, „დროებასა“ და „სახალხო გაზეთს“ ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები გორში. ყოველივე ამან შექმნა გორში გაზეთის გამოცემის საჭიროება. გაზეთი „ქართლი“ 1912 წლის 24 ივნისს გამოვიდა. მისი რედაქტორი იყო იაკობ ცინცაძე, რომელიც ია ეკალაძის ფსევდონიმით მოღვაწეობდა. გაზეთის თითქმის 55 ნომერი ისე გამოვიდა, ცენზორი არ ჰყოლია, რადგან მის მოვალეობას ნიკო ლომოური ასრულებდა. 1912 წლის 11 ნოემბერს კი გაზეთ „ქართლში“ დაიბეჭდა ინფორმაცია, რომ მეფის მოადგილემ, გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა ცენზორად ზაქარია ქიტიაშვილი დაამტკიცა. ის იყო ერთ-ერთი იმათგანი, ვისაც ხელთ ეპყრა ცხოვრების საჭე. იგი ერთხანს ქალაქის მოურავი იყო, ქალაქის საბჭოს წევრი და გამომცემლობა „ქართლის“ გამგეობის თავმჯდომარე. გაზეთი მძიმე ფინანსურ კრიზისს განიცდიდა. რამდენჯერმე მისი დახურვის საკითხიც დადგა. რედაქცია მისი გადაჭრის გზებს ეძებდა. ამისათვის ჰქონდათ რეკლამა, სამგლოვიარო და საყოფაცხოვრებო განცხადების ადგილი, რის შედეგადაც მცირე თანხა იკრიბებოდა და გაზეთს სიცოცხლეს უხანგრძლივებდა. გავრცელებული იყო აზრი, რომ გაზეთი „ქართლი“ ხალხოსნებს ეკუთვნოდათ. მაგრამ ვასილ მამულაშვილი თვლის, რომ ის ეროვნულ იდეოლოგიას ემსახურებოდა და არც ერთი პოლიტიკური პარტიის გავლენას არ განიცდიდა.



გორის მესამე სტამბა თავადმა მიხეილ ირაკლის ძე ციციშვილმა გახსნა, თუმცა ამ ფაქტს მაშინდელი მოწინავე ინტელიგენცია სიხარულით არ შეხვედრია. მათ მიიჩნიეს, რომ სამი სტამბა პატარა ქალაქისთვის ზედმეტი იყო. მით უმეტეს, პირველი ორიც სანახევროდ უქმად იდგა. მიხეილ ციციშვილს სურდა, რომ სტამბის მთელი შემოსავალიც და მოგებაც გორში ქართული გაზეთის საქმეს მოხმარებოდა, მაგრამ მას მაინც ცუდ მომავალს, საქმის უცოდინრობას, არამომგებიანობასა და წარუმატებლობას უკიჟინებდნენ. საზოგადოებამ მიიჩნია, რომ ციციშვილმა შეცდომა დაუშვა და სტამბა თბილისში უნდა გაეხსნა. მაგრამ მაინც ამ სტამბამ რამდენიმე ისტორიული წიგნი გამოსცა. ასევე უმჯობესად მიაჩნდათ, რომ სამივე სტამბა შეერთებულიყო და საერთო ძალისხმევით გაეგრძელებინათ საქმე.

ეს ბრალდებები უფრო გამონაგონს ჰგავს და აშკარად იგრძნობა რუსული მმართველობის მცდელობა, ნებისმიერი მიზეზით ხელი შეუშალონ რეგიონული ქართული სტამბების არსებობას.

ასეა თუ ისე, ქართული სტამბა საქართველოს ქალაქებში, მაშინდელი ხელისუფლების დიდი წინააღმდეგობების მიუხედავად, არსებობდა და უდიდესი როლი შეასრულა ქართველი მოსახლეობის განათლებისა და ცნობიერების ამაღლების საქმეში.

დასასრულ, აღსანიშნავია, რომ ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილებაში დაცულია გორის სტამბა „ქართლში“ დაბეჭდილი ორი გამოცემა: ალექსანდრე ფრონელის „დიდებული მესხეთი“ 1914 წლისა, ანასტასია ერისთავ-ხოშტარის მოთხრობა „კამისია“ 1913 წლისა და ხაშურის სტამბაში დაბეჭდილი ტრ. რამიშვილის პიესა „ექიმი აშირბაჯიანი“ 1912 წლის.

### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

კარიჭაშვილი 1929: კარიჭაშვილი დ., ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია. თბილისი, 1929.

კურდღელაშვილი 1959: კურდღელაშვილი შ., ქართული სტამბის ისტორია. თბილისი, 1959.

ჭიჭინაძე 1900: ჭიჭინაძე ზ., ქართული სტამბა 1627-1913, ექ. ივ. ხელაძის სტამბა. თბილისი, 1900.

მამულაშვილი: „გორის პირველი გაზეთი - რა იწერებოდა 100 წლის წინ“ <https://www.qartli.ge/ge/skhvadaskhva/article/2171-gorispirveligazethiraitserboda100tslistsin> (13.04.2020).

10 საინტერესო რეკლამა...: ათი საინტერესო რეკლამა ძველი გორის გაზეთებიდან <https://www.qartli.ge/ge/skhvadaskhva/article/10381-10sainteresoreklamadzveligorisgazethebshi10> (13.04.2020).

**თამარ გაბროშვილის პროზის  
ფილოსოფიურ – ესთეტიკური თავისებურებანი  
(„ქრიზთას ქრიზოლითები“)**

**Philosophical-Aesthetic Peculiarities of  
Tamar Gabroshvili's prose „Chrysanthemum chrysolites“**

**ლალი ურდულაშვილი**

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი  
თბილისი, საქართველო

**Lali Urdulashvili**

Tbilisi Teaching University  
Tbilisi, Georgia

**ABSTRACT**

Tamar Gabroshvili's prose enjoys a sharply individualistic, authorial philosophical vision. Creative works of the author are imprinted with this spiritual handwriting. That is why she is so distinctive with her specific voice in the modern literary space. Her philosophical observations show her artistic-aesthetic thought.

The concept of Tamar Gabroshvili's literary work is the world and a human. In the writer's philosophical and aesthetic thought, a human equals a divine instrument created by God, to whom God gives a continuous spiritual flow by bestowing the art of singing and speaking. According to the author, if it were not so, man could not be human. It would be like a trumpet, a lifeless instrument. A man aspiring to desolation, loneliness, and self-loathing reminds the writer of that beautiful poisonous flower that no one can touch, neither animal nor human. In his conclusion, humanity is much more than being alone with yourself, asceticism. For God, acceptable is the person who is in the community and serves him (we remember Ilia's "Hermit"), otherwise, a person is doomed to die. Humanity means being everywhere and with everyone like the sun. Only then can God's beloved creatures radiate warmth, light like the sun, and warm those around them. Anyone who resembles God can do this. All of us are born with the Lord's mercies. This treasure should be uncovered and well cared for. Everyone has their 'inner world' for their benefit and that of others.

The heart has special significance in the writer's artistic thought. He considers the human heart to be an integral part of one universal heart, which blocks good

thoughts in the human mind and does not give them freedom. She calls this heart a nurturer that brings a person to equilibrium. The writer's creative belief directs the reader's thinking to the truth that man, born like the Lord, must cross the bridge from the C-CW to the C-C-A-C.

საკვანძო სიტყვები: ადამიანი, მზე, ღმერთი, გული, გონება, სინათლე, სიტყვა, აზრი.

Keywords: man, sun, god, heart, mind, light, word, thought.

თამარ გაბროშვილის პროზაულ შემოქმედებას ავტორისეული, მკვეთრად ინდივიდუალური ფილოსოფიური ხედვა მსჭვალავს. მისი ფილოსოფიური დაკვირვებანი ირეკლება მწერლის შემოქმედების მხატვრულ ქსოვილში. შემოქმედის ლიტერატურული ნაღვლის უმთავრესი და უპირველესი კონცეპტი არის ადამიანი. ამ პროზას შესაძლოა ვუწოდოთ პროზა მინიატურებად. მწერლის მიერ დასკვნის სახით წარმოდგენილი ნაფიქრ-ნააზრევი ისევე დაწურულად, ლაკონურად არის გადმოცემული, როგორც თავად მინიატურები. ხშირად ისინი რიტმულია და ქმნის თავისებურ მუსიკას წიგნში. მწერლის სტილურ თავისებურებას განაპირობებს დიდი სათქმელის მინიმალ ფორმით გადმოცემა. ფრთიან გამოთქმათა მთელი კასკადი ამდიდრებს წიგნის ცალკეულ თავებს. თემატიკა სერიოზული და მრავალფეროვანია. ეს არის ის, რაც გონიერ ადამიანს ოდითგანვე აცნობიერებინებდა ისეთ მარადიულ სააზროვნო ღირებულებებს, როგორცაა: სიკვდილ-სიცოცხლის მთლიანობის საზრისი, პოეზია და ზოგადად შემოქმედება, ადამიანი – ღვთის განაცხადი დედამიწაზე, სიყვარული – სამყაროს კოსმიური ძალა, მარადისობა – სულის საუფლო.

ადამიანი და მასთან დაკავშირებული რეალიები უმთავრესია თამარ გაბროშვილის ფილოსოფიურ-ესთეტიკურ სამყაროში. მისთვის ადამიანი ასოცირდება უფლისგან შექმნილ ღვთაებრივ ინსტრუმენტთან, რომელსაც სიმღერა-გალობისა და ლაპარაკის უნარქმედების მინიჭებით ღვთისგან უწყვეტად მიეწოდება სულიერი ნაკადი. ავტორის ფიქრით, ასე რომ არ იყოს, ადამიანი ვერ იქნებოდა ადამიანი. ის დაემსგავსებოდა საყვირს, უსულოდ მდებარე არაცოცხალ ინსტრუმენტს: „ადამიანის ორგანიზმი, სასულესანი, მზადმყოფია იმისთვის, რომ იყოს ორღანიზმი და თავისი სიცოცხლე, არსებობა მუსიკალურად გააფორმოს მეტყველებისა და სიმღერა-გალობის უნარქმედებით,“ – ამბობს მწერალი.

მისი საპატიო მიზანსწრაფვა – აპოენინოს ადამიანს საკუთარი თავი ამ ქაოტურ სამყაროში, გაცხადებულია შემდეგი ფრაზით: „გარეთ გლობალური დათბობის ეპოქა დადგა, შიგნით – გლობალური გამყინვარებისა.“ ეს ყინული უნდა გალღვეს, იქცეს სითბოს, სიყვარულისა და სიცოცხლის დიდ მდინარედ, რათა ადამიანმა შეინარჩუნოს ყველაზე მნიშვნელოვანი

ამჟვეყნად –ადამიანური სახე. იმედის შთამბეჭდავ იმპერატივად ჟღერს ავტორის სიტყვები: „შენ, როგორც სამყაროს შემადგენელი ნაწილი, ეკუთვნი სამყაროს და, პირიქითაც, მთელი სამყარო გეკუთვნის შენ. ადამიანო, ისწრაფე იქითკენ, რომ შენი სული სინათლით აავსო“.

თამარ გაბროშვილი ხაზგასმით აცხადებს, რომ ადამიანი განდევილობისთვის გაჩენილი არსება არაა. ეს აზრი არახალია ჩვენს მწერლობაში. გვახსენდება ილიას „განდევილი“. განდევილობისკენ, მარტოობისა და თავისთავში ჩაკეტვისაკენ მიმსწრაფი ადამიანი მწერალს აგონებს იმ ულამაზეს შხამიან ყვავილს, რომელსაც ვერავინ ეკარება, ვერც ცხოველი და ვერც ადამიანი. ავტორი მზესავით ყველგან მყოფობას ავალებს ღვთისგან მიწისთვის გვირგვინად შექმნილ არსებას. მისი შეხედულებით, „ადამიანობა სიმარტოვეზე, შენ თავთან ყოფნაზე მეტია, და პირიქითაა, მზესავით ყველასთან ყოფნას და თანაარსებობას გულისხმობს“. ამ დროს ძალუძს ადამიანს აფრქვიოს სიტბო, სინათლე და მზიურობა დაამკვიდროს ირგვლივ მყოფებშიც. თუმცა მწერალს ერთი წუთითაც არ ავიწყდება, რომ სინათლესთან ერთად არსებობს სიბნელებიც, სიყვარულთან ერთად – სიძულვილი და რომ „ამ დაღლილ არემარეზე ეკლებს არასოდეს ეკარგებათ შემართება“.

პროზაიკოსის მხატვრულ-ესთეტიკური აღქმით, მიწა შანდალია, სხეული – სანთელი, სული კი – ცეცხლი. უსათუოდ აღუზიანა აკაკის პატრუქთან. სხეული ცვილივით დნება, „ადამიანი სულით ნათობს და ციმციმებენ მიწის ვარსკვლავებად ანთებულსულიანი ადამიანები მიწიერ ტამარ-დედამიწაზე“. მწერლის მხატვრულ წარმოსახვაში ადამიანი არის ცისარტყელა –გავლებული ზეციდან მიწისკენ ან, პირიქით, მიწიდან – ცისკენ, რაც ასევე მიწისა და ცის ერთიანობის განცდას აღძრავს. უმაღლეს იდეალად ავტორი სახავს სულიერი სრულყოფილებისკენ მსწრაფ პიროვნებას, რომელმაც ღვთის სადიდებლად ანთებული პატარა სანთელი მაღლით უნდა გააჩირადნოს, სული დაუპუროს ირგვლივ მყოფთ და თავისი არსებობით ნათლით აღავსოს სამყარო.

ავტორის დაკვირვებით, ადამიანების აზრთა სამეფო ძალიან ჰგავს ცხოველთა სამყაროს. მისი ცალკეული ემოციური გამოვლინება ზუსტად ესადაგება ამა თუ იმ ცხოველის თვისებას, მოძრაობა-ქმედებას. გაბრაზების ან თავდაცვის საჭიროების დროს იგი ჰგავს განრისხებულ ლომს ან ვეფხვს, სისუსტისა და უმწეობის შემთხვევაში ის კატასავით კნავის, სხვისი აზრების გამეორებისას თუთიყუშს ემსგავსება, სასიყვარულო განცდისას ციციანთელასავით ენთება, უმაღლესი შემოქმედებით ტკბობისას ყვავილზე მჯდარ მათრობელა ნექტარით მთვრალ ფუტკარს წააგავს, მშვენიერებასთან ზიარებისას ყელმოღერებულ ირემს გვაგონებს, უმაღლესი სიბრძნე გველთან ასოცირდება, ერთგულება – ძაღლთან, უმანკოება – მტრედთან. აზრები ცხოველთა მსგავსად დათარეშობენ ადამიანის გულ-გონებაში, მხოლოდ მათ უთავბოლო თარეშს აკავებს გული, რომელსაც შეუძლია ყველა ცხოველს თავისი კუთვნილი გალია მიუჩინოს და ჩაკეტოს

მასში, არ მისცეს მოქმედების თავისუფლება. ასეთ გულს შემოქმედი უწოდებს აღზრდილ გულს, რომელსაც წონასწორობაში მოჰყავს ადამიანი. აღზრდილ გულს ეს არ შეუძლია, ამიტომაც ასეთი გულის მატარებლებს უგულოებს უწოდებს ავტორი. აქვე მწერალი ყურადღებას ამახვილებს ადამიანისა და სამყაროს მიმართების საკითხზე. ეს ნააზრევი ხელს უწყობს მკითხველს თავისი ფიქრი მიმართოს იმ ჭეშმარიტებისაკენ, რომ უფლის შობილი უმაღლესი რაობა ღირსეულად უნდა დამკვიდრდეს დედამიწაზე, როგორც ძე სინათლისა და გადოს ხიდი სიკვდილიდან უკვდავებისაკენ.

თამარ გაბროშვილის პროზაში ერთ-ერთი უმთავრესია შემოქმედებითობის საკითხი. შემოქმედება ის მედიუმი, რომლის მეშვეობითაც მწერალი ამყარებს მიმართებას ცხოვრებასთან, ზოგადად სამყაროსთან. ამ თვალსაწიერიდან აღიქვამს ის სრულიად ჩვეულებრივ, ემპირიულ მოვლენებს. შემოქმედის საწყისი მის არსებაში გარესამყაროსგან თავდაცვის ეკლიანი ქურქიც არის და იმავდროულად ვარდისფერი ყვავილებით შეფიფქული ატმის რტოებიც. მწერლისეული ხედვა შემოქმედის დანიშნულების შესახებ ცნაურდება შემდეგ სიტყვებში: „სამყაროში დევს უამრავი „ტვირთი“. ხელოვანი ცდილობს თავისი შესაძლებლობების შესატყვისი „ტვირთის“ აწევას ორიგინალური ხერხით, რათა იყოს გამორჩეული. სწორი ხედვა, მახვილი მზერა და შეუმცდარი ალღო ნამდვილი „ტვირთის“ გამორჩევისა, – აი, ის, რაც პირველ რიგშია საჭირო.“

თამარ გაბროშვილის სააზროვნო ღერძი ქრისტიანულ მსოფლხედვას ეფუძნება. ეს ნაკადი ირეკლება ავტორის მიერ შემოთავაზებულ თითოეულ საკითხზე მსჯელობისას. საინტერესოა, რომ ჩვეულებრივი ხეები მისთვის ქარში მლოცველების ასოციაციას იწვევენ, ქარისგან ტოტებგადაზნექილი ხეების რწევა უფალთან შეხვედრის საიდუმლო მისტერიას განასახიერებს. მსგავსი გააზრება ხეთა და ქართა ურთიერთმიმართებისა გვხვდება ნიკო სამადაშვილის პოეზიაში. რევაზ სირაძისეული ინტერპრეტაციით, ეს ურთიერთქმედება ზეცისა და მიწის კავშირით არის განპირობებული. ამ საოცარ ბუნების სიმფონიაში შემოქმედის მაძიებელი თვალი იხილვება. მწერლის ესთეტიკურ აღქმაში შემოდის ნედლი, ლაპლაპა ფოთლებისა თუ ცადაღერილი მწვანე, ხასხასა ნაძვ-კვიპაროსთა სადღესასწაულო მეჯლისი, რომელიც მათ უფალთან შეხვედრისას გაუმართავთ. აქვეა აწ უკვე გამზმარი, ფუტურო, სიძველისაგან გაშავებული, სიკვდილთან წილნაყარი ხეებიც. მათი დრტვინვა და გოდება მძიმე განცდას ბადებს მწერალში. გვახსენდება ვაჟასეული ხმელი წიფელი, ცხოვრებაგამოვლილი, ძალაგამოცლილი და მაინც მედგარი, იმედიანი.

თავის პროზაულ ჩანაწერებში თამარ გაბროშვილი ეხება კაცობრიობის მარადსაფიქრალ სიყვარულის თემას. ის მკთხველს სთავაზობს სიყვარულის სამასწავლებლოს. თავის ფიქრიან სათქმელს მწერალი გამოხატავს კონცეპტუალური ფრაზით: „ადამიანი ძალიან გართულდა, საკუთარ თავში

ჩაიხლართა, აურზაურიანი, ეჭვიანი არსება გახდა. ამიტომაც ძალიან უჭირს სიყვარული, რამეთუ სიყვარული მარტივია, მდუმარედ მინდობილია უფალს“. სულისმიერი გრძნობა ამალღებული და მშვენიერია, რომელიც მარადისობაში აგრძელებს სიცოცხლეს. მხოლოდ ღვთიური მადლით სავსე ადამიანებს ძალუბთ ის უშურველად გასცენ. უმადურს ანუ უმადლოს მადლის გასაღებად ძალზე განსაზღვრული ტევადობის ჭურჭელი აქვს. მასში მხოლოდ იმდენი მადლი ჩაედინება, რამდენის დატევის უნარიც აქვს პიროვნებას. ორი ადამიანის ურთიერთობას ავტორი ზიარჭურჭლის პრინციპს ადარებს. მხოლოდ გათანაბრების შემთხვევაში დგება ჰარმონია და სიყვარულის სიხარული.

„ქრიზთას ქრიზოლითების“ მეშვიდე კარად წარმოდგენილია ე.წ. საღვთო ნაწილი. ვფიქრობთ, ამ ნაკვეთში საუკეთესოდ არის გამოყვანილი ავტორის შინაგანი მე, მისი სიღრმისეული ხედვა, სულის წვა და გონების სინათლე. აქ ერთმანეთს მისდევს და ენაცვლება ავტორისეული გრძნობად-ემოციური პლასტები და განსჯითი თემები. ფიქრი ფიქრზე დიდ მდინარესავით მიედინება – ჩუმად, ღრმად, უხმაუროდ, უპრეტენზიოდ, მაგრამ თავდაჯერებით. უმთავრესი ფიქრი კი ასე ჩამოინაკვთება: „მწამხარ, უფალო, მყავხარ, უფალო, დიდება შენდა, უფალო ჩემო. ამინ“.

მწერალი ადამიანს ღვთაებრივ ფერხულში ჩაბმულ სინათლის ძეგლ წარმოსახავს, რომელმაც მზეობა უნდა ისწავლოს, რათა თავადაც ოდესმე შეძლოს სითბოს, სინათლის სიყვარულის გაცემა, „საყოველთაო ამალღება – გათენება – აღდგომა“.

საინტერესოა თამარ გაბროშვილის მიერ სიკვდილის ფორმათა სამ სახეობად გააზრება. ავტორის წარმოდგენით, ესენია: მსუბუქი, საშუალო და რთული.

მსუბუქი ფორმით სიკვდილის შემთხვევაში ადამიანს ეუფლება მელანქოლია, შავი ფიქრები, შიში, ეჭვიანობა, დამანგრეველი ენერგეტიკის მქონე სიტყვების მოძალება.

საშუალო ფორმის სიკვდილი ფიზიკურ დაავადებებთან, ტკივილებთან იგივედება, „ბასრი სიტყვები ჩამოდიან ადამიანის ორგანიზმში და მას თანდათან ანადგურებენ“.

რთული ფორმაა „გარდაცვალება შენი ან შენ გამო სხვისი. სხვა თუ მოკალი, შენი სიკვდილია“. ამავე თემას განავრცობს სიტყვა სამარის მწერლისეული რეცეფცია. გარდაცვლილი ადამიანი სამგან ივანებს. ერთი – ხორციელად მიწაში, მეორე – ადამიანთა ხსოვნასა და შემოქმედებით ნაწარმოებებში, მესამე – სული მარადიულ სასუფეველში. ეს აზრი შორეულ ალუზიას ქმნის აკაკის სიტყვებთან: „სამგან გაქვს ბინა, სულიკო“. და ბოლოს ფილოსოფიურ-ესთეტიკურ მიგნებად შეიძლება მივიჩნიოთ ავტორისეული გააზრება სიტყვისა აღსასრული, რომელიც ადამიანის ამქვეყნიური ყოფის დასასრულსაც გულისხმობს და ამავე დროს სულიერ ზეაღსვლასაც.

საინტერესოა, რომ ზოგ შემთხვევაში მწერალი სიტყვათქმნადობასაც მიმართავს. მაგ: ჩიტ-კოკრები, გულბურთაობა, ალმას-ბორბალი, სულფრენა, სასულენი და ა. შ.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ თამარ გაბროშვილის სიტყვისა და აზრის ქრიზოლითები ერთი დიდი სინათლის ნაკადია, რომელიც მხოლოდ ჰორიზონტალურად კი არა, ვერტიკალურადაც განიფინება სივრცეში და აზიარებს მკითხველს შემოქმედების სიხარულს.

#### დამოწმებული ლიტერატურა

- გაბროშვილი 2004: გაბროშვილი თ., გაიმეორე სიცოცხლე. თბილისი, 2004.  
 გაბროშვილი 2012: გაბროშვილი თ., ქრიზთას ანთოლითები. თბილისი, 2012.  
 გაბროშვილი 2020: გაბროშვილი თ., ქრიზთას ქრიზოლითები. თბილისი, 2020.  
 სირაძე 2000: სირაძე რ., ქართული კულტურის საფუძვლები. თბილისი, 2000.

**ქრონიკების „ყოველი ქართლისა“ და „კოლხას“  
მიმართებისათვის**

**For the relation of the chronicles:  
„Every Kartli“ and „Kolkha“**

**ტარიელ ფუტყარაძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული  
უნივერსიტეტი  
საქართველო

**Tariel Putkaradze,**  
Akaki Tsereteli State University,  
St. Andrew the First-Called Georgian University,  
Georgia

**ABSTRACT**

Greek or Urartian sources show that at the turn of the II-I millennia there was undoubtedly the strong state of Colchis created by the Kartvelians. Archaeological data can give us some idea of its boundaries. According to modern studies, the Colchian (same as - Kokhur-Kobanuri) culture was organic not only in present-day western Georgia but also in eastern Georgia up to the Mtskheta-Tskhinvali line, in the Western part of the North Caucasus, in historical Tao-Klarjeti and Lazeti. According to archeological materials, looks like:

At the end of the Bronze and Aderkin eras, circa BC. At the turn of the VII-VI centuries, the Colchian culture came into existence; It seems that at this time, Didikolkha was finally destroyed, which for 600-700 years included approximately the area that archaeologists call the area of 'Colchian archeological culture'. Living in a common cultural-state field for six centuries is enough time to form a nation united by language and way of life. The language of the Colchian culture should be assumed to be the common Georgian language, the language from which the literary language of the Georgians is derived and all the Kartvelian subsystems known today.

After a total of 200-300 years, BC. At the end of the 4th century, the state of Kartli, known to us from Georgian sources, whose borders are about the same as that assumed by the Colchian archeological culture, will be restored as the successor of this state; Compare, map of the state of Kuji and Parnavaz:



According to the conclusion presented in the paper:

1. Both historical Colchis and late Kartli included approximately the same territory. The united state of Kuji and Parnavaz - Kartli - was soon rebuilt on the ruins of Kolkha in the recent period (after Diaokh);

2. Historical Kolkha, its successor, the creators of the centuries-old (23rd century!) “Kartli” (the same Iberia) or the state language and culture of the Georgian state are the inhabitants of western Georgia (Old Egri or late Odisha), as well as southern and eastern Georgia.

**საკვანძო სიტყვები:** ქართლი, კოლხა, საქართველო, ქართველი, კოლხი, კოლა, ქართუ.

**Keywords:** Kartli, Kolkha, Georgia, Georgian, Kolkhi, Kola, Cartu.

IV-III ათასწლეულებში არსებული მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი კულტურა - მტკვარ-არაქსის კულტურა - წინა აზიის დიდ ნაწილს მოიცავს (აღმოსავლეთი კავკასია, აღმოსავლეთი ანატოლია, ჩრდილოეთ-დასავლეთი ირანი...)<sup>1</sup>:



<sup>1</sup> მსჯელობისათვის იხ.: კუფტინი 1941; ქავთარაძე 2004; უშნარევა 1970. რუკისათვის იხ.: უ. მურღულია, „მტკვარ-არაქსის კულტურა“, „თრიალეთის კულტურა“ (ადრე და შუა ბრინჯაოს ხანა) ადრე ბრინჯაოს ხანა [http://umurgulia82.blogspot.com/2016/09/blog-post\\_22.html](http://umurgulia82.blogspot.com/2016/09/blog-post_22.html) (დამოწმება:12.10.2019); იხ., ასევე: [https://www.researchgate.net/figure/Distribution-map-of-extent-of-the-Kura-Araxes-cultural-tradition\\_fig1\\_283867750](https://www.researchgate.net/figure/Distribution-map-of-extent-of-the-Kura-Araxes-cultural-tradition_fig1_283867750); მსჯელობისათვის იხ., ასევე: ფუტკარაძე 2005.

ნაკლებდამაჯერებელია ამ კულტურის მიკუთვნება ჩვენთვის ცნობილ რომელიმე ერთ ეთნოსსა თუ სახელმწიფოზე; კერძოდ, კაცობრიობის განვითარების ამ დონეზე<sup>2</sup> გეოგრაფიულად ასე მრავალფეროვან რეგიონში ვერ ვისაუბრებთ 2000 წლის მანძილზე არსებული ერთიანი დიდი სახელმწიფოს შესახებ. მსოფლიოში არსებული ერების/ენების ასაკის ტიპოლოგიასაც თუ გავითვალისწინებთ, არალოგიკურია დაშვება, რომ 5 000 წლის წინ არსებობდა დღეს ჩვენთვის ცნობილი რომელიმე კავკასიური ენა თუ ეთნოსი. ძვ.წ. IV-III ათასწლეულში შეიძლება ვილაპარაკოთ წინარექართველური (საერთო იბერიულ-კავკასიური) და წინააზიური წარმოშობის სხვა მოდგმის ტომების არსებობაზე<sup>3</sup>.

უშუალოდ ქართველურ ტომების სახელმწიფოთა აღმავლობის პირველ ეტაპად ისტორიკოსების მიერ სამართლიანად მიჩნეულია გვიანბრინჯაოს ხანა - ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან I ათასწლეულის მეორე ნახევრამდე, როცა არსებობდა: მუშქების სამეფო, დაიანი (ასურული სახელწოდება), ანუ დიაოხი (ურარტული სახელწოდება; შდრ. ბერძნ. ტაოხების ქვეყანა), ხალიბებისა და სასპერების სამეფოები, კოლხა (იხ., მაგ., საქართველოს ისტორიის ოთხტომეული, 2012: 131-147; წიწკოლაური 1917: 35-48)...

მსჯელობას „კოლხას“ საზღვრებით გავაგრძელებთ:

მითოლოგიური გადმოცემები კოლხას შესახებ ძველია, მაგრამ, სპეციალისტთა აზრით, კოლხა ერთიანი პოლიტიკური ერთეული ხდება ძვ.წ. IX-VIII საუკუნეებში. სწორედ ამ პერიოდში ახლოს ეცნობიან კოლხას ურარტუელებიც და ძველი ბერძნებიც (მეზღვაურები, კოლონისტები...).

ისტორიკოსთა ნაწილის აზრით, VIII საუკუნის ბოლოს დასავლეთ საქართველოში არსებული კოლხური ტომების საკმაოდ ძლიერი გაერთიანება საიმედოდ აღუდგა წინ სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან მომდინარე ძალებს და „ქვეყანაში, ჩანს, არ დარღვეულა ცხოვრების სტაბილური ხასიათი“ (საქართველოს ისტორია 1912: 110); შდრ.: ცნობილ ისტორიკოსთა ამავე წიგნის 144-ე გვერდზე საპირისპირო თვალსაზრისია წარმოდგენილი:

„იმისათვის რომ ურარტუს, კაპადოკიასა და თრიალეთისათვის მიეღწიათ კიმირიელებს, რომლებიც შავი ზღვით მოდიოდნენ, უნდა გაეცლოთ კოლხას (კოლხეთის) მიწა-წყალზე და მისი წინააღმდეგობა გადაელახათ. ურარტუზე ადრე კიმირიელთა დარტყმა, ალბათ, სწორედ კოლხამ განიცადა. რა თქმა უნდა, იგი სასტიკად უნდა გაენადგურებინათ


<sup>2</sup> ნაკლებდამაჯერებელია ისტორიკოსთა აზრი, რომ დაახლოებით 30 საუკუნის წინ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი ჯერ კიდევ პირველყოფილი საზოგადოება იყო; იხ. მაგ., საქართველოს ისტორიის ოთხტომეული, 2012: 131-134; ძვ.წ. XII-VIII საუკუნეებში „სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის, კილხის (კოლხის, კოლხეთის) ქვეყნის მოსახლეობა ამ დროს ჯერ კიდევ პირველყოფილი-თემური წყობილების პირობებში ცხოვრობდა“. შდრ.: „პირველყოფილმა თემურმა წყობილებამ საქართველოში ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ბოლოს ადგილი დაუთმო ადრეკლასობრივ ხანას“ (წიწკოლაური 2017: 33).

<sup>3</sup> წინარექართველური ტომების შესახებ მასალა ვრცლად იხ.: ფუტკარაძე 2005.

კიმირიელთა ურდოებს. კოლხეთის სამეფოს მოსახლეობა ნაწილობრივ ალბათ გაიჟლიტა, ნაწილობრივ კი მეზობელ ოლქეში გაიხიზნა“... ძვ. წ. VIII საუკუნის ბოლოს „დაეცა ძველი კოლხური სამეფო“... შდრ., ასევე: წოწკოლაური 1917: 46: VIII საუკუნის ბოლოს მომთაბარე კიმირიელების „ცხენოსანმა ჯარმა გრიგალივით გადაუარა დასავლეთ საქართველოს და ბოლო მოუღო კოლხა სამეფოს“...

დამოწმებული წინააღმდეგობების გარდა აღსანიშნავია: დაუსაბუთებელია ისტორიკოსთა თვალსაზრისი, რომ, თითქოსდა, კოლხა შემოსაზღვრებოდა მხოლოდ დასავლეთ საქართველოთი.

ბერძნული თუ ურარტული წყაროები ცხადყოფს, რომ II-I ათასწლეულების მიჯნაზე უთუოდ არსებობდა ქართველური მოდემის მიერ შექმნილი კოლხას ძლიერი სახელმწიფო. მისი საზღვრების შესახებ გარკვეული წარმოდგენა შეიძლება მოგვეცეს არქეოლოგიურმა მონაცემებმა. თანამედროვე კვლევების მიხედვით, კოლხური (იგივე - კოლხურ-ყოზანური) კულტურა ორგანული იყო არა მხოლოდ ამჟამინდელ დასავლეთ საქართველოში, არამედ აღმოსავლეთ საქართველოში მცხეთა-ცხინვალის ხაზამდე, ჩრდილო კავკასიის დასავლეთ ნაწილში, ისტორიულ ტაო-კლარჯეთსა და ლაზეთში... არქეოლოგიური მასალების მიხედვით, კოლხური კულტურის საზღვრები ასე გამოიყურება<sup>4</sup>:



<sup>4</sup> რუკის აღწერილობა: 1. კოლხური კულტურის გავრცელების არეალი; 2. კოლხური კულტურის გავრცელების არეალი შიდა ქართლში; 3. კოლხური კულტურის ელემენტების გავრცელება ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთში; 4. კოლხური კულტურის ელემენტების გავრცელება სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში; 5. კოლხური კულტურის ყოზანის დასავლური ვარიანტის არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც აღმოჩენილია მისი გავრცელების არეალის ფარგლებს გარეთ (მათში აგრეთვე გვხვდება კოლხური კულტურის ყოზანის სხვა ვარიანტებისა და ასევე სხვა კულტურების ელემენტებიც). კოლხური კულტურის გავრცელების არეალის შესახებ იხ.: აფაქიძე 2009: 2-17, 24, 245-257, 269-270, 279-285. წიგნის ლინკები: <https://www.vml.de/e/detail.php?ISBN=978-3-89646-595-5> (ინგლისურ ენაზე); <https://www.vml.de/d/detail.php?ISBN=978-3-89646-595-5> (გერმანულ ენაზე).

წინასწარვე აღვნიშნავ, რომ დაახლოებით ამავე საზღვრებში იყო შედარებით გვიანდელი ქართული წყაროების „ყოველი ქართლის“ სახელმწიფოც, კერძოდ, წარმოდგენილ არქეოლოგიურ მონაცემებთან შესაბამისობაშია ძველ ქართველ მემკვიდრეთა ცნობებიც და უცხოურ წყაროთა ნაწილიც<sup>5</sup>. მიუხედავად ამისა, დღესაც „საქართველოს ისტორიის“ კონცეფციის ძირითადი თეზაა უძველესი დროიდანვე კოლხეთისა (ეგრისის) და იბერიის (ქართლის) სახელმწიფოების პარალელურად არსებობა (რაც დღემდე აძლევს საფუძველს რუსულ პოლიტიკურ წრეებს, შექმნან იდეოლოგემა, რომ თითქოსდა ერთიანი საქართველოს სახელმწიფო თითქმის არასოდეს არსებულა); ასე, მაგ., 2012 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიის ოთხტომეულში (სარედაქციო კოლეგია: მ. ლორთქიფანიძე, ო. ჯაფარიძე, დ. მუსხელიშვილი, რ. მეტრეველი) ვკითხულობთ: „ძვ. წ. VI საუკუნეში „ქართლი“ უკვე მოიცავდა ტერიტორიას „ხუნანიდან ვიდრე ზღუამდე სპერისა“ ანუ მთელს აღმოსავლეთ საქართველოს ჭოროხის აუზიანად შავ ზღვამდე. ჩანს, მიმდინარეობდა ბრძოლა აღმოსავლურქართული (ხაზი ჩვენი - ტ.ფ.) სახელმწიფოებრიობის შესაქმნლად. ასეთივე პროცესები უკვე ვითარდებოდა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ხაზი ჩვენი - ტ.ფ.). იმავე ძვ. წ. VIII საუკუნეში ჩამოყალიბდა კოლხეთის (ეგრისის) დასავლურქართული სახელმწიფო, ხოლო ძვ.წ. IV საუკუნის დასასრულს დასავლურქართული და აღმოსავლურ ქართული ტომების ერთობლივი ძალისხმევით შეიქმნა პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფო“ (გვ. 130)<sup>6</sup>; იხ., ასევე, გვ. 163-165: ძვ. წ. VI საუკუნეში დასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა კოლხეთის სამეფო ცენტრით ქუთაისში... აღმოსავლეთ საქართველოში კი - იბერია (ქართლი) ცენტრი მცხეთაში...<sup>7</sup>

დამოწმებულ ციტირებებში ბევრი დაუსაბუთებელი დებულებაა; კერძოდ:

1. ჭოროხის ხეობის ქვემო წელი ნამდვილად არის ისტორიული საქართველოს დასავლეთი ნაწილი; შესაბამისად, „გაუგებარია, „ქართლი (იბერია)“ რატომ ცხადდება მხოლოდ აღმოსავლურ ქართულ სახელმწიფოდ.
2. „კოლხა“ და „ეგრისი“ სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტების აღმნიშვნელი გეოგრაფიული სახელებია და შეუძლებელია მათი გათანაბრება: „კოლხა“ ძვ. წ. XIII-VII საუკუნეებში არსებული დამოუკიდებელი სახელმწიფოა და მოიცავს თითქმის

<sup>5</sup> ზოგ წყაროში ქართველთა სახელმწიფოს სახელი ივერიაა; ზემო ივერიაა აღმოსავლეთ საქართველო, ქვემო ივერიაა დასავლეთ საქართველო; იხ., მაგ.: თეიმურაზ ბატონიშვილი 1848:24-25 [http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/65894/1/Teimuraz\\_Batonishvili\\_Istoria.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/65894/1/Teimuraz_Batonishvili_Istoria.pdf)

<sup>6</sup> ადრინდელი თვალსაზრისებისათვის იხ., მაგ., ჯავახიშვილი... 1943; მელიქიშვილი 1970.

<sup>7</sup> იხ., ასევე, ა. წოწკოლაურის თვალსაზრისი (2017: 48): „ძვ.წ. VI საუკუნიდან საქართველოს ტერიტორიაზე კვლავ იწყება აღმავლობის ხანა, იქმნება ადრეკლასობრივი სახელმწიფოები: კოლხეთის (ეგრისის) და ქართლის (იბერიის) სამეფოები“.

ნახევარ კავკასიასა და სრულად მდინარე ჭოროხის ხეობას, „ივერიის“ სულ მცირე 200-300 წლით გვიან არსებული „ქართლის“ სახელმწიფოს ერთ-ერთი საერისთავოა, რომელიც მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ერთ ნაწილს მოიცავდა.

3. არალოგიკურია ქართული წყაროების „ქართლისა“ და სტრაბონისეული „იბერიის“ გათანაბრებაც (ისევე, როგორც დღეს ვერ გათანაბრდება ქორონიმი „საქართველო“ და ამჟამინდელი რუსეთის ხელისუფლების მიერ გამოყენებული სახელი: „გრუზია“). ბერძნულ ენობრივ ველში სხვადასხვა სემანტიკით დადასტურებული „იბერია“ ნამდვილად არ არის ქორონიმი „ქართლის“ ტოლფარდი<sup>8</sup>.
4. „კოლხა“ და „იბერია“ ერთდროულად არასოდეს არსებულა: „კოლხა“ სულ მცირე 30-33 საუკუნის ქორონიმია, „იბერია“ კი 600 წლით გვიან ჩნდება; შესაბამისად, გაუგებარია ამ ქორონიმებით ცნობილი სახელმწიფოების დროში პარალელურად წარმოდგენა<sup>9</sup> და მათი გეოგრაფიული გამოიკვანა: არც ერთი დოკუმენტით და არც ლოგიკური მსჯელობით დასაბუთებული არ არის დასავლურ და აღმოსავლურ ქართულ სახელმწიფოთა პარალელურად არსებობა უძველესი დროიდან წელთაღრიცხვათა მიჯნამდე; მით უმეტეს, გვერდიგვერდ არასოდეს არსებულა ორი სახელმწიფო სახელებით: „კოლხეთი“ და „იბერია“. ქართული წყაროების მიხედვით, მრავალი საუკუნის განმავლობაში „ყოველ ქართლში“ შედიოდა არა მხოლოდ ჭოროხის ხეობა, არამედ რიონის, ცხენისწყლისა და ენგურის ხეობებიც. ქვემოთ დავიმოწმებთ რამდენიმე ინფორმაციას „ქართლის ცხოვრებიდან“...  
ქორონიმებს: „ქართლი“ და „ივერია“ თუ გაგათანაბრებთ, ორგვარი

პერსპექტივა გვაქვს:

- ივერიის ანუ ქართლის სახელმწიფო მოიცავს დასავლეთ საქართველოსაც (არამხოლოდ ჭოროხის, არამედ რიონის, ცხენისწყლისა და კოდორის ხეობების ჩათვლით), როგორც ამას ქართული წყაროები გვეუბნება;
- ივერიის ანუ ქართლის სახელმწიფო არის აღმოსავლეთ ქართული სახელმწიფო; „კოლხა“ და „იბერია“ რაღაც პერიოდში გვერდიგვერდ არსებობდა (ეს დაუსაბუთებელი თვალსაზრისი სტრაბონის დროიდან მოდის და ქართველ ისტორიკოსთა ნაწილიც იზიარებს).

შდრ., სტრაბონის მიხედვით ახლახან შექმნილი რუკა<sup>10</sup>:

<sup>8</sup> მსჯელობისათვის ვრცლად იხ.: ფუტკარაძე 2005: 186-200; 368-370; 447-450.

<sup>9</sup> მსჯელობისათვის ვრცლად იხ.: ფუტკარაძე 2005:196-200.

<sup>10</sup> ამ რუკაზე სრულიად გაუგებარია არგვეთის საერისთავოს საზღვრებიც; ლეონტის მიხედვით, არგვეთის საერისთავო შავ ზღვამდე ჩადის და მოიცავს რიონის მარცხენა მხარეს არსებულ სივრცეს მესხეთის ქედამდე (მსჯელობისათვის იხ., ფუტკარაძე 2005).  
[https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/1/19/Early\\_Georgian\\_States\\_Colchis\\_And](https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/1/19/Early_Georgian_States_Colchis_And)



ისტორიული ქართული წყაროები პირველ მოსაზრებას უჭერენ მხარს<sup>11</sup>; შდრ.: ქართველ მემატინეთა აზრით, ქართლის მეფის - აზონის - სახელმწიფოში შედიოდა ეგრისიც: აზონ „ყოველთა ქართლისა ქალაქთა მორღვენა ზღუდენი, და დაიპყრნა ყოველნი საზღვარნი ქართლისანი, ჰერეთითგან და ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე ზღუადმდე სპერისა. და დაიპყრა ქართლსაზედა ეგრისი-ცა“.

ფარნავაზისა და ქუჯის სახელმწიფო უფრო ვრცელი იყო: „მიეცა [ქუჯის] ქუეყანა ეგრისი[ს] წყალსა და რიონს შუა, ზღვიდგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუნეთი, და დაამტკიცა ერისთავად მუნ, და მან ქუჯი აღაშენა ციხე-გოჯი. მაშინ ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა მისთავან, და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურს ზედათ. და განამრავლნაყოველნი მკედარნი ქართლისანნი, განაწესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტი (ხაზი ჩვენია - ტ.ფ.). ერთი გაგზავნა მარგვის ერისთავად, და მისცა მცირით მთითგან რომელ არს ლიხი. ვიდრე ზღუამდე რიონს ზემოთ. და ამანვე ფარნავაზ აღაშენა ორნი ციხენი, შორაპანი და დიშნა. და გაგზავნა მეორე კახეთისა ერისთავად, მისცა არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე, რომელ არს კახეთი და კუხეთი. მესამე გაგზავნა ხუნანისა ერისთავად, და მისცა ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე ტფილისამდე და გაჩიანთამდის [Iberia\\_ka.svg](#) (დამოწმება: 14.10.2019).

<sup>11</sup> როგორც სტრაბონის, ასევე, ქართველ მემატინეთა ცნობები გარკვეულწილად შეიძლება საკამათო ოყოს; საინტერესოა, რა აიძულებს „მავანს“, რომ ხელაღებით უარყოს მრავალსაუკუნოვანი ქართული წყაროების დეტალური ინფორმაცია და ენდოს საქართველოს მაშინდელი დამპყრობელი ქვეყნის - რომის იმპერიის - ერთგულ მოხელე-ისტორიკოსს?! მით უმეტეს, სტრაბონის დროს რომაელთა წარმოდგენაში კოლხას მემკვიდრედ ითვლებოდა მხოლოდ „ლაზიკა“; ლაზიკა ერქვა ჯერ რომაელების, შემდეგ კი ბიზანტიელების მიერ დაპყრობილ ქართულ მიწებს (მსჯელობისათვის იხ., ფუტკარაძე 2005). აღსანიშნავია ისიც, რომ ბერძნებსაც, რომაელებსაც და პირველ პერიოდის ბიზანტიელებსაც უფრო აინტერესებდათ შავიზღვისპირეთი. აქ რაღაც დასაზუსტებელია.

რომელ არს გარდაბანი. მეოთხე გაგზავნა სამშვილდეს ერისთავად, და მისცა სკორეთისა მდინართან ვიდრე მთამდე, რომელ არს ტაშირი და აბოცი. მეხუთე გაგზავნა წუნდას ერისთავად, და მისცა ფანვართან ვიდრე თავადმდე მტკურისა, რომელ არს ჯავახეთი და კოლა-არტან[ი]. მეექვსე გაგზავნა ოძრჯის ერისთავად, და მისცა ტასისკარიდგან ვიდრე არსიანთამდის, ნოსტის თავიდგან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა. მეშვიდე გაგზავნა კლარჯეთს, მისცა არსიანთაგან ზღუამდე, და მერვე ქუჯი იყო, ერისთავი ეგრისისა. ხოლო ერთი დაადგინა სპასპეტად და მისცა ტფილისითგან და არაგვთგან ვიდრე ტასისკარამდე და ფანვარდმდე, რომელ არს შიდა-ქართლი. ესე სპასპეტი იყო შემდგომადვე წინაშე მეფისა, მთავრობით განაგებდის ერისთავთა ზედა. ხოლო ამათ ერისთავთა ქუეშე, ადგილთა და ადგილთა, განაჩინა სპასალარნი და ათასისთავნი, და მათ ყოველთაგან მოვიდოდა ხარკი სამეუფო და საერისთო. ესრეთ განაწესა ესე ყოველი ფარნავაზ მიმსგავსებულად სამეუფოსა სპარსთასა“.



აქ საკამათოა მხოლოდ მარგვეთის საზღვრები; მარგვეთი იყო შავ ზღვამდე: „ერთი გაგზავნა მარგვის ერისთავად, და მისცა მცირით მთითგან რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღუამდე რიონს ზემოთ“. „ვიდრე ზღუამდე“ ს. ყაუხჩიშვილმა რატომღაც ჩაასწორა ასე: „ვიდრე ზღურამდე ეგრისისა“ (რომაული წყაროების გავლენით?).

არანაკლებ ტერიტორიას მოიცავს მირიანის სახელმწიფოც:

„შიეყუარეს იგი ყოველთა ქართველთა უმეტეს ყოველთა მეფეთასა. და მეფობდა ესრეთ მირიან მცხეთით გაღმართ ქართლს, სომხითს, რანს, ჰერეთს, მოვაკანს და ეგრს“. ამავე ციტატაშიც და სხვა მრავალ ეპიზოდშიც ჩანს, რომ „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ქართველი ერის აღმნიშვნელია სინტაგმა: „ყოვლნი

ქართველნი“ (შდრ., „ქართველი“ ზოგჯერ ნიშნავს „ქართლებს“; ასეთ დროს ნაგულისხმებია პროვინცია „ქართლი“ და არა - სახელმწიფო „ქართლი“).

„ქართლის ცხოვრებაში“ საქართველოს სხვადასხვა კუთხის ერისთავებიცა თუ მცხოვრებნიც ერთ რანგში განიხილება:

„მაშინ განდგეს ერის-თავნი დასავლეთისანი ხუთნი: ორნი ერის-თავნი ეგრისისანი, ერთი ოძრკისა, ერთი კლარჯეთისა და ერთი წუნდისა. ეზრახნეს ესე სომეხთა მეფესა, და ითხოვეს ძე მისი მეფედ, რამეთუ დის-წული იყო ამაზასპისი. მაშინ სომეხთა მეფე ძალითა მრავლითა წარმოემართა ქართლად, და მოირთო ძალი საბერძნეთით-ცა. და ეზრახნეს ოვსთა-ცა, ხოლო ოვსნი სიხარულითა წარმოვიდეს, რამეთუ მესისხლე იყო ამაზასპ მათი. და გარდამოვლეს გზა თაკუერისა, და მოვიდეს ერის-თავთა თანა ეგრისათა“.

„ყოველნი დღენი მისნი (ფარნავაზის), რამ დაჯდა, მშვიდობით დაყვნა, და აღაშენა და განავსო ქართლი. ხოლო თუენი გაზაფხულისა და სთულისა არისანი დაყვნის მცხეთას, სამეუფოსა ქალაქსა; და თუენი ზამთრისანი დაყვნის გაჩიანთა; ხოლო თუენი ზაფხულისა -- წუნდას. და ჟამითი-ჟამად მივიდის ეგრისს და კლარჯეთს, და მოიკითხნის მეგრელნი და კლარჯნი, და განაგის ყოველი საქმე დაშლილი...“.

ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსიც (ჯუანშერი) ეგრისს ქართლის „ხევად“ თვლის:

„მაშინ ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა ათისა, გარდამოვიდეს ოვსნი, სპანი ურიცხუნი, და მოტყუენეს ქართლი თავითგან მტკურისამთ ვიდრე ხუნანამდე და მოაოჯრნეს ველნი, არამედ ციხე-ქალაქნი დარჩეს თვნიერ კასპისა, ხოლო კასპი ქალაქი შემუსრეს, ტყუე-ყვეს, და წარიყვანეს ვახტანგის დად მირანდუხტ, სამისა წლისა ქალი. რომელ დაურჩეს წარუტყუენელად ჳევნი ქართლისანი, კახეთი და კლარჯეთი და ეგრისი, წარჰვლეს რანსა და მოვაკანსა, წარტყუენნეს იგინიცა, და განვლეს კარი დარუბანდისამ, რამეთუ თვთ გზა-სცეს დარუბანდელთა, და შევიდეს ოვსეთს გამარჯუებულნი“.

შდრ., იქვე: „და ამან დაჩი მეფემან იწყო შენებად ქართლისა, რამეთუ მოოჯრებულ იყვნეს ყოველნი ჳევნი ქართლისანი, თვნიერ კახეთისა და კლარჯეთისა და ეგრისისა, და განასრულნა ზღუდენი ტფილისისანი, და ვითარ ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეფოდ“<sup>12</sup>.

შდრ., ასევე:

„და მოიყვანა ვახტანგ ძე მისი, რომელსა ერქუა სპარსულად დარჩილ და ქართულად დაჩი, იყო ხუთისა წლისა, და დაადგა გვრგვნი და დაუტევა მეფედ, და დაუტევნა მისთანა შვდნი წარჩინებულნი მისნი: პირველად, ჯუანშერ სპასპეტი, მპყრობელი ქართლისამ და მფლობელი ყოველთა ერისთავთა, და დემეტრე, ერისთავი კახეთისამ და კუხეთისამ, და გრიგოლ, ერისთავი ჰერეთისამ, და ნესრან, ერისთავი ხუნანისამ, და

<sup>12</sup> ცხორებად ვახტანგ გორგასალისა <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0qartlisc--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&c=qartlisc&cl=CL1.1&d=HASHae662b1164c6d9c5496a8c.1> (დამოწმება: 11.10.2019)



ადარნასე, ერისთავი სამშუღდისაჲ, და სამნადირ, ერისთავი შიდა ეგრისისა და სუანეთისაჲ, და ბაკურ, ერისთავი მარგუსა და თაკუერისაჲ, და ამათ შეჰვედრა ძე თვისი, დაჩი...“

დასავლეთ საქართველო ქართლის ნაწილია არჩილისა და მირის დროსაც: „მიჰრ დამძიმდა წყლულებისა მისგან მოსიკუდიდ და ჰრქუა ძმასა თვისსა არჩილს: ჩუენ შემცირებულ ვართ, რამეთუ შენ ხარ უცოლო, და მე ვარ უძეო. აწ, რადთგან მოიყვანნიან მამათა ჩუენთა ცოლნი და ასულნი ერისთავთა ჩუენთანი, მისცენ მათ ასულნი ჩემნი და განუყვინენ მათ ქუეყანანი ქართლისანი, ნახევარი - შენ და ნახევარი - მათ. ხოლო საუხუცესოდ რომელი მაქუნდა, მომიცემია შენდა და გაქუნდეს საუხუცესოდ ეგრისი, სუანეთი, თაკუერი, არგუეთი და გურიამ, ხოლო კლარჯეთი და შუა მთიულეთი მიეც ასულთა ჩემთა, რადთა მუნ შინა იყვენენ ჟამთა ამათ ბოროტთა. და მამადცა ჩემი მოკუდა შფოთსა ამას შინა და ვერ წარვეციოთ იგი მცხეთას, წარსცენ ძუალნი მისნი და დაჰფლენ საყდარსა ქუთათისისასა,\* რადთა იპოვოს იგი საწამებელად სამკვდრებელსა ჩუენსა“<sup>13</sup>.

„ქართლის ცხოვრებაშივე“, არაიშვიათად, „ქართლი“ პროვინციის (მხარის, ქვეყნის) სახელადაც გვხვდება, თუმცა, მსაზღვრელსახელიანი ქართლი: „ყოველი ქართლი“ ყოველთვის ქართველთა ერთიან სახელმწიფოს აღნიშნავს; მაგ.:

„ხოლო ამან აზონ მოარღვენა ზღუდენი ქალაქსა მცხეთას საფუძვლითურთ, და დაუტევნა ოთხნი იგი ციხენი, რომელნი მოსდგმიდეს პირსა ქართლისასა: თავადი ციხე, რომელ არს არმაზი; და ერთი ციხე დასასრულსა არმაზისა ცხვრისასა; და ერთი თავსა ზედა მცხეთისასა; მეოთხე ციხე, დასავლით, მცხეთა მტკუარსა ზედა. და ესენი მომტკიცნა, და განავსნა იგინი ლაშქრითა. და ყოველთა ქართლისა ქალაქთა მოარღვენა ზღუდენი, და დაიპყრნა ყოველნი საზღვარნი ქართლისანი, ჰერეთითგან და ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე ზღუადმდე სპერისა. და დაიპყრა ქართლსა ზედა ეგრისი-ცა, და მოხარკე ყვნა ოსნი, ლეკნი და ხაზარნი“<sup>14</sup>.

შდრ.:

„ხოლო მეფობდა ესე ფარსმან ყოველსა ქართლსა ზედა, და ესუა ძე, და უწოდა სახელად ამაზასპ“.

„მოქცევა მირიან მეფისა და მისთანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა მიერ“; შდრ.: „მეფობდა მირიან მუნ ქართლს, რანს, ჰერეთს და მოვაკანს. და აქუნდა ეგრისი-ცა ვიდრე ეგრისწყლამდე“...

„ქართლის“ გააზრებაში ამგვარი გაორება განაპირობა პოლიტიკურმა

<sup>13</sup> ცხორებაჲ ვახტანგ გორგასლისა <https://bit.ly/3cbBupU> (დამოწმება: 11.10.2019)

<sup>14</sup> ქართლი: შიდა ქართლი, ქვემო ქართლი: „მაშინ ყოველთავე ისწრაფეს, და აღიღეს მოსავალი თვისი, და ივლტოდეს სიმაგრეთა შინა მათათა მაგართა. და მივიდა. მძლავრიცა ლანგ-თემურ სპითა მრავლითა და ურიცხვთა, და შევლო ქუემო-ქართლი დიდითა ოჭრებითა, წვითა და ქცევითა. და წარვიდა მეფე გიორგი სიმაგრეთა შინა; და მივიდა ლანგ-თემურ შიდა ქართლს, და ჩადგა და მოაოჭრა ყოველნივე შენობანი, და შემუსრნეს წმიდანი ეკლესიანი. არამედ ვერ ეწიფა ბოროტსა მას გულისთქმასა თვისსა, რამეთუ ენება შეპყრობა მეფისა გიორგისა და დატყუეება ტყუეთა, და ვერცა ერთსა შემძლეველ ოქმნა პოვნად“.

ისტორიამ: ქართლი ხან ერთიანი სახელმწიფო იყო, ხან - დანაწევრებული; ჩანს, არაბობის შემდეგ „ქართლი“ და „ქართველი“ მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოთი იფაგლებოდა, რის გამოც X საუკუნეში საჭირო ხდება „ქართლის“ საგანგებო განსაზღვრა:


გიორგი მერჩულეს აზრით, ქართლად მიიჩნევა ის მრავალი კუთხე („ქვეყანა“), სადაც ქართული ენით აღესრულება წირვა-ლოცვა: „ხოლო ეფრემ ქრისტწმინდითა ბრძანებითა მიჰრონისა კურთხევად ქართლს განაწესა იერუსალჴმისა პატრიარქისა განწესებითა და წამებითა სიხარულით. არამედ ქართლად ფრიადი ქუეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულების, ხოლო კვრიელედსონი ბერძნულად ითქუმის, რომელ არს ქართულად: „უფალო წყალობა-ყავ“, გინა თუ: „უფალო, შეგვიწყალებ“.

აქვე, არსებითა კითხვა: თავდაპირველად რას აღნიშნავდა „ქართლი“?

პასუხი შესაძლებელია მხოლოდ ქართლ- და ქართველ- ფუძეების წარმომავლობის ლოგიკური ახსნით:

ქართ-ლ- ნიშნავს ღვთაება ქართის/ქართუს (/ხალდი) ქვეყანას (და არა - ქალაქს, მთას), ხოლო ქართუ-ელ-ი - ღვთაება ქართის/ქართუს (/ხალდი) ჩამომავალ თუ თაყვანისმცემელ საზოგადოებას... ღვთაება „ხალდის“ სალოცავები დიდ ტერიტორიაზე განფენილი: აღმოსავლეთ საქართველოში, სვანეთში, ლაზეთში, კლარჯეთში... (მსჯელობისათვის ვრცლად იხ.: ფუტკარაძე 2005). ჩანს, ჩვენი წინაპრები თვლიდნენ, რომ ისინი იყვნენ თარგამოსიანთა, მათ შორის, ურარტუს, ასევე, ხალდის/ქართუს მემკვიდრენი. ბუნებრივია, ქრისტიანი მემკვიდრენი „ქართლის ცხოვრებაში“ წაშლიდნენ წარმართული ღვთაების კვალს, თუმცა ონომასტიკურმა ერთეულებმა შემოინახა ეს ინფორმაცია.

ქორონიმი „ქართლი“ და ეთნონიმი „ქართველი“ დაახლოებით 35 საუკუნის ისტორიას უნდა ითვლიდეს; ამავე ასაკისა ჩანს ქართველთა ენობრივი ისტორიაც, რომელიც, ასევე, კოლხური არქეოლოგიური კულტურის ასაკით - დაახლოებით 35 საუკუნით - შეიძლება განისაზღვროს:




ამრიგად, ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის დასასრულს, დაახლოებით

ძვ.წ. VII-VI საუკუნეთა მიჯნაზე, კოლხური კულტურა არსებობას ასრულებს; ჩანს, ამ დროს საბოლოოდ ნადგურდება დიდიკოლხაც, რომელიც 600-700 წლის განმავლობაში მოიცავდა დაახლოებით იმ ტერიტორიას, რომელსაც არქეოლოგები უწოდებენ „კოლხური არქეოლოგიური კულტურის“ არეალს. ექვსი საუკუნის მანძილზე საერთო კულტურულ-სახელმწიფოებრივ ველში ცხოვრება საკმარისი დროა ენითა და ცხოვრების წესით გაერთიანებული ერის ჩამოსაყალიბებლად. კოლხური კულტურის ენად უნდა ვივარაუდოთ საერთოქართველური ენა, ენა, რომლისგანაც მომდინარეობს ქართველთა სამწიგნობრო ენაც და დღეს ცნობილი ყველა ქართველური ქვესისტემა<sup>15</sup>. სულ 200-300 წლის შემდეგ, ძვ. წ. IV საუკუნის დასასრულს, სწორედ ამ სახელმწიფოს მემკვიდრედ აღდგება ქართული წყაროებიდან ჩვენთვის ცნობილი ქართლის სახელმწიფო, რომლის საზღვრები დაახლოებით იგივეა, რაც ნაგარაუდევია კოლხური არქეოლოგიური კულტურით; შდრ., ქუჯისა და ფარნავაზის სახელმწიფოს რუკა<sup>16</sup>:



შდრ. კოლხური კულტურის საზღვრების ამსახველი რუკა:



<sup>15</sup> ტ. ფუტყარაძე, ქართველები, 2005: 333.

<sup>16</sup> <https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/d/de/Iberia-ka.svg> (დამოწმება: 13.10.2019).

შესაბამისად, ლოგიკურია დავასკვნათ:

1. ისტორიული კოლხაც და გვიანდელი ქართლიც მოიცავდა დაახლოებით ერთსა და იმავე ტერიტორიას. ბოლო პერიოდის (დიაოხის შემდეგდროინდელი) კოლხას ნანგრევებზე მალევე აღორძინდა ქუჯისა და ფარნავაზის ერთიანი სახელმწიფო - ქართლი;
2. ისტორიული კოლხას, მისი მემკვიდრე მრავალსაუკუნოვანი (23-საუკუნოვანი!) „ქართლის“ (იგივე იბერიის), ანუ საქართველოს სახელმწიფოს შექმენელი და შემნარჩუნებელი არიან როგორც დასავლეთ საქართველოს (მველი ეგრისისა თუ გვიანდელი ოდიშის), ასევე, სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრნი.

#### დამოწმებული ლიტერატურა

აფაქიძე 2009: Joni Apakidze, Die Spätbronze - und Früheisenzeit in West- und Zentralkaukasien. Chronologische Studien zur Kolchis-Kultur, 1600–700 v. Chr. – Prähistorische Archäologie in Südosteuropa 24, Verlag Marie Leidorf GmbH, Rahden/Westf. 2009 (deutsch mit georgischem und englischem Résumé); გვ. 12-17, 24, 245-257, 269-270, 279-285. წიგნის ლინკები: <https://www.vml.de/e/detail.php?ISBN=978-3-89646-595-5> (ინგლისურ ენაზე); <https://www.vml.de/d/detail.php?ISBN=978-3-89646-595-5> (გერმანულ ენაზე) (15.01.2020).

ბატონიშვილი 1848: თეიმურაზ ბატონიშვილი, „დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გეორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველომსა“. თბილისი, 1848. [http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/65894/1/Teimuraz\\_Batonishvili\\_Istoria.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/65894/1/Teimuraz_Batonishvili_Istoria.pdf) (15.01.2020).

კუფტინი 1941: Куфтин Б.А., Археологические раскопки в Триалети, кн. 1. Тбилиси, 1941.

მელიქიშვილი 1970: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I (ტომის რედაქტორი გ. მელიქიშვილი). თბილისი, 1970.

საქართველოს ისტორია 2012: საქართველოს ისტორიის ოთხტომეული (სარედაქციო კოლეგია: მ. ლორთქიფანიძე, ო. ჯაფარიძე, დ. მუსხელიშვილი, რ. მეტრეველი). თბილისი, 2012.

ფუტკარაძე 2005: ფუტკარაძე ტ., ქართველები. თბილისი, 2005.

უშნარევა... 1970: Ушнарева К. Х., Чубинишвили Т. Н., Древние культуры Южного Кавказа (V-III тыс. до н. э.), Л., 1970.

ქავთარაძე 2004: Giorgi L. Kavtaradze, The Chronology of the Caucasus During the Early Metal Age: Observations from Central Transcaucasus, 2004.

წოწკოლაური 2017: წოწკოლაური ა., საქართველოს ისტორია. თბილისი, 2017.

ჯავახიშვილი... 1943: ჯავახიშვილი ივ., ბერძენიშვილი ნ., ჯანაშია ს., საქართველოს ისტორია (უბველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე), თბილისი, 1943.

**ხიზაბავრელთა მიგრაციები ქართლში  
(ახალხიზა-ბეთლემი)**

**Migrations of Khizabavres in Kartli  
(Akhalkhiza - Bethlehem)**

**მაია ქუჩიშვილი**

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ახალციხე

**Maia Kukchishvili**

Samtskhe - Javakheti State University  
Georgia, Akhalkhiza

**ABSTRACT**

Migration is a companion occasion in the history of Mankind because of social, political, or economic conditions. People were trying to find better living conditions and settle down. Thus, in 1907, 13 families moved from the village of Khizabavri, Aspindza Municipality to the Village of Akhalkhiza, Gori Municipality (now the Village of Bethlehem).

The population has come a severe way over the years. As the research showed, they took the name of the village Khiza and renamed the Village Akhalkhiza. The surnames are still unchanged, and we find such surnames that are still common to the inhabitants of the village Khizabavri: Murdashvili, Mugasashvili, Mamukashvili, Baliashvili, Tarkhnishvili, Sheshaberidze, Khutsishvili, Datashvili, Sadaterashvili, Baliashvili, Maziashvili, Sepiashvili, Mazmishvili, Taturashvili, Kazaishvili, Kalajishvili, Chonishvili, and others.

In the village of Akhalkhiza, we find the production of surname lines typical for the anthroponymy of Samtskhe-Javakheti. The suffixes derived from nicknames produce the suffixes -ian / -iant / -ant / -at:

For example:

Two branches of the Mamukashvilis, Kachiani (Katariani) and Kakaanti as well as two branches of the Baliashvilis, Kegoanti, and Balati.

One household of the Chonishvilis named Gochashvili, the Murdashvilis named Sadaterashvili, and the Mugasashvili family named Sheshaberidze from Vargavi. Because of this, they are still called Vargaveli.

In both Khizabavra and Akhalkhiza, there is no family without nicknames. The following nicknames are found in the village:

Firia, Polada, Ghrina, Tsutsuna, Kvlepa, Dzagria, Tiga, Bidila, Khio, Gugula, Atso, Chachkvi, Lizard, Ako, Rukha, Chupa, Jomana, Salakhana, Stuze, Tseti, Jorikona, Khinkala, Koncho, Gnozlo Memisha, Neka, Khatali, Tskheno, Gigisha, Kintora, Pirgia, Adjara ...

The following toponyms can be found in the village: Napudzari, Mchedligora, Kariani, Vake, Khodabunebi, Kalo, Gaghma Chalebi, Kvakatsa, Mokhveuli, Nabaghari, Mtsvane Eklesia, Bneleti.

Currently, about 100 households are living in the village.

We drafted our article at the period when the name of the Village Akhalkhiza was the subject of discussion. Currently, the village of Bethlehem in the Gori Municipality is mentioned in all documents or social networks.

საკვანძო სიტყვები: ხიზაბავრა, ახალხიზა, ბეთლემი, შიდა მიგრაცია, ანთროპონიმია, ტოპონიმია, მეტალურგიის წარმოება

Keywords: Khizabavra, Akhalkhiza, Bethlehem, Internal Migration, Anthroponymy, Toponymy, Metallurgy Production

მიგრაციები საზოგადოების თანმხლები მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში. იგი გამოწვეულია ადამიანთა საარსებო მოთხოვნილებებით, ომებით, ეკონომიკური კრიზისით და სხვ. ადამიანები ცდილობდნენ უკეთესი საარსებო პირობების მოძიებას და დასახლებას. „ადამიანთა და ადამიანთა ჯგუფების გადაადგილება ერთი გეოგრაფიული პუნქტიდან მეორეში, ერთი გეოგრაფიული არეალიდან სხვა გეოგრაფიულ არეალში, გამოიხატება საერთაშორისო ტერმინით - მიგრაცია“ (თოფჩიშვილი 2015: 9).

„ჯავახეთის ქართული მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოში (მირითადად, შიდა ქართლში, აგრეთვე ქვემო ქართლსა და კახეთში) არის მიგრირებული. ეს მიგრაცია ინტენსიური იყო XVII-XVIII და XIX საუკუნის დასაწყისში. ჯავახეთიდან გადმოსახლებულებისადმი დიდ ინტერესს იჩენდნენ ქართლელი ფეოდალები, რადგან შეთხელებული მათი სამფლობელოები შევსებას საჭიროებდნენ. მიგრაციის ამ მიმართულებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოში წახდენილი დემოგრაფიული სიტუაციის გასაუმჯობესებლად. ჯავახეთიდან გადასახლებით კი ჯავახეთში ეთნოდემოგრაფიული ვითარება უარესდებოდა...“ (თოფჩიშვილი 2015: 282).

გორის მუნიციპალიტეტის სოფელი ახალხიზა მიგრირებული ჯავახეთიდან დასახლებული. სოფელი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, გორის მუნიციპალიტეტში (სკრის თემი), შიდა ქართლის

ვაკეზე, მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. ზღვის დონიდან 630 მეტრზე, გორიდან 7 კილომეტრის დაშორებით. 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, სოფელში ცხოვრობს 385 ადამიანი.

როგორც მოპოვებული მასალიდან ირკვევა, სოფელი ახალხიზა სამცხე-ჯავახეთიდან, ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრიდან წასულმა მოსახლეობამ დააარსა. 1907 წელს ამ ადგილზე 13 ოჯახი დასახლდა. 1910 წლისთვის 25 ოჯახამდე გაიზარდა. ახალმოსახლეებს სოფლისთვის ბეთლემის დარქმევა უნდოდათ, თუმცა კომუნისტური რეჟიმის პერიოდში ამ სახელის გამოყენება აუკრძალეს, ამიტომ სოფელს ახალხიზა დაარქვეს.

სათავადაზნაურო ბანკში დაგირავებული მიწა პადრე დომინიკე პაწაძე-მულაშაშვილს შეუსყიდია ოქროს ფულზე, გორიდან 67 კმ. - შიმდებარე სკრელი თავადის - შალიკაშვილის მამული, რომელიც საადგილმამულო ბანკში (ილიას ბანკში) იყო დაგირავებული. იყიდეს სახნავ-სათესი, მდინარის ნაწილი და ტყე სათიბით. 1910 წლიდან 25 ოჯახამდე გაიზარდა მოსახლეობა.

1911 წელს მას მეფის რუსეთის დაქირავებული ყაჩაღები სახლში შეუვარდნენ და ხანჯლით გამოასალმეს სიცოცხლეს. ჟანდარმერიამ ყაჩაღებს მიაგნო, პადრე კი გორის „ფრანგების ეკლესიაში“ დაკრძალეს. ეს ეკლესია ამჟამად ღვთისმშობლის მიძინების სახელობისაა და გორის ეპარქიის მთავარი ტაძარია.

ახალხიზაში დღესაც ცხოვრობენ დომინიკე პაწაძე-მულაშაშვილისა და იმ ოჯახების შთამომავლები, რომლებიც XX საუკუნის დასაწყისში სამცხე-ჯავახეთიდან ოსმალეთის იმპერიის წნეხს გაექცნენ. დომინიკეს ცოლ-შვილი არ დარჩა, თუმცა ამჟამად სოფელში მისი ძმის შთამომავლები ცხოვრობენ, რომლებიც მულაშაშვილებად იწოდებიან (ცხედებით მუგასაშვილებსაც).

ისტორიული წყაროების მიხედვით, დომინიკე მულაშაშვილის წინაპრები პაწაძეების გვარს ატარებდნენ და ცხოვრობდნენ ახალციხეში, რაბათის მიდამოებში. XVII საუკუნეში, თურქეთის მხრიდან დევნის გამო, სოფელ ხიზაბავრაში დამკვიდრდნენ. გადარჩენის მიზნით გვართან ერთად სარწმუნოებაც გამოიცვალეს და კათოლიკობა მიიღეს.

სოფლის ეტიმოლოგიას ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრამდე მივყავართ. იგი უძველესი და მდიდარი წარსულის მქონე სოფელია სამხრეთ საქართველოში. მოძიებული არქეოლოგიური მასალებით, სოფლის ხანდაზმულობა განისაზღვრება ენეოლით-ადრე ბრინჯაოს ხანით (ძვ. წ. აღ-ის V-IV ათასწლეულებით). სოფლის სახელწოდება, ლეგენდის მიხედვით, მიღებულია ორი სოფლის სახელის – ხიზისა და ბავრის შეერთებით. დღეისათვის ხიზა ნასოფლარია, ხოლო სოფელი უშუალოდ ბავრის ტერიტორიაზეა გაშენებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ საუკუნეების მანძილზე მტერთა დაუსრულებელი შემოსევების გამო ადგილი ჰქონდა სამხრეთ

საქართველოდან ადგილობრივი მოსახლეობის მიგრაციას. ეს პროცესი სოფელ ხიზაბავრასაც შეეხო. ხიზაბავრის მოსახლეობის ბაზაზე საქართველოში რამდენიმე სოფელი აღდგა და დაფუძნდა. კერძოდ: ხიზა, ახალხიზა, ნინიგორი, ნაწრეტი, სანავარდო, მთისძირი, ბაღდადი და ა.შ.

ამჟამინდელი მდგომარეობით, საქართველოს ყველა ქალაქსა და მრავალ სოფელში ცხოვრობს ათობით ხიზაბავრელი. მიგრირებულმა ხიზაბავრელებმა თან წაიღეს ტოპონიმების სახელებიც, როგორც ხშირ შემთხვევაში ხდებოდა. ახალხიზის შემთხვევაში დაურთეს ზედსართავი სიტყვა „ახალი“ და ფორმირებაც შესაბამისად მოხდა. ახალი ხიზა/ახალხიზა. შდრ.: ახალგორი, ახალშენი, ახალდაბა, ახალციხე, ახალქალაქი და სხვ.

ახალხიზაში ძირითადად იგივე გვარები ცხოვრობენ, ვინც მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩამოსახლდნენ ხიზაბავრიდან.

ახალხიზაში ჩამოსახლებულ ოჯახებს შორის არიან შემდეგი გვარები: მურადაშვილი, მუგასაშვილი, მამუკაშვილი, ბალიაშვილი, თარხნიშვილი, შეშაბერიძე, ხუციშვილი, დათაშვილი, სადათერაშვილი, ბალიაშვილი, მაზიაშვილი, სეფიაშვილი, მაზმიშვილი, ტატურაშვილი, ყაზაიშვილი, კალაიჯიშვილი, ჭონიშვილი.

სოფელ ახალხიზაში ვხვდებით სამცხურ-ჯავახური ანთროპონიმიკისთვის დამახასიათებელ მეტგვართა/შტოგვართა წარმოებას. მეტსახელებიდან მიღებულ მეტგვარებს აწარმოებს -იან/-იანთ/-ანთ/-ათ სუფიქსები:

მაგალითად:

მამუკაშვილების ორი შტო: ყაჭიანი (კატარიანთი) და კაკაანთი, ასევე ბალიაშვილების ორი შტო: კელთანთი და ბალათი.

ჭონიშვილების ერთმა კომლმა დაისიდა გოჩაშვილი, მურადაშვილებმა - სადათერაშვილი, ხოლო მუგასაშვილის ოჯახმა - შეშაბერიძე ვარგავიდან. ამის გამო ვარგაველებს ეძახიან დღესაც.

როგორც ჩვენი ინფორმატორი ნონა პაპიძე ამბობს, ოჯახი არ არსებობს მეტსახელების გარეშე. საილუსტრაციოდ გვინდა წარმოვადგინოთ რამდენიმე მათგანი, რათა მკითხველს საშუალება მიეცეს წარმოადგენა შეიქმნას მათ შესახებ. სოფელში გვხვდება შემდეგი მეტსახელები:

ფირია, ფოლადა, ღრინა, წუწუნა, ყვლეპა, მაგრია, ტილა, ბიდილა, ხიო, გუგულა, აცო, ჩაჩქვი, ხვლიკი, აქო, რუხა, ჭუპა, ჯომანა, სალახანა, ფუძე, ცეტი, ჯორიკონა, ხინკალა, გნოცო, ტრალა, კოჭლო, მემიშა, ნეკა, ხათალი, ცხენო, გიგიშა, ყინტორა, პირღია, აჭარა...

სოფელში გვხვდება შემდეგი ტოპონიმები: ნაფუძარი, მჭედლიგორა, ქარიანი, ვაკე, ხოდაბუნები, კალო, გაღმა ჭალები, ქვაკაცა, მოხვეული, ნაბადარი, მწვანე ეკლესია, ბნელეთი.

ინფორმატორები ამბობენ, რომ სოფელში ყველა ოჯახმა მძიმე პერიოდი გამოიარა. სოფელში ხშირად აწყდებოდნენ დაღუპულ ახალგაზრდებს, რომლებიც ოსმალეთის იმპერიის მოლაშქრეების



მსხვერპლნი ხდებოდნენ. გარდა ამისა, ისინი აწამებდნენ და იტაცებდნენ ქალებს.

ინფორმატორ ანა ავანაშვილის თქმით, რომელიც მურადაშვილების ოჯახის რძალია, მისი მეუღლის ბებიას ქამალს ეძახდნენ მეტსახელად იმიტომ, რომ ქამალ ფაშას მოსწონებია, უნდოდა მისი მოტაცება. ქალს ერთ-ერთი თურქი ჯარისკაცი მოუკლავს და შემდეგ იმ ჯარისკაცის სამოსით დადიოდა, რომ არავის ეცნო. მოულოდნელად გაიგო, რომ ფაშას ხალხს ქართველი ახალგაზრდა ბიჭები უნდა დაეპატიმრებინათ და წაეყვანათ, არავინ იცის, მოსაკლავად თუ რა მიზნით, მაგრამ ამ ქალმა ეს ამბავი ყველას გააგებინა, მათ შორის თავის შეყვარებულს, ანუ მისი ქმრის პაპას. ეს 14 ახალგაზრდა ტყეში გაიქცა და ორი კვირის განმავლობაში მთებს აფარებდნენ თავს. როცა ისინი ქამალთან და სხვა ბიჭებთან ერთად ტყეში გაიქცნენ, გზაზე ახალგაზრდა გოგონა ნახეს, თითქმის მომაკვდავი იყო წამებისგან, ზურგით ატარეს და გადაარჩინეს. ქამალი ცომს ნაჭერში ზელდა, აბრტყელებდა ქვაზე და მზეზე აცხობდა. წარმოიდგინეთ მზეზე გამომცხვარი პური, ცეცხლსაც კი არ ანთებდნენო, რომ არავის შეემჩნიათ მათი არსებობა. შემდეგ უკვე როცა მიწყნარდა სიტუაცია, წამოვიდნენ აქეთ (ანა ავანაშვილი, ინგლისური ენის მასწავლებელი).

თავდაპირველად ახალხიზას ტერიტორიაზე ჩამოსახლებულ მესხებს ადგილობრივები კარგად არ დახვედრიან, მუდამ დაპირისპირება ჰქონდათ. მეფის რუსეთის დროს რევოლუციონერები სოფლიდან მათ გარეკვას ცდილობდნენ. საბა ჭონიშვილი, რომელიც ერთ-ერთი იმ გვარის შთამომავალია, რომელიც ამ სოფელში ჩამოსახლდა და დამკვიდრდა, წერს, რომ გორის მაზრიდან ზარბაზნებითაც კი მიადგნენ სოფელს გასანადგურებლად: „მამაჩემი 11 წლის იყო, როცა დომინიკე მოკლეს. მისი მოსწავლე იყო. სახლში რომ ყაჩაღები შეუცვივდნენ, ეს პატარა ბიჭი ტახტის ქვეშ შეძვრა. საერთოდ, ძალიან დიდი დაპირისპირება მოჰყვა. გარშემო სოფლებში ფიქრობდნენ, რომ მათ მიწებს ვიტაცებდით, მაგრამ თანხა გადახდილი იყო, სახლები აშენებული და ყველანი ნაკვეთებშიც მუშაობდნენ. ერთხელ ზარბაზნებით რომ მოადგნენ სოფელს, დაინახეს, რომ ქალები ბალებს იყვნიენ მოდებულები. აბა, ამათ როგორ უნდა ვესროლოთო და ისევ უკან გაბრუნდნენ. მიუხედავად ამისა, პადრე პაწაძე მაინც შეიწირეს” - ჰყვება საბა ჭონიშვილი. მან ის ადგილი გვაჩვენა, სადაც პირველი სახლები ააშენეს. ეს ადგილი სასაფლაოებთან ახლოსაა. 1921 წლის მიწისძვრის დროს ძველი სახლები, რომლებიც უხარისხოდ იყო აშენებული, დაინგრა. შემდეგ ოდნავ ქვემოთ, ამჟამინდელი სოფლის ადგილას ჩავიდა მოსახლეობა (<https://www.qartli.ge/ge/akhali-ambebi/article/7284-bethlemigorisraionshidominikemughashashvilisdaarsebulisofeli>).

სოფლის ტერიტორიაზე სკოლა ააშენეს, საბავშვო ბაღიც და ეკლესიაც. სოფელი ძირითადად მენშევიკური მთავრობის პერიოდში გაშენდა. საბა ჭონიშვილი ამბობს, რომ სწორედ მენშევიკების პროექტითაა გაშლილი

სოფელი. „შეხედეთ სხვა სოფლებს, როგორაა გაშენებული. კომუნისტები გაიყვანდნენ ერთ ცენტრალურ გზას და მთელი სოფელი ამ გზაზეა მიბმული. ჩვენთან ასე არაა. ჩვენთან ყველა სახლს თავისი გზა აქვს. უნიკალური პროექტი გააკეთეს მენშევიკებმა,“ - აცხადებს საბა ჭონიშვილი. ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ ეკლესია დაანგრის, საკლესიო ნივთები გადაყარეს.

ამჟამად სოფელში დაახლოებით 100 კომლი ცხოვრობს. ნაწილი მართლმადიდებლური წესით ინათლება, მოსახლეობის დაახლოებით 2-3% კვლავ კათოლიკურ წესს მისდევს, ძირითადად ასაკიანი ხალხი.

ფილოლოგი, ახალხიზის სკოლის პედაგოგი ნონა პაპიძე რამდენიმე წელია სოფლის ისტორიის შესახებ მასალებს იკვლევს, მოსწავლეებთან ერთად ატარებს ღონისძიებებს სოფლის შესახებ. მისი თანადგომით მოვიძიეთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც ამ სტატიის მომზადებისას გამოვიყენეთ. თვითონაც ხიზაბავრაში მოქმედი (1919-1920 წლებში ჩამოყალიბებული) „განწირულთა ათასეულის“ ერთ-ერთი მეთაურის - ეფრემ ველიჯანაშვილის შთამომავალთა რძალია. იგი ამბობს: „დღეს ზღვარი კათოლიკეებსა და მართლმადიდებლებს შორის თითქმის წაშლილია. თუკი ადრე, მაგალითად, იყო უარყოფითი დამოკიდებულება, ძირითადად მეზობელ სოფლებში, ფაქტობრივად აღარ არსებობს. გამრავლდნენ ოჯახები. ბევრ ოჯახს რძალი მართლმადიდებელი ჰყავს. ცნობიერებაც შეცვლილია. ვინც დარჩა ტრადიციულ, კათოლიკურ რწმენაში, მათაც საკუთარი ეკლესია აქვთ. ჰყავთ თავიანთი პადრე და ლოცულობენ სხვადასხვა დღესასწაულების დროს“.

გასულ წელს მდგომარეობა შეიცვალა და 2019 წლის 11 მარტს სოფელმა მიიღო სახელწოდება ბეთლემი. სოფელ ახალხიზისთვის სახელწოდების შეცვლის შესახებ გადაწყვეტილება გორის მუნიციპალიტეტმა 2019 წლის 11 მარტს მიიღო (<https://gori.gov.ge/gancxadebebi/514-sofel-axalxizas-betlemi-etsoda.html>).

შენიშვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ პერიოდში მუშავდებოდა ჩვენი სტატია, როდესაც მიმდინარეობდა მსჯელობა სოფლის სახელწოდების შეცვლის თაობაზე. ამჟამად ყველა დოკუმენტაციასა თუ სოციალურ ქსელში ფიქსირდება გორის მუნიციპალიტეტის სოფელი ბეთლემი.

**დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები**

თოფჩიშვილი 2015: თოფჩიშვილი რ., ხალხთა მიგრაციები. თბილისი, 2015.  
<https://www.qartli.ge/ge/akhali-ambebi/article/7284-bethlemigorisraionshidomini-kemughashashvilisdaarsebulisofeli> (20.08.2019).  
<https://gori.gov.ge/gancxadebebi/514-sofel-axalxizas-betlemi-etsoda.html> (20.08.2019).  
<https://www.qartli.ge/ge/akhali-ambebi/article/7284> (20.08.2019).

**ინფორმატორები:**

ნინო პაპიძე, ფილოლოგი, ქართული ენისა და ლიტერატურის  
მასწავლებელი, სოფელ ბეთლემის მკვიდრი.  
ანა ავანაშვილი, ინგლისური ენის მასწავლებელი, სოფელ ბეთლემის  
მკვიდრი  
საბა ჭონიშვილი, სოფელ ბეთლემის მკვიდრი.

**ბოლნისის მუნიციპალიტეტის ქართული მოსახლეობა  
(2019 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიში)**

**The Georgian population of Bolnisi Municipality  
(The report of the ethnographic expedition in 2019)**

**დავით შავიანიძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ქუთაისი

**Davit Shavianidze**

Akaki Tsereteli State University  
Georgia, Kutaisi

**ABSTRACT**

During the students expedition of Akaki Tsereteli State University of the faculty of humanities we have conducted ethnographic research and have interviewed the people in Bolnisi, Pitareti, Kveshi, Ratevani, Akaurta, Kianeti, Kazreti, Balicha, Mashavera (July, 2019).

Enemy invasions were followed by the losing Georgian territories, emptying villages and resettlement of the foreign nations on the Georgian lands. Only the following villages are survived from the villages that existed in the beginning of XVIII c: Musopriani, Itsria, Balakhauri, Mukhrana and Mtsknetia.

The villages are registered with the Georgian names, although some of them are named by their Azerbaijanian names (Bovnisi - Ekaterinenpildi -Luxemburg -city Bolnisi; Khachini - vil. Bolnisi; Injaoghli - middle Bolnisi; Kapanakhchi - Lower Bolnisi; Tandzia - Tandzia; Tamarisi - Tamarisi; Kazreti - Kazreti; Ratevani - Ratevani; Salalari - Zvareti; Rachisubani -Rachisubani; Japarlo - Samtredo; Migitlo - Vanati; Tsitelsopeli - Khatisopeli; Samtsevrissi -Samtsevrissi; Poladauri -Poladauri; Sarachlo - Mamkhuti; Kvemo Koshakilisi - Kvemo Arkevani, Zemo Koshakilisi - Zemo Arkevani; Patara Ahmedlo - Khataveti; Darbazi -Darbazi; Zemo Gulaveri - Tsipori; Demurlo - Khakhalajvari; Kibirjiki - Chreshi; Akaurta - Akaurta; Dzveli kveshi -Dzveli kveshi; Arakeli - Dzedznariani; Musopriani-Potskhveriani; Kvemo Gulaveri - Geta; Bektakari - Bertakari; Karadashi - Itsria; Senebi - Senebi; Balichi

- Balichi; Mughanlo - Parizi; Lagiri- Tsurtavi; Pakhralo - Talaveri; Patara Darbazi - Patara Darbazi; Imirasani - Savaneti; Kveshi - Kveshi; Abdalo - Javshaniani; Kianeti - Kianeti, Mushevani -Mushevani, Karatikani - Sabereti; Arakhlo - Nakhiduri; Asankhojalo - Khidiskhuri; Siskala - Balakhauri; Tashtikulari - Mukhrana; Kochulo - Chapala; Asmalari - Mtskneti; Tapani - Disveli; Tsughrughasheni - Tsughrughasheni).

We have rarely found villages settled by Georgians as a majority.

The diversional information about ethnic identity of the cultural levels, mentality, traditions, agriculture and the remains of the primary habitat are reflected in the obtained data - in the place names and the lexical units („Tamarisarkhi [Tamar's Channel]“; „Berebis Tskhali {water of the monks}“; „Batonis Tskali [the water of the lord]“; „or saktre“; „Shushkhuna Tskaro“ [sparkling spring]“; „Tsitelitskaro [red spring]“; „Pantiani [place where wild pear is grown]“; „velebi [fields]“; „Gokhebi“; „Javakhi“; „Mija“; „Akvaneba“; „Ojakhisdambrunebeli kali [the woman who got the family back]“; „Kargi Patardzali [good bride]“; „Vartsl-burjis Kali“; „Namdvilojakhi“ [the real family]; „Garetuli bebia [grandma who is out]“; „Komagoba [supporting]“; „Bediti [vain]“; „Ghrmasopeli [deep village]“ ; „Moichita [becoming colorful]“; „Tserebaddadgma“...)

The people from the different regions of Georgia were sharing their own local-regional rules to each other after their resettlement in Bolnisi.

It is also noteworthy that the local Georgian rituals are being forgotten. The holiday of “Lamproba” is never held anymore. The family name suffix, that was peculiarity of the subdivisions of Svan families was replaced with the suffix “-anti” After the resettlement in Bolnisi

During our fieldwork we have recorded the epitaphs of the praise genre, about the private life, as well as describing the attitude towards the private life, behavior in the family and in the rest of society, towards the native country, etc. We have also checked the list of the family names that have been living earlier in the particular villages. We have recorded the text about the traditional methods of folk medicine and social upbringing.

We think that the integration of the representatives of the not Georgian ethnos and the local Georgians living in Bolnisi municipality villages should deserve more attention

საკვანძო სიტყვები: ეთნოგრაფიული ექსპედიცია, კომპლექსური კვლევა, ეთნიკური ჯგუფი, ყოფა, ეთნოგრაფიული ტერმინები, მთხრობელთა მეხსიერება, ლექსიკური ერთეულები, ტრადიცია, რიტუალები.

Keywords: Ethnographic Expedition, Complex Research, Ethnic Group, Being, Ethnographic Terms, Narrators' Memory, Vocabulary Units, Tradition, Rituals.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით ბოლნისის მუნიციპალიტეტში გამართული ეთნოგრაფიული ექსპედიციის (2019 წლის ივლისი) მიმდინარეობისას საძიებო სამუშაოები ვაწარმოეთ ბოლნისის, ფიტარეთის, ქვეშის, რატევანის, აკაურთას, კიანეთის, კაზრეთის, ბალიჭის, მაშავერას ქართველ მოსახლეობაში. ბოლნისში ექსპედიციის გამართვა განაპირობა მთხრობელთა მეხსიერებაში/მუზეუმ-არქივში შემორჩენილი იმ მასალების მოძიების აუცილებლობამ, რომლებიც ისტორიული წარსულის, გარე ძალთა ქმედებით დამდგარი ეთნიკურ-კულტურული მოზაიკურობის, აწმყოს გლობალურ-კულტურული პროცესების შემსწავლელი პირველ-წყაროა.

ისტორიული და აწმყოს ეთნიკურ-პოლიტიკური სინამდვილე: ადრე და შუა საუკუნეებში შემოსეულ მტრებთან ომების თანამდევნი იყო ქართული ტერიტორიების დაკარგვა, დაცარიელება, ქართულ მიწებზე უცხოელთა ჩამოსახლება. ასე მოხდა XVII საუკუნის დასაწყისში, როცა ქვემო ქართლში ქართველების საბოლოოდ ამოგდების მიზნით შაჰ-აბასმა ჩაასახლა თათრული ტომი „ბორჩალო“<sup>1</sup>; XVIII საუკუნის დასაწყისში ყარაბახის ხაჩინიდან სომხების 68 ოჯახი გადმოსახლებულა ბოლნისის რაიონის სოფელ ჯაპარლუში (ჩამოსახლებები ქვემო ქართლში იხ.: გიგაური... [http://www.dzeglebi.ge/statiebi/istoria/chamosaxlebebi\\_qvemoqartilshi.html](http://www.dzeglebi.ge/statiebi/istoria/chamosaxlebebi_qvemoqartilshi.html)). უკეთესისკენ მდგომარეობა არც რუსებისგან საქართველოს დაპყრობის შემდეგ შეცვლილა. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ოსები დასახლდნენ ბოლნისის რაიონის სოფლებში<sup>2</sup>. რუსებმა გეგმაზომიერად ჩამოსახლეს სხვა არაქართული დიასპორებიც“ (მსჯელობისათვის იხ.: გორდეზიანი 2018). კოლონიზაციის აღსრულებისთვის 1818 წლიდან საქართველოში გერმანელების ჩამოსახლების „აუცილებლობა“, გენერალმა ა. ერმოლოვმა „ქართველთაგან მეურნეობის გაძლიერების უუნარობით“ „დაასაბუთა“ (გიგაური... [http://www.dzeglebi.ge/statiebi/istoria/chamosaxlebebi\\_qvemoqartilshi.html](http://www.dzeglebi.ge/statiebi/istoria/chamosaxlebebi_qvemoqartilshi.html)). შესაბამისად, იცვლებოდა რეგიონის დემოგრაფიული მდგომარეობაც. აღნიშნულის შედეგად 1959-1979 წწ. საქართველოს მთელი მოსახლეობის რიცხოვნობა გაიზარდა 24%-ით, აზერბაიჯანელების კი -

<sup>1</sup> დებედის ხეობაში XVII საუკუნეში ჩამოსახლეს თურქმანული ტომი „ბორჩალო“. 1604 წელს შაჰმა აქ სახანო შექმნა. ტერიტორია XVIII საუკუნეში ქართლს დაუბრუნდა. 1880 წელს ამ ტერიტორიაზე შეიქმნა ბორჩალოს მაზრა ცენტრით დაბა შულავერში. იგი მოიცავდა წალკის, მანგლისის, თეთრი წყაროს, დმანისის, ბოლნისის, მარნეულის ტერიტორიას, აგრეთვე სომხეთისა და აზერბაიჯანის მოსაზღვრე რაიონს. აზერბაიჯანული ირედენტისტული კონცეფციით (მთლიანი აზერბაიჯანი) „ბორჩალო“ გაიგივებულია ქვემო ქართლთან და აზერბაიჯანის ინტეგრალური ნაწილია (<https://ka.wikipedia.org/wiki/ბორჩალო>).

<sup>2</sup> გ. ჩიტაია თავის „ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბულაღის რაიონში“ წერდა: „ოსები (აღკალაფა, დმანისი, ფიტარეთი და სხვა) უმთავრესად შიდა ქართლის სოფლებიდან არიან მოსული, ნაწილობრივ ახალი ფენა გუჯარეთიდან“.

66%-ით, ანუ მათი საშუალო წლიური ზრდა შეადგენდა 2,66%-ს<sup>3</sup>; 1930 წლის სტატისტიკური მონაცემებით, დაბა ლუქსემბურგში 5500 ადამიანი ცხოვრობდა. მათ შორის: 3500 გერმანელი, 200 ქართველი, 450 თათარი, 150 ებრაელი, 750 სომეხი; 2017 წლის 1 იანვრის მონაცემებით, ქართველთა ხვედრითი წილი 29,5 პროცენტია. ბოლნისში (თანამედროვე ლუქსემბურგში) მკვიდრი ყველა სხვა ეთნოსის წარმომადგენლებს<sup>4</sup> (უკრაინელი, ებრაელი, ყაზახელი თათარი, კორეელი, რუმინელი, პოლონელი, გერმანელი და სხვა) უსწრებენ აზერბაიჯანელები. მათი ხვედრითი წილი - 63,3 პროცენტია (დანელია 2018: 68<sup>5</sup>; გორდეზიანი 2018: 158, 164).

ეთნოგრაფიული მასალები მოგვითხრობენ მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელთა კატერინენფელდიდან (იგივე ლუქსემბურგი) და აზერბაიჯანელთა ნაწილის ბოლნისისა და მარნეულის რაიონებიდან XX საუკუნის 90-იან წლებში გასახლების შესახებ: „ისტორიული სინამდვილეა ის, რომ სსრკ-ს სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის 1941 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებულებით, კავკასიაში მცხოვრები გერმანელები 15 ოქტომბრიდან 12 ნოემბრის ჩათვლით გადასახლეს ციმბირსა და ყაზახეთში. გერმანელები გაასახლეს ბოლნისიდან, რათა ფაშისტებს აქ დასაყრდენი არ ჰქონოდათ. გერმანელების ჩამოსახლება მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ აჭრელებას. თუმცა რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა ვერ მოახდინეს ქართველთა და აზერბაიჯანელთა წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებზე. გერმანელები ადგილობრივ მკვიდრ ქართველებთან შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ, გლეხებს თავიანთ ფერმებსა თუ მიწებზე ამუშავებდნენ, უხდიდნენ ჯამაგირს. ზრუნავდნენ ქალაქის კულტურულად აღორძინებისა და განვითარებისათვის“ (მთხრობელები: პ. დანელია, გ. დემურაშვილი). „XX ს. 90-იან წლებში ტოვებდნენ ბოლნისსა და მარნეულს აზერბაიჯანული ეთნოსის წარმომადგენლები. დღეს აზერბაიჯანელთა ემიგრაცია და თავიანთი ხელისუფლება ხელს უწყობენ, რომ აქედან წასვლა არ იფიქრონ. ისინი უმრავლესობით ახერხებენ აქაურობის ისტორიულ მკვიდრებად თავის წარმოჩენას“<sup>6</sup> (მთხრობელები:

<sup>3</sup> 1990-1995 წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის მიზეზით, განხორციელდა ბერძენი, ოსი, რუსი, აზერბაიჯანელი და სომეხი ეთნოსის წარმომადგენელთა მცირე ნაწილის მიგრაცია.

<sup>4</sup> მიგვაჩნია, რომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფლების მკვიდრი, უცხო ეთნოსის წარმომადგენელთა ქართულთან ინტეგრაციას. აღნიშნული უზრუნველყოფს ქართული კულტურული სახის გამყარებასაც.

<sup>5</sup> 1924 წელს სოფელ კატერინენფელდს დაერქვა დაბა ლუქსემბურგი. 1943 წელს, გერმანელთა გადასახლების შემდეგ - დაბა ბოლნისი. იგი 1967 წლიდან ქალაქია (დანელია, 2018).

<sup>6</sup> ნაცნობი და ჩვენ მიერ აღწერილი სინამდვილე არის საფუძველი იმისა, რომ ყველა აქაური ქართველი გეტყვის ხათუნა ქარაიას ლექსის ამონარიდს: „ბოლნისელი ხარ, მაშ, ყოფილხარ ორგზის ქართველი“.


გ. მიქელაძე, მ. მოსემვილი, თ. გაბიძაშვილი, ზ. გვარამე. კაზრეთი, აკაურთა, ტანძია, ბოლნისი).

რეალობაა ის, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბევრი სოფელი დაიკარგა (XVIII საუკუნის დასაწყისში არსებული სოფლებიდან დღეს მხოლოდ მუსოფრიანი, იწრია, ბალახაური, მუხრანა და მწყნეთია გადარჩენილი და ისიც აზერბაიჯანული ეთნოსის წარმომადგენლებითაა დასახლებული). გადარჩენილ სოფლებს დღეს უკვე ქართული სახელები ჰქვიათ, თუმცა ზოგჯერ მათ ძველი, აზერბაიჯანული სახელებით იხსენიებენ. იშვიათია სოფელი, სადაც ბოლომდე ქართველები იყვნენ უმრავლესობაში.

სოფლები ადრინდელი და დღევანდელი სახელებით: ბოლნისი - ეკატერინენფელდი-ლუქსემბურგი - ქ. ბოლნისი; ხაჩინი - სოფ. ბოლნისი, ინჯაოლი - შუა ბოლნისი; ქაფანახჩი - ქვემო ბოლნისი; ტანძია - ტანძია; თამარისი - თამარისი; კაზრეთი - კაზრეთი; რატევანი - რატევანი; სალაღარი - ზვარეთი; რაჭისუბანი - რაჭისუბანი; ჯაფარლო - სამტრედო; მიგირლო - ვანათი; წითელსოფელი - ხატისოფელი; სამწევრისი - სამწევრისი; ფოლადაური - ფოლადაური; სარაჩლო - მამხუტი; ქვემო ქოშაქილისი - ქვემო არქევანი; ზემო ქოშაქილისი - ზემო არქევანი; პატარა აჰმედლო - ხატავეთი; დარბაზი - დარბაზი; ზემო გულავერი - წიფორი; დემურლო - ხახალაჯვარი; კიბირჯიკი - ჭრეში; აკაურთა - აკაურთა; ძველი ქვეში-ძველი ქვეში; არაქელი - ძემენარიანი; მუსოფრიანი - ფოცხვერიანი; ქვემო გულავერი - გეტა; ბექთაკარი - ბერთაკარი; ყარადაში - იწრია; სენები - სენები; ბალიჭი - ბალიჭი; მულანლო - ფარიზი; ქოლაგირი - ცურტავი<sup>7</sup>; ფახრლო - ტალავერი; პატარა დარბაზი - პატარა დარბაზი; იმირასანი - სავანეთი; ქვეში - ქვეში; აბდალო-ჯავშანიანი; კიანეთი - კიანეთი; მუშევანი - მუშევანი; ყარათიქანი - საბერეთი; არახლო - ნახიდური; ასანხოჯალო - ხიდისყური; სისკალა - ბალახაური; ტამტიკულარი - მუხრანა; ქოჩულო - ჭაპალა; ასმაღარი - მწყნეთი; თაფანი - დისველი; წულრუღაშენი - წულრუღაშენი.

<sup>7</sup>შეგნიშნავთ, რომ იმთავითვე არამართებული იყო სოფლისათვის სომხური ტოპონიმის, ცურტავის დარქმევა. ცურტავში ორივე (ქართველი და სომეხი) ერის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ და სინამდვილეში იყო საქართველო-სომხეთის ძველ საზღვართან.





მიხრობელთა დამოკიდებულება, რომ ქართველები „იყვნენ ზარმაცი, შრომისუნარო, ცხოვრების ზოგიერთი სფეროს მართებულად ვერგამთვლელი“, არაა გასაზიარებელი. მიუღებელია ბოლნისის მკვიდრ ქართველთა ნაწილის წუხილი, რომ „არ ავითვისეთ გერმანელთაგან ლუდის დამზადების წესიც კი“, რადგან ქართველთაგან ლუდის დამზადების ხელოვნება ერთ და ორ ასეულ წელზე მეტს ითვლის. შდრ.: ბარონ ჰაქსტ ჰაუზენსი (1843 წელს უმოგზაურია საქართველოში) წერდა: „ჩემდა განსაცვიფრებლად მე ვნახე, რომ კოლონისტებს გადაუღიათ პურის ლეწვის ქართული წესი“; „გერმანელმა კოლონისტებმა თუ რამე ახალი შემოიტანეს, ეს იყო მხოლოდ ცხენების გუთანში შებმა“ (გუგუშვილი 1949: 498; მოამბე 1899/4).

ჩვენ მიერ მოძიებულ ტოპონიმებსა და ლექსიკურ ერთეულებში კარგად ჩანს სხვადასხვა ინფორმაცია ეთნიკური კულტურის ფენების, ქართული მენტალობა-მახასიათებლების, ტრადიციული ყოფის, სამეურნეო კულტურის და პირველსაცხოვრისის კვალის შესახებ. მათი შესწავლა ნათელს მოჰყენს ისტორიული ლექსიკოლოგიისა და დიალექტოლოგიის საკითხებსაც: თამარის არხი; საბერეხევი - ბერების სამყოფი გამოქვაბული

სოფელ ქვეშში. აქვეა: ბერების წყალი; ბატონის წყალი; ორ საყდრე - ადგილი კაზრეთში (აქ ორი საყდარი დგას ერთად); ქაჩალ გორა - უნაყოფო გორა; შუშუნა წყარო; წითელი წყარო; პანტიანი - პანტა მსხლიანი ადგილი სოფელ ბალიჭში; ველები - ხორბლის სათესი ადგილი ბალიჭში; გოხები - ხორბლის სათესი ადგილი ბალიჭში; გრძელი მიწები - ადგილი სოფელ ბალიჭში (აქ ვაზი ყვაოდა); ნესტორას ვენახი; ჯავახი - ადრინდელი მიჯა (დღეს ჯავახი „იმიტომ ეწოდა, რომ მტერი შემოდიოდა ამ ხეობიდან“. შდრ.: ვ. ბერიძის მიხედვით, ეჯავახება ნიშნავს „ახირებას, შეჯიბრებას, შებმას სიტყვით ან ძალით“); ქაჩალგორა - გამწვანება არ იყო იქ; აკვანება - სოფელ ქვეშში („უშვილო წყვილები მიდიოდნენ იქ“).

ლექსიკურ ერთეულებში ასახულია ეთნოსის კულტურული სახე, ცხოვრების წესის, ტრადიციების საფუძველზე დაგროვილი გამოცდილება-თავისებურებები: ნამდვილი ოჯახი - „ოჯახი, სადაც სიყვარულია, მორიდებაა, ოჯახის უფროსი ქალის და მამაკაცის, ზოგადად სწორი აზრის მოსმენა-მიყოლაა“; გამეტებული - „იტყვიან ოჯახისთვის თავდადებულ და არა შეწირულ დიასახლისზე, რომელიც უფრო ღიად უდგება ოჯახობის გულს, ვიდრე მამაკაცი“; გარეთული ბებია - „ბებია ქალი, რომელიც 7 დღე უვლიდა ახალშობილს“; ჩონთო - „ჩონთოში, ბნელ წყლიან ხევში რომ მიდიხარ, ჭინკები გეკიდებიან ისე, რომ ჩემი დღე დამთავრდაო, ფიქრობ“; ქომაგობა - „მამითადი/ნადი“; ბედიტი - „მოსულელო, თავის ეჯე-ბეჯე, ალთა-ბალთა კაცი“ (ბოლნისის მკვიდრ რაჭველთა დიალექტი); ზვარაკი - „პირველმონაგები ხბო, ზვარაკად შესაწირი მოუნათლავისთვის ან იმისთვის, ვისაც შემწირველი არ ყავდა“ (ბოლნისის მკვიდრ რაჭველთა დიალექტი); გამოფალვა - „ბანძურზე/ჯოხზე მრგვლად დაგებული მატერიით ფურნეს გამოვასუფთავებდით“ (თანაბრად იყენებენ ადგილობრივი მკვიდრი ქართველები და ჩასახლებული რაჭველები); ფრიალო - „არა ციცაბო, არამედ ისეთი ადგილი, სადაც არაფერია“; მოიჩითა - „ორმოცი დღის ბავშვი მოჩითულია, ოჯახის წევრად დაფუძვნებულია“; წვერებად დადგმა - „მომკილი პურის ზვინებად დადგმა“; კერძი - ნათესავთან გათანაბრებული ადამიანი. „კერძს, ძალიან ახლობელს, დაუტოვებდი შვილს აღსაზრდელად, დასასაქმებლად“ (ბოლნისელ რაჭველთა დიალექტი).

ხელოვნურ ნათესაობა-ნათლობასთან დაკავშირებით დამოკიდებულება საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსია. იტყვიან: „ნათლიას ბანზე ფეხი არ უნდა დაადგაო“ (გამოთქმა გვასწავლის, რომ ნათლიას სიყვარულმა და პატივისცემამ მისი შეურაცხმყოფელი, ღირსების შემლახველი არაფერი უნდა გაგაკეთებინოს - დ. შავიანიძე).

დადასტურდა, რომ ბოლნისში გადმოსახლებული სვანები ჯერ კიდევ ინტონაციით საუბრობენ.

მოვიძიეთ მატერიალური და სულიერი კულტურის თავისებურებათა დამახასიათებელი ობიექტი - საფლავის ქვები. საფლავის ქვებზე,

თავსა და გვერდების მხარეს ამოკვეთილი ეპიტაფიებით დასტურდება, რომ რეგიონის უძველეს მოსახლეობას ეთნიკური ქართველები წარმოადგენდნენ. ბოლნისის სოფლების საფლავის ქვების წარწერები არის არა მხოლოდ სახობო შინაარსის და ასახავს მიცვალებულის პირად ცხოვრებას, არამედ: გარდაცვლილის გარდაცვალებამდე ადგილს ოჯახსა და დანარჩენ სოციუმში, მის საქმიანობას, მიმართებებს ადამიანებისადმი, ქვეყნისადმი, საქმისადმი, სურვილებს, პროფესიას. გვაწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა გვარები ცხოვრობდნენ ადრე სოფელში.

ბოლნისში მოძიებული ეთნოგრაფიული მასალები შეიცავს ინფორმაციას ხალხური მედიცინის განვითარების შესახებ. მიგვაჩნია, რომ ბოლნისის ქართულ მოსახლეობაში სამედიცინო განვითარებულობის საფუძვლებია: 1. გეოგრაფიული გარემო და ადამიანისგან ბუნების ცოდნა; 2. საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარიდან ჩამოსახლებულთა ხალხურმა სამედიცინო ცოდნამ მოიყარა ერთ რეგიონში; 3. ადგილობრივი ქართული მოსახლეობა ვერ ენდობოდა უცხო ეთნოსის წარმომადგენელ ვერც მედიკოსებს და ვერც ხალხური მედიცინის წარმომადგენელს. აღნიშნული მით უფრო გასათვალისწინებელია, რომ უამრავი მასალა ჩავიწერეთ, მაგალითად, აზერბაიჯანელთაგან მაგიური ქმედებების შესახებ.

„1940-იან წლებში ქართველების მოზრდილი ჯგუფი ბოლნისსა და მის სოფლებში ჩასახლეს რაჭა-ლეჩხუმიდან და ზემო იმერეთიდან. 1956 წელს სამშობლოს დასახლების დასაჯილი, შუა აზიაში გადასახლებული ყარაჩაელების პოლიტიკური რეაბილიტაცია მოხდა და საკუთარ საცხოვრებელ ადგილზე დააბრუნეს. მათ ადგილებზე ჩასახლებული რაჭველების (ღების, ჭიორას, გლოლას, უწერას მკვიდრი მოსახლეობა) ჯგუფი კი ბოლნისის სოფელ რაჭის უბანში ჩამოსახლეს. 1988-1989 წლებში მომხდარი ბუნებრივი კატაკლიზმების გამო ბოლნისში ეკომიგრანტები აჭარიდან, ლეჩხუმიდან და სვანეთიდან ჩამოსახლეს. ბოლნისის თემის ქართულ ტრადიციებზე, წეს-ჩვეულებებზე, ხელოვნური ნათესაობის ფორმებზე ჭრელმა ეთნიკურმა გარემომ გავლენა ვერ მოახდინა. „საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ბოლნისში ჩამოსახლებულებს თავის კუთხურით ერთმანეთი არ ეუცხოვებათ, ყველა თავის მხრის წესს ინარჩუნებს (მაგალითად, რაჭველებს „ასკილყვავილობის“ ტრადიციული საწესო რიტუალი<sup>8</sup> ბუნებრივია ბოლნისის მკვიდრი დანარჩენი ქართველებისთვის), ერთმანეთისაგან ვღებულობთ. არ გვიჭირს არც ერთი და არც მეორე, რადგან ქართულია მოტანილიც და ადგილობრივიც. ერთიანობით მივიღეთ ყველას მახასიათებლის გადარჩენის ბედნიერება“.

<sup>8</sup> „გაზაფხულზე ნაკლებად გაძლევს ბუნება საჭმელს, არადა, საჭმელი რომ გქონდეს, ამ დროიდან უნდა იმუშაო. მუშობას ღონე უნდა. ამიტომ ვინახავდით პროდუქტს ხან ქილებში, ხან სხვა წესით და მაშინ ვიყენებდით“.

უნდა ითქვას, რომ შესამჩნევია საქართველოს სხვადასხვა თემიდან ბოლნისში ჩასახლებულ ქართველთა ლოკალური რიტუალების მივიწყებაც. თითქმის აღარ ტარდება „ლამპრობის დღესასწაული“; ბოლნისის მუნიციპალიტეტში გადმოსახლების შემდეგ სვანეთიდან ჩამოსახლებულთა გვარის დანაყოფების აღმნიშვნელი ტერმინები („ლამხუბი/სამხუბი“<sup>9</sup>) ჩანაცვლდა – ანთი სუფიქსიანი წარმოებით: ბაკანთი და არა ბაკაშერები; ნოდარაანთი და არა ნოდარშერები; ხუზიაშა – ხუზიაანთი; დავითოლშა – დავითაანთი; კოკოშა – კოკშაანთი (მთხრობელი: ალ. ვიბლიანი, ტანძია, 70 წლის).

უკვე დაახლოებით ერთი ათეული წელია, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფლების ქართულ მოსახლეობაში დაქორწინების მომწესრიგებელი სოციალური ქსელი გახდა. ირკვევა ისიც, რომ თანამედროვეობის ამ ახალი „შუამავლის“ საფუძველზე შექმნილი ოჯახები არამყარია.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფლების ქართული მოსახლეობაში აღზრდის ტრადიციული მეთოდების შესახებ მოძიებული მასალებით ირკვევა, რომ დღეს უკვე აღზრდას ჩაენაცვლა გაზრდა: „ხშირად გაიგონებ, რომ ბევრი შვილი ბევრი ხარჯია. მიზეზი ეკონომიკური მდგომარეობაა. იმასობაში მიინავლა განცდა, რომ შვილს სამშობლოს აძლევ, „შესაბამისად ერთიც მეყოფას“ პრინციპია გამეფებული“ (მთხრობელი: ლ. მუშკუდიანი, ბოლნისი).

ექსპედიციის პერიოდში მოვიპოვეთ მასალები „ძველ დროში“ სოფელ ფოლადაურში საბრძოლო იარაღის დამზადების შესახებ.

ექსპედიციის შედეგები: სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო კვლევითი მუშაობისთვის ახალი ეთნოგრაფიული, ისტორიულ-ენობრივი თვალსაზრისით საინტერესო მასალების მიწოდების შესაძლებლობა; სტუდენტებში გაღრმავდა ინტერესი ეროვნულ-კულტურული მემკვიდრეობისადმი; გაიზარდა აღნიშნულის შენარჩუნების მოტივაცია, რაც ხელს შეუწყობს ნოვაციათა ქართველურ მენტალობასთან, ეთნიკურ-კულტურულთან მისადაგების მზაობას.

<sup>9</sup> ველზე მუშაობის დროს ლატალში, 2017 წელს, სვანურ გვართა დანაყოფების სახელად „ლამხუბთან“ და „სამხუბთან“ ერთად დავადასტურეთ „კავი“. შემდგომი კვლევებით ირკვევა, რომ სვანეთში ყველგან იცნობენ ტერმინს აღნიშნული მნიშვნელობით.

---

**დამოწმებული ლიტერატურა**

გიგაური... 2003: გიგაური ზ., ბეჟუაშვილი დ., ალგეთის ხეობა. თბილისი, 2003.

გიგაური...: გიგაური ზ., ბეჟუაშვილი დ., ჩამოსახლებები ქვემო ქართლში [http://www.dzeglebi.ge/statiebi/istoria/chamosaxlebebi\\_qvemoqartlshi.html](http://www.dzeglebi.ge/statiebi/istoria/chamosaxlebebi_qvemoqartlshi.html). 25.08.2019.

გორდეზიანი 2018: გორდეზიანი თ., ბოლნისის მუნიციპალიტეტის კომპლექსური ატლასი, ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათება (რედაქტორი თ. გორდეზიანი). თბილისი, 2018.

გუგუშვილი 1949: გუგუშვილი პ., საქართველოს ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX-XX სს., ტ. I. თბილისი, 1949.

დანელია 2018: დანელია პ., ბოლნისი, კატერინენფელდი, ლუქსემბურგი, ბოლნისი. თბილისი, 2018.

მოამბე 1899: უცხოელების დაბინავება საქართველოში. ჟურნალი „მოამბე“, 1899, №4.

ქართული წერილობითი კულტურის მონაგაგანი

**Guardians of Georgian Written Culture**

**ლელა შათირიშვილი**

კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს  
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი  
საქართველო, თბილისი

**Lela Shatirishvili**

National Centre of Manuscripts  
Georgia, Tbilisi

**ABSTRACT**

The National Center of Manuscripts keeps four funds. The newest one, still growing Q Foundation, founded in 1929 and is filled with new materials until this time.

Due to the addition of new materials, it became necessary to prepare a description, during which significant written samples were revealed, most interesting of which is the manuscript books written by two brothers - famous calligraphers of the XVIII century - Nikoloz and Zakaria Mikadzes. They are Q-1494; Q-1502; Q-1511.

In the XVIII century, there were several prominent representatives of the Mikadze family in Tbilisi. They were brothers: Nicholas, later the dean of Zion, and Zakaria, better known as Ambrose Tsilkneli or Nekreseli.

Nikoloz Mikadze was a prominent calligrapher of the XVIII century. His earliest manuscript dates back to 1731 when he was eleven years old. 23-26-year-old Nicholas got orders of copies by representatives of the highest aristocratic and clerical ranks.

One of his newly discovered manuscripts in the center is the Gospel (Q-1511), performed in the Nuskhuri alphabet, and the other is the Homiletic-Hagiographic Collection (Q-1494), which has two dates: 1764 and 1734. Much of this manuscript is transcribed in one pen. It was no exception to his creations.

These two manuscript books and their datings are the matter of our interest. Nicholas not only wrote manuscripts but also restored obsolete pieces.

We assume that he must have copied those books in his childhood and adolescence. Then he attributed the copy works performed during his deaconry with two dates, the date when the original copy and the date of its restoration.

Nicholas's younger brother - Zacharia in secular life - later Ambrose Nekreseli was a famous clergyman, writer, and calligrapher. From 1778, he became bishop of Tsilkani, then of Manglisi and Nekresi. After the abolition of the Diocese of Nekresi in 1811, he returned to Tbilisi and died in 1812.

His copies preserved at the National Center of Manuscripts increased with one more work Q-1502, which contains the liturgical handbook of Anton's editors and the texts of «Months» by Giorgi Mtatsmideli's. These manuscripts, newly relieved at the National Center for Manuscripts, prove that book publishing was the subject of great importance in the eighteenth century.

საკვანძო სიტყვები: ხელნაწერი, თვენი, სახარება, ნიკოლოზ და ზაქარია მიქაძეები, კალიგრაფი, ამბროსი ნეკრესელი.

**Keywords:** manuscript, yours, gospel, Nikoloz and Zakaria Mikadze, calligrapher, Ambrose Nekreseli.

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი იმ სიძველეთსაცავთაგანია, რომელიც უვლის, პატრონობს და იკვლევს ქართველი ხალხის ჩვენამდე მოღწეულ სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლებს. აწინდელ ცენტრში 4 ფონდია, რომელთაგან ორი XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ჩამოყალიბდა, მესამე და მეოთხე – XX სს.-ის პირველ მესამედში. მეოთხე - ახალი, ანუ მზარდი Q ფონდი, 1929 წელს დაარსდა და დღესაც ივსება ახალ-ახალი მასალით. დღესდღეობით ფონდში თავმოყრილია 1700-მდე ერთეული ქართული ხელნაწერი, შესრულებული სხვადასხვა დროსა და პერიოდში. 1957-58 წლებში აღიწერა და გამოქვეყნდა Q ფონდის 1000 ხელნაწერი და ფრაგმენტი. მოგვიანებით ახალი მასალის შემატების გამო საჭირო გახდა აღწერილობის მომზადება. ახალი აღწერილობის მომზადებისას გამოვლინდა მნიშვნელოვანი წერილობითი ნიმუშები, რომელთაგან საინტერესოა ორი ძმის, XVIII საუკუნის ცნობილი კალიგრაფების, ნიკოლოზ და ზაქარია მიქაძეების, მიერ შესრულებული რამდენიმე ხელნაწერი წიგნი.

XVIII საუკუნეში თბილისში მოღვაწეობდა მიქაძეთა გვარის რამდენიმე თვალსაჩინო წარმომადგენელი. მიქაძეების შორეული წინაპრები სამეგრელოდან გადმოსულან ქართლში. აქ ისინი სასულიერო წოდების წარმომადგენლები გამხდარან. XVII საუკუნიდან ამ ოჯახში მემკვიდრეობით გადადიოდა სიონის დეკანოზობა. XVII საუკუნის მიწურულს ცხოვრობდა იესე დეკანოზი, რომელსაც რამდენიმე ვაჟი ჰყავდა. ერთი მათგანი იყო გაბრიელი, რომელსაც, თავის მხრივ, ჰყავდა ვაჟები: ნიკოლოზი, შემდგომში სიონის დეკანოზი, და ზაქარია, რომელიც უფრო ამბროსი წილკნელის ან ნეკრესელის სახელით არის ცნობილი (მენაბდე 1961: 173, 228-230, 313; შარაშიძე 1943: 121-137).

ნიკოლოზ მიქაძე იყო XVIII საუკუნის გამოჩენილი კალიგრაფი. მისი გადაწერილი ყველაზე ადრეული ხელნაწერი 1731 წელს მიეკუთვნება, როცა იგი ყოფილა თერთმეტი წლისა. მინაწერის თანახმად, ეს მისი პირველი ნამუშევარია. „ღმერთო, შეიწყალე ამის მჩხაბავი დეკანოზისშვილი ნიკოლოზ, რომელმან აღვსწერე წმიდა ესე ზიარების ლოცვა. ვინც იხილავდეთ და წარიკითხვიდეთ, გაზდას მიბრძანებდეთ ამისთვის, რომ ყრმა ვიყავ ამის წერაში და არც ჯერ სხვა წიგნი დამეწერა. ამის სრულყოფასა ვიქმენ წლისა ათერთმეტისა დეკენბერსა, ქკს უით (419, ანუ  $419+1312=1731$  წ.)“ (ქართულ ზელნაწერთა აღწერილობა 1961: 149). ეს მინაწერი იძლევა საშუალებას, გაირკვეს, რომ გადამწერი 1719/20 წელს დაბადებულა და კალიგრაფის ხელობას პატარაობიდანვე დაუფლებია.

ჭაბუკ ნიკოლოზს უკვეთავდნენ გადაწერას მეფე თეიმურაზ II, ვახტანგ VI, ერეკლე II-ის მეუღლე დარეჯან დედოფალი, გიორგი ბატონიშვილი, ანუ გიორგი XII, საქართველოს უკანასკნელი მეფე; უმაღლესი სასულიერო წოდების წარმომადგენლები: ანტონ I კათალიკოსი, ბოდბელი მიტროპოლიტი იოანე და სხვ. ამ ისტორიულ პირთა დაკვეთით შესრულებული ხელნაწერები, დაცული ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სხვადასხვა ფონდში, იმთავითვე იყო ცნობილი. მაგრამ Q ფონდის კოლექცია გასული საუკუნის 80-იან წლებში შეივსო რამდენიმე ხელნაწერით, რომლებიც ნიკოლოზის გადაწერილია. ერთ-ერთი ხელნაწერი არის სახარება (Q-1511), ნუსხურით შესრულებული ქაღალდზე, შეიცავს 259 ფურცელს. წიგნს უზის თარიღი: ჩლოთ, ანუ 1739 წელი. ამ ხელნაწერის წერისას ნიკოლოზი 18-19 წლისა უნდა ყოფილიყო. გამოდის, რომ ეს ხელნაწერი წიგნი ამ შესანიშნავი კალიგრაფის ერთ-ერთი ადრეული ნამუშევარია.

ახალგამოვლენილი ხელნაწერი შედარებით მცირე ზომისაა, 11x16 სმ., გადაწერილია XVIII საუკუნისათვის დამახასიათებელი მუქი შავი მელნით, საზედაო ასოებისათვის, სათაურებისათვის, მნიშვნელოვანი ადგილებისათვის გამოყენებულია სინგური. ტექსტი ნაწერია დიდად გაწაფული ხელით, თანაბარი ნუსხურით. ასეთი წერის მანერა დამახასიათებელია XVII-XVIII საუკუნეების საუკეთესო კალიგრაფებისათვის. სახარებებს წინ უძღვის მახარებელთა შესხმანი სოფრონისა და დოროთეოსის მიერ, სახარების საძიებელი და თვეთამეტყველებანი. სახარების ტექსტი გიორგი მთაწმიდელის რედაქციისაა.

ამ ხელნაწერ წიგნში კარგად არის გააზრებული და ორგანიზებული ფურცლის გაფორმება, მისი დეკორატიული ეფექტი. წიგნის შესამკობად გამოყენებულია ის ხერხები, რომლებიც საერთოდ ცნობილია ამ პერიოდში. ფურცელზე ორ სვეტად ნაწერი ტექსტი ჩასმულია ჩარჩოებში, რომლებიც ოქროსფერი, ლურჯი, წითელი ან მწვანე თმისებური ხაზებისაგან შედგება. სახარების დასაწყისებს ამკობს ბაცი წითელი, აგურისფერი,



ცისფერი, ლურჯი, მწვანე ფერადებით შეღებილი თავსამკაულები და ფერებით შესრულებული ბოლოსამკაულები - მცენარეთა და ფრინველთა გამოსახულებები. ტექსტს ამკობს კბილანებიანი თავსამკაულები, შესრულებული მჭახე ფერებით. თაღში ჩართულია მთავრული ასოები.

ნიკოლოზის გადაწერილ ამ სახარებაშიც ისევე, როგორც სხვა მისეულ ხელნაწერებში, ტექსტის მეშვეობით სტრიქონების მატება-კლებით გამოყვანილია კუთხოვანი ფიგურები, სამკუთხედები, რომლები ან ნებისმიერი ფიგურები, რომლებიც შესაძლებელია შემოსაზღვრული იყოს ფერადი ხაზებით. გადამწერი არის ტექსტის მხატვრულად გამფორმებელიც (ფოტო N 1; ფოტო N 2).

ხელნაწერს ახლავს ნიკოლოზის ანდერძები, რომელთაგან ორს მხატვრის ხელმოწერის ფუნქციაც ენიჭება. იგი წიგნის წერის პროცესში რამდენჯერმე ახსენებს საკუთარ თავს. ხელნაწერის შუა ნაწილში ხლართული ოქროსფერიანი ფერადებით გაფორმებული ასოებით წერია: „ვწერ ნიკოლოზ“ (ფოტო N 3), წიგნის უკანასკნელ ფურცელზე კი მხატვრულად გაფორმებული მშვენიერი ასოებით წარმოდგენილია სიტყვები: „დავწერე ნიკოლოზ“ (ფოტო N 4). ხელნაწერზე დართული ერთ-ერთი ანდერძი ნაწერია მთავრულით, რომელშიც ყოველი სიტყვა პაწაწინა სინგურით შესრულებული ვარსკვლავებით არის გამოყოფილი და რომელშიც იხსენიება „სახარებისა ამის აღმწერელი და გამსრულებელი მთავარდიაკონი ნიკოლოზ“ (Q-1511: 259).

წიგნის მინაწერებით ირკვევა, რომ იგი XVIII საუკუნეში ვინმე მერაბ წულუკიძის საკუთრება ყოფილა, XIX საუკუნის მიწურულს კი „დეკანოზ-ბლადოჩინი იოვანე აბაშიძის“ ოჯახში ინახებოდა. „დეკანოზ იოვანეს“ გარდაცვალების შემდეგ მისი „სულის მოსახსენებლად“ იოვანე აბაშიძის ასულს, ეკატერინას, გადაუცია „მოდღვარ-მოდღვარ დეკანოზ ირაკლი აბაშიძისათვის“.

მეორე ხელნაწერი, ჰომილეტიკურ-ჰაგიოგრაფიული კრებული, რომლის გადამწერიც ნიკოლოზ მიქაძეა, ასევე Q ფონდშია დაცული 1494-ე ნომრით. უზის ორი თარიღი: 1764 და 1734 წწ. (ფ. 2), შეიცავს იოანე ოქროპირის, ბასილი დიდის, ეფრემ ასურის, აბრაჰამ მონაზონის საკითხავებს, ასევე იოვანე ოქროპირის ცხოვრების ტექსტს. ეს კრებული ნაწერია ქალაქში ნუსხურით, შავი მეღვინით, საზედაო ასოები და სათაურები - სინგურით. ტექსტი, ზემოთ მოხსენებული სახარებისაგან განსხვავებით, სადადაა გაფორმებული, მაგრამ წიგნი ნათლად მეტყველებს გადამწერის ოსტატობაზე.

ამ ხელნაწერის დიდი ნაწილი ერთი კალმითაა გადაწერილი. კალმის გამოუცვლელი გამოწერის არ ყოფილა ნიკოლოზ მიქაძის შემოქმედებისათვის. ჩინებულ ოსტატს ეს აღუნიშნავს კიდევ გიორგი XII-ისთვის შესრულებულ ხელნაწერში: „მოიხსენეთ, რომელი ერთის გამოჭრილის კალმით დამიწერია, რომ არ გამომიცვლია კალამი და ჩვენდა შემდგომად, ვინც ეს ასე მწერლობა ეცადოს“, ქების ღირსიაო.

მსგავსი შინაარსის მინაწერს ვხვდებით ახალგამოვლენილ ხელნაწერშიც: „მწერალსა ამისსა სიონის დეკანოზს, ნიკოლოზ, აქამდის ეს წიგნი ერთის გამოჭრილის კალმით დამიწერია და არც კალამი გამომიცვლია“ (Q-1494: 268) (ფოტო N 5). თავად ხელნაწერი გენათელი ეპისკოპოსის დაკვეთით არის შესრულებული. ანდერძი გვაუწყებს: „უფალმან მრავალჯამიერ-ყოს ბატონიშვილი გენათელი მიტროპოლიტი იოსებ, რომლისა ბრძანებითა აღწერე წიგნი ესე - სწავლანი იოვანე ოქროპირისა, საკითხავად სასურნი და სულთა განმანათლებელნი, უღირსმან მღვდელმან სიონის დეკანოზმან ნიკოლოზ, გვედრები მხილველთა და მკითხველთა, მცირედთა კსენებასა ჰყოფდეთ ჩემ მწერლისა ამის. ჩღმდ (1764), 1734“ (იქვე).

ყურადღებას იქცევს ეს ორი ხელნაწერი წიგნი და მათი დათარიღება. ერთს თარიღად უზის 1739 წელი, მეორეს კი აქვს ორი თარიღი, რომელთა შორისაც 30-წლიანი სხვაობაა 1764 და 1734 წწ. ორივე ანდერძში გადამწერი სიონის დეკანოზს უწოდებს საკუთარ თავს. ერთის მიხედვით, ის 18-19 წლის ყმაწვილია, მეორის მიხედვით კი - 14-44 წლისა. ცხადია, რომ 14 წლისა ანდა 18-19 წლის ყმაწვილი დეკანოზი ვერ იქნებოდა; საქმე ისაა, რომ ნიკოლოზი არა მარტო იწერდა ხელნაწერ წიგნებს, არამედ თავის გადაწერილ მოძველებულ ცალეებს აღადგენდა კიდევ. ამის დასტურია მიქაძეების გადაწერილ კონდაკზე (S-1295) დართული მისი ერთ-ერთი ანდერძი. წიგნი მას თავის პაპასთან, იესესთან, ერთად გადაუწერია 1731 წელს 11 წლის ყრმას, მოგვიანებით კი, კერძოდ, 1778 წელს ეს წიგნი აღუდგენია. ხელნაწერს უზის თარიღები: 1731 და 1778. ვვარაუდობთ, რომ მას ბავშვობასა და სიყმაწვილეში უნდა ჰქონოდა გადაწერილი ზემოხსენებული წიგნები და შემდეგ უკვე დეკანოზობის დროს განახლებულ ძეგლებს მიუწერა დედნის უწინდელი თარიღიცა და აღდგენის წელიც.

ნიკოლოზ მიქაძის შესრულებული ხელნაწერები კიდევ ერთხელ მოწმობენ, რომ XVIII საუკუნეში გადამწერის შრომა დიდად ფასობდა საქართველოში, თავად ნიკოლოზ მიქაძის ღვაწლი კი ჯეროვნად იყო დაფასებულიცა და შეფასებულიც. მას დიდი პატივით იხსენიებდა იოანე ბატონიშვილი „კალმასობაში“ და წერდა: „იყო საღმრთო წერილში გამოცდილი, ხუცურის ხელის მწერლობაში პირველი, რომელი ჯერეთ არავინ ყოფილა. ამისთანა მშვენიერის ხელით მწერალი. ვითარცა ესე და აგრეთვე ხელჩამრთველი მშვენიერად. ამან გარდასწერნა მრავალნი საღმრთო წერილნი. ამან დია პატიოსნად იცხოვრა და უყვარდათ მეფეთაცაო“ (ბატონიშვილი 1948: 148).

ნიკოლოზის უმცროსი ძმაც – ზაქარია – შემდგომში ამბროსი ნეკრესელი, ცნობილი სასულიერო პირი, მწერალი და კალიგრაფი ყოფილა. იგი 1778 წლიდან გამხდარა წილკნელი ეპისკოპოსი, შემდეგ უბოძეს მანგლელი და ნეკრესელი. ნეკრესის ეპარქიის გაუქმების შემდეგ, 1811 წელს, იგი თბილისში დაბრუნდა და 1812 წელს გარდაიცვალა.

ზაქარია თავისი დროის საუკეთესო კალიგრაფთა გვერდით დგას და საკუთარ ძმას, ნიკოლოზსაც, არ ჩამოუვარდება (ბერიძე 1967: 189).

მის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია სხვადასხვა კრებულს. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ მის გადაწერილ ნიმუშებს მისი გადაწერილი კიდევ ერთი კრებული - Q-1502 შეემატა, რომელიც შეიცავს ანტონის რედაქციის ტიპიკონსა და გიორგი მთაწმიდელის რედაქციის „თვენის“ ტექსტებს. ხელნაწერის ანდერძში ვკითხულობთ: „წიგნი ესე არს ტიპიკონი, სრულკეთილად განწესებული ყოველთა დღეთა წელიწადთა ათორმეტთა თვეთათვის სრულიად ამას წიგნსა შინა მოკსენებული“ (Q-1502, 334)... ეს ხელნაწერი 1760 წლითაა დათარიღებული. ამას გადამწერის მიერ ტექსტზე დართული ანდერძით ვიგებთ: „აღწერა დეკენბერსა ა (1), ქრისტეს აქეთ 1760 წ“. ანდერძის მიხედვით, კალიგრაფი ჯერ კიდევ ზაქარიად იხსენიებს თავს: „აღწერე მე, ყოვლად უსახურმან მონა-მსახურმან სიონის დეკანოზისშვილმა ზაქარია მთავარდიაკონმა“. ზაქარიასეული ეს ხელნაწერი მხატვრულად გაფორმებული არ არის, მაგრამ კალიგრაფიულია, შესრულებულია შავი მელნით, მნიშვნელოვანი ადგილები კი – სინგურით, ანუ წითელი მელნით. ტექსტს ახლავს ოთხი სახის მარგინალური ნიშნები, რომლებსაც თავიანთი დანიშნულება აქვთ ტექსტში.

როგორც გადამწერებს სჩვევიათ, გადამწერი შენდობასა და პატიებას ითხოვს შეცდომებისათვის მკითხველისაგან. „რაოდენ სიჩჩოებასა ძალ-მედვა, სიმართლეს ვეცადე გარნა თუმცა იხილოთ რამე ცთომილი, ნუ ფრიად ბრალეულ-მყოფთ, ამისთვის მდაბლად ხსენებული ამის მწერალი ზაქარია ვითხოვ თქვენ მიერ მეოხებასა ჩემ უნდოსათვს“ (Q-1502: 334).

იოანე ბატონიშვილი ზაქარიასაც ახასიათებს თავის „კალმასობაში“: „კვალად უცხო მწერალი, ვითარცა ხუცურისა, აგრეთვე მხედრულის ხელისა. ამანაც მრავალნი საღმრთო წერილნი და ისტორიები გადასწერნა. ესე იყო კარგი პიტიკოსი, მუსიკოსი და სრული მგალობელი. ამან აღზარდნა რაოდენიმე მოწაფენი“ (ბატონიშვილი 1948: 198-199). ზაქარიას „კარგ პიტიკოსობაზე“ წარმოდგენას გვიქმნის ხუთმუხლედად შეთხზული სამსტროფიანი ლექსი, რომელიც ჩვენ მიერ გამოვლენილ ხელნაწერს ბოლოში, ანდერძის შემდეგ, ერთვის. მოვიყვანთ მხოლოდ ერთ სტროფს:

„ზესთა სურვა თუ გიკმდეს, კეთილ მზრდელობდე,  
შინა მწყობრობდე, გინა გარბაკველობდე,  
აღმსთვ-აღიკარვ, არცა ზარდამჯდობდე,  
ფრიად ისწრაფე, ვიდრე კარ-განმლეობდე,  
კეთილ თუ გსურს, სასძლოდ მედასეობდე“ (Q-1502: 334).


როგორც ვხედავთ, ეს სტროფი ქადაგებს თავმდაბლობას, ზნეკეთილობას, მართლმორწმუნეობას.

ამრიგად, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ახალგამოვლენილი ეს ხელნაწერები, ორიჩინებული კალიგრაფის შესრულებული, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ წიგნის დამზადებას, ანუ მნიშვნელოვანი თხზულებისა თუ დაკანონებული რედაქციის გადაწერა-გამრავლებასა და გავრცელებას,

XVIII საუკუნეშიც ისევე, როგორც წინა საუკუნეებში, საქართველოს ყველა საეკლესიო-სამონასტრო ცენტრსა თუ რეგიონში ხელს უწყობდნენ საერო წოდება, ეკლესიის მესვეურები და სასულიერო წრის წარმომადგენლები.



ფოტო N 1




ფოტო N 2



ფოტო N 3



ფოტო N 4



ფოტო N 5

### დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები

ბატონიშვილი 1948: იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II. თბილისი, 1948.

ბერიძე 1967: ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები. თბილისი, 1967.

მენაბდე 1961: მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, II. თბილისი, 1961.

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა 1961: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, ტ. II. თბილისი, 1961.

შარაშიძე 1943: შარაშიძე ქ., იესე ოსესძის „ქორანიკონი“. ენიშვის მოამბე, XIII, 1943.

Q-1494: ჰომილეტიკურ-ჰიმნოგრაფიული კრებული.

Q-1502: თვენი.

Q-1511: სახარება.



ახალი მასალა ნიკოლოზ ბარათაშვილის  
პირადი წერილების ფიგურანტების შესასწავლად

**New Material for Studies of Figurants  
of Personal Letters by Nikoloz Baratashvili**

**მაია ცერცვაძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

**Maia Tsertsvadze**

Georgian Technical University  
Georgia, Tbilisi

**ABSTRACT**

›Memoirs of 60 Years› of Ivane Tsitsishvili, a famous researcher, bibliographer, and ethnographer (1881-1945) was published as a book in 2018. It is kept in the form of five manuscript notebooks at the Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature. The book was published by Tsitsishvili›s descendant, Mrs. Natela Estate, Tsitsishvili.

These memories are mainly family chronicles. His acquaintance assures us that we are dealing with a highly attentive historical source. It provides abundant and interesting materials about the famous Tsitsishvili family of Kartli and its worthy representatives. The memoirs are also dedicated to other Kartli dignitaries close to the Tsitsishvilis (Eristavi, Baratashvilis, Machabelis), historical figures, who left their mark on the public life of Georgia in the XIX-XX centuries.

Among these personalities are those who belonged to Nikoloz Baratashvili›s circle of acquaintances and mentioned in the personal letters of the romantic poet. We should note that the information provided by the memoirist about them is unknown to researchers, has not yet been reflected in recent studies on Nikoloz Baratashvili›s epistolary legacy, and is a new material for exploring the poet›s acquaintances and contemporary society.

People mentioned in the poet›s letters actively participated in the public and political life of the country and historical events such as the conspiracy of 1832, the war of the Russian Empire against the Caucasus Mountains, the creation of Georgian militias and battles, the Guria uprising of 1841, so on. The significance of each newly discovered source and the presented research will become even more prominent for both Georgian literary criticism and historical science.

The mentioned memoirs contain information about Nikoloz Baratashvili's close relatives and lovers. This time we will focus on the stories and episodes described in the Memoirs that concern the families of the poet's sisters Sophia and Barbara. At the same time, these persons are the figures of Nikoloz Baratashvili's many important personal letters, and the research thus conducted is a continuation of the study of the poet's epistolary heritage.

**საკვანძო სიტყვები:** ნიკოლოზ ბარათაშვილი, პირადი წერილები, ფიგურანტები, ოჯახი, ნათესავები, სოფიო ბარათაშვილი, ბარბარე ბარათაშვილი

**Keywords:** Nikoloz Baratashvili, personal letters, participants, family, relatives, Sophio Baratashvili, Barbara Baratashvili

მიუხედავად მკვლევართა მიერ ჩატარებული დიდძალი სამუშაოსი, რომელიც უკანასკნელ ხანს ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობისა და სანაცნობო წრის შესწავლას მიეძღვნა, ბევრი რამ ამ მიმართულებით კიდევ არის საკვლევი და დასადგენ-დასაზუსტებელი. სამუშაოს ერთგვარად ართულებს იმ ეპოქისა და საზოგადოების შესახებ არსებული წყაროებისა და მასალის სიმწირე, რომელშიც მოუხდა ცხოვრება-მოღვაწეობა პოეტს.

გამოჩენილი მეცნიერი და XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებისა და საზოგადოებრივი აზრის მკვლევარი მაქსიმე ბერძნიშვილი თავის ნარკვევში „ქართული საზოგადოებრიობა 1833-1844 წლებში“, რომელიც წამმდგარებული აქვს მის ცნობილ ორტომეულს, მართებულად აღნიშნავს:

„მეტად ძნელია წარსული საუკუნის (იგულისხმება XIX საუკუნე - მ. ც.) პირველი ნახევრის, კერძოდ ჩვენთვის საინტერესო დროის, ქართველი საზოგადოების ცხოვრების ისტორიის დაწერა. ამ ხანებში სრულიად არ გაგვაჩნდა პრესა, რომ შეგვძლებოდა მაშინდელი ქართველობის ნამდვილი სახის დანახვა. ამ დროითგან არ მოგვეპოვება აგრეთვე არც დღიურები, არც მემუარები, არც სხვა რაიმე ნაწერები, რომ მკვლევარს საიმედო მასალა ჰქონდეს და საზოგადო ცხოვრების სრული შეცნობა გაადვილებოდა. ამგვარი რამის წერას მაშინ ყველა ერიდებოდა, დღიური ინტერესით ცხოვრობდა და საქვეყნო აზრების აღმგზავნის მხოლოდ ჩიოდა, ისიც მახლობელთა წრეში... (...) და ეს მცირედი, თანაც მწირი მასალაც, ან გამოუქვეყნებელია ან თუ ცნობილია, საჭიროებს კრიტიკულ შესწავლას, მრავალრიგად გამოწველილვას, რომ გამოსადეგი იქნეს საისტორიო წყაროდ“ (ბერძნიშვილი 1980: 5).

ზემოთქმულის გათვალისწინებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ყოველ ახლად გამოვლენილ საისტორიო თუ ლიტერატურულ

წყაროს, იქნება ეს მემუარული, ეპისტოლური, სამოგზაურო თუ სხვა ჟანრის ახალი გამოცემა თუ საარქივო მასალა, რომელიც შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში.

ამ მხრივ მეტად საყურადღებოა 2018 წელს წიგნად გამოცემული ცნობილი მკვლევრის, ბიბლიოგრაფისა და ეთნოგრაფის ივანე ციციშვილის (1881-1945) „მოგონებები „60 წლის მანძილზე“, რომელიც გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში ხუთი ხელნაწერი რეეულის სახით არის დაცული. წიგნი გამოსაცემად მოამზადა ციციშვილთა შთამომავალმა, ქალბატონმა ნათელა ესტატეს ასულმა ციციშვილმა.

აღნიშნული მოგონებები წარმოადგენს ციციშვილების საოჯახო ქრონიკას და იგი უხვ და საინტერესო მასალას გვაწვდის ქართლის ცნობილ ციციშვილთა და სხვა საგვარეულოთა იმ წარმომადგენლების შესახებ, რომელთაც თავიანთი კვალი დააჩნიეს XIX-XX საუკუნეების საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ამ პიროვნებათა შორის არიან ისინიც, რომლებიც ნიკოლოზ ბარათაშვილის სანაცნობო წრეს ეკუთვნოდნენ და რომლებიც რომანტიკოსი პოეტის პირად წერილებში იხსენიებიან.

ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ პოეტის დების - სოფიოსა (1841-1916) და ბარბარეს (1826-1919) ოჯახებზე. სოფიო და ბარბარე ბარათაშვილების შესახებ დაწვრილებით ვსაუბრობთ ნ. ბარათაშვილის პირადი წერილების ბოლო კომენტირებულ გამოცემაში (ბარათაშვილი 2015: 141-144) და ახლახან გამოცემულ წიგნში (ცერცვაძე 2019: 22-25). იმის გამო, რომ ივ. ციციშვილის განსახილავ მემუარებში ამ პირთა შესახებ გადმოცემული ახალი ცნობების შესწავლა გარკვეულ დროს მოითხოვდა, იგი ვერ აისახა 2019 წელს გამოცემულ ჩვენს ზემოთ მოხსენიებულ ნაშრომში. ამ საკითხს ეძღვნება სწორედ წარმოდგენილი სტატია.

ნიკოლოზ ბარათაშვილის უმცროსი და სოფიო, რომელსაც პოეტი ძმა სიყვარულით საალერსო სახელს „აპლიპუტილას“ ეძახდა, თანამედროვეთა გადმოცემით, ძალიან ჰგავდა მას. იგი იხსენიება გრიგოლ ორბელიანთან გაგზავნილ 1843 წლის 21 აგვისტოს წერილში.

სოფიო ბარათაშვილი 1878 წლის 17 თებერვალს ცოლად გაჰყვა სოფელ ქვიშხეთში მცხოვრებ თავადს, გენერალ ვასილ ალექსანდრეს ძე სუმბათაშვილს (1843-1905). გენეალოგ ი. ჩიქოვანის კვლევების მიხედვით, სოფიო ბარათაშვილთან ქორწინებამდე ვასილ სუმბათაშვილს ჰყავდა ორი მეუღლე: 1. სოფიო, თავად ივანე ციციშვილის ასული (1843-დაახ.1872), ქორწინების თარიღი 13.11.1866 და 2. ეკატერინე ივანეს ასული, N (ჩიქოვანი 2019: 66).

ივანე ციციშვილის გადმოცემით, მამიდამისი კატო - ეკატერინე გიორგის ასული ციციშვილი (1838-?) იყო ვასილ სუმბათაშვილის მეუღლე, სოფიო ბარათაშვილს კი ის მის მეორე ცოლად მოიხსენიებს. აღსანიშნავია ისიც, რომ კიდევ ერთი მემუარისტის, გიორგი ბეჟანის ძე ტატიშვილის

(1870-1955) უსათაურო მოგონებაში სოფიო ბარათაშვილზე ვკითხულობთ: „სუმბათაშვილის ოჯახში მას დახვდა გერი - ნიკოლოზი, რომელიც ჰყავდა ვასილს პირველი ცოლისაგან, ციციშვილის ქალისაგან“ (ჯოლოგუა 2001: 3-7). თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ივანე ციციშვილის ცნობით ნიკოლოზი (კოლა) ვასილ სუმბათაშვილისა და ეკატერინე ციციშვილის შვილია და მისი დაბადების თარიღია 01.09.1868 (ჩიქოვანი 2019: 67), რაც მეტად ახლოსაა ვასილ სუმბათაშვილის წინარე ქორწინების თარიღთან 13.11.1866, რომელსაც ასევე ი. ჩიქოვანი აღნიშნავს (იხ. ზემოთ), ვფიქრობთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ვასილ სუმბათაშვილი სოფიო ბარათაშვილთან შეუღლებამდე მხოლოდ ერთხელ იყო დაქორწინებული და რომ ი. ჩიქოვანის კვლევებში აღნიშნული მისი პირველი და მეორე „მეუღლეები“ ერთი და იგივე პირია - ეკატერინე (კატო) გიორგის ასული ციციშვილი (1838-?).

ივანე ციციშვილი იხსენებს მამიდამისთან სტუმრობას ქვიშხეთში და გვაწვდის ცნობებს ვასილ სუმბათაშვილის სახლის, ოჯახისა და ხასიათის შესახებ. თვალი მივადევნოთ მოგონების ტექსტს (მოყვანილია რედაქციული ჩარევის გარეშე - სტილის, ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის შეუცვლელად):

„მამიჩემის დასაფლავებას, სხვათა შორის ჩვენი სიძე (მამიდა კატოს ქმარი) ვასო სუმბათაშვილიც (ხაზგასმა ციტატებში ყველგან მემუარისტისაა - მ. ც.) დაესწრო. ამან დედაჩემს ჩემი თავი გამოსთხოვა: „წავიყვან ამ ზაფხულს ჩემთან ქვიშხეთში, თორემ აქ, მალარიამ კიდევ არ დასცადოსო“. დედამაც გამატანა.

ვასო სუმბათაშვილი ზემო მხრის დიდი და გაკეთებული მემამულე იყო. მშვენიერი დიდკაცური სახლის ფართე აივანი ზევიდან დაჰყურებდა ქვიშხეთ-ხაშურის მინდვრებს. ეს სუმბათაიანი, ქვემო ქართლის მემამულენი აქ სააბაშიოში ჩასიძებულან. ვასოს მამა ალექსანდრე გლეხებმა ამოხოცეს დედაბუდიან. გადარჩნენ, შემთხვევით, მხოლოდ ვასო დამისიძმა, შემდეგში „ღალატის“ ცნობილი ავტორი. ვასოს პირველ ცოლისაგან, მამიდაჩემ კატოსაგან ერთი ვაჟი ჰყავდა - კოლა, მაშინ ახლად დაქორწინებული“ (ციციშვილი 2018: 41).

მოგონების წარმოდგენილ ფრაგმენტში უზუსტობაა - მემუარისტი ცდება, როცა ვასილ სუმბათაშვილის ძმად იხსენიებს პიესა „ღალატის“ ავტორს. ცნობილი მსახიობი და დრამატურგი ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი (1857-1927) არის ვასილ სუმბათაშვილის არა ძმა, არამედ ძმისშვილი - ვასილის ძმის ივანეს (1833 -?) ვაჟი (დუმინი... 1996: 202). რაც შეეხება ვასილისა და ივანეს მშობლებს, ესენი არიან: მამა - შტაბს-კაპიტანი ალექსანდრე ივანეს ძე სუმბათაშვილი (1801-1847) და დედა - სოფიო გიორგის ასული ბაგრატიონ-მუხრანელი (1809-1847), გიორგი სიმონის ძე ბაგრატიონ-მუხრანელისა (1867-1827) და ეკატერინე ივანეს ასულ აბაშიძის ასული (დუმინი... 1998: 59). როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, ალექსანდრე სუმბათაშვილი, მისი მეუღლე და ორ შვილი -

გიორგი (გრიგოლი) (დაბ. 1827) და ნიკოლოზი (დაბ. 1841) საკუთარ სახლში მათივე გლეხებმა მხეცურად მოკლეს 1847 წლის 27 სექტემბერს (დუმინი... 1996: 202) (ჩიქოვანი 2019: 64-66).

ივანე ციციშვილი ასე აგვიღწერს ვასილ სუმბათაშვილს, მის ხასიათსა და ჩვევებს:

„თვით ვასო გულკეთილი კაცი იყო. ამასთან ჰორიზონტში აღუდგალი და დიდკაცურად გოროზი. თავის მეზობელ აზნაურებს: ყიფიანებს, ციმაკურიძეებს, ნემსაძეებს დაცინვით უყურებდა. მხრებზე ყურთ-მაჯებ შეყრილი ესეც მთელი დღე აივანზე იჯდა და ვეება, ცერის სისხო, პაპიროსს აბოლებდა, ან ნარდს თამაშობდა, ან დურბინდით არემარესა და ძირს მოაგარეკედ გასცქეროდა“ (ციციშვილი 2018: 41).

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის ინფორმაცია, რომელიც სოფიო ბარათაშვილს შეეხება - ესაა ცნობები მისი გარეგნობის, ჩაცმულობის, ხასიათის თვისებებისა და შვილების შესახებ:

„მეორე ცოლად (იგულისხმება ვასილ სუმბათაშვილი - მ. ც.), ჩვენი უკვდავი პოეტის, ნიკო ბარათაშვილის უმცროსი და სოფიო ყავდა. ჩემსობას (1897 წ.) სოფიო ორმოცდათექვსმეტი წლისა იქნებოდა მარა ძალიან ახალგაზდად გამოიყურებოდა. დილიდანვე ფერ-უმარილ წასმული, კორსეტ მოჭერილი და ფარჩის კაბაში გამოწყობილი, ტახტზე უძრავად მჯდომარე, ბრძანებლობდა ან საუბრობდა. თუმცა ლამაზი არ იყო, მარა იერი დიდკაცური ქონდა. სახის ტიპი ჩინურ-მონგოლური, თვალები ვიწრო და ირიბად ზევით გაწეული.

პოეტის პორტრეტი ქართულ ყაბაში ამ სოფიოს მიხედვით არის დახატული. თუმცა ბოროტი არ ყოფილა, მარა კაპასი ძრიელ, ასე რომ მისი ყველას ერიდებოდა. მეორე ცოლთან ვასოს ორი შვილი ყავდა: გიორგი, ჩემი ხნის კადეტი და კატო“ (ციციშვილი 2018: 41). იგულისხმებიან სოფიო ბარათაშვილის სრულწლოვანებას მიღწეული შვილები გიორგი (1882-დაახ.1916) და ეკატერინე (1887-დაახ. 1916) (ჩიქოვანი 2019: 67).

მოგონებების ფურცლებიდან ირკვევა, რომ სუმბათაშვილები კარჩაკეტილი ცხოვრებით ცხოვრობდნენ და ურთიერთობა მხოლოდ სოფიოს დისწულ გიორგისთან ჰქონდათ:

„სუმბათაშვილი მეზობლებს თავს არ უყადრებდნენ. ერთადერთი ოჯახი ვისთანაც ესენი, დროგამოშვებით, დადიოდნენ, ეს იყო კნ. სოფიოს დისწული გიორგი დიმიტრის ძე ვეზირიშვილი, ოსიაურის დიდი და შეძლებული მემამულე. ამ დღეს შეიბმოდა ფაეტონი. კოფოზე კუჩერთან შეიარაღებულ ფარეშს დასვამდნენ და უკანაც შეიარაღებული მოურავი და და მცაგები ახლდნენ. იმ დიდ ტრაგედიის შემდეგ ვასოს მშობლებს რომ დაატყდა (იხ. ზემოთ - მ. ც.), იგი ძრიელ უნდობლად იქცეოდა და შეუიარაღებელი არსად დადიოდა. კარდმის ეზო ავი ძაღლებით სავსე, მუდამ დაკეტილი ქონდა და ორი სამი შეიარაღებული მცავი გამოუღეველი ყავდა“ (ციციშვილი 2018: 42).

ციტატაში ნახსენები გიორგი დიმიტრის ძე ვეზირიშვილი (1864-1918) არის ვაჟი ნიკოლოზ ბარათაშვილის დის - ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილისა, რომელიც 1856 წელს ცოლად გაჰყვა ოსიაურელ თავადს, პოლკოვნიკს, შემდგომში გენერალ-მაიორს დიმიტრი გიორგის ძე ვეზირიშვილს (1825-1898).

სამეცნიერო მიმოქცევაში ახლახან შემოსული წიგნის - ივანე ციციშვილის მოგონებათა ციტირებული ფრაგმენტებისა და მათი კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, რასაც წარმოდგენილ სტატიაში შევეცადეთ, ახალი შტრიხები შეემატა ნიკოლოზ ბარათაშვილის ახლო ნათესავების (დის, სიძის, დისშვილის...) პორტრეტებს და გამდიდრდა ჩვენი ცოდნა პოეტის გარემოცვისა და ამავდროულად მისი პირადი წერილების ფიგურანტების ირგვლივ.

#### დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები

ბარათაშვილი 2015: ბარათაშვილი ნ., პირადი წერილები. გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები, შენიშვნები, საძიებლები და გენეალოგიური ტაბულები დაურთო მათა ცერცვაძემ. თბილისი, 2015.

ბერძნიშვილი 1980: ბერძნიშვილი მ., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, წიგნი I. თბილისი, 1980.

დუმინი.. 1996: Думин С., Гребельский П., Катин-Ярцев Ю., Чиковани Ю., Шумков А., Дворянские роды Российской империи, Т. III, Князья, Москва, 1996.

დუმინი.. 1998: Думин С., Гребельский П., Катин-Ярцев Ю., Чиковани Ю., Шумков А., Дворянские роды Российской империи, Т.IV, Князья, Москва, 1998.

ჩიქოვანი... 2019: ჩიქოვანი ი., ფალავანდიშვილი, რატიშვილი, სუმბათაშვილი, სოლოღაშვილი, 2019.

[http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/288836/1/Falavandishvili\\_Ratishvili\\_Sumbatashvili\\_Sologashvili.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/288836/1/Falavandishvili_Ratishvili_Sumbatashvili_Sologashvili.pdf). (20.12.2019).

ცერცვაძე 2019: ცერცვაძე მ., XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივი გარემო ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობის მიხედვით. თბილისი, 2019.

ციციშვილი 2018: ციციშვილი ივ., მოგონებები „60 წლის მანძილზე“, მოგონებები გამოსაცემად მოამზადა ნათელა ციციშვილმა. თბილისი, 2018.

ჯოლოგუა 2001: ჯოლოგუა თ., რამდენიმე ახალი ცნობა ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის. ჟურნალი „არილი“, №11, 2001.

ქართული სოფელი სოფრომ მგალობლიშვილის  
მომონებების მიხედვით

According to the memoirs of Sofrom Mgaloblishvili,  
the village of Kartli

**მაგდა ჭიჭაბერიძე**

თბილისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი  
**ეკატერინე შაკიაშვილი**

თბილისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

**Magda Chikaberidze,**  
Tbilisi Technical University  
Georgia, Tbilisi

**Ekaterine Shakiashvili,**  
Tbilisi Technical University  
Georgia, Tbilisi

**ABSTRACT**

Sophrom Mgaloblishvili, a 19th-century Georgian memoirist, describes his modern village interestingly in an interesting way. He grew up in the village of Dirbi in Kartli and is well aware of his plight. The writer is particularly concerned that no one, not even in the sixties, was able to heal the village ulcer.

In his memoirs, the writer brings to life different aspects of rural life: socio-economic situation, singing culture, various games ... He is worried that traditions are gradually disappearing and spirituality is replaced by gross material interests.

According to Sophrom Mgaloblishvili, labor was distributed among the old families. One member of the family was a plowman with his plow, another - a farmer, a third - a beekeeper, a fourth - a shepherd ... Girls and boys were also involved in the work. Their superiors did not put them to work, they showed a love of labor from the very beginning. In his time, they also allowed the game. DIY things were for them to do. The case was also distributed among women.

According to the memoirist, the role of the priest in the village was immeasurable: he became a true intellectual, teacher, and tutor. He used to read «Tigerskin» on Sundays, explain the gospel ... Raising children was also his job. People also treated him with respect.

The story of bringing salt from the ascent is interestingly described in the memoirs - it is a somewhat risky and courageous fact. Returning home from the ascent was a peaceful holiday. The whole village greeted the newcomers with joy and there was one kiss.

Sophrom Mgaloblishvili's memoirs interestingly convey the Lekta raid in the villages of Kartli and its tragic consequences; Thieves' attacks by Ossetians, led by Russian soldiers temporarily evacuated after the Crimean War. Russian soldiers were stationed here a year after the Crimean War. There were two to four soldiers in each family. They brought great trouble to the Georgian village:

They kidnapped everything that could be stolen and eaten. The elders themselves could not arrange anything with them, nor did they help Garozgva. The biggest threat was posed to young women in the village. The villagers were forced to evict their daughters elsewhere or lock them in their homes to protect their honor.

Sophrom Mgaloblishvili's description of the Georgian village has many things significant and very relevant today. Nothing has changed for the better here, on the contrary, part of Kartli is occupied, many Georgian villages have been emptied and looted.

საკვანძო სიტყვები: საპატრიარქო ოჯახი, მასტადობა, ხანულობა, ლეკიანობა, ოსების თავდასხმები, რუსი ჯარისკაცები.

Keywords: Patriarchal family, Mastadoba, Khanuloba, Lekianoba, Ossetian attacks, Russian soldiers.

XIX საუკუნის ქართველ მემუარისტებში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს ს. მგალობლიშვილს. მისი მოგონებები ხასიათდება თემების მრავალფეროვნებითა და მასალის სიუხვით. მწერალი ძალზე საინტერესოდ, დიდი დამკვირვებლის თვალთა ალწერს ჩვენი წარსული ცხოვრების სხვადასხვა უბანს: სოფლის გარემოს, ბატონყმობის სურათებს, სასწავლებლებს, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობას XIX საუკუნის 70-80-იან წლებში, კულტურის სიახლეებს.

ჩვენს ამჟამინდელ ინტერესს საგანს წარმოადგენს ს. მგალობლიშვილის მიერ გაცოცხლებული ქართლის სოფელი. იმის მიუხედავად, რომ იმ დროს საუკუნეზე მეტი გვაშორებს, მწერლის მიერ წამოჭრილი საჭირობო საკითხები დღესაც მეტად აქტუალური და პრობლემურია, რაც მისი მოგონებებისადმი ინტერესს კიდევ უფრო ამძაფრებს.

ქართლის სოფელში გაზრდილ, გლეხკაცის ცხოვრების კარგად მცოდნე მწერალს განსაკუთრებულად სტკიოდა და აწუხებდა სოფლის ჭირ-ვარამი. მისი თქმით, სოფლის წყლულის მოშუშება ვერავინ შეძლო, სამოციანელებმაც კი: „სამოციან წლებში ახალგაზრდობა აჟღერდა, დატრიალდა, გამოვიდა „საქართველოს მოამბე“ და „დროება“, მაგრამ



სოფელსა და მაშინდელ ახალგაზრდობას შორის დიდი საზღვარი იდო“ (მგალობლიშვილი 1938: 24).

პირველ ყოვლისა, მწერალს აღონებს ის, რომ თანდათან იშლება ძველი პატრიარქალური ოჯახები. მისი თქმით, ადრე იშვიათი იყო ძმათა გაყრა. თვითონ სოფელი ვერ ეგუებოდა ერთმანეთთან შეუფერებელ ძმებს. ხშირი იყო ოჯახი, რომელიც სამოცი სულისაგან შედგებოდა, ოც-ორმოცკაციანი ოჯახი ხომ სათქმელადაც არ ღირდა.

შრომა ასეთ ოჯახებში განაწილებული იყო. ოჯახის უფროსები, პაპა და ბებია, ყავარჯენდაბჯენილნი, რიგს აძლევდნენ სახლში მომუშავეებს. ყველას თავისი საქმე ებარა და პირნათლად ასრულებდა მას: ერთი გუთნისდედა იყო საკუთარი გუთნეულით, მეორე - ფეიქარი, მესამე - მეფუტკრე, მეოთხე - მეცხვარე... ქალებშიც განაწილებული იყო საქმე.

მემუარისტის არგუმენტირებული აზრით, ერთ- ან ორსულიანი ოჯახი განწირული იყო დასალუპავად, რადგან სამუშაოს ვერ აუვიდოდა. ს.მგალობლიშვილს სანიმუშოდ მოაქვს სოფელ ტახტიძიძიდან ბაციკამეების ოჯახი, რომელშიც ასამდე სული ცხოვრობდა. სიმრავლე ოჯახის სიძლიერის საფუძველი იყო, „რაკი ოჯახში ბევრი მუშა ტრიალებდა, იგი შეძლებულიც იყო“ (2). როცა დაიშალა ბაციკამეების ოჯახი, დასუსტდა, „მხოლოდ ხსოვნადა დარჩა დიდებული ოჯახისა“ (2). ერთი სიტყვით, თავის დროზე დიდ პატრიარქალურ ოჯახებს ჰქონდა გამართლება და ამიტომაც წარმოიქმნა ისინი.

მწერალი გვაცნობს სიტყვა „მოცადობას“, რომელიც ათ-თორმეტ წლამდე გოგო-ბიჭებს გულისხმობს. მათ უფროსები უსაქმოდ არ დააყენებდნენ, თავიდანვე აჩვენებდნენ შრომის სიყვარულს, თავის დროზე აძლევდნენ თამაშის ნებასაც. წვრილმანი საქმეები მათი გასაკეთებელი იყო.

მემუარისტი საგანგებოდ ჩერდება და დაკვირვებული ეთნოგრაფის თვალთ ალწერს ქართულ ხალხურ თამაშობებს. იგი წუხს, რომ ძველი ქართული სპორტი ბურთაობა, რომლის ხუთ-ექვსნაირი სახეობა არსებობდა, იმერეთში თუ შემორჩა აქა-იქ. იგი ახასიათებს გაკვრა-ბურთს, დახლა-ბურთს, წრე-ბურთს.

მწერალს ადარდებს, რომ თანამედროვე სოფელსა და ქალაქს ადარ ეპიტნავება ქართული ბურთაობა-თამაშობანი, სიმღერა-გალობანი. მემუარისტის თქმით, „ყურს ატკობს მხოლოდ შარმანკული<sup>1</sup> ხმები“ (4). საინტერესოა, რომ ამას ამბობს სწორედ მგალობლიშვილი, წარმომადგენელი იმ გვარისა, რომელიც ისტორიულად მგალობლებით იყო ცნობილი. ამ შემთხვევაში პუბლიცისტის პოზიციას იღებს მწერალი და მიიჩნევს, რომ დიდი ცდა სჭირდებათ ქართველ მუსიკოსებს, რომ აღადგინონ და გაავრცელონ ჩვენს სულიერად დაცემულ ერში ნამდვილი ქართული სიმღერა-გალობის სიყვარული.

<sup>1</sup> შარმანკა (რუს.) - არღანი, შარმანკული ხმები - არღნული, აღმოსავლური მუსიკა.

ს. მაგალობლიშვილის გადმოცემით, სოფელი ხშირად მოკლებული იყო გონებრივ მწრთნელს და ამ ფუნქციას მღვდელი თუ ასრულებდა. ის იყო სოფლის ჭემმარიტი ინტელიგენტი, მასწავლებელი და დამრიგებელი. ბავშვების აღზრდაც მისი საქმე იყო. ის უკითხავდა სოფლელებს კვირა-უქმით „ვეფხისტყაოსანს“, „დავითს“, „სიბრძნე-სიცრუისას“, უხსნიდა სახარებას. ბუნებრივია, მისი როლი სოფელში განუზომელი იყო. ხალხიც პატივისცემით ეპყრობოდა მას.

მაშინდელმა მღვდელმა „ჩინ-ორდენები არ იცოდა, რა იყო, - ამბობს მემუარისტი, - აწინდელი კი სულს გაჰყიდის, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოს სამღვდლოება, ოღონდ გულზე რამე ჯილდოს ნიშანი ჩამოიკონწიალოს“ (33).

ს. მაგალობლიშვილი სინანულით აღნიშნავს, რომ ახლანდელი მღვდელი ჩინოვნიკად იქცა, ნამდვილ ბიუროკრატად. იგი სოფელს აწევს კისერზე, მოძღვრობის მაგივრად ჩარჩობს და ვაჭრობს, თანაც ორნაირად: სულიერად და ხორციელად.

მწერლის გადმოცემით, სოფლების უმრავლესობას ჰყავდა მებატონე თავადი ან აზნაური. ზოგიერთ თავადს აზნაურებიც ჰყავდა ყმებად - საბატონო აზნაურები. ქართლში იყო სულ რამდენიმე სოფელი, რომლებსაც ბატონყმობის სუსხი არ უწევია. უბატონო სოფელი დიდად განირჩეოდა საბატონოსაგან პირდაპირობით, ზნეობით, შეძლებითაც. ერთი სიტყვით, საბატონო სოფლის გლეხები აშკარად უფრო დაჩაგრულნი იყვნენ, ეკონომიკურადაც უფრო გაჭირვებულნი.

ამ ფონზე გვაცნობს ს. მაგალობლიშვილი თავის მშობლიურ სოფელ დირბს. დირბი ეკუთვნოდა ქართველთა მონასტერს იერუსალიმში. როცა მონასტერს ბერძნები დაეპატრონნენ, სოფელი მათ ხელში გადავიდა და ასე გრძელდებოდა ს. მაგალობლიშვილის მიერ მემუარების წერის დროსაც, XX საუკუნის 10-იან წლებშიც.

სამონასტრო მამული უზარმაზარი იყო, ექვსი ათასი დღიური. აქ ერთადერთ აზნაურს, დეკანოზიშვილს, ჰყავდა ცოტა ყმა. სოფლის დანარჩენი აზნაურები უყმონი იყვნენ, მათ მცირე მამული ჰქონდათ. სამონასტრო მამულს განაგებდა იერუსალიმიდან გამოგზავნილი ბერი, ხარისხით არქიმანდიტი. მას მოურავად ჰყავდა ადგილობრივი გამჭრიახი გლეხი. მწერალი დაწვრილებით აღწერს, თუ როგორ ხდებოდა მოსავლის აღება და გადასახადების დაანგარიშება.

დირბს სხვა ბატონიც არ აკლდა. რადგან სოფელს საკუთარი ტყე არ ჰქონდა, დირბელები იძულებულნი იყვნენ, სხვა მებატონის ტყით ესარგებლათ და მასაც მომსახურებოდნენ.

მემუარისტი გვიამბობს, თუ როგორ შოულობდა გლეხი საჭირო ფულს. თვითონ გლეხები ვერ ახერხებდნენ თავიანთი ნაჭირნახულევის ქალაქში ჩატანასა და გაყიდვას მოუცლელობისა და უგზობის გამო. ეს იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ სოფლებს ესეოდნენ ჩარჩ-ვაჭრები, მეტწილად

ებრაელები და სოფლის სიმდიდრეს ძალიან იაფად იგდებდნენ ხელში, შემდეგ კი თვითონ ყიდიდნენ ქალაქში ძვირად.

გლეხთა ეკონომიკურ ღონეს შეადგენდა კიდევ სხვადასხვა შინამრეწველობა: მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, მაწვნის, ყველისა და ერბოს მომზადება. ამ უკანასკნელისათვის შემოდებული იყო ხანულობა. მემუარისტი საგანგებოდ განმარტავს ხანულობის მნიშვნელობას. გლეხები, რომლებსაც მხოლოდ ერთი ძროხა ჰყავდათ, ერთმანეთთან დროგამოშვებით ეზიდებოდნენ რძეს, რომ ასე დაგროვებით ეწარმოებინათ რძის პროდუქტი. ასე რომ, თითქმის ყველა ხელმოკლე გლეხს სამყოფი ჰქონდა დომხალიც, ყველიც, რძეც.

მწერლის თქმით, გაჭირვების დასაძლევად გავრცელებული იყო მოჯამაგირეობა. ძმებიდან ერთი, მეტწილად უცოლო და უმამულო, გადიოდა მოჯამაგირედ მღვდელთან ან შეძლებულ გლეხთან. ერთობ ძნელი იყო მოჯამაგირის ხვედრი. მას მძიმე შრომა უწევდა. მოჯამაგირეს კაცად არ მიიჩნევდნენ. მწერალი იმოწმებს ხალხურ ლექსს, მოჯამაგირის გაუსაძლისი ყოფის ამსახველს: „მოჯამაგირის საქმესა ადვილად იტყვის ენაო, დილით რომ ქალაქს გააგდონ, სადამოს გორისკენაო“ (10).

ს. მგალობლიშვილი ხალხური ლექსის ამ სიტყვებს საინტერესო შენიშვნას ურთავს: „ქალაქს დაბალი ხალხი, ძველადაც და ეხლაც ტფილისს ეძახის; სხვა ქალაქებს ქალაქებად არა სთვლიდა და ამიტომ სახელით იხსენიებდა. როცა ტფილისში მოდის გლეხი, თავის დღეში არ იტყვის, ტფილისს მივდივარო, არამედ იტყვის, ქალაქს მივდივარო“ (10).

მრავალგზის გვსმენია ალზევანის, იქიდან მარილის ჩამოტანის ამბავი, ხალხური ლექსიც ყველას გაგვიგონია. მემუარისტი საინტერესოდ აღწერს ალზევანიდან მარილის მოტანის ამბავს და ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ამ გარკვეულად სარისკო და სავაჟაკო ფაქტზე. „ალზევანს უფრო ნავალი, ნაცადი და რჩეული ვაჟკაცი გლეხობა მიდიოდა, რადგან ხშირად შეტაკება ჰქონდათ ხოლმე თათრის ყაჩაღებთან, - წერს ს. მგალობლიშვილი, - ალზევანიდან დაბრუნება სახლში მშვიდობით დღესასწაული იყო. სიხარულით დაუხვდებოდა სოფელი მოსულებსა და იყო ერთი ხვევნა-კოცნა“ (15).

ს. მგალობლიშვილმა მოგონებებში აღწერა ყმა გლეხის აუტანელი მდგომარეობა ავი მეზატონის ხელში. ყმა გლეხს ეპყრობიან ნივთივით, ძარცვავენ სულიან-ხორციანად, ყიდიან, ცვლიან ძაღლში ან ცხენში. ბატონი გამოესარჩლებოდა თავის ყმას, თუკი მას სხვა ვინმე მიაყენებდა შეურაცხყოფას. ამ დროს მეზატონე უპირველესად საკუთარ ღირსებას იცავდა. მემუარისტი აღწერს, თუ როგორ აცემინა დიდმა თავადმა, გიორგი ერისთავმა, დიამბეგი, რომელიც მის ყმას უსამართლოდ მოეპყრო.

ს. მგალობლიშვილის გადმოცემით, გლეხი უდრტვინველად ეწეოდა უღელს, მხოლოდ მაშინ თუ ამოანთხევდა დაგუბებულ ვარამს, როდესაც მის სულს მძლავრად შეარყევდნენ: გაყიდიდნენ ან ოჯახის ასულის ნამუსს

შეურაცხყოფდნენ. ეს უკანასკნელი მოვლენა ხშირად ბატონის სიკვდილით მთავრდებოდა. ბატონყმობის დროს ხშირად ხდებოდა ამგვარი ამბები.

ს. მაგალობლიშვილი მემუარებში საგანგებოდ წერს იმის შესახებ, თუ რა უბედურება მოუტანა ქართლის მოსახლეობას ლეკიანობამ და არა მხოლოდ XVII-XVIII საუკუნეებში, არამედ XIX საუკუნეშიც. ქართლ-კახეთში და ზოგჯერ იმერეთშიც ლეკები დას-დასად თარეშობდნენ. ისინი მოულოდნელად გამოჩნდებოდნენ ქართლის სოფლებში, ვისაც კი ხელში ჩაიგდებდნენ, ტყვედ მიჰყავდათ, რასაც კი მოიხელთებდნენ, თან მიჰქონდათ. ზოგჯერ ქართველებიც ატყვევებდნენ ლეკებს, მწერლის თქმით, „რამდენიმე ნალეკარი ოჯახია ქართლში“ (22).

ხალხი მუდამ ფხიზლად იყო. თითქმის ყველა სოფელს პატარა შეიარაღებული რაზმი ჰყავდა. გაჭირვების დროს ქუდზე კაცი გამოდიოდა, მაგრამ ცხენოსანი ლეკები სწრაფად შველოდნენ თავს.

ს. მაგალობლიშვილის თქმით, ლეკთა თარეშზე მძიმე გამოდგა ოსების შემოსევა. მემუარისტი დაწვრილებით გვიამბობს, თუ როგორ მოხვდნენ ოსები ქართლში. თავდაპირველად ისინი მაჩაბლებისა და ერისთავების ყმები იყვნენ. „შემდეგ და შემდეგ, როცა გამრავლდნენ, სხვადასხვა თავადთა და აზნაურთა მამულებში გაიხიზნენ და მოედვნენ თითქმის მთელს ქართლის მთა-ტყეებსა, ბარად იშვიათად ცხოვრობდნენ...“ (22).

დროთა განმავლობაში ოსები „დაიძრნენ მთებიდან და ხეობებიდან და ჩამოესახლნენ ქართლის განაპირა სოფლებთან. მთელი კალთები დიდის მთებისა ჩრდილოეთის მხრივ იმათ დაიჭირეს... წრესავით შემოერთყნენ გორისა და დუშეთის მაზრის ჩრდილოეთ ნაწილსა“ (25).

თითქოს მემუარისტი იმ ისტორიის დასაწყისს გვაცნობს, რასაც შემდეგ ხევისთავთა, ერისთავთა თუ მაჩაბელთა ჯაყოს ხიზნობა მოჰყვა, ხოლო ბოლოს შუაზე გაგლეჯილი ქართლი მივიღეთ ე. წ. სამხრეთ ოსეთით. მწერალი აშკარად მიგვანიშნებს, რომ ჩვენი გოროზი, გაზულუქებული მებატონეების დიდი წვლილიცაა ამ უბედურებაში.

მემუარისტი ყურადღებას ამახვილებს ოსთა კერპთაყვანისმცემლობაზეც. ოსები ეთაყვანებოდნენ თხას, რომლის თავი დიდი რქებით იყო დასვენებული უზარმაზარი ცაცხვის ან მუხის ხეზე. იქ იკრიბებოდა ხალხი, ლოცულობდა, თაყვანს სცემდა თავის ღმერთს. „დიდი ჯაფა დასჭირდათ ქართველს მღვდლებს, რომლებიც მაშინ მისიონერობდნენ, რომ მოესპოთ კერპთაყვანისცემა და გაეგრცვლებინათ ქრისტიანობა“, - ამბობს მწერალი (22).

ოსების დიდი ნაწილი ქურდობა-ავაზაკობით ცხოვრობდა. სახელი მას ჰქონდა გავარდნილი და ვაჟკაციც ის იყო, ვინც ამ საქმეში კარგად იყო დახელოვნებული. ოსებს აკლებული ჰქონდათ ქართლის სოფლები. ლეკებისგან განსხვავებით, მათ ტყვეები არ მიჰყავდათ. „ვისაც მოასწრობდნენ, დედიშობილს გახდიდნენ, წაასხავდნენ პირუტყვს საქონელსა, თუ გაუძალიანდებოდა ვინმე, სიცოცხლეს ასალმებდნენ“ (23).

ხალხი საკუთარი ძალით იგერიებდა მტერს: ბევრს ხოცავდა, იჭერდა, მაგრამ ახალ-ახალი ბრბოები ჩნდებოდნენ. უიარალო ხალხთან თამამი

და ვაჟკაცი ოსი ავაზაკები, როგორც კი იარაღიან მდეგარს შენიშნავდნენ, გარბოდნენ და ტყეში, ჩირგვებში, იმალებოდნენ. სოფლელებმა ამისი წამალიც იპოვეს: მტერს დაგეშილი ძალეებით აგნებდნენ, იარაღს აყრევინებდნენ და თხებივით იჭერდნენ.

ს. მგალობლიშვილის თქმით, არანაკლებ დააზარალებს ქართლის სოფელი რუსმა ჯარისკაცებმა, რომლებიც აქ ყირიმის ომის<sup>2</sup> შემდეგ ერთი წლით ჩამოასახლეს. თითოეულ ოჯახში ორიდან ოთხამდე ჯარისკაცი იდგა. „ეს რაზმები უცნაურის კულტურის თესლსა სთესავდნენ სოფლის ფაქიზსა და წმიდა გულში“ (20).

რუსმა ჯარისკაცებმა დიდი უბედურება მოუტანეს ქართულ სოფელს: იტაცებდნენ ყველაფერს, თვით უფროსებიც ვერაფერს აწყობდნენ მათთან, არც გაროზგვა შეელოდათ. ყველაზე დიდი საფრთხე კი სოფლის ახალგაზრდა ქალებს დაემუქრათ. სოფლელები იძულებულნი იყვნენ, ნამუსის დასაცავად ქალიშვილები სხვაგან გაეხიზნათ ან სახლებში გამოეკეტათ. სოფელი გატყავდა ქურდობისაგან და გაიხრწნა ზნეობრივად. მას შემდეგ ხალხის გონს მოსვლას დიდი დრო დასჭირდა.

ქართული სოფლის დახასიათებაში ბევრი რამაა ნიშანდობლივი და ზოგიერთი რამ შეიძლება სადღეისოდაც მეტად აქტუალური ჩანდეს. მემუარისტი წერს: „ამჟამად რომ უპატრონოა სოფელი, ამას ყველა ჩვენგანი გრძნობს, მუდამ იმას ვჩივით და ვსტირით, რომ მივხედოთ სოფელსა, სოფელი იყვლიფება, მამულ-დედული ეცლება ჩვენს გლესს ხელიდან და ფეხქვეშიდან; ვჩივით, ინტელიგენცია გაურბის სოფელსაო“ (24). ეს სიტყვები იწერება ერთი საუკუნის წინ, 1910 წელს. როგორც ვხედავთ, უკეთესობისაკენ არაფერი შეცვლილა, თუ არ დავუმატებთ იმას, რომ სოფელი თანდათან იცლება და ცარიელდება, ბევრი ჩვენი სოფელი უკვე გაუკაცურდა.

როგორც მწერალი შენიშნავს, არათუ საუკუნე-ნახევრის შემდეგ, არამედ თვით მის სიცოცხლეში იცვალა სახე ქართულმა სოფელმა და ქალაქმა. ამდენად, ფასდაუდებელია ს. მგალობლიშვილის მოგონებები, რათა გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრებაზე, მის გარემოზე XIX საუკუნის მეორე ნახევარში.

#### დამოწმებული ლიტერატურა

მგალობლიშვილი 1938: მგალობლიშვილი ს., მოგონებანი. ტფილისი, 1938.  
მგალობლიშვილი 1963: მგალობლიშვილი ს., რჩეული მოთხრობები. თბილისი, 1963.

ევგენიძე... 2013: ევგენიძე ი., მინაშვილი ლ., ქართული ლიტერატურა ოთხ ტომად, ტომი IV. თბილისი, 2013.

<sup>2</sup> ყირიმის ომი (1853-1856) - რუსეთ-თურქეთის ომი, რომელიც რუსეთის დამარცხებით დამთავრდა

**დიალექტური ლექსიკისათვის  
(ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფლების  
მონაცემთა მიხედვით)**

**For some lexical items  
According to the data of the villages of Bolnisi Municipality**

**ლუიზა ხაჩაპურიძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ქუთაისი

**Luiza Khachapuridze**

Akaki Tsereteli State University  
Georgia, Kutaisi

**ABSTRACT**

In the paper, we present the materials found during the ethnographic expedition of Akaki Tsereteli State University in 2019 (we lived in the village of Kazreti. During the expedition we visited the town of Bolnisi, villages: Kveshi, Ratevani, Akaurta, Kianeti, Kazreti, Rachisubani, Bachi).

Most of our respondents are children from different parts of Georgia (Imereti, Racha, Lechkhumi, Samegrelo, Svaneti) who settled in Bolnisi in 1945. Together with the Georgians there, they formed a whole, Georgian-speaking society.

The lexical units recorded by us well reflect the angular diversity gathered in one region, a small number of poems typical for the speech of the neighboring Azerbaijanis are also found:

External grandmother - midwife, sister-in-law/brother-in-law - guardian of girl and boy; Beekeeping/haymaking - stacking of sliced bread; Kumeloba - sweets made in the name of the deceased, a tradition similar to Korkotoba in Bolnisi; Flying - a place where nothing falls; Chopchia / Chopi (Turk.) - sticks; Dzvelebura - Easter kada; Jadagiropa (Persian: herd) - disorder; Shah (Shah, Persian - King) - Khoncha; Friend (Spar.) - brother-in-law; Dadvi - mother / crouc.

Part of the analytical lexical items is not confirmed in the published dictionaries, and part is found, but with a modified meaning. The presented material clearly shows the current life, beliefs, and characteristics of this part of Georgia.

საკვანძო სიტყვები: ბოლნისი, ექსპედიცია, კუთხური ქრილი, აზერბაიჯანული ლექსიკა, ყოველდღიურობა, მრწამსი.

Keywords: Bolnisi, expedition, angular cut, Azerbaijani vocabulary, everyday life, beliefs.

ნაშრომში წარმოვადგენთ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით 2019 წლის ზაფხულში ბოლნისის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დროს მოძიებულ მასალებს (ვცხოვრობდით სოფელ კაზრეთში. ექსპედიციის მიმდინარეობისას მოვიარეთ დაბა ბოლნისი, სოფლები: ქვეში, რატევანი, აკაურთა, კიანეთი, კაზრეთი, რაჭისუბანი, ბალიჭი და ტანძია).

ჩვენი რესპონდენტების უმრავლესობა საქართველოს სხვადასხვა კუთხის (იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი, სამეგრელო, სვანეთი) შვილები არიან, რომლებიც 1945 წლიდან ჩაასახლეს ბოლნისში. იქაურ ქართველებთან ერთად მათ ერთი მთლიანი, სწორქართულად მოლაპარაკე საზოგადოება ჩამოაყალიბეს. იქაურობის შემყურე ვამბობდით: გინდა საქართველოს ყველა კუთხე ნახო? - მოდი ბოლნისში.

ჩვენ მიერ ჩაწერილი ლექსიკური ერთეულები კარგად ასახავს ერთ რეგიონში თავმოყრილ კუთხურ სიჭრელეს; მცირე რაოდენობით გვხვდება თანამცხოვრებ აზერბაიჯანელთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი ლექსემებიც.

საანალიზო ლექსიკური ერთეულების ნაწილი არ დასტურდება გამოქვეყნებულ ლექსიკონებში, ნაწილი კი გვხვდება, მაგრამ სახეცვლილი მნიშვნელობით. წარმოდგენილ მასალაში კარგად ჩანს საქართველოს ამ კუთხის ყოფითი ცხოვრება, რწმენა-წარმოდგენები და თვისებითი მახასიათებლები.

საყოლებელი – საქონელი: „აქ ყველას საყოლებელი ყავდა, ჩრდილოეთ კავკასიიდან, ყარაჩაიდან რო ჩამოგვასახლეს, ყველამ თავისი საყოლებელი წამოიყვანა, არ გვატნევენენ თურმე, მაგრამ ჩვენი მთავრობა ჩაერია და მოაგვარა ეგ საქმე“ (რაჭისუბანი). ტერმინი „საყოლებელი“ მოცემული სემანტიკით ლექსიკონებში არ დასტურდება, მომდინარეობს ზმნიდან ყოლა „კუთვნილება, ქონება რისამე“.

უანგარო – „შაბი და კირის ხსნარი“: „უანგაროთი წამლავდნენ ვაზს და ახლაც ასეა“. შესაწამლი ხსნარი ამ ტერმინით არ დასტურდება გამოცემულ ლექსიკონებში. შდრ. ლექსიკონთა მიხედვით: „უანგარო (უანგაროსი) ვისაც ანგარება არ ამოქმედებს, რაც ანგარებით არ არის გამოწვეული; უმწიკვლო, უბიწო.“

საინტერესოა ბოლნისურ მეტყველებაში „მეოჯახე ქალის“ აღმნიშვნელი ლექსემები: დამბრუნებული ქალი /ვარცლ-ბურჯის ქალი:

„დამბრუნებული ქალი თუ არაა ოჯახში, ის ოჯახი წაქცეულია“ (ნუგზარ ჩაგელიშვილი, 77 წლის, სოფ. რაჭისუბანი). ოჯახის დაბრუნება

- „მოვლა-პატრონობა, წადმა დატრიალება“. ოჯახის დამბრუნებელი ქალი ბოლნისურ მეტყველებაში „კარგ მეოჯახე ქალს“ ნიშნავს, რომელიც ოჯახს ფეხზე წამოაყენებს. მომდინარეობს სახელზმნიდან „ბრუნება“ - რისამე ირგვლივ ან თავის ღერძის გარშემო მოძრაობა, ტრიალი (გუგა ხმელიძე, 94 წლის, ბოლნისი).

ვარცლ-ბურჯის ქალი – კარგი დიასახლისი, უფროსი ქალი, რომლის სიტყვას ყველა პატივს სცემდა. თუ წინა ორი ლექსემა „დამბრუნებელი და გამატებული ქალი“ კარგ მეოჯახე და კარგი ოჯახის პატრონ ქალს ჰქვია, ვარც-ბურჯის ქალი მათზე უფრო მეტია, რადგან მას ყველა ჰკუას ეკითხება, თავიქალია სოფლისა და სანათესაოსი”.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით: ვარცლ-ი (ვარცლისა) 1. ცომის საზელი ხის ჭურჭელი, მოგრძო და ღრმა, ორსავე ბოლოს აქვს წაშვერილი ფართო ფრთები (ეგრეთ წოდებული ვარცლის თავები, რაზედაც გუნდებად ამოღებულ ცომს საფანელს უკიდებენ).

ბურჯი-ი (ბურჯისა): 1. ქვიტირის მაღალი, მრგვალი ნაგებობა, ციხე-სიმაგრის გალავანში ადგილ-ადგილ დატანებული სიმაგრისათვის, 2. ბურჯი - საყრდენი, იმედი.

აქედან გამომდინარე, ვარცლ-ბურჯი არის ოჯახის დიასახლისი, დამპყრებელი, საყრდენი, იმედი.

და-დიანი / ძმა-დიანი – „გოგოს მეჯვარეს ეძახდნენ – და-დიანი, ხოლო ბიჭის მეჯვარეს – ძმა-დიანი. პატარძალს ძმადიანიც ჰყავდა და დადიანიც და ნეფეს მარტო ძმადიანი და ოჯახის ნათლიებიც ესენი იყვნენ მერე, ბავშვი რომ გაჩდებოდა“. აღნიშნული ტერმინები - ძმადიანი და დადიანი ექსპედიციებში როგორც ქართლში, ისე აჭარაში ხშირად შეგვხვედრია, მაგრამ ამ ფორმით თითქმის არც ერთ დიალექტურ ლექსიკონში და არც ქველ-ში არ ფიქსირდება. მოცემული ტერმინები უნდა მოდიოდეს ძმადი/ძმადე ფორმიდან: ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ: ძმად-ი, ძმადე (ძმადისა) - ძვ. ეთნ. დედოფლის გამყოლი კაცი, - ძმობილი (შდრ. ხელისმომკიდ). „ძმადეებმა სამჯერ შეუცვალეს ბეჭედი, თავს დაახურეს ოქროს კავებიანი გვირგვინი (ნ. ლორთქ.). სულხან-საბასთან ძმადი-მაცარს ნიშნავს (სულხან-საბა 1991). საქორწინო და საქორწილო წეს-ჩვეულებების შესწავლით შეიძლება ვიკვლიოთ ქართველთა ზნეობრივ-ფსიქოლოგიური მახასიათებლების, ხელოვნური ნათესაობის ფორმები.

შვიდი – გარდაცვალებიდან მეშვიდე დღეს ოჯახი პატიჟებად უახლოეს ხალხს, რომ სასაფლაოზე გასულიყვნენ. ამ მნიშვნელობით არ დასტურდება არც ერთ ლექსიკონში. ჯავახურში გვაქვს: შვიდი რწმუნება, შვიდი რწმუნების ფერხული: საწესო ხასიათისა, სრულდებოდა ყველიერის უკანასკნელი დღის (კვირა) საღამოს. დასავლეთ საქართველოს კუთხეებში აღნიშნულ რიტუალს მეცხრე დღე ეწოდება.

ცომის ამოყვავება – ცომის ამოსვლა: „ცომის დასადები გრძელ ფიცარზე, ორომზე უფრო „ამოყვავდებოდა“ პური (რაჭული დიალექტი); ამოყვავება



გვხვდება აჭარულშიც, კერძოდ, ჩვენ მიერ მარეთის ხეობაში ჩაწერილ მასალებში. მოცემული სემანტიკით არ ფიქსირდება გამოქვეყნებულ ლექსიკონებში.

**ჯადაგირობა** – არეულობა „საქვეყნო ჯადაგირობის დროს ჩამოგვასახლეს აქ“. მომდინარეობს სპარსული სიტყვისაგან ჯადაგირო-ი. იგივეა, რაც ნახირი.

**პირის გამოტანა** – ქალის თანხმობა, რასაც მოჰყვებოდა ნიშნობა: „თუ მოციქული პირს გამოიტანდა, მერე დაიწყებოდა ნიშნობისთვის მზადება“.

**ხატზე გაყვანა** – სამშვიდობო დაფიცება: „ეს იყო სვანური წესი. შენ უნდა დაგეფიცა, გაგიყვანდნენ ხატზე და იფიცებდი, რომ ჩვენ არ გვეწყინება. ნაწყენი არ უნდა დარჩენილიყო არც ერთი მხარე. მოციქული არის კაცი, რომელსაც ირჩევს ოჯახი და გიგზავნის ოჯახში, რომ მოგვწონს ეს გოგო და გთხოვთ მოგვათხოვოთ“ (სოფ. ტანძია).

**მოციქული** – მაჭანკალი: „მოციქული არის კაცი, რომელსაც ირჩევს ოჯახი და გიგზავნის ოჯახში, რომ მოგვწონს ეს გოგო და გთხოვთ მოგვათხოვოთ. მაჭანკალი კი თავისი სურვილით ირჩედს და ურიგებს ერთმანეთს“.

**მაყრიონი ქუდქვეშ** – მაყრიონო, შეგარცხვინე: „თუ მაყარი არ იყო მხიარულად, დაიძახებდნენ: მაყრიონი ქუდქვეშ“. ეს ნიშნავდა, რომ შერცხვნილი იყო. თუ მასპინძელი ვერ გაუწევდა სათანადო პატივისცემას, მაშინ დაუძახებდნენ: „მასპინძელი ქუდქვეშ“.

**შახი** ( სპარს. შაჰ - მეფე) – „ხონჩა: „აქ იციან შახი, ჩვენებური ხონჩასავითაა, მაგრამ ძირითადად ტკბილეულისაგან, შოკოლადებისაგან შედგება, როგორც პატარა ნამდისხე, ისეა აცმული შოკოლადები და კამფეტები და მახარობელს ჩუქნიდნენ, რომელიც თოფის სროლით მიდიოდა ქორწილში“.

**ჩოფჩია** – ჩოფი (თურქ. Çubuc - ჩხირი): „ბავშვს ან კაცს თუ რამე გადაეყლაპებოდა ან გაეჩხირებოდა, ეს ჩოფს იღებდა და ამ ქალს ჩოფჩიას ვეძახდით“.

**ძველებურა** – სააადღომო ქადა: „ძველებურას ჩვენ ვაკეთებდით რაჭისუბანში და სააადღომოთ ვუკითხავდით მეზობლებსაც. ჩვენ ვასწავლეთ, ამათ არ იცოდნენ. ახლა აღარც ჩვენ ვაკეთებთ, დაიკარგა“. არ დასტურდება ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში.

**ღრმა სოფელი** – „ძნელად მისასვლელი, არა მხოლოდ ტერიტორიულად, ყველაფრისთვის შორი სოფელი“: „გაღმა ქვეში ადრე ღრმა სოფლად ითვლებოდა, როცა ტრანსპორტი არ იყო, ფეხით მისასვლელად ძალიან ძნელი იყო“.

**ქუმელობა** – მიცვალებულის სახელზე გაკეთებული ტკბილეული. კორკოტობის მსგავსი ტრადიცია ბოლნისში, გვხვდება მაშავერაში, რატევანში, აკაურთასა და ბალიჭში. კორკოტობა დაცულია რაჭისუბანსა (რაჭველებში) და ტანძიაში, სადაც სვანები ცხოვრობენ: „ქუმელობა იყო ადრე ჩვენში. ეს ქუმელი ნიშნავდა იმას, რო ფქვილს ხალავდნენ და

აწითლებდნენ. ცოტა სიტკბოსაც ურევდნენ. ხავიწსა და ქუმელს შორის სხვაობა ის არის, რომ ხავიწს უფრო მეტი ცხიმი აქვს. ეს ესე მშრალად იჭმეოდა, მუქი ფერის იყო. ამის მსგავსი მუსულმანებს აქვთ ხალვა. ქეგლის მიხედვით: ქუმელ-ი (ქუმლისა) 1. მოხალული მარცვლის ფქვილი (საბა), - ხალი. ქუმელი... მთის ხალხმა ქერისა იცის, მაგრამ უნუშქიშმიშოდ (ბ. ჯორჯ.). „ასეთი ფქვილი ცივ წყალშია ასვრემილი. ძმები ზედიზედ... ჭამენ... ქუმელს (მ. ჯავახ.). 2. კუთხ. (თუმ.) დანაყილი სელის საწებელი.

დოსტი (სპარს.) – ძმადნაფიცავით მეგობარი: „პაპაჩემს ყავდა დოსტი, დოსტი იყო აზერბაიჯანელი მეგობარი, რომელიც ცხვარს უნახავდა ხოლმე. ცხვრის ნამატი ჩამოყავდა. ეს გრძელდებოდა თობებში და ეროვნებებს შორის ჩვენთან განსხვავებები არ ყოფილა“ (მთხრობელი: მაია მოსეშვილი, 55 წლის, დმანისი, სოფ. მაშავერა). აღნიშნული ტერმინი დასტურდება როგორც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, ასევე ჯავახური დიალექტის ლექსიკონშიც.

დადვი-დედალი – „კრუხი“: „დედალი რომ დაჯდება კვერცხებზე, იმას ვეძახით დადვს, კრუხი თქვენებურად“.

კუნტა/კუნტალა – (შდრ. მეგრ. კუნტა „მოკლე“): მოკლე შარვალი. „არ მომწონს ეს კუნტალები რომ აცვიათ, ანუ შორტები დახეული“ (მთქმელი: პეტრე დანელია, 65 წლის). კუნტასგან მომდინარეობს სიტყვა მოკუნტული, რაც „მოხრილს“ ნიშნავს. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ: მოკუნტულ-ი (მოკუნტულისა) მიმდ. ვნებ. ნამ. ვინც ან რაც მოკუნტა, - მოხრილი, მოღუნული, მოკაკული (ადამიანი, ცხოველი). ბევრჯერ უტირნია [მელია] სერეფენიას, სოროში მოკუნტულს (ვაჟა). [ნენე] მოკუნტული იჯდა ტახტის ბოლოს (ეკ. გაბ.)“ (ქეგლ 1964). დასტურდება იმერულშიც: „დაიკუნტა საწყალი, ძლივს დადის თავი მიწამდე დაუხრია, ზემოთ ველარ იხედება.“

#### დამოწმებული ლიტერატურა

ეთნოგრაფიული ლექსიკონი 2011: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბილისი, 2011.

კობახიძე 1987: კობახიძე ალ., რაჭული დიალექტის ლექსიკონი. თბილისი, 1987.

ორბელიანი 1991: სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული. თბილისი, 1991.

ქეგლ 1964: ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი, 8 ტომად, არნ. ჩიქობავას რედაქციით. თბილისი, 1964.

ღლონტი 1984: ღლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. თბილისი, 1984.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის  
აუცილებლობა შიდა ქართლის  
ოკუპირებული ტერიტორიებისთვის

**The need for corporate social responsibility For the  
occupied territories of Shida Kartli**

**მზია ხოსიტაშვილი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

**Mzia Khositashvili**

Georgian Technical University  
Georgia, Tbilisi

**ABSTRACT**

The article discusses the ongoing „modernization“ process in the occupied territories of Shida Kartli in terms of corporate responsibility, negative impact on the environment, and human rights violations. Most of the population left behind the dividing lines are struggling to survive, leaving behind their natural resources, the use of which has added more dignity to their lives. The author suggests that information about Shida Kartli’s natural resources and minerals is available only to a narrow circle of specialists and that the newly fenced (bordered) areas for most of the community include only orchards and untapped forests.

In this regard, the article provides an overview of historical sources about the Ossetian settlement and useful resources in the historic Samachablo. Information on the minerals discovered in the mentioned areas at different times - starting from the time of Tsarist Russia and the period of the establishment of the South Ossetian region - on the findings of geological-mineralogical expeditions.

The article uses the description of Shida Kartli deposits during the trip of the German scientist-traveler Gldenstedt to Georgia, as well as the works of the famous Russian geologist and ethnographer A. Florenski, Mineralogist and Geologist g. Barsanov 1929-1930. Conclusions of the results of a mineralogical-geological expedition on the territory of the South Ossetian Autonomous Region, which describes the marble deposits of the Lopani Gorge.

The Sustainable Development Goals, developed by 193 countries and set for the end of 2030, include: „Protection, restoration and sustainable use of the Earth’s ecosystems, sound forest management, deforestation prevention, eradication and restoration, biodiversity conservation“.

The presence of minerals in the occupied territories makes it possible to restore industrial production there. Their efforts will contribute to the introduction of corporate programs for the community/population living on both sides of the border, raising their awareness, the importance of sustainable use of natural resources, and the acquisition and development of professional skills.

The author hopes that the involvement of donors and funds in the strategy developed by the state on the occupied territories, the pursuit of sustainable development goals will help the community/population living on both sides of the border to use natural resources and create decent living conditions through joint activities.

საკვანძო სიტყვები: ადამიანის უფლებები, შიდა ქართლის მადნები, ლოპანის ხეობის მარმარილო, სამაჩაბლო, ოკუპირებული ტერიტორიები, მდგრადი განვითარების ასპექტები, არამინერალები, კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა

**Keywords:** Human Rights, Shida Kartli ores, Lopani Gorge Marble, Samachablo, Occupied Territories, Aspects of Sustainable Development, Non-Minerals, Corporate Social Responsibility.

შიდა ქართლის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე ბორდერიზაციის პროცესი, პოლიტიკური საკითხებისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის გარდა, ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და მდგრადი განვითარების, კერძოდ, გარემოს დაცვით პრობლემებსაც უკავშირდება. საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 29. მკაფიოდ განსაზღვრავს ყველა ადამიანის უფლებას „ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით. ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება უზრუნველყოფილია კანონით.“

ეს უფლება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მრავალი წლის მანძილზე დარღვეულია; იქ მცხოვრებ მოსახლეობას მწირი ინფორმაცია აქვს იმ ბუნებრივი რესურსების შესახებ, რომელთა გამოყენება მათ ყოფას ბევრად ღირსეულს გახდიდა. სავარაუდოა, რომ ინფორმაციას შიდა ქართლის ბუნებრივი რესურსებისა და სასარგებლო წიაღისეულის შესახებ მხოლოდ სპეციალისტების ვიწრო წრე ფლობს და საზოგადოების უმეტესი ნაწილისათვის ახლად შემოღობილი (ბორდერიზებული) ტერიტორიები მხოლოდ მოსახლეობისთვის წართმეულ ხეხილის ბაღებსა და აუთვისებელ ტყის მასივებს მოიცავს. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა სამაჩაბლოში

ოსების დასახლებისა და სასარგებლო რესურსების შესახებ ისტორიული წყაროების მიმოხილვა.

„საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ (XV ს.) ჩრდილოეთ კავკასიის მთიან ხეობებში ჩაკეტილმა ოსებმა დვალეთზე ხშირი თავდასხმების, ლაშქრობების შედეგად აიძულეს ადგილობრივი ქართული მოსახლეობა - დვალეები, მიეტოვებინათ წინაპართა საცხოვრისი და საქართველოს სხვა მხარეებში გადასახლებულიყვნენ“ (თოფჩიშვილი 2002: 38). ოსების ინტენსიური გადმოსახლება ჩრდილოეთ კავკასიიდან შიდა ქართლში უკვე XVII საუკუნის შუა ხანებიდან იწყება (იქვე: 20). საცხოვრებელ ადგილებს ოსები ქართულ სოფლებზე თავდასხმებით და მიწების მიტაცებით იკავებდნენ.

„ოსური მოსახლეობა უდიერად ექცეოდა გარემო პირობებს“. პირველ რიგში დაუნდობლად კავავდა ტყის მასივებს, რომელიც მათი შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ იქცა (პავლიაშვილი 1998: 15).

ოსთა შემოჭრის აქტიური პროცესი და საერთოდ ამ რეგიონის ოსეთის ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფის მცდელობა იწყება 1802 წლიდან, როდესაც საქართველოში სამოქალაქო საქმეთა მთავარმართებელმა გენერალ-ლეიტენანტმა კარლ კნორინგმა რუსეთის იმპერატორისთვის გაგზავნილ პატაკში დიდი და პატარა ლიახვის ხეობების ოსებით დასახლებულ მთიან რაიონებს ხელაღებით უწოდა «Осетия», ხოლო ქართველთა საცხოვრისს მთისწინა ბარის ზოლში «Трузия», რითაც შუაგულ საქართველოს უბოდიშოდ დაანათლა მეზობელი ქვეყნის სახელი“ (თოიძე 1990: 13).

1922 წლის 22 აპრილს გამოქვეყნებულ იქნა სრულიად საქართველოს საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის №2 დეკრეტი „სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ“, რომელიც შეიქმნა როგორც საქართველოს სსრ შემადგენელი ნაწილი ცენტრით ქ. ცხინვალში. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მოექცეს ტერიტორია, რომელიც უკავია სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას“ შემდეგ საზღვრებში: ა) ჩრდილოეთით - სასაზღვრო ზოლი გადიოდა კავკასიის მთავარ ქედზე მთიელთა დემოკრატიული რესპუბლიკის<sup>1</sup> სამხრეთ საზღვრის გასწვრივ, ბ) დასავლეთით: სასაზღვრო ხაზი იწყება მთიელთა რესპუბლიკის საზღვრებიდან (მდ. ჭანჭახის, ჩანჩახის) სათავესთან მის შენაკადებთან ერთად.

მოსკოვის იმპერიალიზმი, ისევე როგორც აფხაზეთს, პოლიტიკურსა და სტრატეგიულ როლს აკისრებდა ე.წ. სამხრეთ ოსეთს. საქართველოში, სადაც ოსობა წარმოადგენს ხიზნებსა და კოლონისტებს, მათთვის ოთხი მაზრიდან, (გორის, დუშეთის, შორაპნის და რაჭის), ხელოვნურად გამოსჭრა

<sup>1</sup> ჩრდილო კავკასიის მთიელთა რესპუბლიკა ძირითადად მოიცავდა რუსეთის ყოფილი იმპერიის თერგისა და დაღესტნის ოლქებს, დაღესტნელებით, ჩეჩნებით, ინგუშებით, ბალყარებითა და ყაზარდოელებით დასახლებულ ტერიტორიებს, შეიქმნა 1917 წელს, 1924 წლამდე შედიოდა რსფსრ-ის შემადგენლობაში.

ოსური ავტონომია მრავალ წმინდა ქართული სოფლის შიგ ჩართვით. „იმდენად აწამეს და აჭახრაკეს ავტონომიურ ოსეთის საზღვარი, რომ მის ფარგლებში მამისონის გადასავალიც კი მოაქციეს რაჭის მხრიდან“ (სსცია, ფ. 48, საქ. 624, ფურ. 1).

1929-1930 წლებში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მიერ მოეწყო სამხრეთ-ოსეთის მინერალოგიური ექსპედიცია СНХ Юго-Осетии (სამხრეთ ოსეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს) ინიციატივითა და ავტონომიის ხარჯებით. მინერალოგიური რაზმის თავდაპირველი ამოცანა ყოფილა სამხრეთ ოსეთის მთელი ტერიტორიის გეგმიური და სისტემატური შესწავლა. ამ დავალების პრაქტიკული მხარე ითვალისწინებდა ოლქის მთიანი მხარის სიმდიდრის გამოვლენას, თეორიულად კი - მისი გეოქიმიური პირობების გამოკვლევას. სახსრების უქონლობის გამო გამოკვლევულ იქნა მხოლოდ ლოპანის ხევი, რადგან იგი მეტად საინტერესო ობიექტს წარმოადგენდა და ამიტომაც ხანგრძლივი დრო დასჭირდა მის შესწავლას. სასარგებლო წიაღისეულის სიმდიდრე და მრავალფეროვნება, რომელიც თავმოყრილი იყო მცირე ფართობზე, მისი სიახლოვე რკინიგზასთან (18 კმ. სადგურ გომიდან) - ეს ყველაფერი უახლოეს მომავალში ლოპანის ხევის ბრწყინვალე ეკონომიკური განვითარების იმედს იძლეოდა (ფლორენსკი... 1936: 10). მიუხედავად იმისა, რომ ექსპედიცია მხოლოდ 2 წელი გრძელდებოდა, აღმოჩენილ იქნა საბადოები, რომელთა მრავალრიცხოვან სიას კვლევის გაგრძელების შემთხვევაში შესაძლებელია კიდევ დამატებოდა.

მეცნიერები ლოპანის ხევის მარმარილოს საბადოებით დაინტერესებულან. ლოპანის წყალი ფრონეს მხარის უკიდურესად დასავლეთით მდებარეობს. „ამ მდინარის მარჯვენა მხარეს არის პატარა დასახლება წნელისი, რომელის 1715 წლის რუკის საეპისკოპოსოს დავთრის მიხედვით არის მწყვედელისი, მთლიანად ქართული მოსახლეობით, ამჟამად შერეული“. აქვე ყოფილა „აბედის ღლე, რომელიც ფრონეს მარჯვენა შენაკადია. სიტყვა აბედი მხარეში ერთგვარი მადნის სახელია, რომელსაც სულხან-საბა ასე განმარტავს: „აბედი არის ნივთი მსწრაფლ ცეცხლის შემწყნარებელი“ (ორბელიანი 1991) (ოთინაშვილი 2016: 234-235). ცნობილი გერმანელი მეცნიერი და მოგზაური იოჰან გიულდენშტედტიც აღნიშნავდა თავისი მოგზაურობისას, რომ: „პატარა მდინარე ფრონე, ანუ ფრონა, იწყება მხოლოდ კირიან მთებში და მიედინება ლიახვის პარალელურად“ (გიულდენშტედტი 1962: 223).

რუსი მეცნიერ-ავტორები ა. ფლორენსკი და გ. ბარსანოვი მიუთითებდნენ, რომ დასავლეთ საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის საბადოების სიახლოვე რკინიგზასთან და შავი ზღვის პორტებთან დასავლეთ საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის მარმარილოებს დიდ ეკონომიკურ მნიშვნელობას შესძენდა, შესაძლოა მათ შიდა ბაზრისა და სანაბევროდ ექსპორტის მოთხოვნებიც დაეკმაყოფილებინათ. „მარმარილო, ყველაზე მკვეთრი და მრავალფეროვანი შეფერილობის ფართოდაა

გავრცელებული მთელ დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კი იმ ადგილებში, რომლებიც ერწყმის სურამის (ლიხის) ქედს“ (ფლორენსკი... 1936: 40). კვლევაში აღნიშნავდნენ, რომ გასული (მე-19) საუკუნის ნახევრიდან დაწყებული მარმარილოს მოპოვების მექანიზაციის გაუმჯობესებასთან ერთად, დასავლეთისა და ამერიკის არქიტექტურაში სულ უფრო იზრდებოდა ტექნიკასა და არქიტექტურაში მარმარილოს გამოყენება. ამიტომ სულ მცირე საბადოც კი შეიძლება მეტად რენტაბელური ყოფილიყო.

მიუხედავად ელინისტური სამყაროს ტრადიციებისა, რომლებსაც ძალიან უყვარდათ მარმარილო, ამიერკავკასიაში მისმა გამოყენებამ ფეხი ვერ მოიკიდა და, საბადოების სიმრავლის მიუხედავად, მას ამიერკავკასიის ეკონომიკაში არანაირი როლი არ ჰქონია. ისინი დანაწევრებით აღნიშნავდნენ, რომ უძველეს ძეგლებში, საქართველოსა და სომხეთის მაღალ განვითარებულ არქიტექტურაში, სადაც შეეძლოთ ბრწყინვალედ გამოეყენებინათ ადგილობრივი საშენებლო მასალა, „არ გვხვდება მისი გამოყენება საბადოსთან ახლოს მდებარე ტაძრებთანაც კი. აქ ლოპანის ხევში არის ტაძარი, რომელიც 0,5 კმ-შია პირველ მარმარილოს კარიერთან. ტაძარი აგებულია ნაწილი სერპენტინით და ნაწილი ტრავერტინით, რომლებიც შორიდანაა ჩამოტანილი. უთვალავი „მარმარილოს“ საფლავის ქვა, რომლებიც აქ გვხვდება უკვე XVI საუკუნიდან საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სასაფლაოებსა და ტაძრებში, არის არა მარმარილო, არამედ (ნაღვენთი) მარმარილოს ონიქსი, რომელიც შემოჰქონდათ ირანიდან ურმის საბადოებიდან ან ამიერკავკასიიდან“ (ფლორენსკი... 1936: 40-41).

კავკასიური მარმარილოს ექსპლუატაციის პირველი მცდელობა ეკუთვნის ანჯელო ანდრეოლეტის ფირმას XIX საუკუნის ბოლოს. და პირველი მარმარილოც ლოპანის მარმარილო იყო. თუმცა ანდრეოლეტის გადამუშავება ბარბაროსულ ხასიათს ატარებდა, მათ მნიშვნელოვნად დაუზიანებიათ და ჩაუხერგავთ კარიერი, რომელიც შემდეგ ხშირი ტყით დაფარულა.

ამგვარად, ლოპანის მარმარილო, იმ დროისათვის უკვე სრულიად მივიწყებული, აღდგენილ და თითქოს ხელახლად იქნა აღმოჩენილი.

ლოპანის ხევში პრაქტიკული დანიშნულების მარმარილოს 2 საბადოა, სხვა მრავალრიცხოვანი მარმარილოს გამოვლენა ნაკლებად საინტერესოდ მიუჩნევიათ. პირველი, ანუ აბოეთის საბადო, მდებარეობდა ლოპანის წყლის მარჯვენა მხარეს, მეორე - ანუ დედაკანის - მდ. ლოპანის წყლის მარჯვენა შენაკადზე, დედაკანის წყლის წყაროზე, მდინარეზე.

ცნობილ სასარგებლო წიაღისეულთა შორის ტალკი და სერპენტინიტი მეტად მნიშვნელოვანია. ტალკს იყენებენ მთელ რიგ დარგებში: რეზინის წარმოებაში, პარფუმერიაში, ცეცხლგამძლე ყალიბების დასამზადებლად. ბოლო დრომდე ტალკის შემცველი სერპანტინიტი პრაქტიკულად მიაჩნდათ ფუჭ ქანად, მაგრამ გეოლოგიურ-ტექნოლოგიურმა კვლევებმა დაადასტურეს, რომ მათი გამოყენება შეიძლება სოფლის მეურნეობაში,

ასევე როგორც მანგანუმშემცველი სანაკეთო ქვა. მათი საბადოები შეადგენს ჯგუფს, რომელიც ცნობილია ჩორჩანის საბადოთა ჯგუფის სახელწოდებით და მათი მარაგი მეტად დიდია (იხ. რუკა).

ტალკის საბადოები ასევე წარმოდგენილია ქვაშავას, თეთრი მინდორის, ჭეშორასა და უწლევის რაიონებში (ფლორენსკი... 1936: 74). ლოპანის რაიონში ნიკელის არსებობაც დადასტურდა, თუმცა მრეწველობისთვის მცირე რაოდენობით. გორის-ხევის შემოგარენში, თეთრ მინდორთან აღმოჩენილ იქნა ოქრო, მინერალები პლატინის ჯგუფიდან, კვარცის საბადოები (იქვე: 81-84). იმ პერიოდში სხვადასხვა ადგილებიდან აღებულ მადნებზე ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა მათი მაღალი ხარისხი.

თუმცა, სანამ ა. ფლორენსკისა და გ. ბარსანოვის ექსპედიცია შედგებოდა, იოჰან გიულდენშტედტმა, რომელმაც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით ექსპედიციის ფარგლებში მოიარა და შეისწავლა ჩრდილოეთ კავკასია და საქართველო, საკმაოდ დიდი ადგილი დაუთმო მათ გეოგრაფიულ და მინერალოგიურ აღწერას.

მეცნიერ-მოგზაურის მიერ ქრცხინვალიდან (ცხინვალიდან) ლარგვისის მონასტრებისკენ მიმავალ გზაზე, ჩრდილო-აღმოსავლეთით ხან მოწითალო, რკინის შემცველი ქანებია დაფიქსირებული, ხან კი წიდის მსგავსი კლდეები. საცხენეთთან - რუხი კირიანი ქვიშაქვაა და მდ. ფოტრისაზე კი - ყავისფერი ბაზალტი (*Saxum-fuscum trapezium*) (გიულდენშტედტი 1964: 27).

ქსანზე, მდინარე ყანჩავეთის ხეობა, ახალგორთან ქვიშიანი კირქვა ქანებია; იქვე, მდინარე ლორწობანზე 3 გოგირდიანი წყარო ყოფილა. მათ ახლოს წირქოლთან სელენიტია (ცარცის საბადო). სოფელ სამეგურთან, ზემო ქსანზე ძველად კუპრი გადმოედინილა და ამიტომ კირქვას მოლურჯო-მოშავი ფერი ჰქონია (იქვე: 29).

ახალგორისა და ქსოვრისის გარშემო, ქსანსა და არაგვს შორის ბრეჟჩის კირქვისგან შემდგარი პატარა მწვერვალებია, „ქსანზე, ახალგორიდან ლარგვისამდე ზემოთ (დაახ. 20 ვერსი) კი უფრო სუფთა, მოთეთრო, ნაწილობრივ ფიქალისებრი კირქვა ყოფილა“ (იქვე). აქვე ნახსენებია ყვითელი დარიშხანი, ქარჩახთან ქსანზე კირქვის ნაპრალებში ფიქლებრივი თიხა სპილენძის ლურჯათი.

შიდა ქართლში, სოფელ ძაღინას მიდამოებში, არის აღმადანიანი ტყვიისკრიალა მადანი (იქვე: 31). ძაღინას მოიხსენებს ვახუშტი ბაგრატიონი: თიღვას „ჩდილოთ კერძ არს ძაღინა. აქა არს ლითონი ვერცხლისა, არამედ უსარგებლობისათვის დაუტევეს... ძაღინას არს ციხე და სასახლე“ (ქც 4: 376,8,11).

შემდგომ, სახალხო მეურნეობის პირველი ხუთწლედის პერიოდში (1928-1932), როდესაც სოციალისტური მშენებლობის განვითარებისთვის დაისახა აგრარული ქვეყნის ინდუსტრიულ ქვეყნად გარდაქმნის პროგრამა, შიდა ქართლის ტერიტორიებზე აღმოჩენილ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი



წიაღისეულის საბადოები, როგორცაა: თუთია, ტყვია, სპილენძი, დარიშხანი. სამძებრო-გეოლოგიურმა დაზვერვითმა სამუშაოებმა აჩვენა, რომ „სამხრეთ ოსეთი“ მდიდარი იყო არამადნეული წიაღისეულით, აღმოჩენილ იქნა: ტალკი, ანდეზიტი, ბარიტი, ნავთობი, სალესი ქვა, კვარცხლი ქვიშა, ცეცხლგამძლე თიხა. დაზვერვითმა სამუშაოებმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის დიდი მარაგები გამოავლინა.

სამწუხაროდ, აღნიშნული საბადოები დღეს რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით სახელმწიფოს აქვს გარკვეული სტრატეგია, ჩართულობა თანამშრომლობის გზით. მის პრემამბულაში სხვა საკითხებთან ერთად გაცხადებულია საქართველოს სახელმწიფოებრივი მიზანი, უზრუნველყოს ქვეყნის ყველა მოქალაქე მრავალეთნიკურ და კულტურულად მრავალფეროვან საზოგადოებაში ისეთი მომავლით, რომ ისარგებლოს ინტეგრირებული, განვითარებული ეკონომიკით. მასში შედის: გამყოფი ხაზებით ერთმანეთთან განცალკევებულ თემებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის ხელშეწყობა; ორივე მხარის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება; გამყოფი ხაზებით იზოლირებულ რეგიონებს შორის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

სტრატეგიის ძირითად პრინციპებში აღნიშნულია, რომ სახელმწიფოს პოლიტიკა და საქმიანობა ეხება როგორც ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ, ისე ამ რაიონებიდან დევნილ მოსახლეობას. „შესაბამისად, ყველა ეს საქმიანობა უნდა იყოს ერთობლივი და/ან ურთიერთშეთანხმებული, ურთიერთსასარგებლო, პრაგმატული და უნდა მოიცავდეს გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მცხოვრებ მოსახლეობას“ (საქართველოს მთავრობა. სახელმწიფოს სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ. გვ. 8). სტრატეგიის მიზნებში შედის ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებიც მოიცავს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასა და განვითარებას, გამყოფი ხაზებით იზოლირებულ რეგიონებს შორის ინფორმაციის თავისუფლად გავრცელებას, თემთაშორისი ურთიერთობის წახალისებასა და მხარდაჭერას, სპეციალური ზონების, მათ შორის ინტეგრირებული სოციო-ეკონომიკური და/ან სხვა სახის ზონების შექმნას.

ამ გეგმების შესრულებაში სახელმწიფო ითვალისწინებს სხვადასხვა სახელმწიფოების, დონორებისა და ერთობლივი ბიზნეს-საქმიანობისათვის მიზნობრივი ფონდების შექმნას, ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასა და რეაბილიტაციას, გარემოსდაცვითი ღონისძიებების ხელშეწყობას; ეკონომიკური და სავაჭრო საქმიანობისთვის სამართლებრივი და ადმინისტრაციული ზომების მიღებას.


ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ სტრატეგიულ გეგმაში გაწერილია ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეწყობა, საზღვართან მცხოვრებ მოქალაქეთა ჩართულობა, მაგრამ არ არის დაკონკრეტებული

საქმიანობის სფერო და აქცენტი მხოლოდ სავაჭრო ზონებზეა გაკეთებული. მნიშვნელოვანი იქნებოდა სტატიაში მოცემული სასარგებლო წიაღისეულის შესაძლო გამოყენებასთან დაკავშირებული ასპექტების განხილვა გარემოსდაცვითი და მდგრადი განვითარების თვალსაზრისით.


მდგრადი განვითარების სამივე ასპექტი - ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უკავშირდება კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას. „...სოციალური პასუხისმგებლობა წარმოადგენს კომპანიის მუდმივ პასუხისმგებლობას გარემოზე, უკეთესი სამუშაო ადგილების შექმნაზე, საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებაზე...“ (ხოფერია 2012: 16). მდგრადი განვითარების მიზნებში, რომელიც შემუშავებულია 193 ქვეყნის მიერ და 2030 წლის ბოლომდეა გაწერილი, ერთ-ერთია: „დედამიწის ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და მდგრადი გამოყენება, ტყეების გონივრული მართვა, გაუდაბურების აღკვეთა, ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა-გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება“.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე სასარგებლო წიაღისეულის არსებობა შესაძლებელს ხდის იქ სამრეწველო წარმოების აღდგენას. ყურადსაღებია სხვა ქვეყნების გამოცდილება. გაეროს ადამიანის უფლებების საბჭოს ერთ-ერთ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ისრაელის მიერ პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული კომპანიები მონაწილეობენ პალესტინის ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციაში და თუმცა გაერო ვერ გამართავს სასამართლო პროცესს ამ საკითხების გამო, აქ გახსნილ 206 საწარმოს საქმიანობას კორპორაციული პასუხისმგებლობა ეკისრება ადამიანის უფლებების დარღვევის კუთხით.

ამის გათვალისწინებით, აუცილებელია სახელმწიფოს მიერ ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ შემუშავებულ სტრატეგიაში გათვალისწინებული დონორებისა და ფონდების გამოყენება. მათი ძალისხმევა ხელს შეუწყობს საზღვრის ორივე მხარეს მცხოვრები თემისთვის/მოსახლეობისთვის კორპორაციული პროგრამების დანერგვას, მათი ცნობიერების ამაღლებას, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების მნიშვნელობას, პროფესიული უნარების შეძენა-განვითარებას. იმედს ვიტოვებთ, რომ მაინც მოხდება გამყოფი ხაზის სხვადასხვა მხარეს მოხვედრილი მოქალაქეების, ერთ დროს მეზობლების, დაახლოება და ერთობლივი საქმიანობით საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანა.




სურათი 1




სურათი 2

**ТЕОЛОГИЧЕСКАЯ КАРТА**  
**Лопинского района Юго-Осетии**  
 Составили: А. Флоренский и Г. Барсанов в 1930 г.



სურათი 3



სურათი 4

#### დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები

- ბარსანოვი 1937: Барсанов Г.П., К минералогии Юго-Осетии, Ленинград, 1937.
- გიულდენშტედტი 1962: გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I. თბილისი, 1962.
- გიულდენშტედტი 1964: გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, II. თბილისი, 1964.
- დეკრეტი 1922: Декрет №2 Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов и Совета Народных Комиссаров ССР Грузии Об образовании Автономной области Юго-Осетии, „Правда Грузии“, 22 апреля, № 34, 1922.
- თოიძე 1990: თოიძე ლ., სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა: ჟურნალი „მაცნე“ (ისტორიის სერია), №4. თბილისი, 1990.
- თოფჩიშვილი 2002: თოფჩიშვილი რ., ქართველთა ეთნიკური ისტორია და საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები. თბილისი, 2002.
- ოთინაშვილი 2016: ოთინაშვილი ნ., ჰიდროაპელატივებით ნაწარმოები ტოპონიმები ფრონეს ხეობაში: ჟურნალი ქართული მემკვიდრეობა, ტ. XX. ქუთაისი, 2016.
- პავლიაშვილი 1998: პავლიაშვილი დ., შიდაქართლის სოციალ-ეკონომიკური სტრუქტურა, ნაწილი I, მდ. პატარა ლიახვის ხეობა. თბილისი, 1998.
- ფლორენსკი... 1936: Флоренский А. А., Барсанов Г. П., Геология, петрография и полезные ископаемые бассейна Лопанис-цхали в Юго осетии, Сборник IV, Л., 1936.

ქც 1973: ქართლის ცხოვრება: ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, IV. თბილისი, 1973.

ხოფერია 2012: ხოფერია ლ., კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სახელმძღვანელო. თბილისი, 2012.

მდგრადი განვითარების მიზნები [http://www.ungeorgia.ge/geo/sustainable\\_development\\_goals#.XqXpaikzZ0x](http://www.ungeorgia.ge/geo/sustainable_development_goals#.XqXpaikzZ0x) (28.04.2020).

სახელმწიფოს სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ. ჩართულობა თანამშრომლობის გზით

[http://gov.ge/files/224\\_31227\\_132584\\_SMR-Strategy-ge\(1\).pdf](http://gov.ge/files/224_31227_132584_SMR-Strategy-ge(1).pdf) (28.04.2020).

Доклад ООН об израильском бизнесе на оккупированных территориях [https://islam-today.ru/blogi/ajdar\\_xajrutdinov/doklad-oon-ob-izrailskom-biznese-na-okkupirovannyh-territoriah/](https://islam-today.ru/blogi/ajdar_xajrutdinov/doklad-oon-ob-izrailskom-biznese-na-okkupirovannyh-territoriah/) (28.04.2020).

**ავტორთა მონაცემები  
CONTRIBUTORS**

**ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწადი  
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY**

---

XI

2019

**ნანა აბულაძე**

ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმი, ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 593 33 60 67.

ელ.ფოსტა: abuladze777@gmail.com

**ნომადი ბართაია**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი, აღმოსავლური ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

ტელ.: +995 598 18 18 17.

ელ.ფოსტა: nomadi.bartaia@mail.ru

**დალი ბეთხოშვილი**

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 555 48 81 29.

ელ.ფოსტა: dali.betkhoshvili@yahoo.com

**თამარ გოგოლაძე**

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი.

ტელ.: +995 577 25 12 72.

ელ.ფოსტა: maikoberidze@gmail.com

**ეკა დადიანი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი, ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი.

ტელ.: +995 598 10 14 72.

ელ.ფოსტა: dadaniekaa@gmail.com; eka.dadiani@atsu.edu.ge

**მაყვალა დავითაძე**

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 591 41 12 73.

ელ.ფოსტა: Tyupebi98@mail.ru

**როლანდ თოფჩიშვილი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

ტელ.: +995 599 90 46 77.

ელ.ფოსტა: topchi49@hotmail.com



რუსუდან კაშია

ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა, ისტორიის დოქტორი.

ტელ.: +995 599 18 96 44.

ელ.ფოსტა: rusudankashia@gmail.com

გიორგი კილაძე

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე.

ტელ.: +995 599 40 80 06.

ელ.ფოსტა: eblitfo@gmail.com

მარიამ კობერიძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 577 25 12 75.

ელ.ფოსტა: maikoberidze@gmail.com

მარიამ მარჯანიშვილი

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოლოგიის დოქტორი

ტელ.: +995 595 14 20 07.

ელ.ფოსტა: Mari\_teron@yahoo.com

ალექსანდრე მღებრიშვილი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი. ტელ.: +995 577 25 12 05

ელ.ფოსტა: aleqsandre.m@gmail.com

ნორა ნიკოლაძე-ლომსიანიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი

ტელ.: +995 591 22 36 88

ელ.ფოსტა: nora.nikoladze@atsu.edu.ge

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

ტელ.: +995 577 28 28 61.

ელ.ფოსტა: avtandil.nikoleishvili@gmail.com; avtandil.nikoleishvili@atsu.edu.ge

**ოთარ ნიკოლეიშვილი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
ისტორიის დოქტორი.

ტელ.: +995 555 68 98 99

ელ.ფოსტა: otar.nikoleishvili@gmail.com; otar.nikoleishvili@atsu.edu.ge

**მადინა უგლავა - ჯინჯიხაძე**

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის  
ელექტრონული რესურსების მართვის განყოფილების გამგე.

ტელ.: +995 592 80 14 54.

ელ.ფოსტა: madinauglava@gmail.com

**ლალი ურდულაშვილი**

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 599 96 19 92.

ელ.ფოსტა: laliurdulashvili@yahoo.com

**ტარიელ ფუტკარაძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს  
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის  
პროფესორი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქართველოლოგიის  
ცენტრის ხელმძღვანელი.

ტელ.: +995 577 71 78 11.

ელ.ფოსტა: tariel.putkaradze@gmail.com; tariel.putkaradze@atsu.edu.ge

**მაია ქუჭიშვილი**

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული  
პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

ტელ.: +995 591 41 12 73.

ელ.ფოსტა: kukchishvilim@gmail.com

**დავით შავიანიძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
ისტორიის დოქტორი.

ტელ.: +995 599 49 47 70.

ელ.ფოსტა: david.shavianidze@atsu.edu.ge

**ლელა შათირიშვილი**

კ. კველიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი,  
ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 551 00 61 73; +995 593 20 58 72.

ელ.ფოსტა: helensha30@yahoo.com

ეკატერინე შაკიაშვილი  
თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის  
დოქტორი.

ტელ.: +995 577 375 439.

ელ.ფოსტა: e.shakiashvili@gtu.ge

მაია ცერცვაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ტელ.: +995 599 19 12 57.

ელ.ფოსტა: maiatsertsvadze@yahoo.com

მაგდა ჭიქაბერიძე

თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 555 34 25 53.

ელ.ფოსტა: mchikaberidze@gmail.com

ლუიზა ხაჭაპურიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 577 66 86 01.

ელ.ფოსტა: luizakhachapuridze@yahoo.com; luiza.kjachapuridze@atsu.edu.ge

მზია ხოსიტაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სოციალურ მეცნიერებათა  
დოქტორი

ტელ.: +995 599 79 62 64.

ელ.ფოსტა: artprstudio@gmail.com; khositashvilimzia12@gtu.ge

**ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წლიურ ანგარიში**  
**ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY**

---

XI

2019

**Nana Abuladze**

Dadiani Palaces History and Architectural Museum, Doctor of Philology

Tel.: +995 593 33 60 67.

Email: abuladze777@gmail.com

**Nomadi Bartaia**

Akaki Tsereteli State University. Professor, Doctor of Philology. Head of the Department of Oriental Philology.

Tel.: +995 598 18 18 17.

Email: nomadi.bartaia@mail.ru

**Dali Betkhoshvili**

Samtskhe - Javakheti State University. Associate Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 555 48 81 29.

Email: dali.betkhoshvili@yahoo.com

**Tamar Gogoladze**

Gori State Teaching University. Professor.

Tel.: +995 577 25 12 72.

Email: maikoberidze@gmail.com

**Eka Dadiani**

Akaki Tsereteli State University. Associate Professor, Doctor of Philology. Head of the Scientific-Research Center of Kartvelology.

Tel.: +995 598 10 14 72.

Email: dadianiekaa@gmail.com; eka.dadiani@atsu.edu.ge

**Makvala Davitadze**

Samtskhe - Javakheti State University. Associate Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 591 41 12 73.

Email: Tyupebi98@mail.ru

**Roland Topchishvili**

Batumi Shota Rustaveli State University, Post-graduate student.

Tel.: +995 599 90 46 77.

Email: topchi49@hotmail.com

**Rusudan Kashia**

Kutaisi Iliava Chavchavadze Public Library, Doctor of History

Tel.: +995 599 18 96 44.

Email: rusudankashia@gmail.com

**Giorgi Kiladze**

Deputy Director of the Department of Science, Culture and Civic Education of the National Parliamentary Library of Georgia.

Tel.: +995 599 40 80 06.

Email: eblitfo@gmail.com.

**Luiza Khachapuridze**

Akaki Tsereteli State University, Associate Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 577 66 86 01.

Email: luizakhachapuridze@yahoo.com; luiza.kjachapuridze@atsu.edu.ge

**Mariam Koberidze**

Gori State Teaching University. Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 577 25 12 75.

Email: maikoberidze@gmail.com

**Maia Kukchishvili**

Samtskhe - Javakheti State University. Associate Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 591 41 12 73.

Email: kukchishvilim@gmail.com

**Mariam Marjanishvili**

Kutaisi State Historical Museum, Doctor of Philology.

Tel.: +995 595 14 20 07.

Email: Mari\_teron@yahoo.com

**Aleksandre Mgebrishvili**

Gori State Teaching University, Professor.

Tel.: +995 577 25 12 05

Email: aleqsandre.m@gmail.com

**Nora Nikoladze-Lomsianidze**

Associate Professor of Akaki Tsereteli State University, Doctor of Philology.

Tel.: +995 591 22 36 88

Email: nora.nikoladze@atsu.edu.ge

**Avtandil Nikoleishvili**

Akaki Tsereteli State University. Professor, Doctor of Philology. Head of the Department of Georgian Philology.

Tel.: +995 577 28 28 61.

Email: avtandil.nikoleishvili@gmail.com; avtandil.nikoleishvili@atsu.edu.ge

**Otar Nikoleishvili**

Akaki Tsereteli State University, Associate Professor, Doctor of History.

Tel.: +995 555 68 98 99

Email: [Otar.nikoleishvili@gmail.com](mailto:Otar.nikoleishvili@gmail.com); [otar.nikoleishvili@atsu.edu.ge](mailto:otar.nikoleishvili@atsu.edu.ge)

**Madina Uglava - Jinjikhadze**

Ilia Tchavchavadze Kutaisi Public Library, Head of department Electronic

Tel.: +995 592 80 14 54.

Email: [madinauglava@gmail.com](mailto:madinauglava@gmail.com)

**Lali Urdulashvili**

Tbilisi Teaching University, Doctor of Philology

Tel.: +995 599 96 19 92.

Email: [laliurdulashvili@yahoo.com](mailto:laliurdulashvili@yahoo.com)

**Tariel Putkaradze**

Akaki Tsereteli State University, St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia, Head of the Center of Kartvelology, Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 577 71 78 11.

Email: [tariel.putkaradze@gmail.com](mailto:tariel.putkaradze@gmail.com); [tariel.putkaradze@atsu.edu.ge](mailto:tariel.putkaradze@atsu.edu.ge)

**David Shavianidze**

Akaki Tsereteli State University, Associate Professor, Doctor of History.

Tel.: +995 599 49 47 70.

Email: [david.shavianidze@atsu.edu.ge](mailto:david.shavianidze@atsu.edu.ge)

**Ekaterine Shakiashvili**

Tbilisi Technical University, Professor

Tel.: +995 577 375 439.

Email: [sharashenidzeshalva@gmali.com](mailto:sharashenidzeshalva@gmali.com)

**Lela Shatirishvili**

K. Kekelidze Georgian National Center of Manuscripts, Doctor of Philology

Tel.: +995 551 00 61 73; +995 593 20 58 72.

Email: [helensha30@yahoo.com](mailto:helensha30@yahoo.com)

**Magda Chikaberidze**

Tbilisi Technical University, Associate Professor

Tel.: +995 555 34 25 53.

Email: [mchikaberidze@gmail.com](mailto:mchikaberidze@gmail.com)

**Maia Tsertsvadze**

Georgian Technical University, Associate Professor, Doctor of History.

Tel.: +995 599 19 12 57.

Email: maiatsertsvadze@yahoo.com.

**Luiza Khachapuridze**

Akaki Tsereteli State University, Associate Professor, Historical Doctor

Tel.: +995 577 66 86 01.

Email: Luizakhachapuridze@yahoo.com; Luiza.kjachapuridze@atsu.edu.ge

**Mzia Khositashvili**

Georgian Technical University, Doctor of Social Sciences.

Tel.: +995 599 79 62 64.

Email: artprstudio@gmail.com; khositashvilimzia12@gtu.ge

**კომპიუტერული უზრუნველყოფა - ეკატერინე ბარაბაძე**

**გარეკანის დიზაინი - ბელა ლაჭავაძე**